

იოსებ ომაძე

შადრევანთ მეფე
ანუ
ტაშფანდურას ბედნიერი ზეობა
და
სამწუხარო დასასრული

რომანი-გროტესკა

თბილისი, 2008 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2008 წ.
ISBN 978-9941-0-0689-0

სარჩევი

კარი I. შესავალი ანუ ცხოვრების დოდი	1
კარი II. ჩვენი გმირის ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობის წლები და კარიერის აღმართს შედგომა	3
კარი III. როგორ აირჩიეს არისტოტელე ბუქნაძე საჩაღეთის პრეზიდენტად და როგორი პრეზიდენტი გამოდგა	8
კარი IV. საჩაღეთის სილამაზის კონკურსი. ტაშფანდურა ადგენს სრულიად ახალ, რეფორმატორულ მინისტრთა კაბინეტს, რომელსაც, თამამად შეიძლება ითქვას, ცეცხლი უკიდია!	15
კარი V. ტაშფანდურას ეწვია გენიოსური ჩანაფიქრი: დედაქალაქში ჯერ არნახული, გიგანტური შადრევანი უნდა ავაშენოთ, აბა რავა!	17
კარი VI. როგორი უნდა იყოს შადრევანი მეფე?	21
კარი VII. სახელი და დიდება შენ, ტაშფანდურავ ნათელმოსილო!	30
კარი VIII. ტაშფანდურა იწყებს გმირულ სეირნობას მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი შადრევნების პირადად მოსანახულებლად, ჯან!	33
კარი IX. თან საქმე: ტაშფანდურა ამშვენებს მსოფლიო ჩამპიონატს ტირილში – პარიზში, აბა რავა!	38
კარი X. ტაშფანდურა ანცვიფრებს ლანდონს!	46
კარი XI. შადრევანთ მეფეს ისეთი ოქროს ხე უნდა ამშვენებდეს, მსოფლიო გადარიოს, აბა რავა!	56
კარი XII. გაუმარჯოს ზღვაში ჭყუმპალაობას და ვნების ტალღებში ცურვას, ავოე!	59
კარი XIII. ტაშფანდურა – სილამაზის სალონის გმირი!	65
კარი XIV. თან საქმე: ტაშფანდურა ამკობს კლოუნთა მსოფლიო ყრილობას – რომში, აბა რავა!	71
კარი XV. ვაშა, ბატონი პრეზიდენტი კინოში გადასაღებად მიიწვიეს, აბა რავა!	74
კარი XVI. შადრევანთ მეფის მშენებლობა – “საყოველთაო-სახალხო დღესასწაული”, ჯან!	77
კარი XVII. “ტაშფანდურას შადრევნის” მშენებლობა წარმატებით დასრულდა! გრანდიოზული დღესასწაული, ავოე!.. ტაშფანდურას უკანასკნელი გმირობა	81

კარი I. შესავალი ანუ ცხოვრების დოდი

უპირველესად – გულითადად მოგესალმები, ჩემო მკითხველო, – კაი გამარჯვება მითქვამს! მშვენივრად მომეხსენება, რომ ბევრად ჯობს უშუალოდ, პირდაპირ ამბის თხრობით დავიწყო, მაგრამ სანამ თეთრ ფურცლებს შევუკვიდები, ამბის მერანი ჯერ უნდა ნელ-ნელა გავახურო, ჰოდა, სულსწრაფ მკითხველს, ვისაც ჩემი ბებრული ლაქლაქის მოსმენა არ სურს, ვურჩევ, პირდაპირ II კარიდან დაიწყოს კითხვა ან III, ან თუნდაც IV კარიდანაც კი!.. საერთოდ კი, ბევრად აჯობებს, თუკი უკეთეს საკითხავს მოძებნის!

ზოგიერთი გულგატეხილი ამბობს: ადამიანი ძალიან ახლოს არ უნდა გაიცნო, თორემ ადრე თუ გვიან იმდენ უარყოფითს აღმოაჩენ თავდაპირველად სათაყვანებელ პიროვნებაში, რომ გული გაგიტყდებო... მე ამის არ მეშინია და ჩემი ამოცანაც ის არის, რომ ჩემი გმირი, შეძლებისდაგვარად, რაც შეიძლება წვრილმან-მსხვილმანით გავიცნო და მკითხველსაც გავაცნო. მე მონდომობას არ დავაკლებ და რაიმეს მოსაწონს მოიტანს ჩემი ცდა და ჩემი გმირი მოგეწონება თუ არა, შენს მსჯავრს გულდამშვიდებით შეგხვდები.. ისე კი, არ მეგონა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ახალი რომანის ერთი შეხედვით ჩემი მორჩილი გმირი, – მართალი მოგახსენო, სრულიად ჩვეულებრივი, მისი მსგავსი რომ უთვალავი დადის ამქვეყნად და კაციშივლს არაფრით აწუხებს, – ასეთი თავქეიფა, თვითრჯული პიროვნება გამოდგებოდა! რა ბუზი დაეტაკა ნეტავ ისეთი, ხანდახან (ბოდიში და, რაღა დაგიმალო, ხანდახან კი არა, ძალიან ხშირად, უფრო სწორედ, მეტისმეტად ხშირადაც კი) ისე გაუტეგდა, რომ მე, მის მშობელს, გაკვირვებისგან პირს დამალვებინებდა! და მერე განა ერთხელ და ორჯერ, თვლაც კი ამერია! ღმერთმანი, მისი ქცევის დაკვირვება, მისი მაღაყებს გადასვლა – ერთ რამედ ღირდა! ჰოდა, სანამ მე და ჩემი გმირი ერთთავად ერთთად მივჭენობდით ამ წიგნის თეთრ მინდორ-ფურცლებზე (ის – თავისებურად, მე კიდევ – ჩემებურად, აბა რავა!), ორივენი სულ კარგ გუნებაზე ვიყავით! დავაზუსტებ: ჩემგან განსხვავებით, – მე რა მქონდა სადავიდარაბო და სავიშიშო, სულ ღიმილ-ღიმილით ვადევნებდი თვალს მის ბუქნაობას! – ჩემი გმირის სულიერი განწყობილების კაბადონზე ყომრალი ღრუბელიც გამოჩნდებოდა ღროღადრო – საბედნიეროდ, სულ მცირე ხნით! – და სულ იოლად, სხვათა კინკრიხოზე წკიპურტის გაეღვებით ან გულითადი პანდურის ამორტყმით, განიმუხტებოდა და უდარდელ სიცილსაც კი მოჰყვებოდა ხოლმე! ბოლმას გულში არ ჩაიხვევდა, მუავე გუნება-განწყობილება დიდხანს არ ხეირობდა მის სულში, როგორც შემდგომ თავადაც დარწმუნდები.

ჩემო მკითხველო, ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ მისაყვედურებ: სამოცდაათ წელს გადაცილვებულს, ამ სიბერის ჟამს რა ჯირითი და საკმაოდ უცნაური პიროვნების ფრიად უცნაური თავგადასავლები გამოტვინის ჭყლეტა და თავის მტვრევა აგიტყდაო... მეც მიკვირს, ხომ იცი: რა ღროს ჩემი ამჩატება და ხუნტრუც-ცუნდრუკია! მაგრამ, გამოგიტყდები, მისარია და რატომღაც მგონია, რომ ეს მიხრწნილობის გამო არ მომხდარა – უფრო ახალგაზრდულ სიხალისესა და სრულ შემოქმედებით თავისუფლებას ვგრძნობ! თუ თამაშია, თამაში იყოს! ისიც უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ ერთადერთი რამ მაღელვებს: ვაითუ ჯაგლაგ ცხენზე ავფორთხდი და ისე ძალუმად ვერ გავაჭენე და გავაფრინე, როგორც მე და მკითხველს გაგვიხარდება!

ჰო, ერთიც კიდევ: მთავარი ამბის თხრობის დაწყებამდე, მინდა, თუ ძალიან არ შეგაწყენ თავს, წინასწარ რამდენიმე ჩემი მოსაზრება კიდევ მოგახსენო.

ამ ჩვენი განათლებული და გამეცნიერებული დროის (და ალბათ თითქმის ყველა დროების) ცხოვრების დამახასიათებელი სურათია დაუსრულებელი, ყოველდღიური, ჭიხვინა დოდი: კარიერის გაოფლილი, პირგაქაფული ცხენები და მათზე ამხედრებული მოჯირითენი გააფთრებით მიილტვიან ფინიშისკენ – გამარჯვებისა და ჯილდოებისკენ, წარმატებისა და საყოველთაო აღიარებისკენ. გაფრენილ ცხენთა გვერდებს ახურებენ უღმობელი მათრახები – ადამიანთა ვნებანი: სიხარბე, პატივმოყვარეობა, მომხვეჭელობა, კადნიერება, სისასტიკე, ძალაუფლებისკენ დაუოკებელი ლტოლვა და კიდევ და კიდევ ყოველგვარი სისაბაგლე “წარმატებული” კარიერის ციცაბო კიბეზე მაღლა ასაფორთხებლად... ზოგიც მაღლა აცოცებას არად დაგიდევს, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, ოღონდ ერთი სადარდებელი აქვს – ჯიბე ფულით გამოიტენოს, თუმიცა, კარგად მოეხსენება, თანამედობა, იმავდროულად, “მაყუთის მოღუნვის” საუკეთესო საშუალებაცაა... მაგრამ კისრის მოტეხვის რისკიც მეტია!.. და, რა თქმა უნდა, სხვა ყადის ხალხიც გახლავს, შიგადაშიგ შეხვდები მაგანის უანგაროდ გამეცადინებასაც – მხოლოდ კეთილი საქმის კეთებით სახელის მოსახვეჭად... ამგვარი გმირი სხვას უნდა დაგუთმო საქებ-შესასხმელად, ჯერჯერობით მაინც.

ბოდიშს ვიხდი, ზევით გაცვეთილი შედარება გამოვიყენე – რომ ცხოვრება დოდა! ცხადია, ამ დოღში ყველა ვერ იქნება ბედაურზე შემჯდარი; მეც ამ საზოგადოებაში ვცხოვრობ, მეც ძალაუნებურად ვმონაწილეობ ამ საყოველთაო რბოლაში, და როგორც ზევითაც მოგახსენე, მეც ვზივარ ჩემს შესაფერის ჯაგლაგზე და მივჯაყჯაყებ – როგორც შემიძლია! – და ბედს მაინც არ ვემდურნი! ჩემდა გასაკვირდაც, ამ ბოლო დროს ჩემი ბეხრეკი ცხენი განსაცვიფრებლად გაცოფდა და ლაგამს ადარ ემორჩილება – გაუტია და ვეღარ ვაჩერებ: წელიწადში რეგულარულად

“ვაცხოზ” თითო რომანს! წუწუნისთვის სად მცალია: ახლაც ვცდილობ, კომპიუტერში ყოველდღე დაწვერო ერთი გვერდი მაინც და იმედი მაქვს, 2008 წლის ზაფხულის ბოლოს ფინიშამდე მივაღწევ – ამ ჩემს მეთერთმეტე რომანს დავასრულებ... შემდგომ კი ახალი “ცხენი” მოუთმენლად მელის და სტარტის მოლოდინში ადგილზე ცმუკავს, ცუკვავს და მოუთმენლად ოთხივე ფეხს ათამაშებს – ახალი რომანი “მაგიდის მოგონებანი”!.. აბა რავა!.. მეც ძალიან მაინტერესებს, რა ამბებს გვიამბობს მაგიდა: ვინ არ მჯდარა მის გარშემო კარგა ხნის განმელობაში და მრავალი, სულ სხვდასხვაგვარი ადამიანის საუბარი მოუსმენია – სატირალიც და სასაცილოც, მნიშვნელოვანიც და არც ისე... იმედი მაქვს, ბევრ რასმე გაგიგებთ მე და მკითხველი – სალადობოსაც და დამაფიქრებელსაც...

ეს გახლავთ იგავური შესავალი წინამდებარე სალადობო რომან-გროტესკასი, რომელიც, თავიდანვე ვაფრთხილებ მკითხველს, ვერ იტვირთავს მისთვის შეუფერებლად დიდ სიმბიძეს: მეტნაკლები სისრულით ასახოს ჩემს მიერ ამოჩემებული ერთი ქვეყნის – საჩაღეთის – ცხოვრების რიტმი და არიტმია, სოფლისა და ქალაქის ურთიერთობის დამახინჯება (სხვდასხვა მიზეზთა გამო მთელი სოფელი დედაქალაქს მოასკდა), საყოველთაო გახრწნილება, ზნეობრივ ფასეულობათა დაცემა; მის ფურცლებს მიღმა დარჩა ყურადღების ღირსი კიდევ მრავალი რამ: რამდენიმე ან თუნდაც ერთი ოჯახის წევრთა ბედის გადაჯაჭვა; საზოგადოების სხვადასხვა ფენების უცნაური ფერისცვალება: გლეხი გლეხს აღარ ჰგავს, მეცნიერი – მეცნიერს, მუშა – მუშას... ყველა იჩაგრება – ჩრდილში მყოფიც და გარემოებითა თუ ნიჭითა და საკუთარი ძალისხმევით აღზვებულიც; ვერავის ნახავთ ბედნიერს და ყველა – ყველა – წვალობს, ჩალიჩობს, ჩირთიფირთობს პატროსნად ან მამაძაღლობს და ყველა, ვისაც როგორ შეუძლია, მიათრევს ცხოვრების მიძიმე ჭაპანს; იძენს ინფარქტს, შაქრის ავადმყოფობას, რადიკულიტს, ნევროსს და სხვა და სხვა... ერთნი ტირილით იბადებიან, მეორენი უხმოდ მიდიან იმ ქვეყანას, სადაც ყველა თანასწორია და არც შიათ, არც წყურიათ და არც შური და გაუტანლობა აწუხებთ... ამქვეყნად დროებით მდგომური კი ზოგნი ვითომ რაღაც წარმატებას აღწევენ, ამოების აპოთეოზია ნამდვილი: ტყუილი ფაფხური, მცირე ყოველდღიური წვრილმანი სისარული თუ სიამე – “ღვინო, დუდუკი, ქალები!”, თუ სხვათა ნებასა და თავისუფლებაზე უხეში ძალითა თუ ფულით ბატონობით ტკობა და ტოტალური, ყოველს რომ მსჭვალავს, გრძობა უსუსურობისა, ცრუ მოლოდინისა, ნაღვლიანი უიმედობისა, დაუსრულებელი, უაზროდ – “თავდაყირად” – არსებობისა... ყოველ ნაბიჯზე – ტყუილი, ძალმომრეობა, სისასტიკე, გაუტანლობა... უმეცრების, თავხედობისა და დიდგულობის თავაშვებული დოლი, რომლის დროსაც მოურიდებლად, დაუნდობლად თელავენ ძალაუფლებით აღზევებული მათზე “დაბლა” მყოფთ, სუსტებს, მოუხერხებელთ ან უბრალოდ განზე გამდგართაც კი, ვინც დოღში ჩაბმა არ ისურვა ან თუნდაც ტაში არ დაუკრა “გამარჯვებულს” – “ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია!”; ხოლო თუ ვინმე წინააღმდეგობის გაწევას იფიქრებს, სად არის სამართლიანობა, თავისუფლება, თანასწორობა, ადამიანის უფლებები და სხვა ამგვარიო – ვაი მას! მომრავლდნენ ახალ დროებას მორგებული, ახალგაზრდაილი ვაი-მეცნიერები, ვაი-მინისტრები, ვაი-მოსამართლენი, ვაი-მწერლებიც კი – ვაი, ვაი, ვაი... სხვადასხვა დონის უთვალავი და აუწონავი ვაი! მრავალი ამათგან ყველა ხერხით ცდილობს, კონკურენტთა თავებზე ურცხვად გადაიაროს და უფრო “ზევით” აცოცდეს, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, მეტი ძალაუფლება მოიხვეჭოს და მეტი “მითალოს” ცხოვრების სიამეთაგან... ყველა ვაი-მმართველი, ვაი-დირექტორი, ვაი-მინისტრი, ვაი-თავმჯდომარე და მათი მსგავსნი იქაჩებიან დისერტაციის დასაცავად და მერე კი “მეცნიერებათა დოქტორობას” აღარ სჯერდებიან, “აკადემიკოსობას” ეპოტინებიან...

ყოველივე ზემოხსენებული მეტ-ნაკლები სისრულით, შესაძლოა, სხვა წიგნში ვნახოთ ასახული, რომელსაც მე თუ არა, ალბათ სხვა ვინმე მაინც დაწერს ადრე თუ გვიან.

ღიახ, ჩემი ნაცოდვილარი შეძლებისდაგვარად ასახავს მხოლოდ და მხოლოდ ერთი, თანატოლ-სწორებში რაიმე კეთილი ნიჭით არცთუ გამორჩეული, მაგრამ გარემოებათა წყალობით და საკუთარი ქვემძრომობითა და “მოხერხებულობით” მეტისმეტად აღზევებული ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს, თუკი მას მართლა ადამიანი შეიძლება, ეწოდოს და მის არსებობას ამქვეყნად კი – მართლა ცხოვრება.

ჩემდა გასაკვირად, არცთუ მხიარული დასაწყისი გამომივიდა სალადობო წიგნისთვის და აწი შევეცდები, ზემოაღწერილ ზოგადად მუქ ცხოვრებისეულ ფონზე მომხდარი ნაირგვარი ამბები, რომელიც ჩემს მიერ არჩეულ გმირს თავს გადახდა, რამდენადაც შეეძლება, უფრო მხიარული ფერებით დაგხატო. ვინაღაც ქვემომოთხრობილი წამკითხველს თუ არ დააფიქრებს, რამდენიმე საღიმილო წუთს მაინც აჩუქებს...

ახლა კი გავედი თეთრ ფურცლებთან გუელდაგულ საჭიდაოდ – შენ დაუკარ!..

ნათქვამია, ბებერი ხარისა რქანიც ეწვიანო, ვნახოთ, ვნახოთ...

კარი II. ჩვენი გმირის ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა და კარიერის აღმართს შედგომა

არ ვიცი, გაგიკვირდებათ თუ არა, მაგრამ ჩვენი მოთხრობის გმირს, საჩაღეთის მომავალ სახელგანთქმულ პრეზიდენტს არისტოტელე ბუქნაძეს ბავშვობაში სხვა სახელი ჰქონდა – გვაჯი! და დედამისი სააღერსოდ ასე ეძახდა: ”გვაჯიკო!” ან ”გვაჯუნია!” – ხომ მაგარია? ეჰ, ნეტა მეც მრქმეოდა მასეთი კარგი სახელი!

ერთხელ სკოლაში სწავლისას მასწავლებლის მონათხრობიდან გვაჯი ბუქნაძემ შეიტყო (ცოდვა გამხელილი ჯობს – წიგნის კითხვა აგრერიგად არ იზიდავდა), რომ თურმე ძველ საბერძნეთში ძალიან, ძალიან ჭკვიანი მოაზროვნენი ყოფილან, დღესაც რომ, რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ, მთელს მსოფლიოში ქუხს მათი სახელები და ერთ-ერთი ამ გენიოსი ფილოსოფოსის სახელი დაირქვა – სკოლის დამთავრებისას ყველა საბუთში გვაჯი ბუქნაძე ერთი ხელის მოსმით ანუ კალმის უბრალო გაწრიპინებით უცებ არისტოტელე ბუქნაძედ გადაიქცა! ახლა ხომ დაიჯერებთ, რომ ზოგჯერ კალამი ხმაღზე ძლიერია? მკითხველი დამეთანხმება: არისტოტელე მშვენიერი სახელია, კარგადაც უღერს – არისტოტელე!.. გვაჯის, ბოდიში, უკვე – არისტოტელეს, დაჟინებული რჩევით მისი უმცროსი ძმა, თაყა – ”თაყიკო!”, ”თაყუნია!” – ასევე, როგორც ითქმის, ერთ წუთში, პლატონ ბუქნაძედ გარდაიხსნა. პლატონიც უფრო მიკლე კია, მაგრამ ისიც შესანიშნავი სახელია – პლატონ! რასაკვირველია, წესით და რიგით, პირიქით უნდა ყოფილიყო – ძმებ ბუქნაძეებიდან უფროსს პლატონი უნდა რქმეოდა, უმცროსს კი – პლატონის მოწაფის, არისტოტელესი, ხომ მართალი ვარ, ჩემო ძმაგ თუ დაგ და მეგობარო? არისტოტელეს თავს გუფიცები! (რომლისა – თვითონ განსაჯე).

ერთი რამ უარყოფითიც თან სდევდა ძმების ამგვარ ფერისცვალებას – დედისთვის მთლად მოხერხებული არ იყო შვილებისთვის მოფერებით ახალი სახელების დაძახება... აბა რავარია: ”არისტოტელიკო!” ან ”პლატონიკო!”. თუმცა, ეს სიძნელე დედისთვის არ არსებობდა – მისთვის შვილები ძველებურად ისევ დარჩნენ ”გვაჯიკოდ” და ”თაყუნიად!”! სამაგიეროდ, თითქოს შვილების სულები ერთგვარად გაორდა: იყვნენ ერთნი და გახდნენ მეორენი! ამ მეორე სახელებს თითქოს შეეჩვივნენ, მაგრამ იმ ძველი სახელების დავიწყება ბოლომდე ვერ შეძლეს და რომც დავიწყებოდათ, შეხვედრისას ბავშვობის მეგობრები ახსენებდნენ და ძველი სახელების დაძახებაში დაცინვასაც გამოურევდნენ!

იქნებ უხერხულიცაა ამის წინასწარ გაცხადება, მაგრამ ეს ფერისცვალება არისტოტელე ბუქნაძისა უკანასკნელი არ ყოფილა და მისი ეს თვისება ცვლილება-გარდასახვისა შემდგომში უფრო ”ნიჭიერად”, მკვეთრად წარმოაჩინა და ზოგი მას მინდობილი გულუბრყვილო თანამებრძოლი თუ მეგობარი ფრიად გააოცა კიდევ!

უნდა მოგახსენოთ, რომ მშობლები პედაგოგიური ცოდნით ან თუნდაც ალღოთი ვერ დაიტრაბახებდნენ: უფროს ძმას ანებიერებდნენ, ყოველგვარ ცუდლუტობას პატიობდნენ და არც საშინაო საქმეებით ტვირთავდნენ – დაჩაგრულ უმცროსი ძმისგან განსხვავებით, რომელიც, ამასთანავე, მხოლოდ გამონაცვალის ტანსაცმელ-ფეხსაცმლით უნდა დაკმაყოფილებულიყო... პლატონი ბავშვობიდანვე დაჯახნილ-დაბეჩაგებულად გრძნობდა თავს და ვერც შემდგომ, უკვე ზრდასრულმა, დაადწია თავი ამ დამაპინებელ გრძნობას...

როგორ სწავლობდა გვაჯი-არისტოტელე სკოლაში? საოცარია, მაგრამ საკმაოდ კარგად; ალღოიანი იყო, ნიჭიც არ აკლდა, მენსიერებაც ჩინებული ჰქონდა, სკოლაშივე მასწავლებლის ახსნილ გაკვეთილს კარგად იმახსოვრებდა და მით კმაყოფილდებოდა, შინ წიგნის გადაშლა ეზარებდა. დიახ, სიზარმაცის უძლეველი სენი სჭირდა; დილით სულ აგვიანებდა სკოლაში მისვლას – ძილისგუდა გახლდათ (ეს ჩვევა შემდგომშიც გაჰყვა – მას ბოლომდე უერთგულა, თუმცა, როგორც შემდგომ მკითხველიც დაინახავს, ეს ფრიად დასაფასებელი თვისება – ერთგულება – საერთოდ ცხოვრებაში დიდად არასდროს აწუხებდა). საშინაო დავალებების მომზადებით უმეტესწილად არ იწუხებდა თავს და ამიტომ ფონს გადიოდა სხვათაგან გადაწერით. დაფასთან გაძახებულს ცალი ყური სულ წინა მერხზე მჯდარი მეგობრისკენ ჰქონდა მიშვერილი – მისი კარნახის იმედად იყო... როგორც მეგობრები ხუმრობით ახსენებდნენ შემდგომ არისტოტელეს, მოკარნახეებზე მეტად მასწავლებლების მადლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან ყურები ამ საქმისთვის – კარნახის უკეთ გასაგონად – ხშირი აწევით ფრიად დაუბრძელეს და ოდნავ ჩურჩულით ნათქვამიდან ერთი სიტყვაც კი არ გამოეპარებოდა... უნდა წინდაწინ ისიც აღვნიშნო, რომ სკოლის დამთავრების შემდგომაც მის სმენას არაფერი გამოეპარებოდა და, სხვათა შორის, – არც თვალს...

დიახ, უფროს ძმას, გვაჯის, შემდგომ – არისტოტელეს, ადრეული ბავშვობიდანვე დაკვირვებისა და განსჯის დიდი ნიჭი დაჰყვა. უპირველესად კი ის შეამჩნია, რომ მისთვის ხშირად ფრიად სასარგებლო გახლდათ საკუთარი ”მე“-ს დაფარვა ანუ რაიმე ნიღბის მორგება, თამაში! სხვა მრავალ უნართა შორის, რომელიც მას ახასიათებდა, არტისტული ნიჭიც აღმოაჩინა!..

საკუთარი ”გარდასახვით” საკმაოდ ხშირად ხეირს ნახულობდა, ხან – საკმაოდ დიდს, ხანაც – შედარებით პატარას (თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე უბრალო მაგალითს მოგახსენებ):

ბავშვობაში – დიდებას ზედმეტ ნაზუქის ნაჭერს ან ჩურჩხელას დასცინცლაგდა ვითომ ამხანაგისთვის მისაცემად წაგებულ ნაძლევეში (რომ ეთხოვა, ალბათ არავინ დაუჭერდა, მაგრამ ამგვარად, მოტყუებით მოპოვებულს სხვა გემოს ატანდა!);

სკოლაში სწავლისას – ვითომ ავად იყო, მაღალი სიცხე ჰქონდა და ამ დროს მის მსგავს ჩიტრეკიებთან ერთად გემრიელად ერთობოდა: მდინარეზე ჭყუმპალაობდა ან ჭალაში შურდულით შაშვებსა და კაჭკაჭებს დასდევდა. რაც შეეხება სხვათა ბალებში ვაშლის, ბლის, ატმის თუ სხვა ხეების დაუპატიჟებელ სტუმრობას, ძალიან ფრთხილი და წინდახედული იყო: ის ღობეზე არასდროს გადაივრებოდა, ყოველთვის ერჩინა, სადარაჯოზე ყურებდაცქვეტილი და თვალვებდაცქვეტილი მდგარიყო მეთვალყურედ – საშიშროების შემთხვევაში, მეტი შესაძლებლობა ექნებოდა, გაქცევით დროულად ეშველა საკუთარი თავისთვის... იქნებ ეს მშიშრობის ბრალიც იყო? ბიჭების ჩხუბში არასდროს ჩაერეოდა და ამ დროს გაპარვასაც არ თაკილობდა...

უნივერსიტეტში სწავლის დროს – გულუბრყვილო ლექტორს მოხერხებულად გააცურებდა: ვითომ მშობელი სერიოზულად ჰყავდა ავად, მთელი დრო წამლების საშოვნელად და ექიმის მოსაყვანად სირბილში დაეხარჯა და სამადლოდ ნიშანს დასტყუებდა...

არისტოტელე ბუქნაძეს ნიჭი არ აკლდა, მაგრამ, როგორც ადრე მოგახსენე, კითხვას გულს ვერ უდებდა და სწავლა-შრომის ნაცვლად მამაძაღვლობით ერჩინა ფონს გასვლა, რაც თან ფრიად სიამოვნებდა კიდევ – “ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო!” სტიჰენდია კი ჰქონდა, მაგრამ არ ჰყოფნია: უყვარდა დროსტარება და – ქალები! მარად ფინანსურ კრიზისს განიცდიდა და იმუღებულად იყო, ხშირად ესესხა ფული თანაჯგუფელებისგან. ვალს მსესხებულს თითქმის არასდროს უბრუნებდა, აღარავინ ენდობოდა და მალე ფინანსური კრიზისის კლანჭებმა მწარედ მოუჭირა...

კრედიტორებისგან თავგაბებრებული არისტო უკვე აპირებდა, კუდამოძუებული, სოფელში გაპარვას, რომ ბედად ქუჩაში მისი ბავშვობის დროინდელი მეგობარი ოქრო ოქროცოცხაშვილი შეხვდა! ორივემ დიდად გაიხარა: სკოლაში – რამდენი წელი! – ერთ მერხზე ერთად ისხდნენ, ერთად ცუდლუტობდნენ და მამაძაღვლობაშიც ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ... ეტყობა, ამჟამად ოქროს ბედი სწავლობს: მშვენიერ შარვალ-კოსტიუმში გამოწვეპილა და ჰალსტუხიც კი უკეთია – ჯიბეში ფული უჭყვივის, თურმე, ბაზარში საქმიანობს! არისტოტელეს, რომელსაც ძველებურად გვაჯის უწოდებდა, შესთავაზა – ერთად ვიმუშაოთ...

იმ დღიდან არისტოტელე ბუქნაძე ლექციებზე ხშირად ნავთლუდის ბაზარს ესტუმრებოდა ხოლმე, რა თქმა უნდა ერთად მუშაობდნენ – ბაზრის ზედ შესასვლელთან “წაუგებელი” ლატარია-აღეგრი გამართეს და გულუბრყვილო სოფლელებს თუ ქალაქელებს ყვლეფდნენ... არისტომ ერთი თანაჯგუფელი ლამაზი გოგოც, თათუშა ოდელიაძე, ჩააბა ამ “საქმეში”. თათუშა დაგეშილი მზერით შეარჩევდა შესაფერის “კლიენტს” და მომხიბლავი ღიმილით, მორცხვად მიმართავდა: “ბოდიში, დიდი ბოდიში ქაღბატონო, ჩემი ხელი არ ვარგა, თქვენი ხელი მინდა, სულ ერთი წამით! აი, აიღეთ ეს ათი ვერცხლი, ამოირჩიეთ ნომერი და იმ ნომერზე ჩემს მაგივრად დადეთ!”. თუკი შერჩეული “კლიენტი” თხოვნას შეუსრულებდა და თათუშას მიცემულ ფულს რომელიმე ნომერზე დადებდა, არისტო ან ოქრო წრეს დაატრიალებდნენ და, ჰოი საოცრება! – ის ნომერი იგებდა! განხარებულ თათუშას არისტო ან ოქრო მაშინვე აძლევენ ათმაგ “მოგებას” – 100 ვერცხლს! “თქვენ ბედნიერი ხელი გაქვთ, თქვენც სინჯეთ, აუცილებლად მოიგებთ!” – სთავაზობდა გულუბრყვილო “კლიენტს” თათუშა... პირველ ჯერზე გაბრიყვებული მართლა “იგებდა”, შემდეგ, აზარტში შესული, აგრძელებდა თამაშს... და ხშირად ეს გატაცება მთავრდებოდა სრული კრახით, ისე, რომ ზოგჯერ შინ წასასვლელი ფულიც აღარ ჰქონდა... ქალაქელებს კიდევ რა უჭირდათ, აი, სოფლელებს კი რაღა ეშველებოდათ? ხშირი იყო უკმაყოფილოთა მხრივ ლანძღვ-გინება და მუქარაც, რაიც შედეგს არასდროს იძლეოდა...

რა თქმა უნდა, ოქრო და არისტო პოლიციელებთან გარიგებულნი იყვნენ, მფარველობისთვის კუთვნილ “წილს” კეთილსინდისიერად უხდიდნენ, მაგრამ ერთხელ მაინც გაებნენ მახეში. ვიდაც დაბალ-დაბალი, განხინკული ბიჭი გამოჩნდა; ალბათ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა და თავდაპირველად არისტო და ოქრო არ აძლევენ უფლებას, თამაშში ჩართულიყო – ამისგან რას უნდა გამოვრჩეთ, ჯიბეში სახლიდან გამოტანებული საზუმის ფული თუ ექნებოდა... მაგრამ ყმაწვილმა პირველ ჯერზევე 50 ვერცხლი დადო! რასაკვირველია, მოიგო და აზარტული თამაშის თავდავიწყების მორეგმა ისე ღრმად ჩაითრია, რომ საბოლოოდ 1000 ვერცხლზე მეტი წააგო! “ბიზნესმენების” გაცემა, საიდან აქვს ამ ღლაპს ამდენი ფულიო და სიხარულიც ხანმოკლე აღმოჩნდა. უბედობით განაწყენებულმა ბიჭმა ჭიჭყინი დაიწყო, მათ აფერისტები უწოდა, რაზედაც ოქრომ მსუბუქად წაუთაქა, თავის მხრივ არისტომაც პანდური არ დაამადლა და იქიდან დროზე გაქრობა ურჩია... აყალმაყალზე მოსულმა პოლიციელებმა ბიჭს, გამოსარჩლების მაგივრად, კიდევაც დაუმატეს (“სად მოიპარე ფული?”) და საპოლიციო განყოფილებაშიც წააბრძანეს პიროვნების დასადგენად (“ეტყობა, შეძლებული მშობელი ჰყავს, იქნებ ჩვენც “მოვწველოთ?”)... ბიჭი მინისტრის მოადგილის შვილი გამოდგა! პოლიციელები ამ ხათაბალიდან რაღაცნაირად გამოძვრნენ და პასუხისმგებლობას გადაურჩნენ, ხოლო არისტოსა და ოქროს კი ბიჭის მშობელმა სასამართლოში უჩივლა და ყალთაბანდებს ერთი წლით ყოველგვარი საზოგადოებისთვის სასარ-

გებლო თუ მანვე საქმიანობისგან დასვენება მიუსაჯეს საერთო რეჟიმის სასჯელადსრულებით კოლონიაში...

ერთ წელიწადში არისტოტელე ბუქნაძე განთავისუფლდა პატიმრობიდან და თავი აღიდგინა უნივერსიტეტში, სწავლა განაგრძო. განაგრძო ენერგიული “მოღვაწეობაც” ფულის შოვნის მიზნით, მაგრამ ამჯერად “არადასჯად” საქმიანობას მიჰყო ხელი – წიგნების მაღაზიებში ცნობილ აღამიანთა ფოტოპორტრეტებს ყიდულობდა და შემდეგ ჰყიდდა – ჯერ ნაცნობ ნავთლულის ბაზარში, შემდეგ – მატარებლებში: საერთოდ მოგზაურობა ფრიად უყვარდა და განსაკუთრებით მოენატრა, ხომ იცი, ერთწლიანი კოლონიური ერთფეროვნების შემდეგ! მოკლე ხანში საქმიანობის მასშტაბი მნიშვნელოვნად გაზარდა: შინ, ნაქირაგებ ოთახში, პატარა ფოტოლაბორატორია მოაწყო და თვითონვე ბეჭდავდა ღია ბარათის ფორმატის კინოვარსკვლავთა, მომღერალთა, ფოტომოდელთა ფოტოპორტრეტებს, უმთავრესად, რაღა თქმა უნდა, – ქალთა! თვითონ ხომ საერთოდ მშვენიერი სქესის დიდი თავყვანისმცემელი გახლდათ, ჰოდა, კაცების მხრივაც სრულიად გასაგები იყო, მშვენიერ მანდილოსნთა ფოტოებს რომ აძლევდნენ უპირატესობას, მაგრამ, ასევე, შეატყო, – ქალებიც აშკარად მეტს ყიდულობდნენ ქალ ლამაზმანთა პორტრეტებს, ვიდრე კაცთა! უზარმაზარი ჩანთით დაიარებოდა და დაინტერესებულ პირთ დიდ არჩევანსაც სთავაზობდა: ვივიენ ლი და დინა დურბინი, ჯანეტ მაკდონალდი და ოდრი ჰეპბურნი, მერილინ მონრო და სოფი ლორენი, ლოლიტა ტორესი და მარინა ვლადი, ბრიჟიტ ბარდო და ანჟე ემე, სილვანა პამპანინი და ჯინა ლოლობრიჯიდა, სარა მონტიელი და ავა გარდნერი, რობერტინო ლორეტი და რობერტ ტელიორი, რობერტო ბენცი და ალენ დელონი, პელე და მარადონა, ლუი არმსტრონგი და დიუკ ელინგტონი, პაბლო პიკასო და სალვადორ დალი... – უფროსი თაობის ხალხი ამათ პორტრეტებს უფრო ეტანებოდა. უფრო დიდი იყო ახალგაზრდა თაობისთვის განკუთვნილი ფოტოპორტრეტთა გაღერვა: ბრიტნი სპირსი და კრისტინა აგილერა, რიკი მარტინი და მიკ ჯაგერი, პოლ მაკარტნი და ჯონ ლენონი, შარონ სტოუნი და ანჯელინა ჯოლი, დემი მური და მადონა, კატრინ დენევი და ლაიზა მინელი, მელანი გრიფიტი და სიდნი კროუფორდი, ჯულია რობერტსი და ჯუდი ფოსტერი, ონადალდუ და რივალდუ, და უთვალავი, უთვალავი სხვა...

მაღე ახალი, ბევრად სარფიანი საქმე გააჩაღია – პორნოგრაფიული ფილმების ჩვენება! ამისთვის ძველ მეგობარს, მომხიბლავ თათუშა ოდელიაძეს შეარჩევინა გოგონები, შეიძინა კინოკამერა და ბინაში პორნოგრაფიულ სეანსებს ატარებდა, რომელთაც კინოფირზე იღებდა და შემდეგ ფასიან კინოსეანსებზე იმავე ბინაში ყველა მსურველთ ჰპატიჟებდა, უმთავრესად – სტუდენტებს.

ამჯერადაც გაება და საქმის ხმაურიანი გარჩევის შემდეგ უნივერსიტეტის მეოთხე კურსიდან გარიცხეს...

ბატონი არისტოტელე ერთი მხრივ დიდად ბედნიერი იყო, რომ მისი სახელი ყველას პირზე ეკერა, მეორე მხრივ კი შეშინებული და სასოწარკვეთილიც კი – პურის ფული როგორ უნდა ეშოვა? არც ინტელექტუალური და არც ფიზიკური სამუშაო არ იზიდავდა, თაღლითობაც უკვე შეუძლებელი იყო – ყველა მოხარშულივით იცნობდა! და საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. დოლარეთში კარგა ხნის წინ წასულ ბიძას, ემპედოკლე ბუქნაძეს, წერილი მისწერა და დახმარება სთხოვა...

არისტოტელეს ბიძა ემპედოკლე ბუქნაძე საზღვარგარეთ დიდ კომერციულ საქმიანობას ეწეოდა, ამბობდნენ, საერთაშორისო მასშტაბით იარაღის ფარულ ყიდვა-გაყიდვაში არის ჩართული. ემპედოკლე ბუქნაძეს, ეტყობა, რაღაც ზრახვები ჰქონდა, სამშობლოში დაბრუნებისას მყარად ეგრძნო თავი, ვერავის დაეჩაგრა და, ზოგიერთი პოლიტიკოსის ფულით კეთილგანწყობის მოპოვების გარდა, ძვირადღირებული “ინვესტიცია ჩადო” მმიშვილის პოლიტიკურ კარიერაში – და არც შემცდარა! თავიდანვე განჭვრიტა მისი შესაძლებლობები და არისტო ბუქნაძის წინსვლას მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა: უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ დოლარეთში გააგზავნა, იქ ერთ-ერთი “პრესტიჟული” კოლეჯი დაამთავრებინა და იურისტისა და პოლიტოლოგის დოქტორების დიპლომებით სამშობლოში დააბრუნა...

სამსახურში – უფროსობასთან ერთგულ, დიდად მუყაით და საქმის მცოდნე კაცად წარმოჩნდებოდა, სინამდვილეში მხოლოდ თვალის ასახვევად ირჯებოდა; ბავშვობაში ბაღ-ბოსტნების “დალაშქრისას” ყურების დაცქვეტისა და თვალების დაჭყვეტის დროს მიღებული წვრთნა და გამოცდილება ახლა უფრო განავითარა და დიდად დახვეწა: არ გამოეპარებოდა თავის გაფაჩუნებაც კი, არამცთუ კოლეგებისა და თანამშრომლების ნებისმიერი უმნიშვნელო ნაბიჯი... სამაგიეროდ, საქმის ნამდვილ კეთებას გულის ვერ უდებდა და ცდილობდა, მეტი წილი საკუთარი საქმისა სხვისთვის აეკიდა; ამგვარ ხრიკებშიც თანდათან კარგად გაიწავა!

პოლიტიკაში ჩაბმის შემდეგ – კონკურენტთა მოხერხებულად გზიდან ჩამოცილებას ან საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას კონტად ახერხებდა – ვითომ მავანი გაგლენიანი ფიგურის ერთგული მეგობარი იყო, ზურგს უკან კი ორმოს უთხრიდა...

კარგია, დიდად სასარგებლოა, ხომ იცი, ნაირ-ნაირი ნიღბების ტარება: ზოგჯერ – ფრიად მიამიტისა, ყველასი და ყველაფრის რომ სჯერა, ზოგჯერ – ჭეშმარიტების უანგაროდ მაძიებელი რაინდისა, ზოგჯერ – თავდავიწყებით შეყვარებულისა, ზოგჯერ – საკმაოდ ჭკუასუსტისაც კი, რომელიც თითქოს მჭადს ნახშირისგან ვერ გაარჩევს...

ზოგჯერ სხვათა გაცუცურაება, კაცმა რომ თქვას, არც ღირდა – როგორც ითქმის, ჩიტი ბღღვნად არ ღირდა, მაგრამ არისტოტელე ბუქნაძე მამაძაღლობას მიანიც ვერ ელგოდა; მიზეზი ორი იყო: ერთი ის, რომ სხვათა გაცურებით დიდ სიამოვნებას განიცდიდა, და მეორე – შესაძლებლობას როგორ გაუშვებდა ხელიდან, არ წაეგარჯიშა – მოტყუების ხელოვნება, სხვა ხელოვნებათა დარად, მუდმივ წვრთნა-გარჯიშს მოითხოვს!

და ნელ-ნელა ბატონი არისტოტელე ბუქნაძე კარიერას იკეთებს, თანდათან სარჩო-საბადე-ბელსაც იხვეჭს, ჯილდო-ჯინჯილებს, თანამდებობებს მოიპოვებს, გაიჩინა ნაცნობ-მეგობართა ფართო წრეს, რასაკვირველია, უმთავრესად – გაელენიან და “გამოსადეგ” ხალხს...

როგორც აღვნიშნე, განსაკუთრებით ემარჯვებოდა სხვათა მიერ ნაფიქრალ-გაკეთებულის საკუთარ ნაღვაწად გასაღება, ამ მხრივ უბადლო ყნოსვა ჰქონდა და კარგადაც დაიგემა: მარად დადარაჯებული იყო, ყურებდაცქვეტილი – წვრილმანიც კი არაფერი გამოეპარებოდა და მოხერხებულად იცილებდა ისეთ საქმეს, რომელიც რაიმე მხრივ საჭოჭმანო იყო, ან სარგებელს არ აძლევდა, ან ღრვისა და ენერგიის მნიშვნელოვნ ხარჯთან იყო დაკავშირებული... ფრთხილი იყო, ძალიან ფრთხილი! მაგრამ როცა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო ახალ საფეხურზე ასასვლელად, უცებ საოცრად გაბედული ხდებოდა! და არც სხვათა “თავზე გადავლას” ერიდებოდა!

და არასდროს სჯერდებოდა მიღწეულს, სულ მეტისა და მეტი წარმატების მიღწევის მოთხოვნა არ ასვენებდა – მეტი გავლენისა სხვებზე, მეტი ძალაუფლებისა, მეტი ფულისა და მეტი ცხოვრებისეული სიამის განცდისა... საოცრად ენერგიული იყო და მიზანსწრაფული – ყველაფერს ასწრებდა, თუმცა მხოლოდ თავისთვის ირჯებოდა – ზოგადად მისი გაკეთებული საზოგადო საქმე, თუ საკუთარი საქმისთვის სახეიროს ვერაფერს ხედავდა, არ ჩანდა!

უსარლდა ნიღბების მორგება, მოსწონდა სხვა ვინმედ თავის მოჩვენება, ამით დიდ სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა (რა თქმა უნდა, მატერიალურ მოხვეჭასთან ერთად!), მაგრამ... მაგრამ ავიწყდებოდა, რომ ეს ცხოვრება იყო და არა თეატრი და საბოლოოდ რა მოიგო? ვერ ატყობდა, რომ სულიერებისგან განიძარცვა, უსულო დარჩა – ვითარცა ცხოველი! თუმცა, ცხოველი არასდროს ღალატობს საკუთარ ბუნებას, ამიტომ სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის... მაგრამ ეს გარემოება არისტოტელე ბუქნაძეს სრულებით არ აღარდებდა!

ნიღბის ტარება ჩვეულებად ექცა – ერთი, მეორე, მესამე ნიღაბი.. – და საკუთარი სახე თვითონაც აღარ იცოდა, როგორი ჰქონდა! და არც განიცდიდა ამ მდგომარეობას – როგორც მოგახსენეთ, სინდისის ქენჯნის განცდა მისთვის უცხო იყო.

ღიახ, ერთი რამ გამოცდილებამ ცხადად დაანახა და ღრმად ჩაებეჭდა გონებაში: რაც უფრო გულგრილი ხარ სხვათა ბედ-უბედობის მიმართ, მით მოგებული დარჩები, მეტ წარმატებას მიაღწევ! და იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ ამით საკუთარ სულს ძარცვავდა და, ბოლოს, უსულო, უგულო, უემოციო ხდებოდა – ადამიანი აღარ იყო! იქნებ ხედავდა კიდევ, მაგრამ დიდად არ ანადვლებდა, რომ იგი მექანიკური, დაპროგრამებული ტვინის მფლობელი გახდა, რომელიც ყოველთვის “ოპტიმალურ” გადაწყვეტილებებს იღებს, უგულვებელყოფს ემოციურ დამოკიდებულებას – მისთვის უცხოა სიბრალული, სამართლიანობა, თანაღმობა, სხვისი წარმატებით გახარება, უანგარობა, ჭეშმარიტი სიყვარული, სხვათათვისაც კეთილად წასადგომი ნატვრა თუ ოცნება...

ჩვენ კი კარგად ვიცით, რომ მთავარია, წუთისოფლის მოკლე გზაზე ყოველთვის იყო საზოგადოების პატივსაცემი წევრი, ადამიანი, რომ ამქვეყნიდან წასვლის შემდეგაც შენგან დარჩეს კვალი ნათელი – შენს მიერ დატოვებულ ნაღვაწშიც და ნაცნობ-მეგობართა ხსოვნაშიც... მაგრამ ჩვენი გმირი რომ სულ სხვაგვარად უყურებს ცხოვრებას?! სხვაგვარადაც მოქმედებს და სულ არ განიცდის, მავანნი რას ფიქრობენ მასზე – მთავარია, მოახერხოს და თავი მოაჩვენოს სხვა ვინმედ, რათა საკუთარი ზრახვები წარმატებით დაფაროს და ამით საკუთარ მიზანს მიაღწიოს... ხოლო როცა თავისას გაინადღებს, მაშინ მისი უეცარი ფერისცვალებით გაოგნებულთ ვისაც რა უნდა, ისა თქვას, სულ ფეხებზე ჰკიდია! თავიდანვე აღდო აუღო ცხოვრების უღმობელ კანონებს – ის მარტოა დღევანდელ ცხოვრებისეულ ბრძოლაში, როცა რაინდობა, კარგა ხანია, აღარ არსებობს, ყველა მხოლოდ საკუთარი, კერძო ინტერესების მისადწევად “იქნევს ხმაღს”, მხოლოდ პირად მტერს “აძგერებს შუბს” და “ნადავლიც” მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის უნდა...

ღიახ, არისტოტელე ბუქნაძე დარწმუნებულია, რომ ცხოვრების გზა – ეს შენი მტრების მიერ საგულდაგულოდ დაგებული ხაფანგების გრძელი მწკრივია, ყოველ ნაბიჯზე საფრთხე მოგელის და დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გმართებს, რომ ერთ-ერთ მათგანში არ გაება – მაშინ უნდა დაემშვიდობო კარიერის კიბეზე წინ წაწევის ცისფერ ოცნებებს! მაშ, როგორ უნდა მოიქცე? თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, სხვებს არ უნდა ჩამორჩე და შენს მოწინააღმდეგეს თუ კონკურენტს, – მტერი იქნება თუ მოყვარე, გინდაც შენი მეგობარი იყოს, – თუკი შენზე ჭკვიანი, განათლებული, მცოდნე, ენერგიული ან სხვა რაიმე ნიშნით უპირატესია, თვით უნდა დაუგო კარგად შენიღბული მახე!

ჰოდა, არისტოტელე ბუქნაძემ ატყუა, ატყუა ყველა, ყოველთვის ძალიან ოსტატურად ირგებდა ნიღბებს და ამით რაღაცას იგებდა, იცვლიდა ნიღბებს და წარმატებას აღწევდა, მაგრამ საბოლოოდ რა შედეგი მოიგო? თვით გახდა უსახური! – წააგო მთელი ცხოვრება...

ტყუილით ცოტა მოიგო, ბევრი წააგო – საკუთარი თავი დაჰკარგა!

წესით, უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: “ვაიმე! ჩემი სახე სად არის? ვინ მომპარა?” და უპასუხოს: “მე თვითონ!”; მაგრამ ამისთვის ადამიანი უნდა იყოს, სინდისის ქენჯნის განცდა გაწუხებულეს, მე კი ამ ამბის დასაწყისშივე ტყუილად არ ვიკითხე: შესაძლებელია, იგი ადამიანად ჩაეთვალოთ?

არისტოტელე ბუქნაძე მარტოსულია, არ ჰყავს თანამოაზრე, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი; ის მარდ ეჭვების მონაა, ვერავის გაუზიარებს სანუკვარ აზრებს, რაიმეს მიხიმავენებლო, ვერავის ენდობა, საკუთარ ძმასაც კი... რაც თვითონ არის, სხვებიც ყველანი მისი მსგავსნი ჰგონია!

ცხადია, არისტოტელე ბუქნაძეს ჭეშმარიტი მეგობარი არასდროს ჰყოლია, თუმცა თვითონ ყოველთვის ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება ძლიერი და გავლენიანი პიროვნებების “მეგობარი” გამხდარიყო... რა თქმა უნდა, ამის გამო იყო, რომ ცოლიც “შესაფერისი” ითხოვა – მადონა მდოგვაძე, საკმაოდ სანდომიანი, მაგრამ სხვა მხრივ არაფრით გამორჩეული, სამაგიეროდ – წელმაგარი ოჯახის შვილი; ეს ოჯახი მთელ საჩაღეთში (მაშინ იგი ჯერ არ იყო აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთი – ასეთად მხოლოდ არისტოტელე ბუქნაძის ზეობისას გამოცხადდა!) ცნობილი იყო ფინანსური სიძლიერით და არც პოლიტიკური ამბიციები იყო მისთვის უცხო... სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქალბატონ მადონა მდოგვაძეს შემდგომ თითქმის აღარ მოვისვნიებ; იმიტომ კი არა, რომ მისი შეწუხება არ მსურს, მიზეზი უბრალოა: უფერული პერსონაჟი არც მე მჭირდება და არც მკითხველს, მით უმეტეს, ეს ქალბატონი ჩვენი მთავარი გმირის ცხოვრებაში უგულვებელყოფილია, თითქოს არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ჩვენი თხრობისთვისაც მნიშვნელობა დაკარგული აქვს.

ბოდიშს ვიხდი, სიტყვაკაზმული მწერლობის დიდად მნიშვნელოვანი წესი (უკვე მერამდენელ!) უხეშად დავარდვიე და ჩემს გმირს ბრალიც დავდე და განაჩენიც რომანის დასაწყისშივე წინდაწინ გამოვუტანე, რის უფლებაც მე არ მქონდა (პერსონაჟი მკითხველმა უნდა განსაჯოს და არა მწერალმა!); მით უმეტეს, არისტოტელე ბუქნაძის ცხოვრებისეული გზის მკითხველისთვის გაცნობა მხოლოდ დავიწყე, ისიც – მშრალად და ზოგადად. შევცდი, დიდად შევცდი! ზნეობრივ-დიდაქტიკური ტრაქტატის მსგავსი რაღაც უკემური კერძი მოვახლაფორთე და აღბათ მკითხველიც საკმაოდ დავადონე და არ გამიკვირდება, თუ გაღიზიანებული შემეძახებს: “ოჯახაშენებულო, როგორაა შენი საქმე, გზა-კვალი აგერი? საით მიაჭენებ, ვერან, ამბის დაწყებას აღარ აპირებ?”

თავს მხოლოდ იმით ვიმართლებ, რომ შეცოდებაში ნაწილობრივ ვარ დამნაშავე: ჩემი გმირი თავიკეთაა, თვითრჯული, სხვისი არა ესმის რა!.. ჰეი!.. ის რომ გაჭენდება და გაჯირითდება, გაიჯეჯილებს ამა ნახლაფორთების თეთრ ფურცლებზე, ჩემი თამაში რა იქნება იმასთან!

რადგან თავიდანვე ყველა წეს-კანონი არაფრად ჩავაგდე და დაუკრეფავში გადავედი, ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ არისტოტელე ბუქნაძე დროთა განმავლობაში შესამჩნევ ფერისცვალებას განიცდიდა: რაც უფრო იკრებდა ძალას, გრძნობდა საკუთარ სიძლიერეს, მით მცირდებოდა მისი “მსახიობობა”, ნაკლებ მიაჩნდა საჭიროდ საკუთარი ნაღდი სახის დაფარვა; ხოლო როცა საჩაღეთის პრეზიდენტობას მიაღწია, იმდენად ძლიერად და თავდაჯერებულად იგრძნო თავი, რომ პირადი ნიღბების მდიდარი კოლექციიდან ყველა სანაგვეზე გადაყარა, საკუთარი სურვილების თავნება ცხენის სადავეები სულ მიუშვა და გაჭენების სრული თავისუფლება მისცა – აღარაფერს ერიდებოდა; აღარც ვინმეს შიში და, მით უმეტეს, ხათრი ჰქონდა – რაც უნდა მოიმოქმედოს, ყოვლისშემძლე პრეზიდენტი ყოველთვის მართალია! აბა რავა!..

დასასრულ, ჩემი გმირის გარეგნული პორტრეტი რომ არ წარმოგიდგინო, მოწყალეო მკითხველო, ეს იგივე იქნება, სალათას (იტალიურიდან მოდენილი სიტყვა ყოფილა, ჩვენებურად თურქულ ტაბუცუნს იტყვიან) რომ მარილი არ მოაყარო და ბევრად უარესიც! მოგახსენებ: მაღალია, ჯანიანი, ოღონდ სოროტული კი არა, ოდნავ მომსუქნო; საკმაოდ დიდ, ბურთივით მრგვალ თავს უფარავს ხშირი, მზინავი, შავი თმა, – უხეში, უდრეკი და ზღარბივით ყალყზე დამდგარი, – ბავშვობიდანვე სავარცხლითა და წყლით ებრძვის და ვერ მოუთვინიერებია! რაც პრეზიდენტი გახდა, შეატყო – თმამ გამეჩხერება დაიწყო და მისი მარადი “მტრის” ამგვარი დაჩაჩანაკება ამჯერად გულს ეკალივით დაესო! (საიდუმლოდ მოგახსენებ: ამ სამწუხარო მოვლენას სახელმწიფო საქმეებით მეტისმეტ დატვირთვას ნამდვილად ვერ დააბრალებს!). დიახ, რატომღაც ძალზე მტკივნეულად განიცდიდა თმების “დალატს”... კიდევ კარგი, – გაუმარჯოს მეცნიერების ყოვლისშემძლეობას! – ჯერ ხელოვნური, შემდეგ კი ბუნებრივი თმის გადანერგვა გამოჩნდა და ბატონ პრეზიდენტს ეშველა – გამელოტებას გადაურჩა! ბედად, ბატონ პრეზიდენტის მკერდი, მკლავები და ფეხები ფრიად ხშირი ბაღნით ჰქონდა შემოსილი – ბუნებამ, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, მისთვის ეს სიმდიდრეც უხვად გაიმეტა! – და გადასანერგი მასალა არ შემოაკლდა!..

კეთილის მსურველთა რჩევას დაჰყვა და გარეგნობისა და ჩაცმა-დახურვის სტილის დახვეწის გარდა, გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით ხანგრძლივად ივარჯიშა და დიდად “გააკეთილშობილა” ასევე გარეგნული ქცევის ნირი: სოლიდური სიარული, კეთილი ღიმილი, გულითადი ხელის ჩამორთმევა და რამდენიმე ფრაზით გულდია განწყობის გამოხატვა და სხვა და სხვა...

არისტოტელე ბუქნაძეს თვალები ამშვენებს: დიდი, ჭროლა, ოდნავ გადმოკარკლული, ცოცხალი, მოუსვენარი – არაფერი გამოეპარება... მარად მდიდარ ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს ორი ბავშვური ნაკეცი უჩნდება ტუჩთა კუთხეებში – თითქოს განურჩევლობისა თუ უშფოთველობის

ნიდაბი აქვს აფარებული, სინამდვილეში კი დაკვირვებით ჭკრეტს გარემოს – სწავლობს, აანალიზებს, დასკვნები გამოაქვს... ამ დიმილს მაგანნი ბევრჯერ შეცდომაში შეუყვანია ბატონ პრეზიდენტის განზრახვებისა და შესაძლებლობების შესახებ... შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელე ბუქნაძე იანუსია, ოღონდ ერთსახა – სახე ორად აქვს გაყოფილი: ქვედა ნაწილი – გულგახსნილად ხარობს და ხალისობს, ზედა – დაძაბული ზეგრავს გარემოს, რათა ხიფათი არ გამოეპაროს...

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ, როცა პრეზიდენტი გახდა, გარდერობში უკვე ჰქონდა 33 სხვადასხვა ფერისა და ყაიდის კოსტიუმი! ერთ დღეში სამჯერ რომ ყოფილიყო სხვადასხვა ადგილას მისასვლელი, სამჯერვე განსხვავებულ სამოსში გამოწყობილი გამოცხადდებოდა! აბა რავა! ამ ბოლო დროს პატარა ღიპიკო წამოეპარა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოძრავია და ეს შეგელის, – კი არ დადის, თითქმის დარბის, – თორემ მისი მადის პატრონს დიდად პატივისცემი სოლიდური ბატონი ღიპიც დაამშვენებდა; ამიტომ უხდება ახალი სამოსის შეძენა.

ღიას, ჩემი თხრობის გმირი დიდად იცვლებოდა დროთა განმავლობაში – შინაგანადაც და გარეგნულადაც, თუმცა ერთ მტკიცედ ჩამოყალიბებულ შეხედულებას კი ოდნავადაც არასდროს გადაუხვევდა: “ყველაფერი – ჩემი კეთილდღეობისთვის, აბა რავა!”...

კარი III. როგორ აირჩიეს არისტოტელე ბუქნაძე საჩაღეთის პრეზიდენტად და როგორი პრეზიდენტი გამოდგა

როგორ მოვიდა ბატონი არისტოტელე ბუქნაძე ხელისუფლების სათავეში?

თავიდან ერთი უფერული ვინმე იყო, ყურადღებას არავინ აქცევდა. მერე მოახერხა და დაუახლოვდა ერთ-ერთ ვითომ-ოპოზიციური პარტიის ლიდერს (რა პარტია იყო? ვინ იყო მისი ლიდერი?), რომელსაც სიმამრისა, კალისტო მლოგვაძისა და ბიძისგან, ემპედოკლე ბუქნაძისგან, “სესხად” მიღებული თანხით დაეხმარა საპარლამენტო საარჩევნო კამპანიის დროს... ამ პარტიის სიით თვითონაც იყარა კენჭი და პარლამენტის წევრი გახდა; შემდეგ, სულ მალე, ვითომ რაღაც იდეოლოგიურ და სტრატეგიულ საკითხებში უთანხმოების გამო, ოპოზიციის რიგები დატოვა და მმართველი პარტიაში გადაბარგდა – ჯილდოდ პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა უბოძეს; პარლამენტიდან მთავრობაში გადავიდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, ბოლოს კი, – მეყოფა სულ ვიღაცის მოადგილეობაო, – ფინანსთა მინისტრის საგარეო უწყებაში გამოიჭიმა... ამ გავლენიანი თანამდებობის მფლობელს, მოგეხსენებათ, ყველა პატივისცემით ეპყრობა, არ აქვს დიდი მნიშვნელობა, რამდენად ერკვევა იგი ფინანსებში, და არც არის გასაკვირი, რომ სულ მალე ბატონი არისტოტელე ჯერ აირჩიეს მმართველი პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ კი, – არც აქ ეგუებოდა მოადგილეობას! – თავმჯდომარედაც... აბა რავა! აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი საჩაღეთის პრეზიდენტის მაღალ პოსტამდე!

საბოლოოდ, მხოლოდ და მხოლოდ ინტრიგების ხლართვის, დემაგოგიისა და ლაქლაქის ნიჭით დაჯილდოებულმა ბატონმა არისტოტელე ბუქნაძემ გაიმარჯვა! ნაბიჯ-ნაბიჯ წინ-წინ ძრომით, ხანაც – მუცელზე ხოხვა-ფორთხვით, სხვათა, უფრო ძლიერთა და გავლენიანთა მოხვეწებითად ერთგულად მსახურებით; ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა საკუთარი პოზიციები განიმტკიცა და საკმაო სიძლიერე იგრძნო, უცებ, მრავალთათვის მოულოდნელად, საოცარი ფერისცვალება განიცადა – თავდაჯერებული და უტიფარიც კი გახდა! ფრონტის შესაცვლელადაც მოხერხებული დრო შეარჩია და ყოფილ მფარველთა და თანამებრძოლთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო მათი სასტიკი კრიტიკით – არ იცნობდა მათ და მათ ნამოქმედარ თუ რა! საგულდაგულოდ ნაგროვები მაკომპრომეტირებელი მასალები გამოამზეურა და არც შემდგომი პოლიტიკური მოღვაწეობის ნიადაგის უზომო დაპირებებით განოყიერება გამორჩენია!

გუშინ სხვათა ნების უსიტყვო შემსრულებელი, ახლა კი სახეშეცვლილი არისტოტელე ბუქნაძე ყველაზე მეტად სწორედ მისი კარიერის ხელშემწყობსა და მფარველს, “მშობლიური” პარტიის ლიდერს და ქვეყნის მეთაურს, ჩანჩურ-პანჩურად წოდებულს, დაუპირისპირდა, ამხილა ათასგვარ დანაშაულსა და სისაძაგლეში, აუშხედრა მრავალი სხვაც, აიყოლია ხალხიც და აიძულა, გადამდგარიყო პრეზიდენტისა და პარტიის ლიდერის პოსტებიდან. არისტოტელე ბუქნაძისგან ასეთ მოხერხებულობასა და გაქნილობას არავინ ელოდა! მერე და მერე იმდენს მიადწია, რომ ყველა მისი კეთილისმყოფელი, ვინც კი ხელს უწყობდა მის პოლიტიკურ ასპარეზზე წინსვლას, ნელ-ნელა გზიდან ჩამოიცილა ან დამხმარედ გაიხადა და მეორე-მესამე როლებზე განამწყესა... თანამებრძოლები მოიცილა თავიდან, თანამოაზრეები კი ვერ შემოიკრიბა გარშემო, რადგან ასეთები ვერ ეყოლებოდა – რაიმე იდეები არასდროს აწუხებდა, არც რაიმე პროგრამა გააჩნდა ქვეყნისა და საზოგადოების წინსვლისა; ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა დღენიადაც – მაღალი სკამის შენარჩუნება და საკუთარი კეთილდღეობაც, რასაკვირველია!

საერთოდ, საოცარი უნარი გამოამჟღავნა ადამიანთა ურთიერთწაკიდებისა, რამაც ფრიად შეუწყო ხელი მის პოლიტიკურ კარიერას... არისტოტელე ბუქნაძემ დემაგოგიური უზომო დაპირებებით მისი ნამდვილი ზრახვების შესახებ მოსახლეობის დიდი ნაწილის შეცდომაში შეყვანა შე-

ლო და პრეზიდენტის არჩევნებში კონკურენტებზე დიდი უპირატესობით გაიმარჯვა! ამას მიაღწია იმის მიუხედავად, რომ რატი რწყილაძე, ლიდერი პარტიისა “ხალხი ძალადობის წინააღმდეგ” და ეკა ეკალბუჩქაძე, ლიდერი პარტიისა “ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ” (მრავალი სხვა(ც) აფრთხილებდნენ ამომრჩევლებს, ვინც არის ბატონი არისტოტელე ბუქნაძე სინამდვილეში და რას უნდა მოელოდნენ მისგან მომავალში (რაც სულ მალე ყველასთვის გაცხადდა კიდევ! სამწუხაროდ, ფრიად დაგვიანებით...):

მატყუარაა!

მისი უპირველესი თვისებაა – დემაგოგია! დემაგოგიური ლოზუნგები – დაპირებები, უზომო დაპირებები, ზღვა და ოკეანე დაპირებებისა! ამ დაპირებების დიდი ნაწილი შემდგომ აღარც ახსენდება და ფუჭი დაპირებებისთვის ოპოზიციის საყვედურებს ვითომ ვერ ამჩნევს... თავმოყვარეობის გრძნობას ყმაწვილობიდანვე ზურგი შეაქცია და ვიღაც ინტრიგანების საყვედურებს დანაპირების შეუსრულებლობის გამო არასდროს აქცევს ყურადღებას – იყაყანონ, რამდენიც გაუხარდებათ!..

ტრაბახაა! “ეს გააკეთე! იმას ვიზამ!” – ამგვარი კვენა მარად ისმის მისგან. შაურის გაკეთებულ საქმეს თუმნად ასაღებს; “ჩვენ მივალწიეთ, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ბედნიერია! აქვს გარანტირებული სამუშაო, საემარისი ანაზღაურება, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ეკონომიკურად და დაცული პოლიტიკურად!” განსაკუთრებით უყვარს რაიმე დარგში წარმატების მიღწევა საკუთარი თავის დამსახურებად წარმოაჩინოს, თუნდაც მასთან რაიმე კავშირი არც ჰქონდეს!

ღიას, ტაშვანდურას ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა თვალეში ნაცრის შეყრა და არც პრეზიდენტობისას მოიშალა მოუთოკავი ბაქიობა: “ჩვენი აყვავებული და ბედნიერი სახალეთი ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა მსოფლიოში! ცხოვრების დონითა და განვითარების სისწრაფით სამაგალითონი ვართ არა მხოლოდ ჩვენს რეგიონში! ჩვენი ავის მსურველები შურითა და ბოღმით სკდებიან!”.

გამოვტყდები: იცით რა მომწონს ჩემს გმირში? მას შტაბურობა! თუ ტყუილს დააბრახებს, უბრალოს კი არა – ტყუილთა ტყუილს! ამ მრივ გამორჩეულად ნიჭიერია! იმასაც აღვნიშნავ, რაც არ ეხერხება – ჰუმორი! ვითომ ხუმრობა უყვარს, მაგრამ იმდენად თავისებური, უფრო ზუსტად – უხეში, რომ მას უფრო სხვათა აბუჩად აგდებად მივიჩნევ, ვიდრე ხუმრობად... რას იზამ, არა შეჯდა მწყერი ხესა... ყველაზე სატირალი და, იმავდროულად, სასაცილოც ისაა, რომ თვითონ ვერ ხვდება, ვერ გრძნობს – როგორი სასაცილოა!

უხეშია! მისთვის ადამიანის დაცინვა და შეურაცხყოფა ისევე ჩვეულებრივია, როგორც მზისთვის ამოსვლა და ჩასვლა!.. (ეს რა დაგწერე, კაცო, ბოდიშს გუხდი მზეს – კალამი გამექცა!).

მშიშარაა! შექმნა საგანგებო მსტოვართა ინსტიტუტი, რომელიც უშუალოდ მას ემორჩილება: რამდენიმე დამოუკიდებელი ჯგუფი – ურთიერთკონტროლის, საერთო ინფორმაციის მაქსიმალური მოპოვებისა და ქვეყანაში მდგომარეობის სურათის სისრულისთვის. მთელი მოსახლეობა, დაწყებული 12 წლის ასაკიდან, აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი და მათზე საიდუმლო დოსიე არის შედგენილი, რომელიც სისტემატურად შეივსება სატელეფონო საუბრების, დასმენის, თვალთვალის და სხვა მონაცემების საფუძველზე – ანტიერესებთ ყველაფერი: შეხედულებები, ცუდი და კეთილი ჩვევები, ფსიქოლოგიური პორტრეტი და ასე შემდეგ.

არც კრიტიკისა თუ საწინააღმდეგო აზრის მიუღებლობა არის მისთვის უცხო, შეუმწყნარებლობის მონაა – წვრილმან საკითებშიც კი: “მე და შეცდომა? ეს შეუთავსებელი ცნებებია!”. ბატონ პრეზიდენტს უბრალო სიტყვები: “შეცდომა” ან “ბოდიში” არასდროს წარმოუთქვამს... ეჭვი მაქვს, რომ ამ სიტყვების არსებობა მან არ იცის, ისინი არასდროს გაუგონია...

სასტიკია! ვისაც მისი ბატონობისთვის ოდნავ მაინც საშიშროების მომტანად მიიჩნევს – ვაი მისი ბრალი!.. სასამართლო, პროკურატურა, ძალადგანი სტრუქტურები მისი ნების უსიტყვო შემსრულებლად გადაიქცნენ და გაუჭირდება თუ რა, – ურჩს ცრუ ბრალდებით ციხეში ამოაღობს, ქონებას ძალად წაართმევს, ახლობლებს დაუწიოკებს... განსაკუთრებით აქტიურ და მისი ძალაუფლებისთვის საშიშ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს ურჩევნია, ჩუმად გაუსწორდეს; ამისთვის საგანგებოდ შექმნა კიდევ ერთი უწყება – “წესიერებისა და კანონიერების განუხრელად დაცვის სამსახური”...

ცნობილია, უზომოდ მხდალნი ხომ ხშირად უზომოდ სასტიკნიც არიან...

ცინიკოსია! უსირცხვილოდ დასცინის მათ, ვისაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს ან მის სხვა რაიმე ინტერესებს შეეხება – “ქვეყნისა და ხალხის მტრებს” სულ ლანძღვა-გინებით ამკობს... არც ცილისწამებას, დაშინებას, სამსახურიდან გაგდებას, ცემა-ტყეპას და სხვა ხერხებს თაკილობს, თან ხშირ-ხშირად ამუშავებს “შადრევანს” – ასე უწოდებს სახალელებმა მის პირს: ეხერხება ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკი, დემაგოგიური დაპირებების უხვად დარიგება, ყველაფრის ისე წარმოჩენა, თითქოს ყველგან სრული კმაყოფილება სუფევდეს, ქვეყანა არნახულ ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდეს, სოფლის მეურნეობა – გაუგონარ აყვავებას... მისი პირი – “მოქარგული შადრევანი” – ყველას დასაცინი გახდა.

ტაშვანდურაა! ტყუილად კი არ დაარქვა ხალხმა ეს სახელი: არ გამოაკლდება არცერთ გართობას – კონცერტს, დღეობას, ფესტივალს, და ა. შ., თან აუცილებლად უნდა სცენაზე ან ტრი-

ბუნაზე ავიდეს – სიტყვით მიმართოს დამსწრე საზოგადოებას... “მე პრეზიდენტი კი ვარ, მაგრამ თქვენგან არჩეული და თქვენნაირი, ჩვეულებრივი ხალხის ნაწილი, უბრალო, რიგითი ამომრჩეველის ტოლი!”

საოცრად უყვარს “თეატრი” ანუ რაღაც როლის თამაში – ნიღბების მორგებას ახლაც ვერაფრით შეეღობა! ტაშფანდურა ხშირად დგამს პატარა თეატრალურ წარმოდგენებს მისი “დემოკრატიულობისა” და “ხალხთან სიახლოვის” წარმოსაჩენად: ესტუმრება საბავშვო სახლს ან მოხუცთა თავშესაფარს, დაარიგებს წვრილმან საჩუქრებს და სულ იღიმის და ოხუნჯობს, ყველას ეფერება, თბილ სიტყვებს არ იშურებს... ტელეკამერების წინ ხან ვიღაც გაჭირვებულს შინ კედლის შეღებვაში დაეხმარა, ხან – მარტოხელა მოხუც ქალს დაზიანებული ონკანი საკუთარი ხელით შეუცვალა... განსაკუთრებით უყვარს უპოვართათვის განკუთვნილ უფასო საქველმოქმედო სადილებზე დასწრება; მათხოვარ-მაწანალებთან და ღატაკ უპატრონო მოხუცებთან გულთბილი საუბრის შემდეგ მათთან ერთად მიუჯდება სუფრას და მაღიანად მიირთმევს, თითქოს ერთი კვირის ნაშიშშილევი იყოს... გარშემო კი დგანან ახმახი პირადი დაცვის წარმომადგენლები და ირგვლივ დაძაბული აკვირდებიან ყველას და ყელაფერს, რათა უმცირესი საშიშროებაც კი არ გამოეპაროთ... შემდგომ ბატონ პრეზიდენტის ეს გულის ამარწყებელი “საქმენი საგმირონია” ფართოდ შუქდება აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრესისა და რადიო-ტელევიზიის მეშვეობით. ბატონ პრეზიდენტს ჰყავს საგანგებო ჯგუფი, რომელიც უგეგმავს ამგვარი ღონისძიებების ჩატარების დროსა და ადგილს და განსაზღვრავს უმცირეს დეტალებსაც: ვის უნდა აკოცოს, ვის უბრალოდ მეგობრულად ჩამოართვას ხელი ან გამოჰკითხოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ...

გაუნათლებელია! მსახიობივით ვერ ძღვება, თუ ხშირ-ხშირად არ წარსდგა წინდაწინ საგულდაგულოდ შერჩეულ ტაშის დამკვრელთა წინაშე მორიგე ბრწყინვალე საჯარო გამოსვლით; ამ დროს ისეთ სისულელეები წამოცდება ხოლმე (ცრუ, არასწორი ცნობები “ისტორიული” ამბების შესახებ – ურევს თარიღებს, ერთის ქმედებას მეორეს მიაწერს და ა. შ.), რომ კარგა ხანს აცინებს ხალხს.

ექსტრავაგანტური გამოსვლებითაა ცნობილი: ერთ-ერთ დიპლომატიურ წვეულებაზე სუფრაზე ახტა და იცეკვა, თან ერთ მშვენიერ ქალბატონს დაჟინებით მოუწოდებდა, მისთვის მხარი აეხად და თან თუ ტანისამოსის ნელ-ნელა გახდას დაიწყებდა, ხომ მთლად უკეთესი! საბალეტო წარმოდგენაზე იმდენად მოიხიბლა პრიმა-ბალერინას ოსტატობით, რომ სცენაზე აიჭრა, ქალბატონი ხელში აიტაცა და ასე რამდენჯერმე დატრიალდა! რა თქმა უნდა, მაყურებელთა ყიჟინა და მქუხარე ტაშიც მოიკა!.. ორგია მოაწყო ქალებთან ერთად აბანოში! სხვათა შორის, იქ ფეხი დაუსხლტა, წაიქცა და ქვის იატაკს თავი დაანარცხა – აქ კი ბატონ ტაშფანდურას ტაში არაგინ დაუკრა... ორი კვირა საზოგადოებამ მოისვენა მისი ყოველდღიური ჯირითისგან ტელეეკრანებზე, ერთი შადრევნის და ერთი კარუსელის გახსნაც გადაიდო...

უყვარს უშნო ხუმრობები, მაგალითად, მინისტრისთვის უცვებ კვანტის დადება და წაქცევა; ამ დროს დიდი ბავშვივით იცინის, გულწრფელად ერთობა! მაგრამ, აბა სხვამ სცადოს და მსგავსად გაეხუმროს!

ცერცეტაა! ხუთ წუთს ვერ მიაპყრობს ყურადღებას ვერაფერს – არ შეუძლია ერთი დაწყებულ საქმის გულდაგულ დამთავრება...

მუშაობა (ნამდვილი, ნაღდი!) ჭირივით ეჯავრება, უკეთ თუ ვიტყვით, არ ეხერხება! იმიტომ, რომ არ იცის ნაღდი საქმის კეთება! არც უნდა, იცოდეს! მთავარია, რომ ის “ყოვლისმცოდნეა”!

მოუსვენარი! ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდება, სულ აქეთ-იქით დაბრძანდება საპრეზიდენტო თვითმფრინავითა თუ ვერტმფრენით; ყველგან სიტყვით უნდა გამოვიდეს, ვიღაც გამოჩენილ ადამიანს შეხვდეს (განსაკუთრებით საზღვარგარეთიდან გასტროლებზე ჩამოსული ტურფა მომღერალი ქალების მიმართ ვერ არის გულგრილი), ვიღაცის ან რაღაცის იუბილეს დაესწროს, ახალი მაღაზია, სამორინე, უსახლკართო თავშესაფარი, ღარიბ-ღატაკათვის განკუთვნილი უფასო სასადილო ან სხვა რამ გახსნას, შემდეგ კი ამ მოვლენის აღსანიშნავად გამართულ სუფრაზე უზომოდ ბევრი ჭამოს, ჭამოს, ჭამოს და სვას კიდევაც...

მისი სიმჩატე – ეს არის ქვეყნის ტრაგედია!

ამბობენ (ვფიქრობ, სრულიად უსაფუძვლოდ), სახელმწიფო მოღვაწეობასა და პირად საქმეებში წარმატებას ბატონი ტაშფანდურა უნდა უმადლოდეს იმას, რომ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს პირად მრჩეველთან და, იმავდროულად, პირად ასტროლოგთან, მუჟუჟა ბუჟბუჟაძესთან, წინასწარი კონსულტაციის შემდეგ. მრჩეველები და ჭკუის დამრიგებლები რად სჭირდება? ეს პოსტი მხოლოდ კიდევ ერთი “ნიღაბია”, რომ მასაც, ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, ვითომ ვიღაცის შეხედულება ინტერესებს, ვითომ შეუძლია, სხვისი აზრი გაითვალისწინოს...

ბატონი პრეზიდენტი პირადად ნიშნავს თანამდებობებზე ყველა სახელმწიფო მოხელეს – ის ხომ ხალხის მიერ არჩეული სახელმწიფოს მეთაურია, ხალხი მას ენდობა და მასზე უკეთ ვინ იტვირთავს და გაუძღვება ამ საქმეს! მაგრამ... მისი ბრწყინვალეობა ბატონი პრეზიდენტი უფრო შორსაც მიდის და მისი ნება-სურვილით ნიშნავენ – ვითომ ირჩევენ! – ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია-დაწესებულების ხელმძღვანელებს: მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-

დენტს, უნივერსიტეტთა რექტორებს, გემრიელი ჭამა-ყლაპვის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარესა და ფეხბურთის ფედერაციის ან ბილიარდის მოყვარულთა საზოგადოების თუ საჩოგბურთო ასოციაციის პრეზიდენტებსაც კი... მსხვილმან-წვრილმანი სახელმწიფოში არ არსებობს, ყველაფერი კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, აბა რავა!..

რასაც ადრე გააფთრებით ებრძოდა, ახლა თვით აკეთებდა იგივეს, ოღონდ უფრო “დახვეწილად” და, რასაკვირველია, მისი ახლანდელი “თანაგუნდელებიც” ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ... რაც კი “ახალ ბობოლებს” მოეწონებოდათ – აიძულებდნენ მფლობელს “ნებაყოფლობით” “ეჩუქნა” სახელმწიფოსთვის, შემდგომ კი თვითონ იძენდნენ ჩალის ფასად. მოხდა მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა და საშუალებათა თითქმის მთლიანად მმართველი პარტიის კონტროლისადმი დამორჩილება, ამ პარტიის “მხოლოდ ხალხის ინტერესებისთვის!” თავმჯდომარე კი, უფრო სწორედ, სრული ბატონ-პატრონი, ბატონი პრეზიდენტი გახლდათ; მისივე იყო “ჯიბის” პროფკავშირები, და, რაღა თქმა უნდა, მთელი ძალოვანი სტრუქტურები მისი ნების უსიტყვო ამსრულებლები იყვნენ, ისევე, როგორც პროკურატურა და სასამართლო... საყოველთაო ძალადობას და მოქალაქეთა უფლებების აბუჩად აგდებას ცხოვრების ყველა სფეროში ემატებოდა ტოტალური თვალთვალი, სატელეფონო საუბრების მოსმენა...

სახელმწიფოს წარმატებული მართვის ტაშფანდურასეული მარტივი ფილოსოფია ასეთი გახლავთ: “რასაც აკონტროლებ, საშიში არ არის, რასაც ვერ აკონტროლებ – საშიშია!”.

ამიტომ ყველა დარგი, ყველა სფერო უნდა გემორჩილებოდეს – აქ მსხვილმანი და წვრილმანი რ არსებობს!

ქვეყანაში საყოველთაო წესრიგის დამყარებაში შთამბეჭდავი წარმატებები მოიპოვა, რაზეც დღედაღამ დაულაღაგად გაჰკვირდნენ ბედნიერი და აყვავებული საჩაღეთის რადიო-ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები.

ბატონი პრეზიდენტი კორუფციას გულდაგულ შეებრძოდა და დიასაც დაამარცხა – ფული მხოლოდ მისი და, ნაწილობრივ, მთავრობის წევრთა ჯიბეებისკენ უნდა მიედინებოდეს! გაიფურჩქნა “ელიტური” მექრთამეობა...

საჩაღეთში მსხვილი ქურდობა მოსპო – დიდ-დიდი, სახელგანთქმული ქურდები ერთიანად დაიჭირა და ციხეებში დაამწყვდია – “ჩვენ კონკურენტებს ვერ მოვითმენთ!”, აბა რავა!..

დიახ, ფულს ნამდვილად ბლომად შოულობს, მაგრამ საიდან და როგორ? – დაინტერესდება ცნობისმოყვარე მკითხველი.

მისი დასაყრდენია ერთ მუჭად შეკრული პრივილიგირებული, ყოველმხრივ დიდად გაგლენიანი ჯგუფი, რომელსაც ეძლევა ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი – ძალაუფლებაც და მატერიალური ღირებულებებიც, დანარჩენებს – რაღაც ნაფხვენები სანადიმო სუფრიდან ძლიერთა ამა ქვეყნისა...

ყველამ იცის, რომ მისი ნათესავები და უახლოესი გარემოცვა საოცრად წარმატებული საქმოსნები გამოდგნენ და უჩუმრად მსხვილ-მსხვილი წილები ეკუთვნით ყველაზე მომგებიან “ბიზნესში”: საწვავის იმპორტი და ბენზინგასამართი სადგურები, სასურსათო საქონლის იმპორტი და ჯართის ექსპორტი, ბაზრობები, სატრანსპორტო ფირმები და, განსაკუთრებით, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა, – ყველაფერი მათი გახლავს, დიდად ზრუნავენ ქვეყნის წინსვლასა და ხალხის კეთილდღეობაზე, აბა რავა!.. ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა წყალსაც წაუღია – მათგან მოკლე ხანში დიდ ხეირს ვერ ნახავ...

იმდენი ჭკუა კი აღმოაჩნდა, რომ მიხვდა: ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ველოსიპედის ხელახალი აღმოჩენა არ იყო საჭირო – დიდი რუდუნებით შეისწავლა ყველა გამოჩენილი დიქტატორის ცხოვრება, მათი მეთოდები სახელმწიფოს მართვისა, მოყოლებული ძველი რომიდან (თუმცა კითხვა დიდად არასდროს უყვარდა)...

რა თქმა უნდა, სიტყვა “დემოკრატია” ძალიან მოსწონს, წამდაუწუმ ხმარობს კიდევ საჯარო გამოსვლების დროს; რასაკვირველია, ის დემოკრატიის მომხრეა, მაგრამ... დემოკრატია მართვა სჭირდება, აბა რავა!..

ხელმძღვანელობის ნირი: დი-ი-იდი რეფორმები! გადამწყვეტი რეფორმები ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროსა და ყველა დარგში, თან საშინელი ხმაურით – ზარ-ზეიმით და ტაშ-ფანდურით!

როცა არისტოტელე ბუქნაძე ტახტზე დაჯდა, ყველაფრის კარდინალური შეცვლა დაიწყო; უპირველესად ქვეყანას გადაარქვა სახელი – “ჩემი ზეობით იწყება საჩაღეთის ისტორია! ბოდიში – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ისტორია! აბა რავა!..”.

ყველაფერი – ახალი (აღარას ვამბობ ახალ საყვარლებზე და ახალ ძაღლებზე):

ქვეყნის ახალი ჰიმნი!

ქვეყნის ახალი დროშა!

და, რასაკვირველია, როგორც საყოველთაო განახლების სიმბოლო – ახალი, დიდებული საპრეზიდენტო სასახლე!.. ჯან!..

ადრეც აღვნიშნე: სახელმწიფოსაც კი გამოუცვალა სახელი – ამქვეყნად არაფერი გაუჭირდებოდა! – და საჩაღეთს დაარქვა... როგორ მოეწონთ? – “აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთი!” აბა რავა!..

დრომოჭმულ, ძველ ძეგლებს დედა ვუტიროთ! ძველ ხალხსაც! აღვმართოთ ახალი დროების შესაფერისი ახალი ძეგლები!

ღიახ, ტაშფანდურა დიდი რეფორმატორია და ბევრი რამ სხვაც უნდა საფუძვლიანად შეიცვალოს: დამყაყბული მართვის სისტემა, მოძველებული განათლების სისტემა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის არქაული სტრუქტურები, ვეექტს მოკლებული უშიშროება, ჩამორჩენილი თავდაცვა და ა. შ. – ყველა და ყველაფერი თანამედროვე მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს!..

იქნებ ეს წვრილმანადაც ჩამითვლო, მაგრამ მაინც მოგახსენებ და ტაშფანდურას მსახიობური ნიჭის ნიშანია თუ ტოტალური ცვლილებების მოთხოვნილებისა, თვით გადაწყვიტე, ჩემო მკითხველო! რასაკვირველია, ისეთი დღე იშვიათად გამოერევა, რომ ბატონი პრეზიდენტი ტელევიზიის რომელიმე არხზე არ გამოჩნდეს, – თვითკმაყოფილი მდიმარი მაძღარი მოძღვარი, – და ყოველთვის მშვენიერ კოსტიუმშია გამოწყობილი, ყოველ ჯერზე – განსხვავებულში! ამ გარემოებამ ერთგვარი დაინტერესება გამოიწვია დაკვირვებულ ადამიანებში და კამათიც კი გაჩაღდა: რამდენი კოსტიუმი აქვს ბატონ პრეზიდენტს? საიდუმლოდ გატყვით – 99! და ამდენივე – ჰალსტუხი, ყოველი კოსტიუმის შესაფერისი! აბა რავა!

როგორია ბატონ პრეზიდენტის მიერ გაჩაღებული ამ წარმოუდგენელი განახლება-გარდაქმნითი მოღვაწეობის, უფრო კი – პომპეზური ხმურ-აურხაურის შედეგები?

ხალხის ყოველდღიური გამოთაყვანება: გაუთავებელი, ერთმანეთს გადაბმული ვითომ-დღესასწაულები, შადრევნების, კარუსელების, რესტორნების, სასტუმროების, საჭიდაო მოედნების გახსნა! გაიხარე – გამახარე, ჯან!..

საერთოდ, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი გაურბის ყოველგვარ უსიამოვნებას, თუკი რაიმე ამგვარი თავის ასატკივარი საქმე გამოჩნდა, წინდახედულად აგზავნის სხვას... მხოლოდ სიამოვნებისთვის იცლის და ყველაზე უფრო ახალი შადრევნის გახსნა ახარებს! აგრეთვე – ახალი კარუსელის! და რასაკვირველია, ახალი საყვარლის გაჩენა!

ვირეშმაკა ტაშფანდურა თვითონ ცუდ ამბებს არასდროს ამცნობს ხალხს, ამისთვის ჰყავს “მასხარა” – ერთ-ერთი “კონსტრუქციული ოპოზიციური” პარტიის, “ყველა ჩვენთან”, თავმჯდომარე ხუტა ხვანხვალაძე – სამაგალითო მამულიშვილი და სანაქებო საზოგადოებრივი მოღვაწე!

არის მეორე ოპოზიციური პარტიაც, – “კონსტიტუციის დაცვის კავშირი”, – ასევე, ტაშფანდურას ფარული მოკავშირე, – სულ მუდამ გადაძალაშებულად ლანძღავს ფაშფანდურას; მისი მყვირალა ლიდერი ჭიჭიკო ჭუიჭუკაშვილი სრულიად წრეგადასულ, ფანტაზიურ ცოდვებს მიაწერს პრეზიდენტს და მის მთავრობას. ამ პარტიის ლიდერების “მოღვაწეობას” ორი მთავარი მიზანი აქვს: 1) უზომო და ზღვარგადასული გინება არისტოკრატულ ბუქნაძის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობისა ხშირად იმდენად უსამართლოა, რომ უნებურად ტაშფანდურას მიმართ ხალხის კეთილგანწყობის ატმოსფეროს ქმნის; 2) ტაშფანდურას ყველა ნამდვილ ოპოზიციონერს ცუდ სახელს უქმნის – ვინც ამ “ოპოზიციურ” პარტიას ხელისუფლების კრიტიკაში მხარს არ დაუჭერს, ესე იგი, ტაშფანდურას ფარული მოკავშირეა, მტრის ბანაკშია! ტაშფანდურა გამეცადინებულა, რომ სერიოზული მოწინააღმდეგე არ ჰყავდეს და ამ ცრუპენტელა, მყვირალა ვაი-ოპოზიციონერების “მოღვაწეობა” ფრიად სასარგებლოა მისი რეჟიმისთვის. ეს “ხუმარები”, ამასთანავე, ხშირად არიან ტაშფანდურას დამხმარენი – ჯერ მათი პირით ავლენს თავის ზრახვებს და აკვირდება, როგორი გამომხაურება-გამოძახილი ექნება საზოგადოებრიობაში, როგორი განწყობა შეიქმნება. მოსყიდული ცრუ-ოპოზიცია ტაშფანდურას ოფიციალურ პარტიას ვითომ კონკურენციას უწევს, – თუკი ის უფრო მოხერხებული და ერთგული იქნება ტაშფანდურასი, მაშინ მას დაეყრდნობა!

ტაშფანდურა, ჭეშმარიტ ოპოზიციაში მდგომ ძალებს, “ქვეყნის მოღალატეებს”, სულ ლანძღავს და გინებით ამკობს, დაკნინებით “მოღალატეებს” უწოდებს... მათ ათასგვარი ხრიკით ავიწროებს. “ხალხი – ძალადობის წინააღმდეგ” პარტიის ლიდერი რატი რწყილაძე უნდა დაეჭირათ ვითომ “მექრთამეობის” ბრალდებით, მერე კი ციხეში ცნობილი თუ უცნობი ხერხებით “გაქრობასაც” უპირებდნენ; ასევე სურდათ, გასწორებოდნენ ეკა ეკალბუჩქაძესაც, ლიდერს პარტიისა “ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ” – მას ხალხის დაწიოკების მინისტრის ალიკო ალიყურაშვილის მიმართ შანტაჟი და დაშინების მცდელობა დაბრალდა!

რა თქმა უნდა, საჩაღეთის ყურნალ-გაზეთები და რადიო და ტელეკომპანიები, მცირე გამოწკილისის გარდა, ან ტაშფანდურას “გუნდის” წევრთა მფლობელობაშია ან მოსყიდულია, ან – დაშინებული. დარჩენილ ურჩებს ბატონი პრეზიდენტი ცდილობს, ყოველნაირად მოუგრიხოს კისერი და დაიმორჩილოს ან სულაც მოსპოს – თუ დიდძალი ფულის ან სარფიანი თანამდებობის შეთავაზებით არაფერი გაუვა, მაშინ – დაშინებით, სასამართლო დევნით; არც ფიზიკური ანგარიშსწორებას თაკილობს საიდუმლო სამსახურის გამოყენებით...

ტაშფანდურა თვითონ ხომ ძალიან ენერგიულია, მარად მოძრავი და დაუდევარი, მაგრამ ერთ ცვლილებას კი ვერაფრით შეეგუება – მისი მდგომარეობა არ უნდა შეირყეს, მყარად იყოს მარადი პრეზიდენტი! ამიტომ საბავშვო კარუსელების მშენებლობის გარდა, სხვა ყაიდის “კარუსელიც” იზიდავს – თანამდებობებს სულ უცვლის მინისტრებს, რომ შეთქმულების მსგავსი რამ არ ჩაიფიქრონ და, ღმერთმა გვაშოროს, გადატრიალების მსგავსი არ წამოიწყონ!

მისი პირადი დავალებით, ყველა ასე თუ ისე ცნობილ პიროვნებაზე დაწვრილებით დოსიეებს აგროვებენ – ხომ უნდა იცოდეს, ვინ არის მისი მტერ-მოყვარე!

ყოველ სამ თვეში ერთხელ, და ზოგჯერ უფრო ხშირადაც, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, მისი უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს საჯარო გამოსვლისას “გულწრფელად” უკვირს:

– ვერ წარმოიდგენთ, როგორი აღშფოთებული ვარ ჩვენს ქვეყანაში გამეფებული უმსგავსეობით! ეს რა, ბოდიში მომითხოვია და, ნაგავი მთავრობა გვეყოლია! კორუფცია ჰყვავის! უმუშევრობა მატულობს! გამეფებულია სისასტიკე და ძალადობა! ჩვენი ძალოსანი უწყებები ყოველგვარი სასამართლოს დადგენილების გარეშე მოქალაქეებს დღისით-მზისით ართმევენ მათი პატიოსანი შრომით მოპოვებულ ქონებას, ასახლებენ საცხოვრებელი სახლებიდან! მე მივიღე გადაწყვეტილება, სასწრაფოდ შეიცვალოს უნიათო პრემიერ-მინისტრი ლაშა ლაქაშიძე და დღეიდან მთავრობას უხელმძღვანელებს ლოქო ლაქაშიშვილი – ენერგიული, საქმის მცოდნე და ხალხის კეთილდღეობისთვის თავგადასხვადი, ერთგული და დაუღალავი მებრძოლი!.. ძირში უნდა მოვკვეთოთ საშინელი თათები ბრჭყალებიან საშიშ მხეცს – საყოველთაო კორუფციას და გვამეფოთ სამართლიანობა და თავისუფლება!

სამთავრობო “კარუსელს” მორიგი დატრიალების შედეგად რომელი მინისტრი რომელ სამინისტროს გაუძღვება, მხოლოდ ღმერთმა და ტაშფანდურამ უწყვიან! ალბათ, როგორც ლოტოს კოჭებს ამოიღებენ ტოპრაკიდან ალაღბედზე, ასე ალაღბედზე ინიშნება მავანი მინისტრიც! და ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ამ მინისტრთაგან ერთი ყოფილი მეხაშვა (ერთხელ დილით შემთხვევით გაიცნო სახაშეში და დიდად მოიხიბლა მისი ნახელავით – ერთ კვირაში ის სამხედრო მინისტრად დანიშნა!), მეორე – ყოფილი მემწვანელი (განათლებისა და სპორტის მინისტრად მოველინა ქვეყანას), მესამე – ყოფილი მესაფლავე (ისედაც სულს დაფავდა და ახლა სულ მოსპო კულტურის სამინისტრო)... სამხედრო მინისტრი გენერალურ პროკურორად დანიშნა, გენერალური პროკურორი საშიშროების მინისტრად გადაყვანა, საშიშროების მინისტრი განათლებისა და სპორტის მინისტრი გახდა... თუ ახალ მოვალეობას თავს ვერ გაართმევენ, არა უშავს, დიდი ცოდვა არაა – სამ-ოთხ თვეში ყველა მათგანი ახალ, სულ სხვა სამინისტროს ჩაიბარებს!

საჩაღეთი ორ უთანასწორო ნაწილად არის გაყოფილი – დიდ კაცებად (უმცირესობა) და პატარა კაცუნებად (უმრავლესობა). დიდი კაცები მაღალ პოსტებს ფლობენ, მაღალი სკამებიდან დასცქერიან დაბალ ბრბოს. პატარა კაცუნები რაღაცას ჩაღიწობენ თავთავიანთვის, თავჩაქინდრულნი; რასაც დიდები უბრძანებენ, უდრტივინველად ასრულებენ ყოველივეს. თუ ნორმალური იერი აქვს რომელიმე მათგანს, საეჭვოა – ან ჭკუასუსტია, ან ქვის გულის პატრონი...

ერთსაც შეგნიშნავ: ტაშფანდურას მსახიობური ნიჭის ნიშანია თუ ცვლილებების მოთხოვნისა, თვით გადაწყვიტე, ჩემო მკითხველო, და მე კიდევ ერთ ფაქტს მოგახსენებ. რასაკვირველია, ისეთი დღე იშვიათად გამოერევა, რომ ბატონი პრეზიდენტი ტელევიზიის რომელიმე არხზე არ გამოჩნდეს, და ყოველთვის მშვენიერ კოსტიუმშია გამოწყობილი, ყოველ ჯერზე – განსხვავებულში. ამ გარემოებამ ერთგვარი დაინტერესება გამოიწვია დაკვირვებულ ადამიანებში და კამათიც კი გაჩაღდა: რამდენი კოსტიუმი აქვს ბატონ პრეზიდენტს? საიდუმლოდ გატყვით – 99! და ამდენივე – ჰალსტუხი, ყოველი კოსტიუმის შესაფერისი!

ერთხელაც “დიდებმა”, რა თქმა უნდა, ტაშფანდურას დასტურით, “პატარები” გააბედნიერეს: ხომ ამდენი სიკეთე გიყავითო, ახლა გარდაცვლილ მამულიშვილთა ხსოვნის დღეც დაგაარსოთ, წასულთა ხსოვნას პატივი მივაგოთო.

...აპრილის კვირა დღეა, “ხსოვნის დღე”. “დიდებში” მთლად “დიდებმა” გადაწყვიტეს, “პატარა” მოქალაქეთათვის პირადი მაგალითი მიეცათ და მოენახულეზინათ ერთ-ერთი წმიდა ადგილი – საჩაღეთის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

ზღვა ხალხი ირევა პანთეონის შესასვლელთან.

მოვარდა პოლიცია.

გზები შეკრეს, შეწყდა მანქანების და ხალხის მოძრაობა.

გვერდით მდგარი ეკლესიიდან იქ ადრე შესული ხალხი ვეღარ გამოაძევეს და ტერიტორია ვერ გაათავისუფლეს, მაგრამ ბრძნული გადაწყვეტილებით სხვა გზით უზრუნველყვეს სულ მთლად “დიდთა” საზეიმო ვიზიტის უშიშროება – კარი ჩაკეტეს და ხალხი არ გამოუშვეს ეკლესიიდან.

ერთნახევარ საათს გასტანა სულ მთლად “დიდთა” მობრძანების მოლოდინმა. ბოლოს, გამოჩნდა შაგ-შაგი, დიდზე დიდი მანქანების გრძელი მწკრივი; პანთეონთან იქიდან გადმობრძანდნენ ქვეყნის დიდზე დიდი მზრუნველნი, რა თქმა უნდა, ბატონ ტაშფანდურას წინამძღოლობით, და ინებეს საკუთარი ფეხით შებრძანება პანთეონში. იქ თითო-ოროლა წითელი მიხაკი დადეს მამულიშვილთა ძვირფას საფლავეზე და, ვალმოხდილნი, კმაყოფილი დიმილით დამშვენებულნი, დაბრუნდნენ შაგ-შაგ, დიდ-დიდ მანქანებში და დაცვის ესკორტის თანხლებით ბლუილ-ბლუილითა და სირენების კივილით გაემგზავრნენ ქალაქგარეთ ძვირფას რესტორანში წინასწარ დაკვეთილ უმშვენიერეს და უმდიდრეს სუფრაზე საქეიფოდ (არც აყვავებულისა და ბედნიერი საჩაღეთის ყველაზე ცნობილი მომღერალი ქალების წაყვანა დავიწყებიათ – კუჭის გარდა, ყურსა და თვალსაც სჭირდება დატკობა, აბა რავა!).

პოლიციამ ცოტა კიდევ მოიცადა და მხოლოდ შემდეგ გამოუშვა ეკლესიაში დამწყვდეული ხალხი.

ვინც ამ საზეიმო ამბავს ვერ დაესწრო, შეეძლო, ბედნიერება ჰქონოდა და დამტკბარიყო ბედნიერი ღიმილით დამშვენებული, კმაყოფილი ტაშფანდურას მეთაურობით პანთეონში “დიდ-დიდ-თა” საზეიმო მიბრძანების და სახელოვან წინაპართა წინაშე ვალის მოხდის ფერადოვანი გადმოცემით პირდაპირ ეთერში ტელევიზიის ყველა არხით; იმავე საღამოს გადაცემის ჩანაწერი გაუშვეს მათთვის, ვინც ეკლესიაში დამწყვდევის გამო ვერ დატკბა სასახელო მამულიშვილთა ხსოვნისადმი “დიდ-დიდთა” მხრივ სანაქებო პატივის მიგებით...

მოხარული ვარ, აგრეთვე, მკითხველს ვაცნობო, რომ ტაშფანდურამ იმ საღამოს სანაქებოდ მოილხინა, საკმაოდ გვიან დიდად კმაყოფილი დაბრუნდა პრეზიდენტის რეზიდენციაში! თუმცა შემდეგ მშვენიერ გუნებაზე ყოფნამ დიდხანს არ გასტანა და საკმაოდ უქეიფოდ შეიქნა – ეტყობა, ჭამა-სმა ცოტა ზედმეტი მოუვიდა – და პირადმა ექიმმა ვოლფგანგ შულცემ სასწრაფოდ გამოურეცხა კუჭი...

ტაშფანდურა სულ სასიამოვნო რამეებზე ფიქრობს, თითქმის ყოველთვის მშვენიერ გუნებაზე ბრძანდება; უყვარს ღილინი და ხშირად თავისთვის წაიმღერებს მის მიერვე შექმნილ საოცარი მხატვრული ძალის ლექსს (თან ცხვირში მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით იჩიჩქნება, ნეტავ რა დაჰკარგვია, რას ეძებს იქ?):

“ფული ჩეჩქივით მაქვს, აბა რავა!

ჩემთვის საჭირო კაცუნებს

ყვიღულობ და გულისჯიბეში ვისვამ, აბა რავა!

თუ რომელიმეს მოქმედება არ მომეწონება,

წკიპურტს გაგკრავ კინკრისოში: “ციც!

აბა ერთი, უჩემოდ ხმა ამოგიღია!”

ყველაფერში მაგარი ვარ, აბა რავა!

ეს “დიდები”, ტაშფანდურას “გუნდის” წევრები, უფრო პატარა კაცუნებს ჰგვანან და უპრიანია, მათ ხელზე მოსამსახურეთა შესაფერი ერთიანი ფორმა ჩააცვა – მოსირმული ლივრეა. არა, იქნებ ჯობს, ტაშფანდურას სამთავრობო პარტიის “მხოლოდ ხალხის ინტერესებისთვის” ყველა გამორჩეულ თუ რიგით წევრს აუცილებლად ჭრელი, ზოლებიანი, ტანსაცმელი ეცვას – ისეთი ჭრელი ხალხია იქ თავმოყრილი! ამ პარტიის ყველა გამორჩეული ლიდერი დასაჯერია და პარტიმრის უნიფორმა ნაღდად მოუხდებათ!

რაც შეხება აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, მის უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს, მან საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ გაგიჟებულია ძოწისფერზე! და, რასაკვირველია, მის სამოსში გაბატონებულია კაშკაშა წითელი – თურმე ეს ფერი უუმაღლეს სახელისუფლებო, სამხედრო თუ საეკლესიო მეუფეთ შეჰფერის: იმპერატორებს, გენერლებს, კარდინალებს... ალბათ ვიღაცისგან გაიგონა: კითხვა – გინდა წიგნებისა, გინდა ყურნალ-გაზეთებისა – დიდად არ უყვარს (ამის შესახებ თვითონ გულახდილად არაერთხელ განაცხადა) და ვეჭვობ, სადმე წაეკითხა.

ტაშფანდურამ გენიოსური ალღო თავიდანვე გამოამჟღავნა: როგორც წინასაარჩევნო დაპირებებში განაცხადა, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, რომლებიც მოსახლეობის (და ამომრჩევლების!) უმრავლესობას შეადგენენ, ფართოდ გაუხსნიდა გზას მაღალი თანამდებობისკენ; და მართლაც სიტყვის კაცი გამოდგა – ყველა წამყვან სამინისტროს მინისტრ-ვაზირად ქალი დაუნიშნა! ყველა – მშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონი! შესახედავად ხომ საამონი არიან და საქმესაც საამოდ გაუძღვებიან – ამირსპასალარი, სამხედრო მინისტრიც კი!

მსოფლიო პოლიტიკაში არცთუ იშვიათია მინისტრთა კაბინეტის გენერალური გადახალისება, მაგრამ ბატონ პრეზიდენტის მხრივ ეს გაბედული ნაბიჯი კი არა, ნამდვილად უჩვეულო, გმირული საქციელი გახლდათ და – ამაში სულ მალე თვით დარწმუნდებით – ნამდვილად ღირსია ამ მართალი მონათხრობის ცალკე კარში აღწერისა!

კარი IV. საჩაღეთის სილამაზის კონკურსი.

ტაშფანდურა ადგენს სრულიად ახალ,
რეფორმატორულ მინისტრთა კაბინეტს, რომელსაც,
თამამად შეიძლება ითქვას, ცეცხლი უკიდია!

ერთ მშვენიერ დილას, – ბოდიში, უფრო შუადღე ეთქმოდა, კაი თორმეტი საათი იყო შესრულებული, – ბატონმა პრეზიდენტმა მშვენიერი გუნება-განწყობილებით აღსავსემ გაიღვიძა და მშვენიერი აზრიც დაიბადა მის მშვენიერ გოგრაში: აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში მისი უმაღლესობის უზენაესი ნებითა და მფარველობით საჩქაროდ უნდა ჩატარდეს შესანიშნავი ღონისძიება – გაიმართოს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სილამაზის კონკურსი თხუთმეტიდან ოცდახუთ წლამდე ასაკის ქალიშვილებს შორის! გასაყვეყნებელი სანახაობა იქნება, აბა რავა!

მოგეხსენებათ, ბატონი პრეზიდენტი ბუნებით ფრიად ენერგიული გახლავთ – რასაც კი ხელს მოჰკიდებს, სულ ბდღვირს ადენს! არც არის გასაკვირი, რომ იმავე დღეს ჩამოაყალიბა სილამაზის კონკურსის ჩამტარებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც თავმდაბლად დათანხმდა, თვითონ გამხდარიყო...

მართლაც, სხვა ვინ იტვირთავდა ამოდენა პასუხისმგებლობას! ვინ შეძლებდა, რომ სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში სასწრაფოდ ჩატარებულიყო მთელი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ყველა კუთხეში ადგილობრივი სილამაზის კონკურსები! ამაზე უკეთეს რას იხილავენ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ბედნიერი მოქალაქენი! ჯან!

კიდევ ერთი კვირის შემდეგ ამ ადგილობრივ კონკურსებში გამარჯვებული 150 მშვენიერი ქალიშვილი ენერგიულმა და ყოველმხრივ ხელშეწყობილმა სილამაზის კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა საჩაღეთის დედაქალაქში შეკრიბა; აქ გაიმართა პირველი შესარჩევი ტურიც, – დიდი აურხაურით და სკანდალებით, – რის შედეგადაც კონკურსში შემდგომი მონაწილეობისთვის დატოვეს 20 სიტურფით განსაკუთრებით გამორჩეული ქალიშვილი...

აქ უკვე საქმის შემდგომი გაძღოლის სადავეები ორთავ ხელით უშუალოდ ჩაბლუჯა და ბოლომდე არავის დაუთმო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ ბატონმა პრეზიდენტმა, აბა რავა! მასზე უკეთ სილამაზის ყადრი ვინ იცის!

ტაშფანდურას უზენაესი ნებით, ყოველგვარი წინასწარი შერჩევის გვერდის ავლით, კონკურსის დასკვნით ეტაპზე მოულოდნელად გამოჩნდა კიდევ ერთი, ოცდამეერთე მონაწილე – თამილა თავცეცხლაძე! სილამაზეს ნამდვილად ვერ დაუწუნებდი, მაგრამ სხვა ტურფათაგან იმით გამოირჩეოდა, რომ თავზე თითქოს ცეცხლი ეკიდა – მშვენიერი ხშირი, კაშკაშა წითური თმა საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა! კოხტა და მოხდენილი თამილა სტიუარდ ქალად მუშობდა პრეზიდენტის ძმის, პლატონა ბუქნაძის ავიაკომპანიაში; ეს ავიაკომპანია სულ რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა და ამასთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაში, რასაკვირველია, ბატონი პრეზიდენტიც მონაწილეობდა და, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელი სიტყვაც წარმოთქვა, აბა რავა! სწორედ მაშინ, როცა აღისფერი ზონარის გადაჭრის დრო დადგა, ერთმა მაღალმა ქალიშვილმა არისტოტელე ბუქნაძეს აღისფერ ბალიშზე დადებული მაკრატელი მიართვა... ბატონი პრეზიდენტი მაშინვე დაინტერესდა, ვინ იყო ეს მომაჯადოებელი, აღისფერთმიანი ფერია...

როცა ერთ-ერთ ეტაპზე კონკურსანტი ქალიშვილები, საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილნი, სათითაოდ წარსდგნენ ჟიურის წინაშე და თამილა თავცეცხლაძე თეძოების მომხიბლავი რხევით სცენაზე მიმოდიოდა, ჟიურის თავმჯდომარემ წამოიძახა:

– მშვენიერია, მშვენიერია! ყველაფერი ძალიან უხდება! თამილამ ცურვა თუ იცის?

– ბატონო პრეზიდენტო, მხოლოდ ეგ ერთი ხარვეზი აქვს და ახლა უნდა ისწავლოს! – მოახსენეს ტაშფანდურას.

– ვატყობ, ყველაფერში ძალიან ნიჭიერია, ცურვის ხელოვნებასაც სწრაფად აითვისებს! – ბრძანა ბატონმა პრეზიდენტმა. – მე ვითავებ მაგ საქმეს, პირადად, ჩემზე უკეთ ვინ ასწავლის, აბა რავა!

ბატონმა პრეზიდენტმა ყველა სახელმწიფოებრივი საქმეები გვერდზე გადადო და რამდენიმე დღით მისი “რეზიდენცია” საპრეზიდენტო რეზიდენციის საცურაო აუზი გახდა... ამის გამო შეჯიბრის მორიგი ტური გადაიდო და, საერთოდ, კონკურსის ჩატარების ვადა რამდენადმე გახანგრძლივდა კიდევ კიდევ ერთი მოვლენის გამო.

კარგად ერთობოდა! აღისფერთმიან ქალიშვილს მართლაც პირადად ასწავლიდა ცურვის სხვადასხვა სტილს და იმდენად წარმატებით, რომ მოკლე ხანში მოწაფე გაუსწორდა და აჯობა კიდევ მასწავლებელს! ასეთ რამეს კი ტაშფანდურა არ მოელოდა და მომხიბლავი ქალიშვილისგანაც კი ვერაფრით აიტანდა – ბატონ პრეზიდენტის ამგვარი უპატივცემლობა გასაყვეყნებელია! და იმედგაცრუებულმა ტაშფანდურამ სანაცვლოდ თამილას უჩვეულო შეჯიბრი შესთავაზა – წყალქვეშ ხანგრძლივად ყვინთვაში... ამჯერად აშკარად დაჯაბნინდა მეტოქეს, მაგრამ, მეტისმეტი გულმოდგინების გამო, ბატონი პრეზიდენტი... კინადამ დაიხრჩო! და სანამ პირადი დაცვის წევრები რაიმეს იღონებდნენ, ისევ თამილამ მოხერხა ტაშფანდურას გადაარჩენა! და როგორც სტიუარდ ქალს შეეფერება, დაზარალებულს პირველადი დახმარებაც წარმატებით გაუწია კიდევ – პრეზიდენტის პირად ექიმს ვოლფგანგ შულცეს დაასწრო და მისი ქებაც დაიმსახურა...

გაჟონა ინფორმაციამ, რომ ბატონ პრეზიდენტს თურმე განსაკუთრებით მოსწონს... წითურთმიანი ქალბატონები! არც არის გასაკვირი: როგორც აღრეც აღვნიშნე, წითელი ფერი გახლავთ საყვარელი ფერი ძლიერთა ამა ქვეყნისა – ძველთაგანვე უმაღლესი საერო, სამხედრო თუ სასულიერო ძალაუფლების წარმომადგენლები წითელი სამოსით ამკვიდრებდნენ საკუთარ გამორჩეულობას და არისტოტელე ბუქნაძეც ნამდვილად სხვებზე ნაკლები არაფრით გახლავთ...

ერთ კვირაში, როგორც კი ტაშფანდურა მომჯობინდა, კონკურსი განახლდა.

და ყველა კონკურსანტი ქალიშვილი... უღალთმიანი გამოცხადდა!

მაგრამ თმების შედგება ამ შემთხვევაში ამაო გამოდგა – გამოცდილ მკითხველს უკვე ალბათ არ გაუკვირდება, თუ მოვახსენებ, რომ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ყველაზე ლამაზ ქალიშვილად კონკურსის ჟიურიმ თამილა თავცეცხლაძე ერთხმად დაასახელა!

გარდა ყველა დაწესებული წოდებისა და ჯილდოსი, კონკურსში გამარჯვებულმა სულ მალე საგსებით დამსახურებულად მაღალი პოსტიც ჩაიბარა – ბატონ პრეზიდენტის ბრძანებულებით ქალბატონი თამილა თავცეცხლაძე სახელმწიფო ქონების ჩაღის ფასად გაყიდვის, ეკონომიკური დაქვევისა სა ხალხის საზღვარგარეთ მასობრივად დაქვევის მინისტრად დაინიშნა! (აგრეთვე, სიმოვნებით აღვნიშნავ, რომ პირველ ხუთეულში შესული დანარჩენი მშვენიერი ქალბატონებიც არ დავიწყებია ბატონ პრეზიდენტს – ისინიც სხვადასხვა სამინისტროებს ჩაუდგნენ სათავეში).

მე რომ მკითხოთ, ტაფანდურას ამგვარი გულუხვობა თამილა თავცეცხლაძის მიმართ უცნაური იყო... რადგან არისტოტელე ბუქნაძისთვის ბუნებას არ უწყალობებია ერთი ყველაზე კეთილი თვისებათაგანი – მაღლიერების გრძნობა! შეიძლება, დაბეჯითებით ვამტკიცო, რომ იგი ყოველთვის ამრებით უყურებდა ნებისმიერს, ვისგანაც რაიმე მხრივ დავალებული იყო და ადრე თუ გვიან “ვალს” თავისებურად “გადაუხდიდა” – გვერდზე ვაშლის ნაქურჩალასავით მოისვრიდა თუ წარმატებისკენ გზას გადაუკეტებდა და ასე შემდეგ... შეიძლება, გამონაკლისად ჩავთვალოთ მხოლოდ არისტოტელე ბუქნაძის ბიძა ემპედოკლე ბუქნაძე და პირმშვენიერი თამილა თავცეცხლაძე...

წარმატებით დასრულებული სილამაზის კონკურსის შემდეგ მთელს აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში ფრიად უცნაური ამბები დატრიალდა: დაიწყეს სამსახურიდან იმ ქალბატონების გაყრა, რომლებიც: ა) ოცდახუთი წლის ასაკს იყვნენ გადაცილებულნი და ბ) ვინც ბუნებრივად წითური არ იყო ან თმა წითლად არ ჰქონდა შეღებილი. და სულ მოკლე ხანში ხანძარი მძვინვარებდა ყველგან, სადაც კი ენერგიული ახალგაზრდა ქალბატონები გამოჩნდებოდნენ! და, რაღა თქმა უნდა, ყველა სატელევიზიო არხის ლამაზმანი დიქტორები ჟღალი თმებით იწონებდნენ თავს!

როცა აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში “წითურიზაციამ” ტოტალური ხასიათი მიიღო (მხატვართა სურათებზეც კი ასახულს მხოლოდ ალისფერთმიან ქალებს ნახავდი!), რამდენიმე კაცმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და ქვეყანაში შემოდინება დაიწყოთ თმის წითლად შესადებად განკუთვნილმა საშუალებებმა: პასტებმა, შამპუნებმა, ფხვილებმა. სულ მალე ექსკლუზიური უფლება ამგვარი ნივთიერებების შემოტანაზე ერთადერთმა ფირმამ მიიღო, რომელიც სასწრაფოდ დააფუძნა ბატონ პრეზიდენტის უმცროსმა ძმამ პლატონ ბუქნაძემ. სატრანსპორტო კომპანიაც მასვე ეკუთვნის და ყოველგვარი იმპორტ-ექსპორტიც მის ხელშია, აბა რავა!

ბედნიერი საჩაღეთიც იფურჩქნება და საამოდ ჰყვავის!

ბატონ პრეზიდენტს განსაკუთრებულ პატივში ჰყავს, რა თქმა უნდა, წითური თმების მფლობელი, ქონების წარმევის ვაზირ-მინისტრი ხატია ხუთგულაძე – მთელი ქვეყნის, უკეთ რომ მოგახსენოთ, ტაფანდურასა და მისი მთავრობისა და პარტიის ზედაფენის ოჯახთა კეთილდღეობა სწორედ ამ მინისტრის გამჭრიახ გონებასა და ენერგიულობაზე არის დამოკიდებული! და ეს მომხიბლავი ქალბატონიც დღედაღამ სულ იმის ფიქრში გახლავთ, რა ახალი ხრიკი მოიფიქროს... ახალი გადასახადის მოგონება სულ უფრო ჭირს: ყველაფერზე გადასახადია დაწესებული, გარდა სიზმრების ნახვისა, სუნთქვისა და მთქნარებისა... მთქნარება კი ფრიად გავრცელებულია ამ დალოცვილ აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში – მეტი წილი მოსახლეობისა უმუშევარია და მთქნარების მეტი რაღა დარჩენიათ? ჰოდა, პარლამენტმა საჩქარო წესით თხუთმეტიდან ორმოცდაათ წლამდე ასაკის ქალბატონთათვის შემოიღო ახალი, “თმის გადასახადი” – ვისაც ალისფერი თმები არ ამშვენებს!

ამ ღონისძიებამ ფინანსური კრახი განიცადა, რადგან მთელ საჩაღეთში მხოლოდ რამდენიმე ასეთი ქალბატონი აღმოჩნდა, ვინც არ ისურვა საკუთარი თმის ბუნებრივ ფერს შელეოდა. ერთი მათგანი იყო ეკა ეკალბუჩაძე – ლიდერი ოპოზიციური პარტიისა “ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ!”, რომელმაც, ამათანავე, ახალი გადასახადის გადახდაზეც კატეგორიული უარი განაცხადა. მაშინვე გაიცა განკარგულება: გაეგდოთ თავხედი სამსახურიდან (მერე გაირკვა: თურმე არსად მსახურობდა!) და მისი – მოღალატის! – ფოტოებით აჭრელდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლები, დამშვენდა ტელეეკრანებიც – შესაბამისი კომენტარებით: რასაკვირველია, მსგავსი უგვანო, გამომწვევი ქცევის ქალბატონი ესთეტიკურად ხომ გაუნათლებელია და თანამედროვეობას უიმედოდ ჩამორჩენილი, ამასთანავე, ზნეობრივადაც შორს დგას სრულყოფილებისგან და, ეჭვს გარეშეა, ჭკვა-გონებითაც ვერ ჩანს მთლად დაღაგებული...

აღნიშვნის ღირსია კიდევ ერთი მოუთქვამელი ქალბატონის ვინაობაც – არისტოტელე ბუქნაძის მეუღლე მაღონა მღოგვაძე!

კარგა ხანია, ბატონი პრეზიდენტი ცოლს აღარ ელაპარაკება, უკვე აღარც ახსოვს, როდი ნახა უკანასკნელად... ოფიციალურად გაყრას არ ჩქარობს – ქალებთან ურთიერთობაში ხელი სრულებით არ ეშლება, გაყრის ხმაურიანი პროცესი კი მის სახელზე უარყოფითად იმოქმედებს... ტაფანდურა ერთმა ამბავმა გააცოფა – თმის გადასახადის უწყისი მაღონამ ქმარს გამოუგზავნა გასანადღებლად!.. გასაყვეყნებელი!..

ბატონმა პრეზიდენტმა ეკა ეკალბუჩაძის მაგალითს მიბაძა – კატეგორიული უარი განაცხადა თმის გადასახადის გადახდაზე!

j er ar naxul i , gi gant ur i Sadr evani unda avaSeno T , aba rava!

ბევრი ვილაქლაქე ჩემი გმირის შესახებ, მას კი არ მივეცი საშუალება, უშუალოდ, თვით ემოქმედა – როგორც აღრეც აღვნიშნე, ამგვარი ქმედება მთხრობელისა ყოფილად დაუშვებელია! ამ ძალიან დიდ შეცდომას ვადიარებ და ბოლიშს ვიხდი; ამიერიდან შევეცდები, თვით ბატონი ტაშფანდურა ცოცხლად ვაჩვენო – ნებას მივცემ, მის გემოზე გაკუნტრუშდეს ქვემოთ ფურცლებზე, სრულ თავისუფლებას მივანიჭებ – თვით ილაპარაკოს და იმოქმედოს! შემდგომ ჩემს მონათხრობში თუკი რამე მოგეწონებათ ან არ მოგეწონებათ, ჩემი ბრალი ნაკლებად იქნება, მე ხელს ვიბან და მის ქმედებაზე პასუხს არ ვაგებ! მიკვირს, ხომ იცი, რომ ამდენ ხანს მოითმინა უმოქმედოდ – ის ხომ ფრიად აქტიურია, მოუსვენარი! ამიერიდან თვით ითამაშებს მკითხველის თვალწინ – იცეკვებს და ჩაბუქნავს, იტირებს და იმაიმუნებს კიდევ – მე შენ გეტყვი, დაეხარება ან მოერიდება! ბევრი ცუდი თვისებაც აქვს, მაგრამ მრავალნი ფიქრობენ, რომ ჩემი გმირის ბაგეშური უშუალობა და გულუბრყვილობა ყველა სხვა ნაკლს გადასწონის და მათ გულსაც მოინადირებს! კვ, ის კი არ იციან, როგორი ნამდვილი სახე იმალება ამ ნიღბის უკან!

როგორც მოგახსენეთ, ტაშფანდურას ბაგეშობიდანვე ჰქონდა საკუთარი თავის განსაკუთრებული განცდა: ეჭვი იოტისოდენაც არ ეპარებოდა, რომ ის იყო და არის ამქვეყნად ყველაზე ღამაზი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე განათლებული, ყველაზე ძლიერი, აბა რავა!.. რაღა თქმა უნდა, ყველას უნდა აჯობოს ცხოვრებისეულ დოღშიც და აჰა, დიდად აჯობა კიდევ – საჩაღეთის პრეზიდენტი გახდა! ბოლიში – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთისა!

და ქვეყნის სათავეში მოექცა თუ არა, მოკლე ხანში ერთმა აკვიატებულმა აზრმა გაიტაცა: ქვეყანა უნდა მოფინოს კარუსელებითა და შადრევნებით! განსაკუთრებით და უპირველესად – შადრევნებით! საჩაღეთის ყოველ დაბა-ქალაქში, ყოველ მოედანზე შადრევანი უნდა ჩქეფდეს – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სწრაფი განვითარების, მიზანსწრაფულობის და სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლო! აბა რავა!..

მართალი მოგახსენეთ, საცურაო აუზში გადატანილი ფათერაკის შემდეგ, მეგონა, რომ ტაშფანდურა წყალს მხოლოდ ჭიქაში ჩასხმულს შეეგუებოდა, მაგრამ... ეტყობა, წერამ აიტანა, ახალი შთაგონების წყარო მაინცდამაინც წყალთან დაკავშირებული გაუხდა...

ტაშფანდურამ, მისი ფიქრით, მოწოდება-შეგონების მსგავსი რაღაც მოაცოდვილა, რომელიც ძალიან მოეწონა და მისი უმოქმედების ეს ჩიქორთული ნაყოფი, წარწერილი უზარმაზარი ასოებით ტრანსპარანტებზე, კედლებზე, ღობეებზე, ყველა შესაფერის თუ შეუფერებელ ადგილზე – სახურავებზეც კი! – ყველას მომაბეზრებლად ეჩხირობოდა თვალში: “C nebul i saCugar i – sa-Cal eTi unda Cgef des!”

მართლაც, რა ჯობს შადრევანს – თვალსაც ახარებს, გარემოსაც აგრილებს! მერე რა, რომ ხშირად მოედნის შუაგულში დგას და მის გარშემო მანქანები დაგლიჯინობენ, ხალხი ახლოს ვერ ეკარება, სამაგიეროდ, რა დიდებული დღესასწაული იმართება ყოველი ახალი შადრევნის გახსნის დღეს! დიდებული დღესასწაული – გრანდიოზული კონცერტი! სასულე ორკესტრით, მომდერალ-მოცეკვავეებით, ტრანსპარანტებითა და დროშებით, სადღესასწაულოდ გამოწყობილი ბედნიერი მოსახლეობით, ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტთა ჯარით, ტელევიზიისა და რადიოს პირდაპირი ტრანსლაციით მოვლენის ეპიცენტრიდან! და მთავარი მოვლენა შადრევნის გახსნა ან კონცერტი კი არ არის, ყველა მოუთმენლად ელის წარმოდგენის მთავარ ნომერს – ტაშფანდურას სიტყვით გამოსვლას! რა ახალგაზრდაა და ღამაზი, რა ჯანმრთელი და უზრუნველი ბატონი პრეზიდენტი – თვალი ზედ დაგრჩება! მარად მშვენიერ გუნება-განწყობილებზეა და ფრიად ეხერხება ლაქლაქიც, აბა რავა! მოთუხთუხე ტაშფანდურა-გულკანი ბორგავს და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისა და მაღალფარდოვანი ფრაზების გავარგარებულ ლავას გადმოაფრქვევს, – სახეგაბრწყინებული, ამაღელვებელი სანახაობის უჩვეულობით აღტაცებული და სიხალისით ატაცებული, – მრავალათასიანი ბრბოს წინაშე!.. რა ბრწყინვალე ოქროპირია, დიდებული ენამჭვერი! მე რომ მკითხო, ერთი რამ არის მხოლოდ საწყენი: ამგვარი ნიჭის პარტრონს აქ რა უნდა, კაცო, მისი ადგილი ცირკის ასპარეზზეა ან სატირული თეატრის სცენაზე! რა ოხუნჯია, ენამოსწრებული, ნებისმიერ შინაგან თუ გარეგან მოწინააღმდეგეს (ყველა ოპოზიციონერს ხალხის და ქვეყნის მტერს უწოდებს) სულ თამაშ-თამაშ, ქილიკ-ხითხითით, ხანაც – სარკაზმის გრგვინვა-ქუხილითა და ღორბლების ფრქვევით (ამ დროს გირჩევთ მისგან მოშორებით ყოფნას!) დაცინვის კვანტს დაუდებს და განადგურების მიწაზე დაახეთქებს! და არ აქვს მნიშვნელობა, ტყუილს ამბობს თუ მართალს, ისეთი დამაჯერებლობით ლაპარაკობს, ისეა ექსტაზში შესული, თვითონაც დარწმუნებულია საკუთარი სიტყვების ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებაში! ქვას განეთქავს! მგზნებარე ელექტრობით მუხტავს და მონუსხავს მსმენელ-მაცურებელს, ყველა პირდაღებული, სიყვარულით შესციცილებს, ყველას აღტაცების ჟრუანტელი დაუფლის!

გაიხარე – გამახარე, ჯან!.. მაგარია ტაშფანდურა, რათ უნდა ლაპარაკი! უხდება მსახიობობა, ნაღდად აქვს უნარი, სიტყვით ხალხის გულის მონადირებისა!.. მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილოა და ხალასი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს...

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, აყვავებულია და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის მთავარი ძალიანმეგობარი მიმართულია იქითკენ, რომ ფული ძირითადად საკუთარი და მისი უახლოესი გარემოცვის ჯიბეებში ილექებოდეს, აბა რავა!.. ტყუილად ხომ არ იქაფებს პირს და დაწოწილობს აღმა-დაღმა, მოსვენება არ აქვს, მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი მას აბარია! ფული – ძალაა, ძალა-უფლებაა! დიახ, ფულს ნამდვილად ბლომად შოულობს, მაგრამ საიდან და როგორ? – დაინტერესდება ცნობისმოყვარე მეითხველი. ქრთამს იღებს? როგორ გეკადრებათ! მთელ ქვეყანაში ქრთამი ძირფესვიანად ამოძირკვა და სამართლიანად დიდადაც ამაყობს კორუფციის საბოლოოდ დამარცხებით! უბრალოდ, სახელმწიფო დაკვეთებს, სხვადასხვა სახის ტენდერებზე ჯარის, პოლიციის და ქვეყნის სხვა უწყებების საჭიროებისთვის სხვადასხვა მასალების, ტექნიკისა თუ სურსათის შესყიდვისას უპირატესობას, სახელმწიფო ქონების გაყიდვის აუქციონებზე გამარჯვებას და ასე შემდეგ “საჭირო” და “მადლიერ” პიროვნებებს არგუნებს, – ვიდაც მაწანწალას ამგვარ საქმეებში ცხვირს რატომ ჩააყოფინებს, აბა რავა!.. ასევე, მრეწველებს, ბანკირებს, ვაჭრებს და მოზრდილი ქისის სხვა მფლობელთ ხშირ-ხშირად იწვევს სხვადასხვა სახეობის ღონისძიებებზე, უფრო – შადრევნების საზეიმო გაშვებაზე, ღონისძიების შემდეგ კი იმართება დღესასწაული-სადმი მიძღვნილი წვეულება, რომლის მოსაწვევი ბარათიც მოზრდილი თანხა ღირს – მე და ჩემისთანა, მეითხველო, მას ოცნებაშიც ვერ გაეწვევებით!.. სამაგიეროდ, ეს ბარათი, გარდა იმისა, რომ “პრესტიჟულ” ღონისძიებაში მონაწილეობის საშუალებას იძლევა, “მადალი” საზოგადოების პრივილეგიურულ წრეში მოსახვედრი ბილეთიცაა!

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებიან კირკიტა ინტრიგანები აბაზარი კითხვებით: “ბატონო პრეზიდენტო, თქვენი შადრევნები დიახაც ძალიან მშვენიერია, საამო საცქერია და ყურთანსმენასაც ატკობს მისი ჩუხჩუხ-ჩხრიალი, მაგრამ მოსახლეობას წყალი არ ჰყოფნის, წყლის მიწოდების მკაცრი გრაფიკის მინიმალურადაც დაცვა ჭირს, ხალხი იტანჯება... ეს არ გაფიქრებთ?.. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა ღარიბია და მილიონებს რომ შადრევნების ასაშენებლად მივაჭყლიტავთ, რამდენად გამართლებულია ამგვარი ხელგაშლილობა? ათიათასობით გაჭირვებული ოჯახია, უამრავი უბინაო გვყავს, მათხოვრული პენსიები პურის ფულადაც არ ჰყოფნით, რადროს შადრევნების გახურებული მშენებლობა? სამაგიეროდ, წელიწადში რამდენჯერმე ეზრდებათ ისედაც უზარმაზარი ხელფასები თქვენს სახელმწიფო სამსახურების ერთგულ ხელმძღვანელებს, მორჩილ პარლამენტარებს; ყოველ ყურმოჭრილ მინისტრსა და ყოველ მის მოადგილეს, ასევე – მათ ოჯახებსაც, რამდენიმე მანქანა ემსახურება – დაგრილებენ ძვირადღირებული მანქანებით აქეთ-იქით მრავალრიცხოვანი პირადი დაცვის თანხლებით, ნეტა როდისღა მუშაობენ? ვინ აპირებს მათი ძვირფასი სიცოცხლის ხელყოფას ან იქნებ მოტაცებისა ეშინიათ?”.

რამდენიც უნდა იყავანონ ქვეყნის ამრევებმა, ძალიან ჰყვავს – ქარავანი მიდის! აბა რავა! განა არ იცით, ბატონებო, რომ მთელ მსოფლიოში ბედნიერი და აყვავებული საჩაღეთის ახალგაზრდა, ნიჭიერ პრეზიდენტზე ლაპარაკობენ – მის ენერგიულობაზე, მიზანსწრაფულობაზე, გამბედაობაზე, ფრიად არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღების სწრაფ უნარზე... ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი ხელმძღვანელი ჰყავს!

დიახ, დიდად ბედნიერია ტაშვანდურაც, მაგრამ ერთი კითხვა აბეზარი ბუზივით არ ასვენებს: ახლა კი არის საყოველთაოდ აღიარებული და დაფასებული, მაგრამ ეს დღევანდელი დიდება წარმავალია და გაიფანტება, როგორც დილის ნისლი მზის ამოსვლისას... რა იქნება მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შემდეგ? მის მიერ ქვეყნისთვის გაკეთებული ყოველგვარი სიკეთე დავიწყებას მიეცემა, აღარაფერი დარჩება ხელშესახები, მატერიალური, ვინღა გაიხსენებს მის სახელს?.. ჰოდა, რაღაც ისეთი უნდა მოიმოქმედოს, რაღაც ისეთი შექმნას, რომ დღეს ხომ ააღაპარაკებს და აღაფრთოვანებს მთელ მსოფლიოს, ხვალ, ზეგ და სამარადჟამოდაც უკვდავ ძეგლად დარჩება მისი დიდებისა, მის სახელს საუკუნეებში შემოინახავს! აი, როგორიც არის ხეოფისის პირამიდა ეგვიპტეში ან ეიფელის კოშკი პარიზში! ყველაფერში პირველები ვართ – ჩვენისთანა ნიჭიერი, დიდი ისტორიის მქონე, ყოველმხრივ გამორჩეული ერი მთელ დედამიწის ზურგზე არ არსებობს, ისიც დიდი ბედნიერებაა, რომ ასეთი პრეზიდენტი ჰყავს და ამ შემთხვევაშიც გავიმარჯვებთ – მარადიული მშვენიერებისა და უტკნობი დიდების ძეგლს შევქმნით!

როგორს?..

დღევანდამ ფიქრობდა ჩვენი ბრძენი ტაშვანდურა...

და მალე ყველა დარწმუნდა – ყველაფერში მაგარია ჩვენი პრეზიდენტი, აბა რავა!

ერთ მშვენიერ დღეს, დიდებულად გატარებული ღამის ღრეობის შემდეგ, ტაშვანდურას მისთვისაც კი მეტიმეტი მოუვიდა და... (ბოდიში!) არწყია! სულ მთლად წაბილწა ძვირფასი ხალიჩა და არც მის საშველად მივარდნილ ხალხის დაწოკების მინისტრის ალიკო ალიყურაშვილის ახალშეკერილ ფრაკს დასდგომია კარგი დღე; სამაგიეროდ, როცა მეორე დღეს გაიხსენა უნებური “შადრევნის” ამბავი, მის თუმცა ნაბახუსევზე ფრიად მტკივან, მაგრამ გენიოსურ გოგრაში ბრწყინვალე იდეამ შადრევანივით ამოხეთქა! და მთელი მისი სულიერი და ინტელექტუალური ძალები დაუყონებლივ მოიმართა ლამაზი, მაგრამ წარმოსახვითი იდეის მატერიალურ სინამდვილეში განსახორციელებლად!.. როგორი სწრაფია გადაწყვეტილების მიღებისას – მართლაც ბედნიერია აყვავებული საჩაღეთი, რომ მართლაც ასეთი მგარი – ენერგიული და მდიდარი ფანტაზიით უხვად დაჯილდოებული – პრეზიდენტი ჰყავს!

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტმა, მისმა უმაღლესობამ, ბატონმა პრეზიდენტმა, ბრძენთა ბრძენმა, ბატონმა არისტოტელე ბუქნაძემ მაშინვე სასწრაფოდ მოიწვია სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის გაერთიანებული საგანგებო სხდომა! ტრიბუნასთან მისულმა, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ნესტოში რაღაცის მოძიება დაიწყო და დამსწრეთ და მთელ ქვეყანას სახეიმოდ აუწყა (სხდომის მსვლელობა პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა):

– ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენ დვითი კურთხეული, გამორჩეული ერი და ქვეყანა ვართ! კიდევ ერთხელ ამის დასტური იქნება თუნდაც ის, რომ მსოფლიო უნდა განგაცვიფროთ ჩვენი მორიგი, უპრეცედენტო მიღწევით! როგორ? კიდევ ერთი შადრევანი უნდა ავაშენოთ! როგორი? რაღა თქმა უნდა, მსოფლიოში უპირველესი, გიგანტური შადრევანი! შადრევანდიდი, შადრევანთ მეფე, შადრევანთ შადრევანი!.. აბა რავა!.. ეს იქნება აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ბრწყინვალე წინსვლისა და მშობლიური მთავრობის მხრივ საჩაღელი ხალხის მიმართ განუხრეული მამაშვილური ზრუნვის კიდევ ერთი დიდებული გამოხატულება – დი-ი-იდი შადრევანი ავაგოთ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე! ჯერ არნახული, გინესის მსოფლიოს რეკორდების წიგნში შესატანი! აბა რავა!.. გასაყვეყნებელია!

– თუ უზარმაზარი კარუსელის გამართვა ჯობს? – ლამაზი თვალები აუჟუჟუნა ტაშფანდურას ქონების უანგაროდ წართმევის მინისტრმა თამილა თავცაცხლაძემ და თავი კეკელუცად შეარხია, ალისფერი კულულები კონტად შეათამაშა. – პარიზში ხომ არის შესანიშნავი ანსამბლი – უმშვენიერესი კარუსელის მოედანი!

მეუფეს არ შეუწყვეტია ნესტოში საჩვენებელი თითის ტრიალი, ბრძნულად დაასკვნა:

– ჩვენი ამოცანაა: ჯერ – შადრევანთ შადრევანი, შადრევანთ მეფე! და შემდგომში – კი, ბატონო, ვინ დაგვიშლის, შადრევანდიდის გარშემო მოვაწყვოთ კარუსელებიც! აბა რავა! ტრიალებს კარუსელები და დროდადრო იქ მსხდომნი ჩანჩქერში ხვდებიან! ნაბახუსევზე კარგი იქნება, ხომ იცი – უცვებ გამოგაფხიზლებს! სულ მთლად შესანიშნავი სანახავი იქნება, თუ კარუსელზე მხოლოდ ტიტლიკანები იბუქნავენ! რომ ჩამოვარდეთ კიდევ, არა უშავს – აუზში მოადენ ტყაპანს, იქ კიდევ ოქროს თევზები და დელფინები გაგეთამაშებიან! ქალაქის მთავარ მოედანს უნდა ეწოდოს დიდი შადრევანის მოედანი! შემდეგ კი, ვინმეს რომ გული არ დაწყდეს, ცალკე ადგილს შევარჩევთ ისეთი უდიდესი კარუსელის ასაშენებლად, ყველამ პირი დაადოს – წამოიჭიმება მსოფლიოში ჯერ არნახული, უდიდესი კარუსელი – კარუსელთ კარუსელი! აბა რავა!.. მერე იქნებ ცალკე გიგანტური გაერთიანებული შადრევანი და კარუსელიც ავაშენოთ! გიგანტური შადრევან-კარუსელი ან კარუსელ-შადრევანი – ხომ მაგარი იქნება?! გასაყვეყნებელია!..

რასაკვირველია, ბატონ პრეზიდენტის ამგვარი განზრახვის გაჩენას, გარდა იმ ცნობილი დამის ღხინის შემდეგ მომხდარი სამწუხარო შედეგისა, იმანაც შეუწყო ხელი, რომ მანამდეც, განსახდურული დროის მანძილზე, ტაშფანდურამ, როგორც ადრეც აღვნიშნე, საჩაღეთის თითქმის ყველა დაბა-ქალაქში მშვენიერი შადრევნები ააშენებინა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ სასიხარულო მოვლენას, უფრო სწორედ, მოვლენათა მთელ წყებას: თითოეული დიდებული შადრევანის სახეიმო გახსნას მისი უმაღლესობა, რასაკვირველია, პირადად დაესწრო; ჯერ ისტორიული, შესანიშნავი მგზნებარე სიტყვით მიმართავდა დამსწრე საზოგადოებასა და რადიო-ტელევიზიის მსმენელ-მაყურებელს და შემდგომ კი საკუთარი ხელით ჩართავდა და ამუშავებდა მორიგი ობიექტის, უფრო კი – ხელოვნების ჭეშმარიტი ძეგლის, ჰიდრავლიკურ სისტემას. აყვავებულმა და ბედნიერმა საჩაღეთმა არნახულ წარმატებას მიაღწია – იგი პირველ ადგილზე გავიდა მსოფლიოში შადრევანთა რაოდენობით 100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით! მთელი მოწინავე, განათლებული მსოფლიო პირდაღებული შესცქერის ჩვენი ქვეყნის ამ გიგანტურ ნახტომს!.. გასაყვეყნებელია!..

რაღა თქმა უნდა, ტაშფანდურამ უპირველესად დიდი ყურადღება მიაქცია და მზრუნველობა არ მოაკლო საჩაღეთის დედაქალაქს და რამდენიმე ათეული შადრევანით დაამშვენა მისი მოედნები. მაგრამ ახლა სულ სხვა გაქანების პროექტი უნდა განახორციელოს – ჯერ მსოფლიოს რომ არ უნახავს, მსგავსს რომ ვერაფერს შეადარებს კაცი – განსაცვიფრებელი, გასაყვეყნებელი! ქვეყნის დედაქალაქი ჩალაუბანი ისედაც შადრევნების ქალაქად იქცა და ახლა უპრინია, გრანდიოზული მეფე შადრევანთ დამშვენებულს, ამიერიდან სახელად შადრევანთქალაქი ეწოდოს! აბა რავა, ჯან!

როცა ტაშფანდურა გიგანტური შადრევანის იდეას აწვდიდა საკუთარ თანამებრძოლებს, საყოველთაო მხარდაჭერის მიუხედავად, ცდილობდა გამოერკვია, ვინ იყო მისი ჭეშმარიტი მომხრე, რათა დანარჩენებს შემდეგ ნელ-ნელა დედა უტიროს! ქვეყანაში მტერსა და ორგულს რა გამოვლევს, ამიტომ მარად ფხიზლად უნდა ვიყო!

როგორი უნდა იყოს შადრევანთ მეფე?

ამ ჭეშმარიტად აქტუალური საკითხის ირგვლივ გაიმართა ყოველის მომცველი საქმიანი დისკუსია – მთავრობაში, პარლამენტში, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ტელერადიო ეთერში, მხატვართა, არქიტექტორთა, მწერალთა, მუსიკოსთა, ჟურნალისტთა და სხვა შემოქმედებით კავშირებში, სხვადასხვა პარტიათა ოფისებში, მეცნიერებათა აკადემიაში, ქუჩაში, ოჯახებში... ყველას საპატიო მოვალეობაა და დიდი ბედნიერებაც, სასწრაფოდ გამოეხმაუროს ჩვენი საყვარელი

პრეზიდენტის ამ ბრწყინვალე იდეას და ცხოველი მონაწილეობა მიიღოს საყოველთაო-სახალხო განხილვაში!

მწვავე დისკუსია გამოიწვია პარლამენტში საჩქაროდ შეტანილი საკითხის “ჯერ არნახული შადრევანთ მეფის მშენებლობის გრანდიოზული პროექტის შესახებ” განხილვამ, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ჯერ გვარიან ლანძღვა-გინებასა და გაწევა-გამოწევაში, ბოლოს კი – ცხარე ხელჩართულ შეტაკებასა და სანახობრივად ფრიად მიმზიდველ მუშტი-კრიგში. მე რომ მკითხოს კაცმა, ამ სასიერო წარმოდგენის სანახავად უპირიანი იყო, ბილეთები გაეყიდათ – გვარიანი თანხა მოგროვდებოდა!

ტაშვანდურამ პარლამენტს მაშინვე შეაცვლევინა ქვეყნის დროშა – მასზე აუცილებლად შადრევანდილი უნდა იყოს გამოსახული! და თუმცა ჯერ არავინ იცოდა, როგორი იქნებოდა შადრევანთ მეფის საბოლოო პროექტი, დროშის ესკიზიც თვითონვე პირადად შეადგინა, აბა რავა!

ბატონ პრეზიდენტის მითითებით სასწრაფოდ შეიქმნა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ახალი ჰიმნის ახალთახალი ვერსია – ჩაემატა ქებათა ქება შადრევანდილს! რასაკვირველია, ახალი ტექსტის სრულყოფაში ფრიად ცხოველი პირადი მონაწილეობა მიიღო ბატონმა პრეზიდენტმა და მანვე პირადი ბრძანებულებით დაამტკიცა იგი.

ბატონ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქ ჩაღაუბანს დაერქვა ახალი სახელი – შადრევანთქალაქი.. აბა რავა!.. ქვეყანასაც თუ კიდევ ერთხელ გადაარქმევს სახელს და შადრევანეთს დაარქმევს, არც ეს იქნება გასაკვირველი – ტაშვანდურას ცხოველი ფანტაზიასა და მჩქვარე ენერჯის წინ რა დაუდგება!

ბატონ პრეზიდენტის ბრძანებულებით დაარსდა ახალი უმაღლესი ჯიღლო – “შადრევანთ მეფის ორდენი”, რომლითაც დაჯილდოვდებოდა ყველა ის პირი, რომელიც განსაკუთრებულ დედაწლს შეიტანდა შადრევანთ მეფის პროექტის განხორციელებაში, შემდგომ კი – მის პრაქტიკულად ხორცშესხმაში აქტიურად ჩაბმულებიც.

არისტოტელე ბუქნაძემ, აგრეთვე, განაცხადა, რომ სასწრაფოდ უნდა აშენებულიყო თანამედროვეობის შესაბამისი ახალი დიდებული საპრეზიდენტო სასახლე – აუცილებლად შადრევანის ფორმისა! – და ღია კონკურსიც გამოცხადდა მისი საუკეთესო პროექტის შესაქმნელად. ჰო-ჰო, რა არაჩვეულებრივი რამ იქნება – მთელ მსოფლიოს ერთხელ კიდევ განაცვიფრებს, აბა რავა!.. ნაღდად მაგრები ვართ, რათ გინდა ლაპარაკი!

ახალი გრანდიოზული კონკურსი – ვინ მიუძღვნის შადრევანთ მეფეს საუკეთესო ლექსს!

კიდევ ერთი შეჯიბრი – ისევ და ისევ შადრევანდილის სადიდებელი საუკეთესო სიმღერისა!

ბატონმა პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა მეღვინეებს: გამოეშვათ ახალი ღვინოები, სახელწოდებით: “დიდი შადრევანი”, “დიდებული შადრევანი”, “მუშხუნა შადრევანი”, “შადრევანთ მეფე”... კარგი ბიჭები იყვნენ და ამ თხოვნას, უფრო სწორედ – მოთხოვნას, არ შეუსრულებდნენ! აქამდე აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მეღვინეებს ბედნიერება ჰქონდათ, ჩამოესხათ მხოლოდ ერთი დასახელების ღვინო, რომელსაც ეწოდებოდა... აბა თუ მიხვდებით?.. საჩაღეთში მღაზიაში ყველა ბოთლიდან გვიმზერდა, გვამხნეებდა და ყოველივე კეთილს გვისურვებდა ფართოდ მღიმარი ტაშვანდურას სახე! ვითომ ვერ ვიცნობდით და პორტრეტქვეშ ეწერა “არისტოტელე ბუქნაძე”, მის ქვევით კი – ღვინის ნომერი: ყველა მწარმოებელს თითოეული სახეობის ღვინისთვის ცალკე ნომერი ჰქონდა მიკუთვნებული, აბა რავა! დღეიდან ბატონ პრეზიდენტის უზენაესი ნებით, რამდენიმე ახალი დასახელების ღვინო შეიძლება მივირთვათ და დავაგემოვნოთ, ვაშა!..

საფირმო სიგარეტს, სახელწოდებით “ბატონი პრეზიდენტი”, რომლის კოლოფსაც ამშვენებდა ტაშვანდურას მშვენიერი ფერადი პორტრეტი, აქამდე ეულად წარმოდგენილს თამბაქოს მოყვარულთა ბაზარზე, ამიერიდან გვერდი დაუშვინა ახალმა სიგარეტებმაც: “დიდი შადრევანი”, “შადრევანთ შადრევანი”, “შადრევანთ მეფე”... სხვათა შორის, თვით არისტოტელე ბუქნაძე თამბაქოს არ ეკრება – აპაპაპა! – ჯანმრთელობის ფასი და ყადრი კარგად უწყის!

მთელ აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში უბედურად მომრავლდნენ შადრევანის თეთრი საღებავით შესრულებული გამოსახულებები, – მათი ესკიზი პირადად ბატონმა პრეზიდენტმა დაამტკიცა, – ბუზებივით თითქმის ყველა სახლის კედლზე, მესერზე, ქუჩების ასფალტზე დასხდნენ!

სხვადასხვა მასალის – ხის, ლითონის, პლასტმასის, ძვლის, ძვირფასი ქვების და სხვათა – გამოყენებით დამზადდა უთვალავი სამკერდე ნიშანი – ნაირგვარი ფორმის შადრევანი მოკალათდა პიჯაკების ლაცკანებზე, კაბებზე, კოსტიუმებზე, პერანგებზე, მაისურებზე...

ჰო, ტანსაცმელზე გამახსენდა: ტაშვანდურას მითითებით მმართველი პარტიის “მხოლოდ ხალხის ინტერესებისთვის!” წევრთა და მხარდამჭერთათვის შემოიღეს ახალი ფორმა – მაისური, კაბა, ხალათი და სხვა და სხვა წინ, მკერდზე შესანიშნავი, შთამბეჭდავი სურათით: დიდებულად ამოწეხნეხნეულ-ამოფრქვეული შადრევანით! და ქვეშ დიდი წარწერით: “შადრევანთ მეფე!”. ვისაც შადრევანიანი მაისური, კაბა თუ სხვა რამ არ აცვია, ის არ არის ჩვენი ადამიანი!.. გაირიყოს!.. საჯაროდ გაითათხოს!.. დაისაჯოს!..

ეს არ არის საკმარისი და ვისაც უნდა, ბატონ პრეზიდენტისადმი საკუთარი მტკიცე და ურღვევი ერთგულება გამოხატოს, აუცილებლად თეთრი შადრევანი უნდა ჰქონდეს გამოსახული:

შლაპაზე, ქულზე, პიჯაკზე, ჰალსტუხზე, მაისურზე, შარვალზე და, ფრიად სასურველია, განსაკუთრებით ზაფხულში, ბანაობის სეზონის დროს – ნიფხავზეც კი!

კარი VI. როგორი უნდა იყოს Sadr evanT ნეფე?

როგორი უნდა იყოს შადრევანთ მეფე?

ამ ფრიად აქტუალური პრობლემის გარშემო მაშინვე დაიწყო საერთო-სახალხო ბუბობა-განხილვა სრულიად საჩაღეთის მასშტაბით! აბა რავა!..

უპირველესად – პარლამენტის, სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა კაბინეტისა და მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სხდომაზე ბატონ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, საზღვარგარეთიდან საგანგებოდ მოწვეულ მრავალრიცხოვან ექსპერტებთან ერთად, განიხილეს ქვეყნისა და ხალხისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ და როგორი უნდა აშენდეს ჯერ მსოფლიოში არნახული შადრევანი, შადრევანთ შადრევანი, შადრევანთ მეფე, რომელიც პრეზიდენტსა და ქვეყანას საუკუნეებში მსოფლიო სახელსა და დიდებას მოუტანს, ხოლო მტრებს კი – გულზე გაასივებს!

პირადად ბატონ პრეზიდენტის კანცელარიასთან დაარსდა წინადადებათა და მოსაზრებათა შესაკრები და შემსწავლელი “შადრევანთ მეფის ცენტრი” და გაიხსნა მასთან დასაკავშირებელი საგანგებო ცხელი სატელეფონო ხაზი – ყოველ საჩაღელ მოქალაქეს შეეძლება, უშუალოდ დაუკავშირდეს ცენტრის მორიგე ოპერატორს და საკუთარი შეხედულება გამოთქვას, რათა, სახალხო სიბრძნის შეჯერებით, საბოლოოდ საუკეთესო პროექტი შეიქმნას!

მეტიც, უნდა გაიმართოს მსჯელობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით! აგრეთვე, საჭირო იქნება, მსოფლიოს უდიდესი შადრევანთმცოდნე ექსპერტების, არქიტექტორების, მხატვრების მოწვევა და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქში – შადრევანთქალაქში! – ჩატარდეს შადრევანთმცოდნეობის I მსოფლიო კონგრესი! აბა რავა!.. ამ სამეცნიერო-კულტურულ ღონისძიებას უხარმაზარი რეზონანსი ექნება მთელ მსოფლიოში!

ამ მომავალ შადრევანთ მეფეში თუ მეფე შადრევანში უნდა სრულად აისახოს მთელი მრავალფეროვნება ცოცხალი წყლის შესაძლებლობებისა: დროდადრო ამოჩუჩხუნება-ამოფრქვევა – პერიოდულად ან განსაზღვრული დროის გარეშე, სიურპრიზის თუ იმპროვიზაციის სახით, ან მუსიკასთან სინქრონულად! ამ პროექტის განხილვის დროს იქ მყოფნი იმსჯელებენ, თუ რა სახის ატრაქციონების და გასართობების მოწყობა იქნება შესაძლებელი – ხალხის დროის გასატარებლად და მოგების სანახავად! ეკონომიკის თვალსაზრისითაც შადრევანთ შადრევანი ფრიად მომგებიანი საწარმო იქნება და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის შემდგომ დინამიკურ განვითარებაში!

ტაშვანდურა ცნობისმოყვარეა, “შადრევანთ მეფის ცენტრის” ექსპერტ-თანამშრომელთა მორიგ შეკრებაზე ცხვირში ჩიჩქნით იკითხა (და მით დაადასტურა, რომ სხვაგან და სხვა რამის მოძიების სურვილიც გააჩნია):

– სად არის მსოფლიოში ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი, ყველაზე სახელგანთქმული შადრევანი?

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, დიდად პატივცემული და ფრიად პატივსაცემი ბატონი, აკადემიკოსი ქუცუნა ქარაქუცაშვილი პირადად აწვდის ბატონ პრეზიდენტს მისთვის ესოდენ საინტერესო ცნობებს (კიდევ კარგი, წინასწარ მოემზადა, თორემ ნამდვილად და შეჭველად იგემებდა ტაშვანდურას გემრიელ პანდურს და, რა თქმა უნდა, მაშინვე დაემშვიდობებოდა აკადემიის პრეზიდენტის პოსტსაც – საერთოდ, ბატონი პრეზიდენტი თვლის, რომ ქვეყანაში მხოლოდ ერთი პრეზიდენტი უნდა იყოს! – ეს პანჩური ტოლფასი იქნებოდა ბეჭდის დარტყმისა დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ!):

– ბატონო პრეზიდენტო, მსოფლიოს საუკეთესო შადრევანების რიცხვს მიეკუთვნება: პეტერჰოფისა სანქტ-პეტერბურგთან, ვერსალში პარიზთან... ნორვეგიაში, დედაქალაქ ოსლოში, ფრაგონერპარკში, არის გუსტავ ვიგელანის მიერ შექმნილი შადრევანი – ექვს გიგანტს აწეული ხელეობით უჭირავს უხარმაზარი თასი, საიდანაც გამჭვირვალე ფარდასავით იღვრება წყლის ჭავლი...

– კარგი აზრია, ხომ იცი, მომწონს, გასაყეყეჩებელია!.. – შეაწყვიტინა ბატონ ქუცუნას ტაშვანდურამ, – და შეჭველად შადრევანდიდში მსგავსი რამ უნდა გაგაკეთოთ, უეჭველად! ოღონდ ექვსი კაცი რა საჭიროა, საესებით საკმარისი იქნება ჩემი ქანდაკების დადგმა!.. ვაჰ, რა კარგი აზრი მომივიდა, ხომ მაგარი ვარ?.. გასაყეყეჩებელია!.. სხვა?

– და, რასაკვირველია, ერთ-ერთი უმშვენიერესი და ყველაზე სახელგანთქმული შადრევნები უფრო სამხრეთითაა – საფრანგეთში, ესპანეთში და, განსაკუთრებით, იტალიაში! კერძოდ, რომში უამრავი შადრევანია, ხელოვნების ნამდვილი შედევრი! აღორძინების ეპოქის მრავალრიცხოვანი დიდებული სასახლეების შიდა ეზოს ბაღში აუცილებლად ერთი შადრევანი მაინც არის... როგორც მოგახსენეთ, რომის ქუჩებსა და მოედნებს ამშვენებს ასეულობით განუმეორებელი შადრევანი, მათ შორის ყველაზე ცნობილებია: კუთა შადრევანი, ოთხი მდინარის შადრევანი, პატარა

ნავის შადრევანი, ტრევი, ტრიტონისა ბარბერინის სასახლის წინ, ორი შადრევანი წმინდა პეტრეს ტაძრის მოედანზე...

– ვინ არიან მათი ავტორები? – დაინტერესდა ტაშვანდურა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ცხვირის მარცხენავე ნესტოში ფრიად ელეგანტურად ბურღვით დაატრიალა.

– ტრევის სახელგანთქმული შადრევანი პოლის სასახლისა შექმნილია არქიტექტორ ნიკოლო სალვის პროექტით, მისი წყალი სახელგანთქმულია თავისი გემოთიც; კუთა შადრევანი მატეის სასახლის წინ – ჯაკომო დელა პორტას მიერ; გენიოსი არქიტექტორი და მოქანდაკე ლორენცო ბერნინი ავტორია რომის რამდენიმე შადრევანის პროექტისა, მათ შორისაა შესანიშნავი ოთხი მდინარის შადრევანი ნაფონას მოედანზე; მისი მამის, პიეტრო ბერნინის პროექტით გაკეთდა პატარა ნავის შადრევანი სახელგანთქმულ ესპანეთის მოედანზე. რომის თითქმის ყველა მოედანს, ყველა სასახლის შიდა ეზოს, როგორც მოგახსენეთ, ამშვენებს ერთი შადრევანი მაინც; ამგვარი შადრევნისა შიდა ეზოების – ატრიუმების – ტრადიცია ჯერ კიდევ ძველ რომში არსებობდა...

– საკმარისია, საკმარისი! – ისევ შეაწყვეტინა ტაშვანდურამ. – ახლა წარმოიდგინეთ, ეს სახელგანთქმული შადრევანთშემქმნელი ერთად რომ შეგერიბოთ და დაგავალთ ჩვენი შადრევანთ მეფის პროექტის შექმნა, რა თქმა უნდა, ჩვენი წამყვანი მონაწილეობით, რა გასაყვეყნებელ შედეგს მივიღებთ! მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო შადრევნებს უნდა ვაჯობოთ! აბა რავა!.. ყველანი სასწრაფოდ აქ ჩამოიყვანეთ!

ქუცუნა ქარაქუცაშვილმა მორიდებით მოახსენა:

– ბატონო პრეზიდენტო, ძალიან გაგვიჭირდება ამის გაკეთება...

– რა პრობლემაა – ფულს ნუ დაიშურებთ! მათი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეთ! – უკმაყოფილების ნიშნად მარცხენა, წაგრძელებული, ბურჯივით წარბი ზე აზიდა ბატონმა პრეზიდენტმა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ნესტოში რაღაცის ძიების რამდენიმე წამით შეწვეტილი ოპერაცია გაცხოველებული ინტენსივობით განაგრძო.

აკადემიკოსი კიდევ უფრო მოიხარა წელში:

– ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, მათი სულების გამოძახება თუ მოხერხდება, ისიც – გამოცდილი სპირიტისტის მიერ, ისინი ოთხი-ხუთი საუკუნის წინათ მოღვაწეობდნენ...

– აქამდე რატომ არ მომახსენეთ?! გასაყვეყნებელია!.. – კიდევ უფრო განრისხდა არისტოტელე ბუქნაძე და... ერთი ხანია, მისთვის ჩვეული რამ მოიმოქმედა – წყლის ჭავლი გამოუშვა პირიდან ბატონ ქუცუნა ქარაქუცაშვილის მიმართულებით! რასაკვირველია, წინდაწინ მათარიდან მოსვა წყალი, რომელიც მასთან მდგომმა ტურფა მატარატიმტირთველმა ნეადა გაბლანდულაძემ სასწრაფოდ მიაწოდა. ეს მშვენიერი ქალიშვილი, რომელმაც სრულიად აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სილამაზის კონკურსზე მეორე ადგილი ერგო, ამ ბოლო დროს ტაშვანდურას ყველგან თან ახლავს და გვერდს უმშვენებს. მოგახსენებთ, რომ მათარატიმტირთველის ფრიად საპატიო და დასაფასებელი თანამდებობაც მეუფის კარზე ახალი შექმნილი გახლავთ, რათა ტაშვანდურა არ დაბრკოლდეს და დრო არ დაკარგოს, როცა მოესურვილება, ვინმეს პირიდან პატარა შადრევანი ანუ შადრევანუკა სტყორცნოს – აბა, წყლის საძებნელად ამხელა კაცი ხომ არ გაიქცევა, ვერც სხვა წყლის მომტანს მოუცდის – ქვეყნის საქმეებს მოცდება! და, რასაკვირველია, – ცხვირის ნესტოში წარმოებულ საქმიანობას...

– ბატონო პრეზიდენტო, იქნებ მართლა მოვიწვიოთ რომელიმე მსოფლიოში სახელგანთქმული სპირიტისტის მეცნიერებათა დოქტორი, რომ... – აღარ დაამთავრა სათქმელი პარლამენტის თავმჯდომარემ ბაბურ ბებრიკონკაძემ და ხელი წინდაწინ აიფარა სახეზე, მაგრამ ამჯერად ტაშვანდურას წყრომას და შადრევანუკით გაგრილებას გადაურჩა – ბატონი პრეზიდენტი ჩვეული საქმიანობით იყო თავდავიწყებით დაკავებული – ცხვირის ნესტოში ბურღვით სამუშაოს განაგრძობდა.

– ბატონო ბაბურ, სულებს კი გამოიძახებთ, მაგრამ მათ მხოლოდ გარდასულ ამბავთა მოწოდება თუ შეუძლიათ. – შეეპასუხა ბაბურს ქუცუნა. – უდავოა, შადრევანის პროექტის შედგენა გამოცდილმა არქიტექტორმა ან მხატვარმა უნდა ითავოს, ჯობს – რამდენიმეც კი, მთელმა კოლექტივმა... ან კიდევ უკეთესი – გამოვაცხადოთ საერთაშორისო კონკურსი. უთუოდ შემოვა უამრავი წინადადება და ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, მათგან საუკეთესო შევარჩიოთ, უფრო სწორედ, ბატონი პრეზიდენტი ამოარჩევს... – დროულად დააზუსტა ქუცუნამ და თვალი მშვენიერი ნეადა გაბლანდულაძისკენ გააპარა, ოღონდ არა მისი სიტურფის სახილველად – მათარაში კიდევ თუ დარჩა წყალი...

ტაშვანდურამ ამ აკადემიკოსი პაექრობის პასუხად ბრძანა:

– დიახ, მე მადლობელი გახლავარ ჩემი გამოცდილებისა და გემოვნების დაფასებისთვის, სიამოვნებით ვიკისრებ საუკეთესო პროექტის ამორჩევს თუ შერჩევს ფრიად საპასუხისმგებლო მისიას... ამისთვის კი ალბათ საჭირო იქნება, პირადად დავათვალიერო მსოფლიოში არსებული ყველა ის შესანიშნავი შადრევანი, რომლებზედაც აქ ლაპარაკობდა ბატონი ქუცუნა. გარდა ამისა, ნუთუ ჩვენს დროში აღარ შენდება შადრევნები, არ არსებობენ შადრევანთა გამოცდილი შემქმნელები?

– როგორ არა, თქვენო უმაღლესობა, სახელგანთქმულ შვედ მოქანდაკეს კარლ მილესს უყვარდა შადრევნების კეთება, ასევე – ნორვეგიელი გუსტავ ვიგელანის პროექტით...

ტაშვანდურამ კვლავ აღარ დააცალა ბატონ ქუცუნა ქარაქუცაშვილს წინადადების დამთავრება:

– ერთი უყურე შენ?! საიდან იცი ამდენი – ძველიცა და ახალიც? ყოჩაღ, ძალიან სასიამოვნოა... მოდი აქ, მობრძანდი, მომიხსლოვდი... ვნახო ერთი, შენი გოგრა კარგად დამწიფებული უნდა იყოს!.. – და გავარჯიშებული ხელით ბატონ აკადემიკოსის კინკრისოზე გემრიელი წიკიპურტი გააწკაპუნა. – უჰ, შენი გულისა, არ შემცდარვარ! იმედი ნაღდად არ გამიცრუე – შენი გოგრა ძალიან მომეწონა, ხომ იცი!.. ჰი-ჰი-ჰი!.. გასაყეყელებელია!.. კარგი ხმა ჰქონდა, სხვებზე უკეთესი! ჰი-ჰი-ჰი!.. პირდაპირ გეტყვი, დაუფარავად – სანაქებო გოგრა გაბია! ყოჩაღ, მომწონს, მომწონს! მიკვირს, ხომ იცი, აქამდე რატომ ვერ დავაგემოვნე? მაგრამ ერთ ჭკვიან კაცს ტყუილად კი არ უთქვამს: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ჰი-ჰი-ჰი!.. ბატონო ქარაქუცა... უჰ, ძვირფასი ბოდიში მომიხსენებია, ბატონო ქუცუნა! ძალიან დამავალღებ, თუ ჩემი პირადი მდივნისა და, იმავდროულად, პირადი მასხარის ჩემს მიერ შემოთავაზებულ თანამდებობების მიღებას მოწყალედ დათანხმდები... არ ინანებ! ჩემი მხრივ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ სახელოების ფლობა დიდად სასახელოა, სულ პრეზიდენტთან ახლოს ყოფნა მოგიწევს! ჩემი ნდობა უნდა დააფასო! აბა რავა!

– თქვენო უმაღლესობაგ, რასაკვირველია, ჩემთვის დიდი პატივია თქვენი წყალობა და დიდად საამაყოც იქნებოდა ქვეყნის პირველი პირის პირადი მდივნისა და, იმავდროულად, პირადი მასხარის დიდად სასახელო სახელოების მოვალეობის შესრულება, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება, რომ არავითარი უნარი და ნიჭი მათ შესასრულებლად მე არ გამაჩნია და მეშინია, დაგაღალატინებთ – უეჭველად ჩავფლავდები და სიცხვილს ვჭამ...

– საკვირველია, ხომ იცი! ყველა იბახის, ჩვენთვის დიდად საამაყოა პრეზიდენტის მსახურებაო, მაგრამ, იმავდროულად, ერთ-ორ კვირაზე მეტ ხანს ამ თანამდებობებზე ვერცერთი ჩერდებოდა... ყველა გაიბახის, საამისო თვისებებს მოკლებული ვარო და გარბის! დიახ, უკან მოუხედავდ გარბის! საინტერესოა, სად ჯანდაბაში გარბის, რატომ, რისთვის?... ჭირიანი ხომ არ ვარ, ჭირიმე!.. გასაყეყელებელია!..

– ბატონო პრეზიდენტო, – ამოიკანავლა ბატონმა ქუცუნა ქარაქუცაშვილმა, – ჩვენ ყველანი თქვენი ფეხთა მტვერი ვართ და ამიტომ...

სათქმელის გაგრძელება, უფრო სწორედ – აზრის დასრულება, ბატონ ქუცუნას არ დასცალდა, იქნებ დათანხმებულიყო კიდევ ბრწყინვალე და დიდად სასახელო თანამდებობების შემოთავაზებას ბატონ პრეზიდენტის მხრივ, მაგრამ ამ უკანასკნელმა უკვე მერამდენედ შეაწყვეტინა:

– ბატონებო, დაგუბრუნდეთ მთავარ საკითხს... ჩვენი ამოცანაა: მსოფლიოს ცნობილი შადრევანთშემქნელები ყველანი პერსონალურად მოვიწვიოთ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად!.. მათ შორის – ბატონ ქუცუნას მიერ დასახელებულნიც – მილესიც, ვიგელანიც – და სხვებიც... უმაღლეს დონეზე უნდა ჩავატაროთ კონკურსი, აბა რავა!

საჩაღეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ველარ გაუბედა ტაშვანდურას, რომ ეს მოქანდაკენიც, კარგა ხანია, მხოლოდ საიქიოს შეძლებენ რამის შექმნასო...

ცხარე კამათის შემდგომ, დაასკვნეს: საჩაღეთის... ფუი, ეშმაკს, სულ მეშლება! ბოდიში – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის “შადრევანთ მეფის ცენტრის” ექსპერტთა და თანამშრომელთა, აგრეთვე მოწვეულ პირთა საერთო სხდომამ გადაწყვიტა:

ვინაიდან და რადგანაც ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე განათლებული და ყველაზე ნიჭიერი აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში უეჭველად მისი პრეზიდენტი, ბატონი არისტოტელე ბუქნაძეა, ამიტომ უპრინაია, იგი პირადად გაემზავროს და საკუთარი თვალთი იხილოს მსოფლიოში სახელგანთქმული ყველა უღამაზესი შადრევანი, რათა შემდგომ წარმოდგენილი საკონკურსო პროექტებიდან შეარჩიოს მისი შეხედულებით საუკეთესო – ბატონ პრეზიდენტს ეკუთვნის საბოლოო არჩევანის უფლება, მასზე გემოვნებიანი მთელ ქვეყანაში ვინ იქნება! – და მისი უმაღლესობის ნებითა და უშუალო ხელმძღვანელობით შედგეს საბოლოო პროექტი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქში ასაშენებელი მსოფლიოში ყველაზე უკეთესი შადრევანისა! შადრევანდიდისა! შადრევანთ შადრევანისა! შადრევანთ მეფისა!

ასევე, შედგა საზეიმო შეხვედრა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტისა შადრევანთ შადრევანის აგების ზოგადი, წინასწარი წინადადებების ავტორებთან. ამოწუნაწუნდა თბილი, მაღალფარდოვანი სიტყვების ფერადოვანი შადრევნები, მიძვნილი მომავალი გრანდიოზული შედევრისადმი. დასასრულ, გამოითქვა ურყევი იმედი, რომ მოგვიანებით, ბატონ პრეზიდენტის მოგზაურობიან დაბრუნების შემდგომ, ცალკე ჩატარებული პროექტთა კონკურსი ბრწყინვალე შედეგით დასრულდება...

დაადგინეს: მომავალ შადრევანდიდში აუცილებლად უნდა იყოს მრავალფეროვნება: წყალი აიჭრება მაღლა, ცისკენ, გაიტყორცნება გვერდით, ჭავლები ერთმანეთს გადაკვეთენ, ნაკადები გადმოედინება, ვითარცა ჩანჩქერნი, იხტუნაგებენ კასკადებად რამდენიმე დონეზე, გადმოსჩქეფენ ვეფხვის ხახიდან, ქალიშვილის დოქიდან, კლდის ნაპრალებიდან, მშვილდოსანის ისრის წვერიდან... აქა-იქ იქნება განლაგებული შადრევანთ მეფის მცველები (რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი იმავდროუ-

ლად დიდ-პატარა შადრევანსაც წარმოადგენს): ფრთოსანი ღომები, გველეშაპები, ზღვის ურჩხულები, დელფინები, იარაღსხმული რაინდები, ნიმფები ქილებით...

შადრევანთ მეფეში ჰარმონია და წონასწორობა უჭველად უნდა იყოს შეთავსებული დინამიკასა და მძაფრ მოძრაობასთან – ერთობლიობა ამოფრქვეული თუ წყნარად გაღმომდინარე წყლისა, სხვადასხვა უძრავი და მოძრავი, “ცოცხალი” ქანდაკებებისა...

და, რასაკვირველია, ყველგან: ოქროსფერი და თვით ოქროც, – ოქრო, რაც შეიძლება მეტი ოქრო! – მეტი დიდებულებისთვის, მეტი შთამბეჭდაობისთვის!.. შადრევანთ მეფე აირეკლავს მზეს და საკუთარი ბრწყინვალეობით გაეჯიბრება თვით მზის სხივმოსილებას!..

შორს წაგვიყვანს ყველა წარმოდგენილი წინადადების ჩამოთვლა; ზოგიერთი შემოთავაზება ფრიად უცნაური და ფანტაზიურიც გახლავს! მაგალითად, მზის სისტემის მოდელის ფორმის შადრევანი, თან – კარუსელის ფუნქციასაც რომ ითავსებს!

ტაშვანდურამ მისთვის ჩვეული გულისხმიერება გამოიჩინა, სათანადოდ დააფასა შეკრებილთა ერთუზიანობი და მონდომება, მათ დიდი პატივიც დასდო: წინადადებათა ავტორები სკამებიდან ერთმანეთის მიყოლებით წამოაყენა, თითქოს სკოლის წარჩინებული მოწაფეები იყვნენ, უზომო ქება-დიდებათ შეამკო, შემდეგ სცენაზე მიიწვია და დამსწრეთა ტაშის გრიალში პრეზიდენტის ჯილდო გადასცა!

ღიახ, არაგინ დარჩა დაუჯილდოებელი – ყველას მიენიჭა სხვადასხვა ხარისხის “შადრევანთ მეფის ორდენი”. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ტაშვანდურამ გულუხვობასთან ერთად საოცარი სიხარბე გამოავლინა და სურდა, ყოველი წინადადებიდან აეღოთ განსხვავებული რამ, რაც არცერთ სხვა პროექტში არ იყო და ის აუცილებლად შეეტანათ საბოლოო პროექტში, – მისი თქმით “გაემდიდრებინათ”; არას დაგიდევდათ, რამდენად შექმნიდა ჰარმონიულ ანსამბლს და შეესაბამებოდა საერთო გამომსახველობას ამგვარი უკიდურესი მექანიკური გაზრდა-გართულება...

ყველაზე დიდი ჯილდო კი საუკეთესო წინადადებისთვის სავსებით დამსახურებულად ერგო ყველთვის უცნობ ხანში შესულ პიროვნებას, ბატონ გიგლა ყვაფიფრჩხილაძეს!

ვინ იყო ეს საიდანდაც მოულოდნელად გამომტყვევრალი ბატონი გიგლა? ამას ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ.

ბოლოს კი საზეიმოდ გაჭრეს გიგანტური ტორტი – რა თქმა უნდა, შადრევანის ფორმისა! როგორ მოხერხდა ამგვარი საოცრების მოხდენა, ჩემთვის უცნობია, ის კი უცილობელია, რომ ფრიად უცნაურმა ტორტმა დაჭრამდე მდგრადობა შეინარჩუნა და არც მისი გემოს მიმართ გამოუთქვამს ვინმეს საყვედური... თუმცა, კარგი ბიჭი იყო ვინმე და გაბედავდა მის დაწინებებს!

ტაშვანდურამ ისროლა ფრთიანი მოწოდება-ლოზუნგი, რომელიც მოსახლეობის ფართე მასებმა მაშინვე დიდი ერთუზიანობით აიტაცეს: “შადრევანთ მეფის აშენება – საერთო-სახალხო საქმეა!”.

ტაშვანდურამ საქვეყნოდ გამოაცხო, – ბოდიში, გამოაცხადა, – შადრევანთმშენებლობის დიდი სახელმწიფო პროგრამის შექმნის შესახებ და შექმნა საგანგებო შადრევანთმშენებლობის სამინისტრო: ყველა ქალაქის თუ დაბის ყოველ მოედანზე სულ ცოტა ერთი შადრევანი მაინც უნდა ჩქეფდეს! ხოლო დედაქალაქის მთავარ – დიდი შადრევანის მოედანზე – შადრევანთ შადრევანი! შადრევანთ მეფე!.. აბა რავა! ჩვენ ისეთი ძლიერები გავდით, ისეთი არნახული ეკონომიკური წინსვლა გვაქვს, რომ შეგვიძლია მთელ ქვეყნიერებას დავანახოთ – რა მაგრები ვართ და კიდევ მეტის მიღწევაც შეგვიძლია! და მთელი მსოფლიოს დასანახად დაუყოვნებოვ ვიწყებთ შადრევანების მშენებლობის ამბიციური პროგრამის განხორციელებას მთელს აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში: წელს აშენდება 100 შადრევანი! მომავალ წელს – 200!! მესამე წელს – 300!!! აბა რავა!

ქონების წართმევის მინისტრს, მომხიბლავ ქალბატონ თამილა თავცეცხლაძეს დიდებული აზრი მოუმიწიფდა საკუთარ მშვენიერ გოგრაში (აღბათ ტაშვანდურას მიერ თამილას აღისფერ თმებზე აღერსიანად ხელის გადასმის წყალობაც იყო – აბა, წკიპურტს ხომ არ უთავაზებდა!): შემოვიღოთ ახალი გადასახადი – უფრო სწორედ, “შადრევანთ მეფის მშენებლობის ხელშეწყობის ნებაყოფილობითი ფონდი” დავაარსოთ! ღიახ, ამ ფონდში შენატანები ნებაყოფილობითი იქნება, მაგრამ... მაგრამ ყველა, ვისაც ასე თუ ისე ფული გააჩნია – მეწარმე, ბანკირი, ვაჭარი თუ სხვა, – გაფრთხილებული იქნება, რომ ჭკუა-გონებას მოუხმოს და ამ დიდად პატრიოტულ საქმეში საკუთარი ნებაყოფილობითი მცირე წვლილის შეტანაზე უარი არ თქვას, თორემ... ეს “თორემ” თუმცა თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ისე მრავალმნიშვნელოვნად იქნება ნათქვამი, რომ სიტყვის გაგრძელება აღარ დასჭირდება – მაგანი მშვენიერად მიხვდება, “ნებაყოფილობითი” გადასახადის გადახდაზე უარის თქმას რაც მოჰყვება, – მცირედის გაღების ნაცვლად, შეიძლება, ყველაფერი დაჰკარგოს...

უმოკლეს დროში დაარსდა კიდევ “არისტოტელე ბუქნაძის სახელობის შადრევანთ მეფის მშენებლობის ხელშეწყობის საზოგადოებრივი ნებაყოფილობითი ფონდი”, რომელიც შეივსებოდა ნებაყოფილობითი შენატანებით: მეწარმეთა, ვაჭართა, ბანკირთა და ა. შ., განსაკუთრებით კი – მოსახლეობის ფართო ფენებისა, რომელთა მიერ გადაებული თითოეული მცირე თანხა ჯამში გვარიან სახსრებს დააგროვებდა. ყველამ უნდა გაიღოს რამე, საშვილიშვილო საქმეს შეაწიოს,

შეაშველოს ხელი! ყველა მათგანის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ფონდში არსებულ საგანგებო “საპატიო ოქროს წიგნში”, რომელიც საუკუნეებში შემოუნახავს მომავალ თაობებს უანგარო მამულიშვილების ბრწყინვალე სახელებს!

ფონდის წარმომადგენლები დაპირდნენ მთელ ქვეყანაში და მუქარით აიძულებენ, “ნებაყოფლობით” შესწირონ ფონდს საკუთარი ფირმებიდან თუ საწარმოებიდან “ვისაც რამდენი შეუძლია” (ჯიბესქელებისთვის – არანაკლებ 10 000 ვერცხლისა!). ამ ფონდს ტაშვანდურას მიერ დანიშნული “სანდო” კაცი ჩაუდგა სათავეში, – პრეზიდენტის უმცროსი ძმა პლატონა ბუქნაძე! – რომელიც ანგარიშს მხოლოდ ბატონ პრეზიდენტს ჩააბარებს! ამ ფონდს არავინ გააკონტროლებს, მის სახსრებს ტაშვანდურა პირადად განკარგავს და ძირითადად მოახმარს საკუთარი მოგზაურობის დაფინანსებას – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელი და დიდება ხომ უნდა გაიტანოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში! ევროპის გარდა, უნდა მოინახულოს ირანიც, ინდოეთიც, უპირველესად – სახელგანთქმული თაჯ მაჰალი! ასევე – ბომბეის და ინდოეთის მრავალი სხვა ქალაქის მშენებელი შადრევნები! თუნდაც ბომბეში თურმე ძალიან ბევრი შადრევანია და მათ შორის ვერ იპოვი ორ ერთნაირს...

შემდგომ ატყდა ცილობა – ვის დანიშნავენ შადრევანთმშენებლობის მინისტრ-ვაზირად? დიდი ფული დატრიალდება – მსუქანი ლუკმაა!!! ამ საკითხის გადაწყვეტასაც დიდი იწილო-ბიწილო არ დასჭირვებია – ეჭვს გარეშეა, ბატონი პლატონ ბუქნაძე იდეალური მინისტრი იქნება!

ეკა ეკალბუჩქაძე, თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიისა “ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ!”, ასაბუთებდა შადრევანთ შადრევნის მშენებლობის არა მხოლოდ მიზანშეუწონლობას, არამედ დიდ დანაშაულადაც თვლიდა; საერთოდ მთელ ამ წამოწყებულ საქმეს სრულ უაზრობას, სისულელეს და სიბრიყვეს უწოდებდა: ქვეყანაში უამრავი უბინაოა, უამრავი გაჭირვებული, ლატიბ-ლატაკი და რა დროს უამრავი ფულის უაზროდ წყალში გადაყრას?! თუმცა, გასაგებია, რატომ წამოიწიეს ეს აბსურდული პროექტი – ამ საქმეში ჩაბმულნი თავიანთთვის ხეირს ნამდვილად ნახავენ... მას მხარს უჭერდა მეორე პარტიის “ხალხი ძალადობის წინააღმდეგ!” ლიდერი რატი რწყილაძე და მთელი ოპოზიციური სპექტრის სოლიდარობისკენ მოუწოდებდა, რათა ერთობლივი ძალებით წინ აღდგომოდნენ ხელისუფლების მხრივ ხალხის ინტერესების უგულვებელყოფის ხარჯზე საზოგადოებრიობისთვის თვალში ნაცრის შეყრის უგუნურ მცდელობას.

შადრევანდიდის აგების იდეის მოწინააღმდეგენი ტაშვანდურამ ტელევიზიით გამოსვლისას სასტიკად გააკრიტიკა, სააშკარაოზე გამოიტანა მათი ბნელი, ქვენა ზრახვები ხელისუფლების მზარდი ავტორიტეტის ხელყოფისა და ისინი ქვეყნისა და ხალხის მოღალატეებად, უფრო ზუსტად, კინობითად – “მოღალატეებად” მონათლა! და დაამატა:

– საბრალო ტვინდარძობ თუ ქვეყნის ავის მსურველ ჩვენს ოპონენტებს უნდა შევახსენო: ასეთი მსჯელობით რომ ეხელმძღვანელათ, მაშინ არ უნდა აეშენებინათ ეგვიპტის პირამიდები! არც – თაჯ მაჰალი! არც – მხატვრობა და მუსიკა უნდა არსებობდეს! გარდა ამისა, ჩვენი პროექტი მოიზიდავს უცხოეთის მსხვილ ინვესტიციებს, დაასაქმებს უამრავ ადამიანს! მთელი მსოფლიოდან მოაწყდებიან ტურისტები აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქს, შადრევანთქალაქს, ფულს ნიჩბით მოგხვეტავენ! აბა რავა! რაღად გვინდა სხვა რამ – მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სწავლა-განათლება – ამას ხომ ყველაფერს უზარმაზარი თანხები და დიდი დრო სჭირდება – ამის ფუფუნება ნამდვილად არ გვაქვს! ჩვენ გეჭირდება მხოლოდ კარგი აეროპორტები, კარგი გზები, კარგი რესტორნები, კარგი სასტუმროები, კარგი საროსკიპოები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსოფლიოში არსებული უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი მომსახურება მთელი მსოფლიოდან დასასვენებლად და გასართობად ჩვენთან ჩამობრძანებული ძვირფასი სტუმრებისა!

შადრევანთ მეფის მშენებლობის მოწინააღმდეგენი არ ცხრებოდნენ და ისევ და ისევ დაბეჯითებით ამტკიცებდნენ: მთელი ამ წამოწყების თავიდათავი ისაა, რომ, ჯერ ერთი, ტაშვანდურას სურს, ამ უაზრო გიგანტური შადრევნის წამომართვით საუკუნეებში დაიმკვიდროს სახელი, მეორეც – მავანთ შესაძლებლობა მიეცემათ კარგა ბლომად ფულის შოვნისა მშენებლობის უზომოდ გაბერძილი ხარჯთაღრიცხვითა და ხელფასების ყალბი უწყისების მეშვეობით. არც ის იყო უმნიშვნელო, რომ ხელისუფალთ არ შესწევთ უნარი ნაღდი საქმის კეთებისა ხალხისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და ამ უაზრო დიდი შადრევნის მშენებლობით უნდათ, შექმნან ილუზია ცხოველი მოღვაწეობისა...

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პარლამენტისა და მთავრობის წევრთა გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე სეფესიტყვით გამოვიდა ბატონი პრეზიდენტი და ცხვირის ნესტოში საჩვენებელი თითის, ვითარცა სამუშაო იარაღის, მეშვეობით არქეოლოგიური გათხრების წარმოებით, დაბეჯითებით განაცხადა:

– ამ ბოროტ და დვარძლიან ცილისმწამებელთა საპასუხოდ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დიახ, ყველას მამულიშვილური ვალია, მხარი დაუჭიროს ამ დიად წამოწყებას და საკუთარი წველილი შეიტანოს მის წარმატებით განხორციელებაში! ამ სრულიად უპასუხისმგებლო ოპოზიციის უკმაყოფილო ჭიჭყინისა და ცილისმწამებლური განცხადებების მიუხედავად, ჩვენ არჩეულ გზას არ გადავუხვევთ! შადრევანთ მეფის მშენებლობით აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის წინაშე უდიდესი პერსპექტივები გადაიშლება: ჩვენი შადრევანთმშენებლობის სკოლა

მთელს მსოფლიოში გაითქვამს სახელს, მისი გამოჩენილი წარმომადგენლები მოედებიან დედამიწის ყველა კუთხეს – ყველგან სასურველი სტუმრები იქნებიან, ყველგან ააშენებენ მშვენიერ შადრევნებს! და, როგორც გვირგვინი ჩვენი და მთელი კაცობრიობის წარმატებისა, ჩვენი შადრევანთმშენებლები საერთო ძალისხმევით აღმართავენ თანამედროვე ადამიანის გონისა და შესაძლებლობების გვირგვინს, უფრო სწორედ, ორ ხელთუქმნელ უზარმაზარ შადრევანს: ერთს – დედამიწის ჩრდილოეთ პოლუსზე, მეორეს – სამხრეთ პოლუსზე, ვითარცა სიმბოლოებს ჩვენი ქვეყნის სილამაზის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების, მოწინავე აზროვნებისა და გონიერების ძლევადასილებებისა! ეს იქნება აპოთეოზი! გასაყვეყნებელია!..

ტაშფანდურას ვერაგინ შეჰკადრა, რომ პრეზიდენტის პირადი მრჩეველისა და პირადი ასტროლოგის მუჟუჟა ბუბუბუაშვილის მიერ მოწონებული ეს აკვიატებული უცნაური იდეა უკვე არის სიმბოლო უწიგნურობისა და უგუნურებისა... პირიქით – ყველამ უზომო ქება-დიდება შეასხა!

ბარემ, რომ არ დამავიწყდეს, დაპირებულ ამბავს გაიმბობთ ზემოთ მოხსენიებულ გიგლა ყვა-ვიფრჩხილაძის შესახებ, რომელმაც, როგორც აღვნიშნე, მიიღო ყველაზე დიდი ჯილდო შადრევანთ მეფის პროექტის მიმართ ყველაზე საუკეთესო წინადადებისთვის.

ერთელ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მივიდა პატარა, კუზიანი კაცი ამოღლიაგებული უზარმაზარი საქაღალდეთი – მე გამომგონებული გიგლა ყვა-ვიფრჩხილაძე გახლავარო და მოითხოვა: ბატონ პრეზიდენტთან შემახვედრეთ, ძალიან მნიშვნელოვან მეცნიერულ საკითხზე უნდა ვესაუბრო.

– რა საკითხზე გასურთ საუბარი? – ჰკითა ადმინისტრაციის უფროსმა კოტიკო კატაბარდაძემ და სკეპტიკურად ახედ-დახედა; თან გაუკვირდა, ამ კრუხის პალომ ჩემამდე როგორ მოადწიაო.

– ამას მხოლოდ ბატონ პრეზიდენტს მოვახსენებ, თქვენ არ ჩანხართ საამისოდ მომზადებულები – აქ სხვა დონეა საჭირო! – ამაყად განაცხადა მოსულმა.

– ბატონი პრეზიდენტი ამჟამად ფრიად დაკავებულია შადრევანთ მეფის მშენებლობის გადაუდებელი საკითხებით და, სამწუხაროდ, ჯერ ვერ მიგიღებთ! გამოიარეთ ერთ თვეში!

– სწორედ დიდი შადრევანის შესახებ უნდა ვესაუბრო, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე, ბატონო ჩემო, და თუ დროზე ვერ შევხვდები მას, თქვენ, შესაძლოა, დიდ უსიამოვნებას გადაეყაროთ!

დიდანს ეღიჭინა გიგლა კოტიკო კატაბარდაძეს, მაგრამ ამაოდ – კოტიკოს რატომღაც თავიდანვე თვალში არ მოუვიდა ენთუზიასტი გამომგონებელი.

ბატონი გიგლა ყვა-ვიფრჩხილაძე “მიმწოლი” აღმოჩნდა, ყოველდღე დადიოდა – ვერაფრით მოიცილეს!

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე იძულებული გახდა, მოეხსენებინა ტაშფანდურასთვის:

– ბატონო პრეზიდენტო, ერთი სასაცილო ვიღაც დადის, მე რომ მკითხოთ, ყალთაბანდი უნდა იყოს და ცოტა შტერიც ჩანს; გინდა თუ არა, ბატონ პრეზიდენტთან შემახვედრეთ, შადრევანის მცოდნე გახლავართ და ისეთი იდეა მაქვს, მსოფლიოში გადატრიალებნას მოახდენსო! ძალიან სასაცილო ვიღაცაა! ჰი-ჰი-ჰი! სხვათა შორის, ერთი მუჭაა, აჩაჩულ-დაჩაჩული, კუზიანი და ცოტა კოჭლობს კიდევ – თქვენს პირად კარის მასხარადაც გამოდგება, ჰი-ჰი-ჰი!

– მომიყვანე, მეც გავიცინებ!

ბატონმა გიგლა ყვა-ვიფრჩხილაძემ მიაღწია საწადელს – შეხვდა ტაშფანდურას!

ტაშფანდურა თავიდანვე გააოგნა ბატონ გიგლას როგორც უშუალობამ, ასევე – შეუპოვრობამ:

– მე, ბატონო პრეზიდენტო, გიგლა ყვა-ვიფრჩხილაძე გახლავართ...

– ჰო-ო? – გაიკვირვასავით ტაშფანდურამ და მანამდე დიდის გატაცებით წარმოებული საქმიანობა, ცხვირის ნესტოში საჩვენებელი თითის ფრჩხილით რაღაცის ძებნა, დროებით შეაჩერა. – გიგლა... კარგი სახელი გქონია, ხომ იცი!.. გიგლა, გიგლა, გუგლა, გუგული! ჰი-ჰი-ჰი!.. გიგლა – გუგული! გუ-გუ-გუ! გიგლა, კვერციხი სად დადგე, ნეტავ რომელ ბუდეში?.. გიგლა – ბუდეში, დიდი ბოდიში! როგორ აძვერი ხეზე, გიგლა ბატონო? ალბათ კიბით, კი, კი, კი, ნამდვილად, კისკისით! ჰი-ჰი-ჰი!.. გიგლას კიბე, გიგლას კაბა! ჰო, კაბა მართლა მოგიხდება შენ, ხომ იცი! ნაღდი მასხარა იქნები! ჰი-ჰი-ჰი!.. რა კარგად გამამხიარულე, გიგლა ჩემო!.. ჰო, რაო, მომასხენე ერთი, რა მსოფლიოს გადასარევი იდეა გქონია, ვინძლო კიდევ გამაცინო, გიგოლიკო-კიკოლიკო, ჰი-ჰი-ჰი!..

– ბატონო პრეზიდენტო, დიახ, მე, თქვენმა უმორჩილესმა, დიდი ხნის მცდელობის შედეგად მივაგენი ფრიად ორიგინალურ და მნიშვნელოვან იდეას და, დარწმუნებული გახლავარ, სწორედ თქვენი შადრევანთ მეფის გენიოსური პროექტის განხორციელება მოუტანს მას სრულ გამარჯვებას!

– გისმენ, ჩემო ბატონო! შენ ადრე სად მუშაობდი? ცირკში? ჰი-ჰი-ჰი!.. ფრიად მომიწონე, ხომ იცი, და იქნებ ჩემს კარის მასხარად იმოდგაწო? მე, ხომ იცი, ყველაფერი მეხერხება: ცეკვაც ვიცი, სიმღერაც, კომპოზიტორიც ვარ და მხატვარიც, მაგრამ მოცლა არ მაქვს! ერთ საიდუმლოს გაგანდობ: ხუმრობა მიყვარს ნამეტნავად, აბა რავა!.. მასხარაც გადასარევი ვიქნებოდი, მაგრამ ვის გაუგია საკუთარი თავის მასხარა იყოს? ხომ მართალი ვარ?.. ჰი-ჰი-ჰი!.. დამთანხმდი, ნაღდად არ ინანებ, იცოდლე!..

– არა, ბატონო პრეზიდენტო, ცირკთან და მასხარაობასთან საქმე არასდროს მქონია, მე ჩემს ცოდნას, იდეებს, დროსა და ენერჯიას მხოლოდ მეცნიერულ მოღვაწეობას ვახმარ სრულად და მთლიანად... ჩვენი დედაქალაქის დემოკრატიის აყვავების მოედანზე რომ შადრევანია, იქ თუ გავივლიათ? – კითხვაზე კითხვით უპასუხა გიგლაძე.

– როგორ არა, ის შადრევანი ჩემი უზუნაესი ნებით აშენდა, მრავალი სხვაც, მისი გახსნისას მაგარი სიტყვა წარმოვთქვი და საკუთარი ხელით გაგვყერი წითელი ბაფთაც; ახლა კი ბევრად დიდსა და მშვენიერ შადრევანთ მეფეს ავაგებთ ქალაქის მთავარ მოედანზე – დიდი შადრევნის მოედანზე! აბა რაგა! – უპასუხა ტაშფანდურამ.

– მაშ, იმასაც შეამჩნევდით, იქ რომ ცისარტყელა წარმოიშობა?

– მერე, რა მოხდა ისეთი, ყველას შეგვიმჩნევია.

– ბატონო პრეზიდენტო, ამ მოვლენასთან დაკავშირებით დამებადა აზრები, რომელიც მხოლოდ გამოჩენილ მეცნიერს შემიძლია გაუზიარო. ასეთ მოაზროვნედ თქვენ მიმანინხართ!

– გისმენ, ყურადღებით გისმენ! – დროს უქმად არ ჰკარგავდა და თან ცხვირში გემრიელად იჩიქნებოდა ტაშფანდურა.

– ბატონო პრეზიდენტო, მოგესხენებათ, ფიზიკის კანონების თანახმად, შადრევნებს გააჩნიათ წყლის ვარდნის კინეტიკური ენერჯია; ეს ენერჯია დღემდე სრულიად გამოუყენებელია და ფუჭად იკარგება. მე გთავაზობთ, შადრევნების ენერჯია გამოვიყენოთ ელექტროენერჯიის მისაღებად! განსაკუთრებით შადრევანთ მეფე დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგეტიკული კრიზისის საბოლოო გადაწყვეტაში!

– მართლაც საინტერესო მოსაზრებაა, გიგოლიკო-კიკოლიკო! მიკვირს, ხომ იცი, ასეთი იდეა ჯერ არავის დაბადებია! ყოჩაღ, გიგლა-მიგლა! ახლავე მოვუხმობ მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტს ქუცუნა ქარაქუცაშვილს და დაავალებ საგანგებო კომისიის შექმნასა და შენი წინადადების საფუძვლიანად შესწავლას! – კიდევ უფრო კარგ გუნება-განწყობილებაზე დადგა მისი უმაღლესობა და მეტი გულმოდგინებით განაგრძო ნესტოში გემრიელად საქმიანობა.

– მადლობას მოგახსენებ, გუგულიკა-მუგულიკა, მეცნიერების განვითარებაში შეტანილი ძვირფასი წვლილისთვის და იმედი მაქვს, სხვა საინტერესო აზრებსაც გაგვიზიარებ! გასაყვეყნებელია!..

– დიახ, ბატონო პრეზიდენტო, არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე იდეაც მაქვს, უფრო სწორედ, გამოგონება! ოღონდ, ბატონო პრეზიდენტო, ამ გამოგონებას მხოლოდ თქვენ გაგაცნობთ, რადგან მისი სხვის ხელში მოხვედრა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ფრიად საშიშია და, რასაკვირველია, თქვენთვისაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია! სახელმწიფო მნიშვნელობის გამოგონება!

– გისმენ, ჩემო ბატონო! უფრო და უფრო მომწონხარ, გუგული-მუგული, ხომ იცი! ჰი-ჰი-ჰი!..

– ბატონო პრეზიდენტო, მე გამოვიგონე ჯადოსნური აბი, უფრო სწორედ, მთელი წყება ამგვარი აბებისა: სიმართლის თქმისა, სიმამაცისა, მოსაზრებულობისა, მამაკაცური ძალისა, მხიარულებისა, ტირილ-ვაებისა...

– ეგ რაღაში უნდა გამოიყენოს კაცმა? – გაუკვირდა ტაშფანდურას და ცხვირის ნესტოში ფრიად ენერჯიული საქმიანობაც კი შეწყვიტა.

– თქვენ არაფერში დაგჭირდებათ, მაგრამ მე, მაგალითად, წინდაწინ ტირილის აბი გადაყვალაპე აქ მოსახვედრად და, როგორც ხედავთ თქვენი ბედნიერი თვალებით, წარმატებასაც მივალწიე – თავი იმდენად შევაცოდე ყველას, რომ თქვენამდე მოვალწიე!

– ყოჩაღ შენ! გიგლა ბატონო, ისეთი აბი თუ გაქვს, მარად ახალგაზრდა რომ ვიყო?

– დიახ, ბატონო პრეზიდენტო, თუ მომცემთ ერთი თვის ვადას და სხვადასხვა რეაქტივებისა და მოწყობილობისთვის 20 000 ვერცხლს, შევეცდები, თქვენი სურვილი ავასრულო, მაგრამ...

– არავითარი მაგრამ! – და ბატონმა ტაშფანდურამ ბატონ გიგლას ხუმრობით მარჯვენა ხელით მეგობრული წკიპურტი უთავაზა კინკრიხოში (მარცხენას არ ეცალა: იმით ისევე ცხვირში იჩიქნებოდა), – ავოე!.. ჰი-ჰი-ჰი!.. გიგლუკა-გიგოლა, მინდა შენი მასხრად ყოლა!

– დიახ, ბატონო პრეზიდენტო, – გიგლა ყვავირჩხილაძემ სახზე დამანჭა და ტაშფანდურას მიერ ყურადღებამიქცეული ადგილის თითებით დახელებას შეუდგა, – ამჟამად, პირველ ეტაპზე, შემიძლია მხოლოდ ორასი წლით ახალგაზრდობის შენარჩუნების გარანტია მოგცეთ, შემდგომ კი დიდი სამუშაო იქნება ჩასატარებელი, მრავალი ცდა, უძილოდ გატარებული დამეები... ცხადია, ამას, დაბაბული შრომის გარდა, საკმაო თანხაც დასჭირდება... მთელი ქვეყნის მთა-ბარი უნდა მოვიარო მიყრუებულ, ჯერ კიდევ დაუბინძურებულ მყუდრო ადგილებში საჭირო ბალახების მოსაძიებლად... თქვენო უმაღლესობავ, ეკოლოგიურად სუფთა აბების დასამზადებლად მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ მასალებს გამოვიყენებ და, ცხადია, უსაფრთხოების სრულ დაცვას გპირდებით!

– ვაჰ, როგორ გამახარე! ახლავე ქონების წართმევის მინისტრს თამილა თავცეცხლაძეს გამოვიძახებ და ოც ათას ვერცხლს დაუყონებლივ მიიღებ! – წამოიძახა ტაშფანდურამ; ამჯერად ბატონ გიგლას კინკრიხოს მორიგი წკიპურტით დაჯილდოვება აღარ უცდია, ნესტოდან თითი გამოიღო, ჩაფიქრდა და დაამატა: – ჰო, საჩქაროდ დამჭირდება სიმართლის თქმის აბები! რაც მეტი – მით უკეთესი!.. გასაყვეყნებელია!.. – გუნებაში კი იფიქრა: “სხვის შესახებ სიმართლის ცოდნა

უძლიერესი იარაღია! კი არის დაყენებული ყოველ ფეხის ნაბიჯზე სათვალთვალ კამერები, ყოველი სატელეფონო საუბარიც ისმინება, მაგრამ ამგვარი აბი ყველაფერს აჯობებს!”.

“წუწურაქი!.. თითო ნაჩუქარ წელიწადში მხოლოდ ასი ვერცხლი გაიმეტა!” – ტაშვანდურას მისამართით გაიფიქრა გიგლამ, ხმამაღლა კი ჰკითხა:

– ბატონო პრეზიდენტო, მამაკაცური ძალის მომატების აბი ხომ არ გნებავთ? უებარი წამალია!

– გიგლა-გიგლა ბატონო, სამაგისო რა შემატყვე? ჯერჯერობით ტახივითა ვარ! ჰი-ჰი-ჰი..

– თქვენო უმაღლესობავ, ნუ გეწყინებათ და ნუთუ არც მოსახრებულობისა ან სიმამაცის აბი არ გნებავთ? ან მხიარულებისა?

– დამცინი თუ რაშია საქმე? – გაბრაზდასავით ტაშვანდურა; ტანმორჩილ, წელში მოხრილ გიგლას ზემოდან დასცქეროდა, უცებ გემრიელი წკიპურტი უთავაზა კინკრიხოში და ჩაიქირქილა: – ჰი-ჰი-ჰი, საზამთრო ჯერ არ დამწიფებულა, გასაყეყეებელია! გიგოლიკო-კიკოლიკო, მოსახრებულობის აბი შენ თვითონ გჭირდება, ჭირიმე!

იმავ დღეს ტაშვანდურამ სასწრაფოდ მოიწვია პრეს-კონფერენცია და მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების წინაშე განაცხადა:

– ქალბატონებო და ბატონებო, უნდა მოგახსენოთ არაჩვეულებრივი სასიხარულო ამბავი! ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ერთი მოხუცი კაცის პროექტმა: აი, ჩემთან მოვიდა ეს რიგითი მოქალაქე, ღრმად პატივცემული ბატონი გიგლა ყორნისფრჩხილაშვილი...

– ყვაფიფრჩხილაძე, თქვენო უმაღლესობავ... – მორიდებით შეუსწორა ბატონმა გიგლამ.

– ყვაფიფრჩხილაძე თუ ბებრიკონკაძე, არ აქვს მნიშვნელობა... ჰოდა, მთავარია, რომ ეს გიგლა ბატონი აღფრთოვანებულია ახალი, დიდი და დიდებული შადრევნის მშენებლობის იდეით და თავის მოქალაქეობრივ ვალად მიიჩნია, საკუთარი წველილი შეიტანოს ამ საერთო-სახალხო საქმეში, როგორც ქვეყნის მხურვალე გულშემატკივარმა მამულიშვილმა! აი, ასეთი უნდა იყოს ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქის პოზიცია! ჩვენი ამოცანაა: დავინახოთ ჩვენს არაკეთილისმსურველებს, როგორი შეგნებული ხალხი გვყავს, როგორი ერთიანია ხალხი და პარტია “მხოლოდ ხალხის ინტერესებისთვის”!.. ძალა ერთობაშია – ჩვენ ვერავინ გვაჯობებს, ვერავინ დაგვამარცხებს! ამ მოქალაქემ, – მობრძანდი, გენაცვალე, ჩემო გიგლა ბატონო, დადექი აქ ჩემს გვერდით, რომ მთელმა ქვეყანამ დაგინახოს ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილი! – დიახ, ბატონმა გიგლა ყორნისფრჩხილაძემ წარმოადგინა შესანიშნავი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი დიდი შადრევნის კინეტიკური ენერჯის გამოყენებას ელექტროენერჯის მისაღებად – რომ ის ფუჭად არ დაიკარგოს! ეს გახლავთ ნამდვილი გადატრიალება მსოფლიო მეცნიერებისა და ენერჯეტიკის ისტორიაში! სამაგალითოა და ფასდაუდებელი ბატონ გიგლას პატრიოტული შემართება და მის მიერ შადრევანთ მეფის პროექტის დახვეწა-გაუმჯობესებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის ვაჯილდოვებ I ხარისხის “ბრწყინვალე შადრევნის ორდენით”, რომელიც ეს-ეს არის ჩემი უმაღლესი ბრძანებულებით დავადგინე... ბოდიში, მკარნახობენ, ჰო, “შადრევანთ მეფის ორდენი” რქმევია... დიახ, ეს ორდენი ამიერიდან მიენიჭება აყვაგებული და ბედნიერი საჩაღეთის მოქალაქეებს – სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის და შადრევანთ მეფის პროექტის განხორციელებაში გაწეული გამორჩეული წვლილისთვის! ბატონი გიგლა პირველი კავალერია ამ ორდენისა, მთელი სულითა და გულით ვულოცავ ამ ღირსეულ ჯილდოს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებსა და ბედნიერებას! გარდა ამისა, მას გადაეცემა გარკვეული ფულადი თანხა, როგორც უკვე გაწეული უდიდესი ღვაწლისთვის, ასევე – მომავალი ცდების ჩასატარებლად. როგორც ბატონ გიგლას გამომანგარიშებით ჩანს, შადრევნების ენერჯის გამოყენებას დიდი პერსპექტივები გააჩნია და ალბათ მათ შორის მომავალში შადრევანთ მეფის მიერ გამოშუშავებული ენერჯის რაოდენობაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება! ეს იაფი ელექტროენერჯია, აყვაგებული და ბედნიერი საჩაღეთის სახალხო მეურნეობაში ფართედ გამოყენების გარდა, საექსპორტოდაც გადაიცემა საზღვარგარეთის ქვეყნებში – ვალუტას ნიჩბით მოვხვეტავთ! გასაყეყეებელია!.. ბატონო გიგლა, ერთხელ კიდევ სულითა და გულით გილოცავ დღევანდელ მაღალ ჯილდოს და გისურვებ დღეგრძელობასა და მომავალ გამარჯვებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ბატონმა პრეზიდენტმა საკუთარი ხელით ინება გიგლა ყვაფიფრჩხილაძის პიჯაკის ლაცკანზე I ხარისხის “შადრევანთ მეფის ორდენის” მიბმა (წინდაწინ ბატონ გიგლას ტაშვანდურას პირადმა მკერავმა სასწრაფოდ ახალი შარვალ-პიჯაკი შეუკერა, პირადმა მეწადემ – ახალთახალი ჩექმები!). გიგლა მოელოდა, რომ მისკენ დახრილი ბატონი პრეზიდენტი არ დაახანებდა და ჩვეულებისამებრ კინკრიხოში მეგობრული წკიპურტითაც დააჯილდოვებდა, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. სამაგიეროდ, იქვე საზეიმოდ მიართვეს ოცი ათასი ვერცხლის ჩეკიც და ფრიალკმაყოფილი გაისტუმრეს...

ამ ფრიალ სასიამოვნო ამბის შემდეგ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ბატონ კოტიკო კატაბარდაძის ფრიალ გასახარად, ბატონი გიგლა ყვაფიფრჩხილაძე დაიკარგა! უკვალოდ გაქრა! გაუჩინარდა! არადა, ბატონი კოტიკო ნეტა რას ერჩოდა ბატონ გიგლას: წინათ თუ ბატონი პრეზიდენტი წკიპურტის კინკრიხოზე გაკვრაში ბატონ კოტიკოს თავზე ვარჯიშობდა, ერთი ხანი-

ა, ამ ვარჯიშმა დისლოკაციის ადგილი შეიცვალა – ბატონ გიგლას თავისკენ გადამისამართდა. არც არის გასაკვირი: ტაშფანდურას ერთფეროვნება სწყინდება ხოლმე, ხომ იცი!

საინტერესოა, ტაშფანდურამ რატომ არ ჰკითხა ბატონ გიგლას (თუ მართლა გიგლა ჰქვიოდა სტუმარს): “თქვენ კუზის გასწორების აბუ თუ გაქვთ გამოგონებული?”; ისიც საეჭვო იყო, ის კუზიც ხელოვნური ხომ არ იყო?! ფრიად, ფრიად საეჭვო პიროვნება ჩანს, გიგლა ყორნიფხაძეა თუ ყვაფიფრჩხილაძე – მასზე სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს დაწვრილებითი ცნობები!

ცოტა ხანში საშიშროების მინისტრმა ბარნაბა ბარბაცაძემ ტაშფანდურას მოახსენა, რომ, ფრიად წარმატებით გაწეული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად, ბატონ გიგლა ყვაფიფრჩხილაძის ადგილსამყოფელი აღმოაჩინეს, ძეხნილი დააკავეს მის საკუთარ ბინაში და საკადრისად დასჯასაც უპირებენ... მაგრამ ბატონმა ტაშფანდურამ დაპატიმრებულის სასწრაფოდ სასახლეში მოყვანა ბრძანა, თან გაწეული ბრწყინვალე სამსახურისთვის საშიშროების მინისტრი ბარნაბა ბარბაცაძე მაშინვე დააჯილდოვა III ხარისხის “შადრევანთ მეფის ორდენით”! მართალია, მაღალი ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალი დაგვირგვინდა მინისტრის თავზე კინკრიხოს არეში ტაშფანდურას მხრივ წკიპურტის მოხდენილი განაგარდებით... ეჭვი ხომ არ გეპარებათ: ყოველმხრივ და ყველაფერში ფრიად ნიჭიერი კაცია არისტოტელე ბუქნაძე და ამ საქმეშიც დაოსტატებულია, აბა რაგა!..

ყოველგვარი მოულოდნელობის თუ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ბატონმა პრეზიდენტმა გიგლა ყვაფიფრჩხილაძეს უბრძანა, ამიერიდან სასახლის კედლებს ერთი ნაბიჯითაც არ გასცილებოდა, ბაღშიც კი არ გასულიყო სასეირნოდ თუ დასასვენებლად და ცდები საკუთრივ პრეზიდენტის სასახლეში, ამისთვის საგანგებოდ გამოყოფილ და სათანადოდ აღჭურვილ ლაბორატორიაში ჩაეტარებინა. გარდა ამისა, ტაშფანდურამ ბატონ გიგლა ყვაფიფრჩხილაძეს სხვა წყალობაც არ მოაკლო და უზენაესი ბრძანებულებით პირად მდივნად და, იმავდროულად, პირად მასხარადაც დანიშნა. ამჯერად ბატონ გიგლას ბოძებულ მაღალ და პატივსაცემ თანამდებობებზე უარის თქმა კი არა, ამის გაფიქრებაც კი არ გაუბედავს... მაგრამ ბატონ პრეზიდენტის რისხვას მაინც ვერ ასცდა.

– უარი არ გამაგონო! – ტაშფანდურამ თვალები დაუბრიალა რამდენიმე ახალი თანამდებობის ბოძებით გაოგნებულ გიგლას, რასაც თან დაერთო ახალი მასხარის კინკრიხოს მიდამოს წკიპურტით ემხიანი დაგემოვნებაც. – აგოე!.. გიგლა გქვია ხომ შენ? გიგლა, გოგლა, გოგლიმოგლი!.. ჰი-ჰი-ჰი!.. აღარ გაბედო, გოგლიკო, გოგლა, თავისუფალი გაგლა-გამოგლა!.. ჰი-ჰი-ჰი!.. ხომ მაგარი ვარ? აბა რაგა!.. თუ ერთგულად მემსახურები, ჩემი პრეზიდენტობის მეათე ან, უკიდურეს შემთხვევაში – მეორემეტე, ვადის ამოწურვის შემდეგ ცირკში მოგაწყო მასხარად! სიტყვის კაცი ვარ, აბა რაგა! ხომ გიყვარს ცირკი? იქ ნახერხიან ასპარეზზე გაიგლი-გამოიგლი შენს გემოზე, გიხდება, ხომ იცი! ხანდახან გადაკოტრიალდები კიდევც, თუ ძალიან გაგიხარდება, გიგლა-ბიბილა, ჰი-ჰი-ჰი!..

– და თქვენ კი, თუ ასეთ წყალობას მიბოძებთ, ალბათ ცირკის დირექტორი იქნებით! – უპასუხა გიგლამ და ცხადად აჩვენა, მართლაც ღირსი იყო, მასხარის სახელო რომ მიართევს.

მაგრამ სწორედ ახალი ტაკიმასხარის ხუმრობა რატომღაც ფრიად არ მოეწონა ტაშფანდურას:

– უყურე შენ!.. გასაყეყეებელია!.. ხუმრობას თავხედობაში ნუ აურევ, თორემ სახუმაროდ არ გექნება საქმე! – დაუბრიალა თვალები და კიდევ უფრო მოკაკულ ახალგამომცხვარ მასხარას კინკრიხოში კვლავ მარჯვედ გაჰკრა წკიპურტი: – გიგლა, გოგლა, გიგლას გოგრა! ჰი-ჰი-ჰი!.. გიგლიკო, კიკოლიკო, გიგოლიკოს კინკრიხო!.. ხომ მაგარი ლექსები გამომდის, ჰი-ჰი-ჰი!.. ამჯერად ჯილდოდ ეს იკმარე და სხვა დროს უფრო ფრთხილად იყავი, ჭირიმე!

ამიერიდან გიგლა ყვაფიფრჩხილაძეს გვერდს ყოველთვის ორი ზორბა მცველი უმშვენებდა, რათა, ერთის მხრივ, დიდი მეცნიერი ვინმეს არ მოეტაცნა და ამით აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ეროვნული უშიშროებისთვის აუნაზღაურებელი ზიანი არ მიეყენებინა და მეორეს მხრივ – თვით დიდ ავანტიურისტს არ გასჩენოდა მკრეხელური და დანაშაულებრივი სურვილი, კვლავ გაპარულიყო... რა იცი, ტაკიმასხარას, თანაც დიდ მეცნიერს, იდეებით გაჯერებულ გოგრაში როდის რა მოუვლის! განსაკუთრებით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს გოგრა ერთგვარ ფრიად წარმატებულ სავარჯიშო ობიექტად იყო გადაქცეული ტაშფანდურასთვის – რამდენი წკიპურტი ხვდებოდა დღეში, არავის დაუთვლია; ალბათ ბევრად მეტი, ვიდრე შიგ ბრწყინვალე იდეები მწიფდებოდა...

ბატონ გიგლას დიდი დავთარი ეჭირა ხელში, სულ კუდში დასდევდა ბატონ პრეზიდენტს და მის ბრძნულ განკარგულებებს იწერდა; შიგადაშიგ არისტოტელე ბუქნაძის მხრივ ხუმრობით კვანტის დადება და გემრიელად გადაკოტრიალებაც უნდა აეტანა ან კინკრიხოში მეგობრულად წკიპურტის გაკერის შემდგომ მეუფის კითხვაზე, ნესვი თუ დამწიფდაო, მოკრძალებით შესაბამისი პასუხი მოეხსენებინა: როცა თქვენს უმაღლესობას ენებება, მაშინ მოხდება ეგ სასიხარულო ამბავიო...

კარი VII. სახელი და დიდება შენ, ტაშფანდურავ ნათელმოსილო!

საოცარი სწრაფი ზრდა ფასებისა თითქმის ყველაფერზე, განსაკუთრებით კი – პირველი მოხმარების საგნებზე და სურსათზე, თითქოს არ იყო საკმარისი და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის ბრძნული მითითებით და მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა სახეობის ტრანსპორტით მომსახურებისა და ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდების ფასები ერთბაშად გაორმაგდა. სახელმწიფო ქონების ჩაღის ფასად გაყიდვის, ქვეყნის ეკონომიკური დაქვევებისა და ხალხის საზღვარგარეთ მასობრივი გაქცევის მინისტრმა, მომხიბლავმა თამილა თავცეცხლაძემ (გაგახსენებთ: ადრე სტიუარდ ქალად მუშაობდა და თვითმფრინავით ერთ-ერთი მგზავრობისას ბატონ ტაშფანდურას ფრიად მოეწონა ეს ალისფერთმიანი, თეთრყირმიზი ქალიშვილი! მერე სილამაზის კონკურსშიც გაიმარჯვა!) სატელევიზიო გამოსვლაში, ჩვეული პროფესიული დიმილით დამშვენებული სახით, გამოაცხადა: “მოსახლეობის უკეთ მომსახურებისა და ტარიფების ოპტიმიზაციის მიზნით...” და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მოსახლეობას წარმატება უსურვა, ფერად-ფერადი ოცნებების მაღალი სფეროდან უხეში რეალობის მიწაზე რბილად და უმტკივნეულოდ დაშვებაში – ყოველი დიადი საქმე – და, ცხადია, შადრევანთ მეფის აშენებაც – მსხვერპლს მოითხოვს!

ტაშფანდურამ კი მმართველი პარტიის “მხოლოდ ხალხის ინტერესებისთვის!” საზეიმო სხდომაზე აქტივისტთა წინაშე გამოსვლისას, რომელიც, რა თქმა უნდა, რადიო-ტელევიზიით პირდაპირ გადაეცემოდა ეთერში, არწმუნებდა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მოსახლეობასა და მთელ მსოფლიოს (ამასთანავე, როგორც ჩვეოდა, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ცხვირის ნესტოში საგულდაგულოდ რაღაცას ეძებდა, მარჯვენა წინ გაწვდილ ხელს კი დამაჯერებლად ასავსავებდა ჰაერში):

– საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ჩვენმა საყვარელმა ქვეყანამ ჩვენი სახელოვანი, ბრძოლებსა და ჭიდილში გამობრძმედილი პარტიისა და მშობლიური მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით არნახულ წინსვლასა და აღმაველობას მიაღწია უკლებლივ ყველა სფეროში! საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების ერთსულოვანი აღიარებით, ცხოვრების მაღალი დონითა და დემოკრატიული ინსტიტუტების საყოველთაო წარმატებული დაწერგვით გაგუთანაბრდით და გაგუსწარით კიდევ მოწინავე ცივილიზებულ ერებს, მეტიც – გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელ მსოფლიოში ყველაზე აყვავებული და ბედნიერი ქვეყანა ვართ, და, აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, – ყველაზე მხიარულიც! ამას ვერაფერ უარყოფს, ამას წყალი არ გაუფა! ამიტომ უბრინია, გამოვაცხადოთ წელიწადში სულ ცოტა ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე – სიცილის კვირა!.. აბა რავა!.. ჩვენი ამოცანაა: ვიცინოთ და ვიმხიარულოთ, სულ ხალისიან გუნება-განწყობილებაზე ვიყოთ, ამას რა სჯობს! იგივეს გვიქადაგებენ ექიმებიც, ფსიქოლოგებიც! ჩვენ დიდი წარმატებით ჩავატარეთ აქცია ცენტრალური მაგისტრალების გასწვრივ სახლთა ფასადების სახალისო ფერებით შეღებვისა; მათ მაჟორულ ფერადონებას არ შეეფერება და არაფერ დაგინახო დაჯღანულ-მოჟამული სიფათით!.. არც – შინ და არც, განსაკუთრებით, – გარეთ! გასაყვეყნებელია!.. ამგვარი რამ სრულებით არ შეეფერება აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის საერთაშორისო სახელსა და დიდებას! ჩვენ ამით არ დაგკმაყოფილდებით და შემდეგ წელს უკვე სიცილის დეკადას ჩავატარებთ, იმის იქით კი – სიცილისა და მხიარულების თვეს! ეჭვიც არ მეპარება, რომ შემდგომაც მტიცდვ და განუხრელად გაგავრძელებთ ამ გზით წარმატებულ სვლას და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მოსახლეობა მომავალში დიდი სიხარულით შეხვდება სიცილის წელიწადის გამოცხადებასაც! აბა რავა!.. ჩვენი მტრების გულის გასახეთქად არ გვაქვს სამხიარულოდ საქმე თუ? გასაყვეყნებელია!..

ხელისუფლების დამსახურებისადმი უმაღური და კეთილგონიერებისადმი ყრუ მოსახლეობა, განსაკუთრებით – სტუდენტები, უმუშევრები და პენსიონერები, შეიკრიბნენ მთავრობის სასახლესთან პროტესტის გამოსათქმელად. რა თქმა უნდა, მთავრობის წევრთაგან მათთან არაფერ გამოსულა პრეტენზიებზე პასუხის გასაცემად, სამაგიეროდ... საგანგებო დანიშნულების ნიღბიანი რაზმელები უფრო ყურადღებიანნი და დიდად გულისხმიერნი გამოდგნენ – ფიცხლად მოვარდნენ დაჯაგშნული მანქანებით, ასევე – წყლის სატყორცნი დანადგარებით აღჭურვილი საგანგებო მანქანებით და წარმატებით დაიწყეს შეკრებილთა უგუნური თავებიდან მკრეხელური აზრების საფუძვლიანი გამობერტყვა წყლის მაღალი წნევით გამოტყორცნილი ჭაფლები მეშვეობით, ხოლო განსაკუთრებით მაგართავიანთა მიმართ – რეზინის ხელკეტებითაც! აბა რავა!.. რამდენიმე ათეული გამორჩეულად მყვირალა და კაპასი დაუმორჩილებელი, მყვირალა მოქალაქე მანქანებში მუჯღუგუნებით ჩატენეს, შემდგომ ქალაქგარეთ გაასეირნეს სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ და უდაბურ ადგილას დატოვეს: როგორც მშვენიერ ამინდში თვალწარმტაცი ხედებით სასიამოვნო ჭვრეტისათვის, ასევე – სუფთა ჰაერის სუნთქვით საამოდ დასატკობობად... ამ ჰუმანური აქციით ფრიად კმაყოფილები დარჩნენ უმუშევრები და პენსიონერები: როდის-როდის, მიეცათ საშუალება, ქალაქგარეთ მოხვედრილიყვნენ და ბუნების წიაღში გუნებისად გემოზე დაესვენათ ამა სოფლის აბეზარი მტიკენეული კითხვებისგან!

დაიწყო ტაშფანდურას რეჟიმის მოწინააღმდეგეთა თავგაცების დაპატიმრება და სისხლის სამართლებლივი დევნა. ამრევთა შორის უპირველესად დაიჭირეს პარტიის “ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ” თავმჯდომარე ეკა ეკალბუჩქაძე, ხოლო “ხალხი ძალადობის წინააღმდეგ!” პარტიის ლიდერი რატი რწყვილაძე ვერ მოიხელთეს – ხელიდან დაუსხლტათ.

ოპოზიციონერთა დევნა-შევიწროების მიუხედავად, ხალხმრავალი საპროტესტო გამოსვლები მაინც გაგრძელდა; აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის შადრევნიანი მოედნები და ქუჩები კი მოიფინა უამრავი ფურცლით, რომლებზედაც, ბატონ პრეზიდენტის გასახარად, წითელი საღებავით დაბეჭდილი გახლდათ შემდეგი:

“ქებათა ქება
უბრწყინვალესსა და უკეთილშობილესს,
აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს,
ტაშფანდურა ბუქნაძეს!!!

მძლეთა მძლეთ!

დიდება შენ, მზეთა მზეო, უბრწყინვალესო გმირთა გმირო, უშიშარო და უძლეველო, უდრეკელო დიდო შადრევანთმშენებელო! ძლევა მოსილო, სამართლიანო და დიდსულოვანო მიმტკეპელო!

ღირსეულო მამულიშვილო, გამახარელო და დამატკობელო ყოვლად აყვავებული და დიდად ბედნიერი საჩაღეთისა! მნათობო დიდებულო, ლომგულო, უწესრიგობის მტკიცე ხელით აღმკვეთელო, მოჯანყეთა რისხევა! მტერთა გამანადგურებელო, ხალხის არნახულად გამახარელო, მიზანსწრაფულო ღირსეულო მამულიშვილო!

ვერ აიტანა რა არნახული უსამართლობა და უმადურობა, აბორგადა შენი შეურაცხყოფილი, მადლმოსილი, მართალი სული, სულმნათო, და, სრულიად სამართლიანად, დაუნდობლად დაერიე მყრალპირისან მოღრიალე ავაზაკთა ბრბოს, ვითომ – დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების მომხრეთ, რომელნიც უტიფრად გაჰყვიროდნენ მტკნარ სიცრუეს ვითომდა ბატონ პრეზიდენტის ავტორიტარულ სტილზე ქვეყნის ხელმძღვანელობისა, ხელისუფლების მხრივ უსამართლობასა, ძალადობასა და სისასტიკეზე, არნახულ სიყალბეს ახვევდნენ თავს მოსახლეობას და ეს ფარისევლები თავხედურად მოითხოვდნენ ადამიანთა უფლებების დაცვას, სიტყვის თავისუფლებასა და კანონიერების დაცვას! დიახ, განა შეურაცხყოფილი არ არის ყოველი სადად მოაზროვნე, მიუკერძოებელი მოქალაქისთვის ამ გაი-დემოკრატების მოთხოვნა, რომ შეწყვეტილიყო ოპოზიციურად განწყობილ პირთათა დარბევა-დაპატიმრება, “კუდიანებზე ნადირობა”, ქვეყნის “მტრების” ძებნა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ!

როცა შენს წინააღმდეგ ვილაც ნაძირალები გამოხტებიან და გაბრალებენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, ავტოკრატიულ მმართველობას და უსინდისოდ ამტკიცებენ, რომ უკიდურესი ეგოცენტრიკოსი ბატონი ტაშფანდურა არა მარტო შეუფერებელი პრეზიდენტია საჩაღეთისთვის, არამედ მისი პირველ პირად ყოფნა შეურაცხმყოფელიც არის დემოკრატიული ქვეყნისთვის, უპრიაია, რომ დიახაც, ამ აღვირახსნილ ცილისმწამებლებს და აშკარა პროვოკატორებს ღირსეულად უნდა გაუსწორდე – წყლის მფრქვეველებით, ხელკეტებით, რეზინის ტყვიებითა და ცრემლსადენი გაზით! აბა რავა!..

ვაშა!.. შენი სახელი მარადჟამ იცოცხლებს დარბეული და შეურაცხყოფილი ადამიანების გულში ვითარცა კეთილშობილი რაინდისა, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა შეწყვეტილიყო თავგასულობა და სისასტიკე, აღკვეთა სახელმწიფო გადატრიალების დანაშაულებრივი მცდელობა, გადაარჩინა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთი ძალადობისა და ქაოსის დიდ ხიფათს და დიახაც საკადრისი უზღო ქვეყნისა და ხალხის მოლაღატეებს!

ყველაფერში მაგარი ხარ!.. აბა რავა!..

კიდევ და კიდევ: ვაშა და დიდება შენ, დემაგოგიის ჭეშმარიტ გენიოსო, მოძალადე და მოლაქლაქე, გიგანტომანიით შეპყრობილო ბატონო “გასაყვეყნებელია”, “დიდო შადრევანთმშენებელო”, ნადლო ტაშფანდურავ!”.

დიდად ენერგიულ საშიშროების ახალ მინისტრს ბარბაცა ბარნაბაძეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს ფურცელი პარტიის “ხალხი ძალადობის წინააღმდეგ!” ლიდერის რატი რწყვილაძის ნახელავი იყო და მაშინვე გაიცა ბრძანება (უკვე მერამდენე!) ფრიად საშიში სახელმწიფო დამნაშავის სასწრაფოდ დაკავების შესახებ, მაგრამ ამჯერადაც გატარებული ოპერატიული ღონისძიებები უნაყოფო გამოდგა – ძებნილმა მოახერხა საზღვარგარეთ გაქცევა... თუ ებ კარგი კაცია, რატომ ემალება მართლმსაჯულებას?

– ჰაიტ, თქვე დოყლაპიებო! – კინაღამ გაგიჟდა ტაშფანდურა. – ყველა სატელეფონო ზარი ისმინება და იწერება, ამ არამზადების სადღეღამისო თვალთვალისთვის საჭიროზე მეტი თანხაც გამოიყო, და შედეგი? თქვენ თვითონ ხართ დასაჭერები! გასაყვეყნებელია!

ტაშფანდურა იძულებული შეიქნა, რადიო-ტელევიზიით ისევ გამოსულიყო და საგანგებო განცხადება გაეკეთებინა:

– ძვირფასო თანამემამულენო, დებო და ძმებო, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მოქალაქენო! ჩვენ გვაგინებენ ჩვენი სამშობლოს მტრები, რომელთაც გულზე ეკალივით ესობათ და

მოსვენებას უკარგავს ჩვენი ქვეყნის გიგანტური წარმატებები ყველა დარგში! მათ მხარს უბამენ ავეციობით სახელგანთქმული ჩვენი შინაური მტრები და გვიკიჟინებენ, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი შადრევანთ შადრევნის მშენებლობას ანაცვალებთ ყველაფერსო; რა დროს შადრევნები, ხალხი შიმშილით სულს დაფავსო, ჭერი თავზე ენგრევათო... ამგვარი უგუნური და მავნე აზრების შეგნებულად მქადაგებელი დიახაც არიან ხალხის მტრები ან ჩამორჩენილი, თანამედროვეობის მაჯისცემას მოწყვეტილი, გაუნათლებელი პიროვნებები, რომლებიც ეტრფიან კარნაკტილობას – ეს საცოდავი მაჩანჩალები მსოფლიო ცივილიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს ვერასდროს აუბამენ ფეხს! თუ საყოველთაო პროგრესს არ გინდა ეზიარო, მაშინ შეძვერი ბნელ გამოქვაბულში და იქ იცხოვრე სიბნელეში პირველყოფილი ადამიანივით! არიან ქვეყნისთვის ასეთ უმნიშვნელოვანესი დონისძიებისადმი ფრიად აგრესიულად განწყობილნიც და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას ხელს უშლიან საპროტესტო მიტინგებით და ძალადობის ყოველად დაუშვებელი გამოვლინებით! ჩვენ მაშინ უნდა შემოგვეკრა განგაშის ზარი, თუკი ჩვენი მტრები შეგვაქებდნენ! აი, მაშინ მართლა გვექნებოდა საფიქრალად საქმე, გინება-ლანძღვას კი მიჩვეულები ვართ – ესე იგი, კარგად მიგვიდის საქმე! აბა რავა! ამ ავაზაკებს ავადმყოფური მიდრეკილებები არ ასვენებთ – დაინახონ მხოლოდ ცუდი, უზომოდ ცილისმწამებლურად გააზვიადონ და თავიანთი ბინძური პოლიტიკური თამაშებისთვის გამოიყენონ! მაგრამ ბედნიერი და აყვავებული საჩლეთის ბრძენმა მოსახლეობამ მშვენივრად იცის ვინც არიან ეს ვაჟბატონები, მათი მოსაწონი რომ ჯერ ქვეყნიერებაზე არაფერი გაკეთებულა! ინტრიგანები და დემაგოგები! ასეთ ხალხს რა გამოვლევს? გასაყვეყნებელია!.. დიახ, ასეთ ხალხი გამოინახა და, სამწუხაროდ, მათ გამოუჩნდა თითო-ოროლა მხარდამჭერიც – გაუნათლებელი, გულუბრყვილო თუ მოტყუებული ცალკეული მოქალაქე! – შემდგომ კი ქვეყნისა და ერის წინამძღოლმა ჩვეული რიხით და ცხვირის ნესტოში საჩვენებელი თითის გააფთრებელი ტრიალით ყველას აუწყა: – უნდა გითხრათ დაუფარავი სიმართლე, რაოდენ საზარელი და დაუჯერებელიც უნდა იყოს: მეგობრობო, ჩემო ძვირფასებო, შადრევანთ მეფის მშენებლობაზე დისკუსია მხოლოდ საბაბი იყო არეულობის დასაწყებად, სინამდვილეში დიდი ხნის განმავლობაში გულდაგულ მზადდებოდა მზაკვრული, სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება! მაგრამ დვთის წყალობით, გადავჩით! და მე დიდად ბედნიერი და მადლიერი ვარ, რომ სახელმწიფოს უშიშროების სამსახურის საგანგებო რაზმის სიმამაცისა და სწრაფი მოქმედების წყალობით ავიცილეთ დესტაბილიზაცია, აურზაური და სისხლისღვრა! უკუგდებულ იქნა უდიდესი საშიშროება ჩვენი წარმატებული ეკონომიკური რეფორმების შეჩერებისა და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის რამდენიმე ათწლეულით უკან გადასროლისა – ჩამორჩენილობის ჭაობსა და უკუნ სიბნელეში ჩაძირვისგან... ჩვენი ბრძენი ხალხი მშვენივრად ხედავს, ვინ დგას ამ ერთი მუჭა ნაძირალების დანაშაულებრივი ქმედების უკან, რომლებიც ესწრაფვოდნენ, რათა ქვეყანაში გამოეწვიათ არეულობა, გამეფებულიყო ქაოსი – ამდღერეულ წყალში თევზის დასაჭერად, თავიანთი შავბნელი ზრახვების ასასრულებლად!.. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თავიანთი ეგოისტური, დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად მათ სურდათ, ქვეყანაში დაემყარებინათ სისხლიანი დიქტატურა! მაგრამ, საბედნიეროდ, მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ! ამ ქვეყნისა და ხალხის ერთი მუჭა მტრებმა ვერ გაითვალისწინეს მოსახლეობის უდიდესი და შეგნებული ნაწილის სრული მხარდაჭერა მოქალაქეების მიერ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისადმი! ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილები ერთსულოვნად მზად არიან, მკერდით აღუდგნენ წინ წყალწადებულ ავანტიურისტთა ფუჭ მცდელობას, რათა ქვეყანაში ააგორონ საყოველთაო უკმაყოფილება, ურთიერთდაპირისპირება და საბოლოო ჯამში – ქვეყნის დაქცევა! არ გაუვათ! ჩვენ მხარს გვიჭერს მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა! ჩვენ ხელს გვიწვდიან ჩვენი მეგობარი ქვეყნები! მაგრამ მთავარია, თვითონ ჩვენ არ მოვადუნოთ სიფხიზლე! ჩვენი ამოცანაა: დროულად გამოვაშკარავოთ, ვინ არის წინააღმდეგი საუკუნის მშენებლობისა! შადრევანდიდის, შადრევანთ შადრევნის, მეფე შადრევნის – ჰა, რა დიდებულად ჟღერს! – წინააღმდეგი მხოლოდ უგუნური, გონებაჩლუნგი ან ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დაუძინებელი მტერი შეიძლება იყოს! და ამიტომ აუცილებელია, დროულად შევატყობინოთ შესაბამის ორგანოებს ამგვარი არამზადების, საზოგადოებისთვის მავნე ხორცმეტეების, ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ – ეს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა! ჩემი განკარგულებით, გარდა სხვა აუცილებელი სასწრაფო დონისძიებების ჩატარებისა, გამოიყო სოლიდური ფულადი სახსრები და ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი შესაბამისად დასაჩუქრდება!.. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს მოქალაქეთა ერთგულებისა და შეგნებულობისა; დარწმუნებული ვარ: აუცილებლად მივადწევთ წარმატებას ყველა მომავალ კეთილ საქმეში და, განსაკუთრებით, – ჩვენი სიამაყის, დიდებული შადრევანთ მეფის მშენებლობაში! აბა რავა!

დასასრულ, ბატონმა პრეზიდენტმა საზეიმო ხმით გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა მთელი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ტერიტორიაზე ერთი თვის ვადით, ხოლო დედაქალაქში დამატებით – კომენდანტის საათიც – საღამოს შვიდი საათიდან დილის შვიდ საათამდე.

შემდგომ ტაშფანდურამ დრო ფუჭად არ დაჰკარგა და პირდაპირ ტელესტუდიიდან, მრავალრიცხოვანი გამცილებლებისა და თანამგზავრების თანხლებით, საჩქაროდ გაემგზავრა აეროპორტში, იქიდან კი საპრეზიდენტო თვითმფრინავით – საზღვარგარეთ, ერთ-ერთ სახელგანთქმულ

საზამთრო კურორტზე: თხილამურებზე სრიალის სეზონი ის-ის იყო დაიწყო! გარდა ამისა, მას ელოდა მომქანცველი მოგზაურობა მრავალი ქვეყნის მონახულებით და ყველაზე მშვენიერი შადრევნების დათვალიერება-შესწავლით; აუცილებელი იყო, ჯერ კარგად, აფუძვლიანად დაესვენა და შემდგომ, ჯან-ღონით აღსავსეს, დაეწყო ფრიად საპასუხისმგებლო მისიის შესრულება!

მკითხველო, როგორ ფიქრობ, ბატონი ტაშფანდურა აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში დაბრუნებისთანვე საშიშროების ახალ მინისტრს დანიშნავს?.. მე ეჭვი არ მეპარება! ნეტავ ვინ იქნება ის ბედნიერი?

პარი VIII. ტაშფანდურა იწყებს გმირულ სეირნობას მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი შადრევნების პირადად მოსანახულებლად, ჯან!

ღიას, როგორც ადრეც აღვნიშნე, ჩემო კეთილო მკითხველო, ტაშფანდურამ ეს დიდად საპასუხისმგებლო საქმე სხვას ვერაგის ანდო და ისურვა, პირადად მოენახულებინა, მთელ მსოფლიოში თუკი სადმე სახელგანთქმული შადრევანი არსებობდა – მოგზაურობა მრავალმხრივ სასიამოვნოც იქნება და სასარგებლოც, აბა რავა!..

ადრე ერთი რამ გამომჩნა და ახლა უნდა მოგახსენო: აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის შორეულ და ფათერაკებთან დაკავშირებულ მოგზაურობაში სახეიმო გაცილებების წინ მისი ადმინისტრაციის უფროსის კოტიკო კატაბარდაძის, ქონების უანგაროდ წართმევის მინისტრის ხატია ხუთგულაძის, სახელმწიფო ქონების ჩაღის ფასად გაყიდვის, ეკონომიკის დაქცევისა და თავის გადასარჩენად ხალხის საზღვარგარეთ მასობრივად გაქცევის მინისტრის თამილა თავცაცხლაძის, საშიშროების მინისტრის ბარბაცა ბარნაბაძისა და ხალხის დაწიოკების მინისტრის ალიკო ალიყურაშვილის ხელმძღვანელობით დაინიშნა დი-ი-იდი საქველმოქმედო “მეგობრული სადილი” აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის საქმიანი ხალხის მონაწილეობით – ტაშფანდურას საზღვარგარეთ მოგზაურობის ფონდის ფულადი შემოწირულობებით შესავსებად! სადილზე დასასწრები ბილეთი 1 000 ვერცხლი ღირდა, აბა რავა! საზეიმო და, იმავდროულად, საპასუხისმგებლო ღონისძიება დიდი წარმატებით ჩატარდა და საყოველთაოდ დადასტურდა შადრევანთ მეფის აშენების იდეის საყოველთაო და უპირობო მხარდაჭერა. ამ მამულიშვილური ღონისძიების ყველა მოთავემ და მონაწილემ – მრეწველებმა, ვაჭრებმა, ბანკირებმა, სამშენებლო, სადაზღვევო, სატრანსპორტო თუ სხვა ფირმების მფლობელებმა და სხვა ჯიბესქელებმა – ბატონ პრეზიდენტისგან პირადად დიდი მადლობა დაიმსახურეს, განსაკუთრებით კი – ახალმა საშიშროების მინისტრმა... ბოდიში, მინისტრმა ბარბაცა ბარნაბაძემ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ამ თანამდებობაზე შეცვალა ქვეყანაში სტაბილურობის დარღვევის საშიშროების დაშვებისთვის განთავისუფლებული წინანდელი საშიშროების მინისტრი ბარნაბა ბარბაცაძე. ეს უკანასკნელი სასწრაფოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაიყვანეს; იგი დაინიშნა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ავსტრალიაში, ფიჯიში, ტონგასა და პაპუა-ახალ გვინეაში. ახლა ამ საქმისა ბევრი არაფერი გაეგება, მაგრამ, იმედია, გავა დრო და კიდევ ერთი ჩინებული დიპლომატი – განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტობისა და ცოდნა-გამოცდილებით დაყურსული ინტელექტუალობის განსახიერება – დაბრუნდება საჩაღეთს!

გარდა ამისა, ერთი ფრიად სასიხარულო ამბავიც: ტაშფანდურამ მის მიერ მომავალში აღსაწერი მოგზაურობის ამბები წინასწარ სარფიანად მიჰყიდა (ყოველ ნომერში გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლებით) საჩაღეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, ყოველკვირეულ ბულვარულ ჟურნალს “სკანდალების სარკეში დანახული გზა”, რომელიც ბეჭდავდა ინფორმაციას ამ ქვეყნად ყველაფრის შესახებ (რადა არ აისახებოდა მის “ყვითელ” ფურლებზე: პოლიტიკოსთა ლამძღვა-გინებითა თუ მუშტი-კრივით გამშვენიერებული შეხლა-შემოხლა, ელიტარული წრეების ქრონიკა, ცნობილ ადამიანთა პირადი ცხოვრების უცხოთათვის დაფარული პიკანტური დეტალები, პოპულარულ მომღერალთა და მსახიობთა მიმართ აგორებული საინტერესო ჭორები, ასტროლოგიური პროგნოზები, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა კულინარული რეცეპტები, აუცილებელი საყოფაცხოვრებო და სამედიცინო რჩევები, გახმაურებული თუ უცნობი კრიმინალური ისტორიები, უახლესი სპორტული ამბები და სხვა და სხვა, დამთავრებული დეტექტური ნოველით, ჰუმორის კუთხითა და ათასგვარი კროსვორდით!). ტაშფანდურას მოგზაურობის დასასრულს გამოვიდოდა ერთად თავმოყრილი მის მიერ მიწოდებული მოგზაურობის სრულყოფილად ამსახველი ფრიად საინტერესო მასალა – მდიდრულად ილუსტრირებული წიგნი-ალბომი: “აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის პირადი შთაბეჭდილებები ევროპის მრავალ ქვეყანაში შესანიშნავი შადრევნების მონახულების მიზნით განხორციელებული ფრიად ნაყოფიერი მოგზაურობის დროს”. ცოტა გრძელი სათაურია, მაგრამ სწორედაც რომ შეეფერება მის მდიდრულ, შეანიშნავ შინაარსს! ასევე, დაგვამილი იყო, იმავდროულად, ამ წიგნი-ალბომის თარგმნა და გამოქვეყნება მსოფლიოს 20 ენაზე – საოცარი გაქანების ფრიად გაბედული და ფინანსურად და ყოველი სხვა მხრივაც აყვავებული და ბედნიერი

საჩაღეთისთვის დიდად მომგებიანი პროექტი! მთელი მსოფლიო გაიგებს, როგორი ბრძენი, ენერგიული და მიზანსწრაფული ლიდერი ხელმძღვანელობს უჩვეულოდ აყვავებულსა და ბედნიერების ჩანჩქერში განცხრომას მიცემულ საჩაღეთს! აბა რავა!

ტაშფანდურა ამითაც არ დაკმაყოფილდა და გეგმაში დაისახა, აისრულოს ცისფერი ოცნება – გამოიცეს ბიოგრაფიული წიგნი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის ყოველმხრივ მისაბადი, მრავალთათვის სამაგალითო და ჭკუის სასწავლი, უმწიკვლო ცხოვრებისეული გზის შესახებ – ეჭვს გარეშეა, ის ყოველი საჩაღელის სამაგიდო წიგნი გახდება! ტაშფანდურას დავალებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე, საჩაღეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი ქუცუნა ქარაქუცაშვილი, პრეზიდენტის პირადი მრჩეველი და პირადი ასტროლოგი მუჟუჟა ბუჟბუჟაძე და ხალხის დაწიოკების მინისტრი ალიკო ალიყურაშვილი, აგრეთვე, საჩაღეთის ყველა ელჩი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ენერგიულად შეუდგნენ შესაფერისი ავტორის ძებნას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ დიდად საპატიო და, არ დავმაღაგ, ფრიად სარფიანი საქმის თავმოსაბმელად. ძალიან მიკვირს, ხომ იცი: რაღა შორს ეძებენ – ჩემთვის მოემართათ ამ ოჯახს შენებულებს, აგერ არ ვარ?! მკითხველიც დამიდასტურებს: ისედაც დაწვებული მაქვს ეს არცთუ ადვილი, საპატიო საქმე და არც არავითარ, სულ მცირედ თანხასაც კი არ მოველი ჩემი უანგარო და არცთუ იოლი, მრავალთვიანი გარჯისთვის, პირიქით – თითონ მომიწევს ათასგვარი ხარჯის გაწევა... მაგრამ ისიც საკითხავია – რამდენად მოეწონებოდა ტაშფანდურას ჩემს მიერ აღწერილი მისი საქმენი საგმირონია!... იმასაც ვეჭვობ, რომ “შადრევანთ მეფის ორდენით” დამაჯილდოვებს, III ხარისხისასაც კი არ გაიმეტებს... იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ არც ჩემი მელოტი თავის კინკრისოში ლაზათიანი წიკპურტის ჩუქებით და არც გემრიელი პანდურის დაგემოვნებით დაკმაყოფილდება, უეჭველად უფრო დიდ ჯილდოს უმაღლესად მიბოძებს...

ღიახ, მე არავის მოსალოდნელ მოწონება-განქიქებას არ ვუყურებ და რუდუნებით ვაგრძელებ კარგა ხნის წინათ დაწვებულ საქმეს.

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე, ყველასათვის საყვარელი და სანახავად სანატრელი (თუმიცა, აქ კი ალბათ შევცდი – ტელევიზორში ყოველდღე გვხიბლავს თავისი გარეგნობითაც და მჭერმეტყველებითაც!), დიდი ზარ-ზეიმით და ტაშფანდურით გააცილეს კეთილად საგალ, ათაგვარი ხიფათისა და ფათერაკის შემცველ, მაგრამ საოცრად საინტერესო და მიზიდველ გზაზე მისმა დამქაშებმა და ტაშის დამკერველებმა – საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ფრიად ძნელი და დიდად დამღლეი, ოღონდ ფრიად საჭირო და დიდად აუცილებელი მაღალი მისიის ჩასატარებლად, შენ დაუკარ!... ტაში, ტაში!..

გულაჩუყებული ჩვენი ტაშფანდურა სულ ცეკვა-ცეკვით აკუნტრუშდა საპრეზიდენტო თვითმფრინავის ტრაპზე გულითა მხიარულითა და... მხატვრულად ვერ შევძლებ, სრული შესატყვისობითაც ვერ გამოვხატავ წინა წინადადების დასასრულის არსს, ამიტომ სიტყვების შემდგომი ძებნით ტყუილად თავს არ შევიწუხებ და პირდაპირ მოგახსენებთ – ღიახ, ტაშფანდურა თვითმფრინავის ტრაპზე აკუნტრუშა გულითა მხიარულითა და ფულით დატენილი ჯიბეებით! ჩემი აზრი ხატონად მოგახსენეთ: ჩვენს დროში ფული ჯიბით ვისღა დააქვს, განსაკუთრებით – ჯიბესქულებს, მათ საკრედიტო ბარათები და სხვა ფულადი საბუთები ურჩვენიათ... ბატონ პრეზიდენტს მოგზაურობის დროს გვერდს დაუმშვენებენ: ქონების უანგაროდ წართმევის მინისტრი, ხატულა ხატია ხუთგულაძე, სახელმწიფო ქონების ჩალის ფასად გაყიდვის, ეკონომიკური დაქცევისა და ხალხის საზღვარგარეთ მასობრივად გაქცევის მინისტრი, მშვენიერი თამილა თავცეცხლაძე, პრეზიდენტის პირადი მათარათმტვირთველი, ტურფა ნეადა გაბლანდულაძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე, პრეზიდენტის პირადი მრჩეველი და, იმავედროულად, პირადი ასტროლოგი მუჟუჟა ბუჟბუჟაძე, პრეზიდენტის პირადი მდივანი და, იმავედროულად, პირადი მასხარა გიგლა ყვავიფრჩხილაძე, გერმანიიდან საგანგებოდ მოწვეული პრეზიდენტის პირადი ექიმი ვოლფგანგ შულცე, პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი ხვანხვალა ხვალიაშვილი... ვინმე ხომ არ გამოირჩა? ჰო, საკმარისია, წვრილმან მომსახურე პერსონალს აქ აღარ ჩამოვთვლი.

საზღვარგარეთ გადაფრენა კეთილად დასრულდა და, რადგან ჯერ შუა ზამთარი იდგა და შადრევანების მუშაობის სეზონის დაწყებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, ტაშფანდურამ დრო უქმად არ დაჰკარგა და ჯან-ღონის მოსამატებლად უზრუნველად ისრიალა (როგორ და რანაირად – შემდგომ, რამდენიმე სტრიქონით ქვევით მოგახსენებთ!) მაღალმთიან კურორტებზე, ზამთრის სპორტის სახელგანთქმულ ცენტრებში:

- ჯერ – შამონი-მონ-ბლანი!
- მერე – ინსბრუკი!
- დაგოსი!
- გარმიშ-პანტენკირხენი!
- კორტინა დ'ამპეცო!
- და რამდენიმე სხვადა კიდევ! ჯან!..

ღიახ, ტაშფანდურამ ევროპის რამდენიმე ქვეყნის ეს სახელგანთქმული ზამთრის კურორტები და სამთო-სათხილამურო ცენტრები თითო-ორილა კვირით მისი იქ ყოფნით გააბედნიერა, აბა

რავა! თვითონაც ერთგვარად გამოიწერთ, მიეჩვია მოგზაურობის სიძნელეებს, ხიფათს და სხვა უხერხულობას. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენჯერმე მზიანი დღე შეარჩია და თოვლიან ფერდობზე თხილამურებზე დადგომაც კი გაბედა, მაგრამ ტრასაზე ჩამოსასრიალელებად ვეღარ მოიცადა და მხოლოდ მრავალრიცხოვანი ფოტოების გადაღებით დაკმაყოფილდა... (პირადი ფოტოგრაფის აყვანას ფიქრობდა, მაგრამ შემდგომ, ეკონომიის მიზნით, ბატონ გიგლა ყვავიფრჩხილაძეს, მეცნიერ კაცს, დააკისრა ეს – უკვე მესამე! – საპატიო მოვალეობა). ფოტოების გადაღება საგსებით საკმარისი იყო, რათა შემდგომ, აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში დაბრუნებულს, თავი მოეწონებინა (და ამ ფოტოსურათებით მომავალი წიგნი-ალბომიც დაემშვენებინა): უდარდელად მდიმარ ტაშფანდურას, – მისი კბილების ბრწყინვა აშკარად ეჯიბრებოდა მზის სხივებით აკიაფებულ ქათქათა თოვლის კაშკაშს! – უკანასკნელი მოდის სათხილამურო კოსტიუმი ეცვა და, ჯოხებზე საიმედოდ დაყრდნობილი, ყველაზე ძვირად ღირებულ თხილამურებზე თავმომწონედ იდგა!.. ბატონი პრეზიდენტი ყველაფერში მაგარია, აბა რავა!.. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ფოტოებს ხიბლი დიდად დაუკარგა იმ გარემოებამ, რომ ტაშფანდურას ხელებზე ხელთათმანები ეცვა და, მისდა სამწუხაროდ, საყვარელ საქმიანობას – ცხვირის ნესტოში საჩვენებელი თითით საგულდაგულოდ კირკიტს – ვეღარ ახერხებდა...

კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ბატონი კოტიკო კატაბარდაძე ციბრუტივით დატრიალდა და სასწრაფოდ მოზრდილი ტირაჟით გამოიცა და აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში ოპერატიულად გამოიგზავნა კიდევ ყველასთვის სანუკვარი საჩუქარი – ფოტოალბომი-რეპორტაჟი მოკრძალებული სათაურით: “ყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის მოგზაურობა. ზამთარი. ტომი I”. მართლაც ძვირფასი საჩუქარია მთელი ერისთვის! მხოლოდ ბატონ პრეზიდენტის ნათესავ-ახლობლებსა და მეგობრებს კი არა, სრულიად საჩაღეთსაც შესაძლებლობა მიეცემა, დატკბეს სასიქადულო მამულიშვილის განსაცვიფრებელი ფოტოებით! ამ დიდი ფორმატისა და განსაკუთრებით მაღალი პოლიგრაფიული შესრულების ხარისხით გამორჩეულ, მდიდრულად დასურათსატყუელ გამოცემაში მთელი დიდებულებით იყო წარმორჩენილი ტაშფანდურას სპორტული მიღწევები. ნაირ-ნაირ სპორტულ ტანსაცმელში გამოპრანჭული ტაშფანდურა-მოთხილამურე! თანდართულ ტექსტში მოთხრობილი იყო, რომ თურმე არისტოტელე ბუქნაძემ ფრიად განაცვიფრა სათხილამურო სპორტის მრავლის მნახველი სპეციალისტები – ეს რა პრეზიდენტი გყოლიათ საჩაღელებსო! აფსუს, რომ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეებით გადატვირთულობის გამო, არ მიეცა საშუალება, სერიოზულად მისდიოს სათხილამურო სპორტს – მსოფლიო დონის, ექსტრაკლასის სპორტსმანი ეყოლებოდა აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთს, აბა რავა!.. თურმე მისი ფენომენალური ბუნებრივი მონაცემების წყალობით საზამთრო სპორტის ნებისმიერ დარგში, ნებისმიერ სახეობაში უეჭველ წარმატებას მიაღწევდა! განსაკუთრებული ნიჭი კი დიდი ტრამპლინიდან ხტომაში გამოამჟღავნა! ამას ადასტურებდა ერთ-ერთი ფოტოც – ჰაერში ლაღად გაფრენილი ტაშფანდურასი – არისტო ყველაფერში მაგარია! მართალია, ფოტოსურათზე ბატონ პრეზიდენტის სახე გაურკვეველად ჩანდა – საკმაოდ შორი მანძილიდან იყო გადაღებული ჰაერში მერცხალივით მიმფრინავი სპორტსმანის ფიგურა, რომელსაც ამასთანავე უზარმაზარი სათვალე ეკეთა და ჩაფხუტიც ჰქონდა თავზე ჩამოფხატული...

როცა ტაშფანდურას თოვლი და ყინვა მობეზრდა, თანაც, გარშემო ვინც კი ახალგაზრდა და მომხიბლავი ქალბატონი იყო, თხილამურებზე იდგა და გემოზე დასრიალებდა და მათ თავი ვერაფრით მოაწონა, ადგა და სამხრეთ საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ლაჟვარდოვან სანაპიროს ეწვია.

ტაშფანდურა საგსებით ამართლებს მისთვის შერქმეულ მეტსახელს – გემოზე ერთობა! შადრევნების პირადად დათვალიერებას ჯერჯერობით ისევ ვერ ახერხებს – ზამთარი ჯერ არ გასულა! – და რასაკვირველია, სხვა ღირსშესანიშნაობებს ეცნობა. დაჰყვება მთელი გუნდი საჩაღეთიდან წამოყოლილი მშვენიერი მანდილოსნებისა, აგრეთვე, შემდგომ მონატრებული ძვირფასი არისტოს სანახავად დროდადრო მასთან ჩამობრძანებული ნათესავეები და მეგობარ-ახლობლები – რომ არ მოსწყინდეს! თანაც – მარტოდ გართობა-დროსტარებას რა გემო აქვს! აბა რავა!..

სახელგანთქმული მოგზაურის სახელის მაძიებელს და შადრევანთმცოდნეობის საპატიო დოქტორს გვიანობამდე გემრიელად ძინავს, ზმორებითა და მთქნარებით დგება დღის პირველ საათზე, პირად ასტროლოგსა და, იმავდროულად, პირად მრჩეველს მუჟუჟა ბუჟბუჟაძეს მორიგ რჩევას ჰკითხავს... თუ კმაყოფილია მისი რჩევით, კინკრისოში მეგობრულად წიკპურტს უთავაზებს, – “ჰი-ჰი-ჰი!..”; თუ მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა, მეგობრულ პანჩურსაც არ დაამადლის – “ჰა-ჰა-ჰა!..” – აბა რავა! და მაშინვე მიბრძანდება მორიგი რესტორნის მენიუს სანახავად და, ცხადია, მხოლოდ მისი შესწავლით არ კმაყოფილდება; ხოლო მრავალი კერძის დაგემოვნებისა და საფირმო დვინობიდან ერთი-ორის დაჭაშნიკების შემდგომ, რომელიმე ბაღში კარუსელს მიაკითხავს – უყვარს, ხომ იცი! ხან “ლომს” მოაჯდება, ხან – “მამალს”, ხანაც – “სირაქლემას” ან “ცხენს”... ბავშვებთან ერთად გართობა-მხიარულებას რა სჯობს, ჯან!..

საღამოს, სუფთა ჰაერზე გართობით მადაგამგებლებული, ჩვეულებას არ დალატობს – ისევ ძვირფას რესტორანს ესტუმრება (ამჯერად – აუცილებლად სხვას!), შემდეგ – ღამის კლუბს ან კაზინოს გააბედნიერებს მისი უმაღლესობის ვიზიტით, აბა, რავა!..

აუცილებლად აღსანიშნავია ერთი სასიხრულო ამბავიც: ბატონი პრეზიდენტი გაოცებული და აღფრთოვანებულია იმით, რომ, როცა მორიგ რესტორანში ღვინოს მოიკითხავს, უპირველესად “არისტოტელე ბუქნაძე” დაასახელებს და, მისდა განსაცვიფრებლად და საამაყოდ, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მისთვის უარი ეთქვას! გასაყვეყნებელია! გიჟდება სიხარულისგან! მისი სახელი გრგვინავს! და, რასაკვირველია, პატივი და დიდება ემატება აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთსაც!

ის კი არ იცის, რომ მისი ადმინისტრაციის უფროსმა კოტიკო კატაბარდაძემ წინდახედულად თან წამოიღო ამ დასახელების ღვინის ეტიკეტებით გატენილი მთელი ჩემოდანი და წინდაწინ გადააკვრევენება ხოლმე ბოთლებზე – ექსკლუზიურად ბატონ პრეზიდენტისთვის! კიდევ კარგი, თავდაპირველი განზრახვა არ განუხორციელებია, – ფიქრობდა ბლომად ღვინის წამოდებას, – რა აუვიდოდა ტაშფანდურას მადას, უფრო სწორედ – წყურვილს, შინიდან წამოდებული ამ ეტიკეტების მარაგიც კი გამოეღია! გამოსავალი მალე მონახა: უკვე უცხოეთში შეუკვეთა და დაბეჭდინა საუცხოო ახალი ეტიკეტები, თანაც “ახალი” ღვინოებისაც – შადრევანთ მეფის გამოსახულებით!

კოტიკო კატაბარდაძის ეს ფხიანობა რომ შეეცყო, ალბათ ბატონი პრეზიდენტი მისი ადმინისტრაციის უფროსის კინკრიხოში გემრიელი წკიპურტით გამასპინძლენით არ დაკმაყოფილდებოდა, ერთ ლაზათიან პანდურსაც არ დაამადლიდა და კინწის კვრით სამსახურსაც დაატოვებინებდა. ტაშფანდურამ საყვედური მაინც გამოთქვა, – ღვინის მწარმოებელთა მისამართით, – რატომ მხოლოდ ჩემი სახელი და გვარია ღვინის დაახელებაში, უკეთესი იქნებოდა, ყოფილიყო: “პრეზიდენტი არისტოტელე ბუქნაძე”, ან მთლად უკეთესი: “აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი არისტოტელე ბუქნაძე”, აბა რავა!.. მართალია ტაშფანდურა, რა ერჩი!

უნდა მოგახსენოთ, რომ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე რესტორნებში კერძების დაგემოვნებისას მხოლოდ საკუთარ სტომაქს კი არ უხდის ხარკს, მშობლიური ქვეყნის კიდევ უფრო უკეთესი მომავლისათვისაც თავგამოდებით იღვწის: ძვირფასად გამოცემული მენიუების კოლექციას აგროვებს! ყველა მისი მოწონებული ფრანგული, ინდური, ჩინური, მექსიკური და სხვა სამზარეულოთა კერძები აუცილებლად საჩაღეთის რესტორნებში უნდა დაინერგოს! ჩვენმა მოქალაქეებმა საგსებით დაიმსახურეს, დიასაც საგსებით ღირსნი არიან, ეზიარონ მსოფლიოს საუკეთესო მიღწევებს კულინარიის დარგში! რასაკვირველია, ამისთვის სხვადასხვა ქვეყნიდან გამოცდილი მზარეულების მიწვევა იქნება საჭირო და ამ ღონისძიების დაუფონებლივ განხორციელების თაობაზე საჭირო მითითება დაუყოვნებლივ მიეცა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს კოტიკო კატაბარდაძეს. ამ ისტორიული გადაწყვეტილების შესახებ მაშინვე აცნობა მოსახლეობას აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის რადიო-ტელევიზიამ და ჟურნალ-გაზეთებმა – ბატონ პრეზიდენტის სიტყვა და საქმე ერთია! ნურავინ იფიქრებს, რომ იგი მხოლოდ გართობა-დროსტარებისთვის ხარჯავს საზღვარგარეთ გატარებულ დროს და ფულს, როგორც ყიამყრალი ოპოზიციონერები უსირცხვილოდ იქაფავენ პირს; მისი უპირველესი საზრუნავია, ყოველმხრივ გამოიყენოს მისი აქ ყოფნა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სასიკეთოდ, ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლებისთვის, აბა რავა!..

ტაშფანდურამ მისი უმაღლესობის სტუმრობით გააბედნიერა სახელგანთქმული მონტე კარლო (აზარტს ადვილად ემონება – კაზინოში გვარიათ თანხა მიაფშენიტა), ნისი, კანი (აქაც ორივეგან არანაკლებ ივაჟკაცა!), სენ-ტროპე, ანტიბი და ლაჟვარდოვანი სანაპიროს სხვა სახელგანთქმულ ადგილებსაც არ დასწყვიტა გული! რომელ სასტუმროშიც დაბინავდებოდა, თუნდაც რამდენიმე დღით, მაშინვე მისი ყველაზე ძვირფასი აპარტამენტების კარზე ლითონის ოქროცურვილ პატარა დაფას აკრავდნენ, წარწერით: “ამა და ამ დროს დიდი პატივი დაგვდო და ამ საბრძანებელში იმყოფებოდა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე”. რა ფასად უჯდებოდა თითო ასეთი დაფის დადგმა ტაშფანდურას, უფრო სწორედ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამსახურს, ამის შესახებ კორესპონდენტთა რეპორტაჟებში არაფერი იყო ნათქვამი; სამაგიეროდ, დიდი აღტაცებით აუწყეს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მოსახლეობას ტაშფანდურას კიდევ ერთი ბრძნული და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისკენ მიმართული ინიციატივის შესახებ: აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში შადრევანთ მეფის მშენებლობის დასრულების შემდგომ დაუყოვნებლივ ფართო ფრონტით გაიშლება თანამედროვე დასავლური დონის შესაბამისი – და კიდევ უფრო უკეთესი! – უმაღლესი კლასის რესტორნების, ელიტური ღამის კლუბებისა და სამორინოების ფართო ქსელის მშენებლობა!.. შენ დაუკარ!.. თაში, ტაში!..

ტაშფანდურას მათმებელი საჩაღეთის... ბოდიში! აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის! – ჟურნალ-გაზეთები თუ რადიო-ტელევიზია დაწვრილებით აღწერდნენ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის გემრიელი მოგზაურობის უმცირეს წვრილმანებსაც კი. შემემლო, მომეტანა ამონარიდები მასმედიის სპეციალური კორესპონდენტების ყოველდღიური რეპორტაჟებიდან – მაქებარ-შემსხმელთა მოზრდილი გუნდი ყველგან თან დასდევს! (სხვათა შორის, ყველანი ნარჩევი სილამაზის ახალგაზრდა მშვენიერი ქალბატონები გახლავან – ტაშფანდურა სილამაზეს ეტრფის და რა ჰქნას!); უხვად მიედინება

კორესპონდენციების ნიაღვარი, რომლებშიც დაწვრილებით ფერადოვნად აღწერილია “გამშენიერებულ-გაკეთილშობილებული” ეპიზოდები ჩვენი გმირის მოგზაურობისა, რომელიც ჩვენდა სასახელოდ და საამაყოდ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელსა და დიდებას მოჰყენს მთელ მსოფლიოს!..

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, გადამფრენ ფრინველთა მსგავსად, ტაშფანდურამ ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი; საპრეზიდენტო თვითმფრინავით გაემგზავრა, რათა, როგორც აღრეც მოგახსენეთ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყველაზე მშენიერი შადრევნები დაეთვალიერებინა, აგრეთვე – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის აწმყოსა და კიდევ უკეთესი მომავლის – მარტო შადრევანთ მეფის მშენებლობა რად ღირს! – მსოფლიო პოპულარიზაციის კეთილშობილური მიზნით! აბა რავა!

სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ “გაფრენილი” აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის სავარაუდო საბუქნაო მარშრუტი ამგვარად გამოიყურებოდა:

ჯერ – სტოკჰოლმი!

მერე – სანკტ-პეტერბურგი და პეტერჰოფი!

ვენა!

ბერლინი და სან-სუსი!

პარიზი და ვერსაი!

მადრიდი და ტოლედო!

კორდოვა, გრანადა და სევილია!

რომი და ტივოლი!

დანარჩენი გზა-გზა გამოჩნდება!

მოულოდნელი ფათერაკები, გმირული თავგადასავლები, ჯან!

თანმიმდევრობით მივლით ამბის მდინარებას და ვნახოთ ერთი, რამდენად შეძლო ჩვენმა გმირმა დასახული გეგმის შესრულება...

ამასთანავე, ბატონ პრეზიდენტს არ ავიწყდებოდა, რეგულარულად, ყოველი თვის ბოლოს, კვლავ გაეგრძელებინა აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში საგანგებო მდგომარეობა – სანამ ის მოგზაურობას არ დაასრულებს, ქვეყანაში სიმშვიდე და სტაბილურობა უზრუნველყოფილ უნდა იყოს, აბა რავა!..

კარი IX. თან საქმე: ტაშფანდურა ამშენებს მსოფლიო ჩამპიონატს ტირილში – პარიზში, აბა რავა!

ტაშფანდურამ თავისი მოგზაურობა ჩრდილოეთიდან, შვედეთით დაიწყო. დედაქალაქ სტოკჰოლმის გარეუბანში, ლიდინგეში, ზღვის ყურის ნაპირზე, დაიარა და დაათვალიერა გამოჩენილი შვედი მოქანდაკის კარლ მილესის ქანდაკებების უნიკალური მუზეუმი-გამოფენა ღია ცის ქვეშ “მილესგორდენ”, – “მილესის ბაღი”, მოეწონა, ხომ იცი! მართლა ნიჭიერი კაცი ყოფილა, გემოვნებიანი, ნაყოფიერი შემოქმედი!

ბატონ პრეზიდენტს კმაყოფილება სახეზე ეწერა და საკუთარი შეხედულების გამომხეურება მისმა ადმინისტრაციის უფროსმა კოტიკო კატაბარდაძემ ყველას დაასწრო:

– ბევრი უმუშავია და კარგადაც მოუფიქრებია! ფანტაზიების ბაღი – ას ორმოცი თუ მეტი ქანდაკება! რა მშენივრად განუღაგებია დიდებული ქანდაკებები, ახლა – შადრევნები? ბარაქა-ლა, ბარაქა-ლა!

– მსგავსი რამ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქის დასამშენებლადაც უნდა გაგაკეთოთ! – ბრძანა ტაშფანდურამ. – აბა რავა!

– ოღონდ იქ მხოლოდ ბატონ პრეზიდენტის ქანდაკებები დაიდგება – სულ ასი ქანდაკება!..

– მსწრაფლ აიტაცა პატრონის აზრი ბატონმა კოტიკო კატაბარდაძემ, – მსოფლიოს ას ყველაზე სახელგანთქმულ მოქანდაკეს ბატონ პრეზიდენტის პორტრეტებს შევუკვეთავთ!..

– არა, ას ორმოცდაათი მაინც უნდა იყოს! – არ დაეთანხმა კოტიკოს ბატონი მუჟუჟა ბუჟბუჟაძე.

ტაშფანდურამ მიმოიხედა, – პირადი დაცვის წევრების გარდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამაღა ახლდა და სათითაოდ ყველას სახეს გამჭოლი მხერით დაუარა – კოტიკოსა და მუჟუჟას მიერ შემოთავაზებული მისთვის ფრიად სასიამოვნო წინადადებების გამო ვინმეს ირონიული დიმილის მსგავსი რამ ხომ არ გამოეჩეკა ტუნთა კუთხეებში? რასაკვირველია, იქ მყოფნი უკლებლივ ყველანი მისი თავდადებული მხარდამჭერნი გახლავან, ათასგზის შემოწმებულნი, მრავალჯერ სიტყვითაც და საქმითაც რომ დაუმტკიცებიათ ბატონ პრეზიდენტისთვის უსიტყვო ერთგულება, მაგრამ... სიფრთხილეს თავი არ სტკივს!

შემდგომ ფრიად კმაყოფილმა ტაშფანდურამ თვით სტოკჰოლმში იგივე კარლ მილესის მიერ შექმნილი შესანიშნავი ორფევის შადრევანიც მოინახულა. ბატონ პრეზიდენტს გიგლა ყვავიფრჩხილაძემ შესთავაზა მეორე ქალაქში, გოტებორგშიც გამგზავრება, სადაც ამავე მოქანდაკის

კიდევ ერთი შედეგები – პოსეიდონის, იგივე ნეპტუნოსის, შადრევანი მდებარეობდა, მაგრამ პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსის ხვანხვალა ხვალაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, ეს საინტერესო ვიზიტი არ შედგა – საკმაოდ შორი მგზავრობა მოუწევდათ და ამ ფრიად ლიბერალურ ქვეყანაში ბატონ პრეზიდენტის უსაფრთხოების დაცვა პრობლემური იყო...

აქ უნდა აღვნიშნოთ ამ გადაწყვეტილების გამომწვევი ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი. ქალაქ სტოკჰოლმში და ლილინგეში აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი ტაშვანდურა... ბოდიში, არისტოტელე ბუქნაძე დაბრძანდებოდა ჯიპებზე ამხედრებული უზარმაზარი პირადი დაცვის თანხლებით. კოტიკო კატაბარდაძე და ხვანხვალა ხვალაშვილი ბევრს ეცადნენ, რომ მათი პატრონის გადაადგილებისას ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობას გამოეყო გამცილებელი სირენებიანი მანქანები და მოტოციკლები საპატიო ესკორტის როგორც წინ, ისე უკანაც, ქუჩებიც დროებით გადაეკეტათ, მაგრამ მათგან მხოლოდ დაუფარავ გაკვირვებას მიღწიეს: “ბატონებო, თქვენ აქ განგსტერულ ფილმს ხომ არ იღებთ? ასეთი ღონისძიებები ჩვენი მეფის გადაადგილების დროსაც არ ტარდება!”. “იმიტომაც გააგორა თქვენი პრემიერ-მინისტრი ქუჩაში მკვლელობა!” – უნდოდა შეპასუხებოდა მათ ბატონ პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი ხვანხვალა ხვალაშვილი, მაგრამ მიხვდა, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიღწევდა.

რასაკვირველია, ტაშვანდურა ფრიად აღშფოთდა მისი უმაღლესობის მიმართ ადგილობრივ ხელისუფალთა ასეთი უსულგულო დამოკიდებულებით:

– ამათ მე ვინ ვგონივარ, დამცინიან კიდევ? გასაყვეჩქებელია! განგსტერული ფილმიო, ჰაი-ჰაი, რატომაც არა? მაცალეთ და ნახონ ერთი, რა ბიჭიც ვარ, გასკდნენ გულზე: კინოშიც გადამიღებენ და მთავარ როლსაც შევასრულებ, აბა რავა!..

მიკვირს, ბატონ პრეზიდენტის პირადმა მრჩეველმა და, იმავდროულად, პირადმა ასტროლოგმა მუჟუჟა ბუბუბუბაძემ წინდაწინ რატომ არ განგსტერული და დროულად არ შეატყობინა ტაშვანდურას, რომ ამ უკანასკნელს სულ რამდენიმე თვის შემდეგ მართლაც მიეცემოდა შესაძლებლობა, საკუთარი გამორჩეული წვლილი შეეტანა კინოხელოვნებაში; რით დამთავრდა ეს ფრიად ამადლელებელი ამბავი – ქვემოთ შესაბამის დროს დაწვრილებით გაამბობთ.

შემდგომ ტაშვანდურამ ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე გადაინაცვლა. პეტერჰოფში დიდად მოეწონა დიდი სასახლის წინ მოწყობილი კასკადი და საზღვაო არხი, განსაკუთრებით კი – ფიგურული შადრევანი “სამსონი პირს უხევეს ლომს” – ძალიან მაგარი! მაშინვე პირად მდივანს გიგლა ყვაგიფრჩხილაძეს უკარნახა “დიდ დაგთარში” ჩასაწერად:

– შადრევანთ მეფეში აუცილებლად უნდა იყოს დიდი, დიდი ქანდაკება – მე ვებრძვი ლომს ან ვეფხვს! არა, ჯობს, ორი ქანდაკება იყოს – ერთში ლომს ავახევე ყბას, მეორეში – ვეფხვს, აბა რავა! შენ კი არ გგავარ – გიგლა, გუგლა! გიგლი, გუგული! ვაჰ, ნახე, რა კარგად გამომდის: გიგლა – გუგული! შენ სად დებ კვერცხებს, ვის ბუდეში? ლაყე იქნება სუყველა: გიგლა გალაყებული, გიგლა გალაყებული! ჰი-ჰი-ჰი!.. თუ გინდა, ეგეც ჩაწერე, ჰი-ჰი-ჰი!..

– ბატონო პრეზიდენტო, პოეტობაც დაიწყეთ?

– არ მოგწონს? ჰი-ჰი-ჰი! შენთვის ადრეც მითქვამს – ყველაფერში მაგარი ვარ, აბა რავა!.. მე თვითონ მიკვირს, ხომ იცი: ცეკვაც მეხერხება, სიმღერაც, კომპოზიტორობაც შემიძლია და მხატვრობაც, აბა რავა! ეჰ, ოღონდ საამისოდ დრო ვინ მაღირსა! და რატომ მიკვირს, პოეტობაც შეგძლო? პოეტობას რა უნდა, ჭირიმე! თუ გინდა, მშვენიერ ლექსს წუთში გამოგიცხობ!.. გიგლა – გლახა! გიგლა, გლახა, გაილახა! ჰი-ჰი-ჰი!.. არც ეს მოგწონს? ახლაც მეტყვი, არ ხარ მაგარიო? ავოე! – და პირად მასხარას კინკრიხოში წკიპურტი უთავაზა, თან მეორე ხელით ცხვირის ნესტოში საქმიანად ირჯებოდა.

მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ტაშვანდურაზე ვენაში ბელგედერის ორ სასახლეს შორის განლაგებულმა შესანიშნავმა ბაღმა ქანდაკებებითა და შადრევნებით, შონბრუნის სასახლეებისა და პარკის ანსამბლმა, განსაკუთრებით კი – უზარმაზარმა ნეპტუნოსის შადრევანმა.

– კიდევ კარგი, გოტებორგში არ გავემზავრეთ, იქაც ნეპტუნოსის ქანდაკება უნდა გვენახა და აგერ აქ არ ვიხილეთ? – ბრძანა ტაშვანდურამ. – ტყუილად არ მოვცდით, ჩვენისთანა დაკავებული ადამიანების დრო ძვირად ფასობს, აბა რავა!

ბატონმა პრეზიდენტმა მისი უმაღლესობის ყურადღების მიღმა დატოვა და დროებით გვერდი აუარა ბერლინსა და სან-სუსის ანსამბლს – დროა, მისი უმაღლესობა პარიზთან საფრანგეთის მეფე-მზის, ლუი მეოთხემეტის ნებით გაშენებულ ზღაპრულ ვერსაის ანსამბლს ესტუმროს. როგორც მოახსენეს, სასახლეებს, ბაღებს, არხებს, აუზებს და სხვას რომ თავი დავანებოთ, იქ თურმე 1400 მარტო შადრევანი ყოფილა!.. ოღონდ მანამდე, აუცილებელია, მსოფლიოს უმშვენიერესი ქალაქი პარიზი უნდა დავაგემოვნოთ! შადრევნებს გარდა, უამრავი სხვა რამ საინტერესო არის სანახავი და, რაც მთავარია, იქ თურმე მსოფლიო ჩამპიონატი ტარდება ტირილში! ეტყობა, ნაირ-ნაირი გართობა-სანახაობებით განებივრებულ პარიზელებს ყველაფერი მოყირჭდათ და ახლა ძველ ცნებას მიჰყვნენ: “ჯერ მწარე სჭამე კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა!”. ჰოდა, როგორ იქნება, ტაშვანდურა არ დაესწროს ამ უჩვეულო სანახაობას!

როცა ბატონი პრეზიდენტი ჩაბრძანდა პარიზს, უპირველესად დიდებული შადრევნების ადგილმყოფელი კი არ მოიკითხა, საგულდაგულოდ დაათვალიერა არისტოკრატიული უბნები –

შესაფერისი რეზიდენცია უნდა ჰქონდეს, აბა რავა! და ბულონის ტყესთან, ერთ-ერთ არისტოკრატიულ საცხოვრებელ უბანში შეურჩიეს საკადრისი საბრძანებელი – მდიდრული ორსართულიანი სასახლე ბაღით, საცურავი აუზითა და სხვა...

ტაშვანდურამ საზეიმოდ შეკრიბა თავის ბრწყინვალე აპარტამენტებში მისი მსლგებელი:

– აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელით აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა მსოფლიო ჩამპიონატში ტირილში, ყველას ერთხელ კიდევ დავანახოთ, – ყველაფერში მაგრები ვართ, აბა რავა!

როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი გახლავს ბატონი პრეზიდენტი: აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მკვიდრნი, მართლაც მსოფლიოში ყველაზე მაგრები არიან – ყველაფერში! შეჭველად პირველ ადგილს დაიჭერენ ტირილშიც! აბა, ერთ გაცინებულ სახეს თუ ნახავ საჩაღეთის ნებისმიერ ქალაქსა თუ სოფელში (რა თქმა უნდა, ტაშვანდურასა და მისი “გუნდის” წევრების გარდა), ამაზე მეტი სატირალი რაღა გინდა! საჩაღელთა მსგავსად ამგვარი მდიდარი გამოცდილებით მთელს ევროპაში ბევრი ვერაგინ დაიტრახახებს, მოტირალთაგან დიდზე დიდი არჩევანია!

– უი, რა კარგია! – აწიკვინდნენ გახარებული ქალები, კერძოდ: ხატია ხუთგულაძე, თამილა თავცაცხლაძე და ნეადა გაბლანდულაძე, მერე კი ისე მოურიდებლად დაეტაკნენ ერთიმეორეს, – შეჭველად არა მე უნდა მივიღო მონაწილეობა ტიტოლის ოსტატთა მსოფლიო კონკურსში, არა მეო, – კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი, თითქოს ბატონი პრეზიდენტი იქ არ არსებობდა!

– ჭირიმე თქვენი, გასაყვეყნებელია, გასაყვეყნებელია! – იძახდა გაოცებული ტაშვანდურა.

მშვენიერი ქალბატონები დროულად გააშველეს, თითოეული გამეტებით ცდილობდა, დაემტკიცებინა ბატონ პრეზიდენტისთვის, რომ ტირილში ბაღალი არ ჰყავდა, მსოფლიო ჩამპიონატში მონაწილეობისთვის საუკეთესო კანდიდატს ვერც ინატრებდა!

ღიან, ტირილში მსოფლიო ჩამპიონატისთვის მოსამზადებელი თუ შესარჩევი ეს წინასწარი, სრულიად დაუგეგმავი შეჯიბრი ტაშვანდურას თვალწინ ჩატარდა და საჭიროა კი, რომ წვრილად აგიწეროთ? ამას თვითონაც ცხოვლად წარმოიდგენ, ძვირფასო მკითხველო! მაინც მოკლედ მოგახსენებ: აქეთ რომ ერთი ადვარდვარებს მდუღარე ცრემლებს, იქით მეორეს გაუშლია თმები, იხოკავს ლოყებს და გულსაკლავად მოთქვამს, მესამე კი საცოდავად მოკუნტულა და ისე გაჰკივის, თითქოს ტყუას ბადებდეს...

სამ ხმაში გამეტებით ეჯიბრებიან ერთიმეორეს – გასაოცარი სანახაობაა და მოსასმენადაც ამო!

თითოეული თავდაუზოგავად ცდილობს, მეუფის გული მოინადიროს!

ძალიან, ძალიან ძნელი იქნებოდა მათ შორის ყველაზე შესაფერისის შერჩევა – ისეთი ბღავილი ამოუშვებს და თავსხმა ცრემლები ღვარეს!..

ყველანი უმაღლეს დონეზე მწარედ გოდებდნენ და ვიშვიშებდნენ! – კონკურსზე წარმატებული გამოსვლისთვის სრული მზადყოფნის მშვენიერი დემონსტრირება მოახდინეს – ტაშვანდურა ფრიად კმაყოფილი ტყუილად კი არ უყურებდა მათ და იღიმებოდა, მართლაც გამრიყლად გაერთო!

ღიან, აურაცხელი მოტირალი გვყავს და გვაქვს დიდზე დიდი არჩევანი პრეტენდენტებისა, ვინც უმაღლეს დონეზე შეძლებს, დაიცვას აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელი!.. და ცხადზე უცხადესია, რომ საპასუხისმგებლო შეჯიბრში მონაწილის შერჩევა ბატონ პრეზიდენტის პრეროგატივაა.

მშვენიერი ქალბატონები დროულად გააშველეს, თითოეული გამეტებით ცდილობდა, დაემტკიცებინა ბატონ პრეზიდენტისთვის, რომ ტირილში ბაღალი არ ჰყავდა, მსოფლიო ჩამპიონატში მონაწილეობისთვის საუკეთესო კანდიდატს ვერც ინატრებდა!

და ჰოი, რა თავბედი იწყველა კოტიკომ, როცა ბატონ პრეზიდენტს შესთავაზა, თვითონ ამოერჩია, მის თანამგზავრ მშვენიერ ქალბატონთაგან, რომელს ერგებოდა გამორჩეული პატივი, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელით გამოსულიყო ამ დიდად პრესტიჟულ შეჯიბრში!..

ამ თავხედურმა წინადადებამ ტაშვანდურას უზომო აღშფოთება გამოიწვია: ეს ჯერ არნახული, უპრეცედენტო ამგვარი ჩამპიონატია და მისი პირველი გამარჯვებული მსოფლიო ისტორიაში შევა – ულაპარაკოდ! და რაღა თქმა უნდა, ამ პატივის ის ვერაგის დაუთმობს – არისტოტელე ბუქნაძე, ყოველ ეჭვს გარეშეა, ყველაფერში პირველი უნდა იყოს, აბა რავა!.. გემრიელი სიცილი მისი მოგონილია, ხუმრობაში ხომ ბაღალი არ ჰყავს, ჰკითხეთ თუნდაც აგერ ცოცხლ მოწმეს, ბატონ გიგლა ყვავიფრჩხილაძეს, როგორ ლაზათიანად გაჰკრავს ხოლმე მის პირად მდივანსა და, იმავდროულად, პირად მასხარას კინკრიხოში წიკპურტს, ან რა მოხდენილად დაუდებს კვანტს, თანაც ამ დროს რა სავსე გულით იცინის! ახლა კი თვით კოტიკოც დარწმუნდება ამაში – თავხედური წინადადებისთვის საკადრისად დააჯილდოვებს და თვითონ ამოირჩიოს, რომელი ურჩევანია – წიკპურტი თუ ჭიტლაყი? ჰი-ჰი-ჰი!.. თუ ორივეს დაგემოვნება ნებავენ? ჰი-ჰი-ჰი!.. მაგრამ ვერც ტირილის ხელოვნებაში აჯობებს ვინმე! აბა რავა!.. და ამას თვალნათლივ დაამტკიცებს! აუცილებლად მისმა უმაღლესობამ უნდა მიიღოს პირადი მონაწილეობა მსოფლიო ჩამპიონატში ტირილში და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გამარჯვებულის დაფნის გვირგვინს არავის დაუთმობს, აბა რავა!..

ღიას, ტაშფანდურა, ყველასგან განსხვავებით, მრავალმხრივი ნიჭიერებით ბრწყინავს – სულ უკბილოდ ხუმრობს, უშნოდ ქილიკობს, ცინიკურად ვითომ ოხუნჯობს, მაგრამ, ამავე დროს, ხელეწიფება სულ ცხვირჩამოშვებულად იყოს, იწუწუნოს... არისტოტელე ბუქნაძე მაგარია! აგერ ნახეთ, თუ ტირილშიც ყველას არ აჯობოს!

ამრიგად, ტაშფანდურამ თავი არ შეიწუხა ლუქსემბურგის ბაღში მედიჩის შადრევნის ხილვით, არც შატლეს მოედანზე გამარჯვების დიდებულ შადრევნის მონახულებამ მოხიბლა, არც ტროკადეროს ბაღებმა შადრევნებითა და ქანდაკებებით და არც – პარიზელთა შეხედულებით, ულამაზესმა ადგილმა მთელს დედამიწის ზურგზე, – თანხმობის მოედანმა ორი გადასარევი შადრევნით...

პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი ხვანხვალა ხვალაშიელი კმაყოფილია მისი რჩევის გათვალისწინებით – პარიზის ყველაზე ცნობილი შადრევნები ქალაქის ცენტრალურ უბნებშია, აქ ქუჩები გადატვირთულია უზომო რაოდენობის მანქანებით, ასევე – უზომო რაოდენობის ცნობისმოყვარე ტურისტები და შლიგინობენ და როგორ გინდა, ამ ორმეტრიალში ბატონ პრეზიდენტის ძვირფასი სიცოცხლე და ხელშეუხებლობა დაიცვა?

ღიას, ტაშფანდურამ უამრავი სხვა ბრწყინვალე შადრევანიც ჯერჯერობით უყურადღებოდ დატოვა და გადაწყვიტა, ტირილში მსოფლიო ჩამპიონატში პირადად მიეღო მონაწილეობა!.. გამარჯვებაში სრულიად და სავსებით დარწმუნებულია: უბადლო ნიჭის გარდა, მას ხომ ტირილის აბების უბადლო დამამზადებელი გიგლა ყვავიფრჩხილაძეც თან ახლავს! ბატონმა პრეზიდენტმა დაიბარა პირადი მდივანი და თავისებური ქირქილით მიმართა:

– გიგლა, გიგილა, გიგლიყო, გიგოლიყო, ყიყიყო – ხომ ხარ ყოჩალი ბიჭი? – ბატონ გიგლას ვარაუდი არ გამართლდა და მისი კინკრისო წიკპურტის გაკვრას გადაურჩა; ამჯერად ბატონი პრეზიდენტი უჩვეულოდ კეთილგანწყობილი გახლდათ, დათაფლული ხმით გააგრძელა: – შენი იმედი მაქვს, ჯადოსნური ტირილის აბები ხომ გაქვს ბლომად თან წამოღებულნი?

თუმცა თავში გაწყაპუნება ასცდა, ბატონი გიგლა მაინც დაიბნა, ვერ გაბედა იმის თქმა, თქვენ არაფერი გიბრძანებიათ და ამიტომ სასწაულმოქმედი აბები არ წამომიღია... თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა, არც სხვა გამოსავალი ჩანდა, გარდა იმისა, რომ წელში კიდევ უფრო მოხრილიყო და ტაშფანდურას დაპირებოდა:

– თქვენო უმაღლესობაგ, ხვალ დილისთვის რამდენიმე ცალ უმაღლესი ხარისხის სასწაულმოქმედი ტირილის აბს პირადად მოგართმევთ!

– გიგლა, ჩემო გიგილო, დილას უნდა იყიელო! ჰი-ჰი-ჰი!.. თუ არა და, პანჩურით მეორე სართულიდან გაგაფრენ, ჭირიმე, აბა რაგა! მე დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების მოტრფივად გახლავარ და გთავაზობ: ამოირჩიე, რა გირჩევენია! ჰი-ჰი-ჰი!..

დილით ტაშფანდურას ადგომისთანავე პირადი მდივანი და, იმავდროულად, პირადი მასხარა გიგლა ყვავიფრჩხილაძე პირადად ეახლა და, როგორც დაჰპირდა, რამდენიმე ჯადოსნური აბი პირადად გადასცა. გახარებულმა ტაშფანდურამ იგი მაშინვე დააჯილდოვა II ხარისხის “ბრწყინვალე შადრევნის ორდენით”, თან, აღტყინებულმა, რადგან ერთ ხელში აბები ეჭირა, მეორეთი კი ცხვირის ნესტოში საქმიანობდა, დამატებით გეგმით გაუთვალისწინებელი ერთი ფრიად მეგობრული პანჩურიც უთავაზა!

ბატონ გიგლას პირზე შეახმა მისი მასხარის თანამდებობისთვის ესოდენ შესაფერისი სიტყვები, რომელიც სურდა, საპასუხოდ ბატონ პრეზიდენტისთვის ეჩუქებინა: “თქვენო უმაღლესობაგ, ხომ არ ინებებთ, ერთი გემრიელად მიგტყობოთ და აგაღრიალოთ – მშვენიერი რეპეტიცია გამოგივიდოდათ ტირილში შეჯიბრების წინ?”

მსუყე საუზმის შემდგომ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე გულდაგულ გამოეწყო კონკურსისთვის საგანგებოდ შეკურნილ, ძვირფას შავ კოსტიუმში, შავი ჰალსტუხი პეპელაც გაიკეთა – როგორ ყველაფერი გადასარევედ უხდება, საოცარია! – და გულდაჯერებული გამართა ტირილში მსოფლიო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად; რასაკვირველია, თან ჯიბეში გიგლას მიერ მიცემული ჯადოსნური აბების ჩადება არ დავიწყებია...

ტირილში მსოფლიო ჩამპიონატის მონაწილეთათვის დებულებით სასტიკად აკრძალულია წიწაკის ხმარება, ნიშადური, თვალების მუშტებით გამეტებით მოსრესვა და სხვა და სხვა, რაც ხელოვნურ ეფექტს გამოიწვევდა; საბედნიეროდ, დებულებაში აბების შესახებ არაფერია ნათქვამი.

კონკურსის დებულებით ტირილში შეჯიბრი ტარდება ორ ნომინაციაში, მონაწილეობენ:

1. ორ წლამდე ბავშვები, პანაშვიდებზე მოსიარულე დაქირავებული მოტირალეები, უიმედოდ შეყვარებულნი, ფინანსთა მინისტრები, გაკოტრებული საქმოსნები, პროფესიული ჰუმორისტები;

2. მოყვარული მოტირალენი – ყველა დანარჩენი.

ყოველ ნომინაციაში გამარჯვებულებს გადაეცემა I, II, და III ხარისხის პრიზები, ხოლო განსაკუთრებული მიღწევებისთვის დაწესებულია მთავარი ჯილდო, სუპერპრიზი – გრან პრი!..

როცა ტაშფანდურა მოტირალთა შეჯიბრზე გამოცხადდა, მრავლის მნახველი ჟიური განცვიფრდა: აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მის უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს... (ფუი ეშმაკს!) ჭდალი ფერის გაჩეჩილ-გაწეწილი, გაფუმფულებული უზარმაზარი პარიკი თივის ბულულივით ადგა თავზე, თან დაფიქსირებული იყო რაღაც ფრიად მყრა-

ლი ნივთიერებით! ფუი, ფუი!.. ყველასგან გამორჩეული უნდა იყოს, კილომეტრში უნდა იცნონ, აბა რავა!

– მესიე, თქვენ მისამართი ხომ არ შეგეშალათ, ცირკში გგონიათ თავი? – უსაყვედურეს ტაშფანდურას, დიდად გააკვირვებულემა. – იქნებ ინებოთ პარიკის მოხსნა? ფრიად შთამბეჭდავია და სილამაზითაც გამორჩეული, მაგრამ აქ კარში გასვლა გაგიჭირდებათ!

– ჩემი ვარცხნილობა ჩემი პირადი საქმეა, როგორ მიბედავთ, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, ჩემი თავისუფალი ნება შემიზღუდოთ? გასაყვედურებელია!.. დაგავიწყდათ, საფრანგეთის სახელმწიფო ღერბზე რა აწერია? “თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა”!

ტაშფანდურა დაუშვეს შეჯიბრში – სხვა თუ არაფერი, კონკურსანტებში ერთადერთი პრეზიდენტი იყო და როგორ არ სცემ პატივს! თანაც, ეს ამბავი უფრო სატირალია, ვიდრე სასაცილო...

მოგესხენებათ, ნებისმიერი კონკურსი სულ მხიარულებასა და სიცილ-ხარხარში მიმდინარეობს და, რასაკვირველია, გამონაკლისი არც ტირილში მსოფლიო ჩამპიონატი გახლდათ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: სიცილიდან ტირილამდე (და – პირიქით!) ერთი ნაბიჯია; რაც უფრო იჭაჭებოდნენ ჩამპიონატში მონაწილენი და აღვარდვარებდნენ ცრემლებს, მოთქვამდნენ და ვიშივიშებდნენ, მით უფრო მხიარულობდნენ ჟიურის წევრები! უნდა მოგახსენოთ, გამორჩეულად მხიარული შეჯიბრი გახლდათ!

მაგრამ, აბა, ჟიურის სიცილ-ხარხარი მაშინ უნდა გენახათ, როცა ტირილში შეჯიბრის პირველ, შესარჩევ ტურში ტაშფანდურას სულ მთლად განსხვავებული, განუმეორებელი გამოსვლა იხილეს – ყველას აჯობა! აბა რავა! გიგლას მიცემული აბებისგან სულ მღეროდა და ცეკვავდა, იცინოდა და ყირაზე გადადიოდა – შენ დაუკარ!.. ჟიურის წევრები ხარხარისგან სულ ცრემლად იღვრებოდნენ! ჰოდა, შუა კოწიაწში უცებ აღისფერი პარიკი არ მოსძვრა?! პარიკი ცალკე გაგორდა და ტაშფანდურა კიდევ – ცალკე... და ისევ განაცვიფრა ბევრის მნახველი ჟიური: ტაშფანდურამ ამ წარუმატებლობის გამო ახლა გულსაკლავი ზღუქუნი ამოუშვა – მართლაც მშვენიერი საცირკო წარმოდგენა გამართა! საოცარი ფერისცვალების ულავი უნართაა დაჯილდოებული, ყველაფერში ნიჭიერია ეს შეჩვენებული და რა უნდა ქნა! ნეტავ რა მისცა დასაღვეად და გადასარევად ისეთი იმ გიჟმა გამომგონებელმა? ეტყობა, ძალიან მწარე აბები გამოდგა და თან მაგარი არყის მძაფრი სუნიც უდიოდა... ხომ არ იყო აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის პირადი მდივანი და, იმავდროულად, პირადი მასხარა, პირადი ფოტოგრაფი და პირადი ექიმი ბატონი გიგლა ყვავიფრჩხილაძე დაბოღმილი ტაშფანდურას მიმართ და სამაგიერო უზლო მეუფეს წკიპურტების, ფეხის მოულოდნელი გამოდებებისა და სხვა უწყინარი ყოველდღიური ხუმრობებისთვის?

– ჰა-ჰა-ჰა!.. დაბეჯითებით გირჩევთ, კლოუნთა კონკურსში მიიღოთ მონაწილეობა! – სიცილით ურჩიეს ტაშფანდურას და გამომშვიდობებისას ერთსულოვანი ტაშითაც დააჯილდოვეს, რითაც ძალიან დაამწუხრეს და ლამის ისევ ამოუშვა ზღუქუნი:

– როგორ, თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ მე კლოუნობასაც წარმატებით შევძლებ? გასაყვედურებელია! – გაწიწმატდა ტაშფანდურა და კბილების კრაჭუნითა და ცხვირის ნესტოში თითის გააფთრებული ბურღვით დატოვა მოტირალი ქაღებისა და კაცების ტრფიალთა საზოგადოება, მისი დიდად მასახელებელი აღისფერი პარიკი კი, ეტყობა, ჟიურის წევრებს, უღრმესი მადლიერების ნიშნად, სამახსოვროდ დაუტოვა.

ისევ უნდა ვუსაყვედურო აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის პირად მრჩეველსა და, იმავდროულად, პირად ასტროლოგს მუჟუჟა ბუჟბუჟაძეს: წინდაწინ რატომ არ განჭვრიტა და დროულად არ შეატყობინა ტაშფანდურას, რომ ამ უკანასკნელს მოტირალთა შეჯიბრში საშინელი ჩაფლაგება ელოდა? ვერ განსახდვრა ისიც, რომ სულ რამდენიმე კვირის შემდეგ ტაშფანდურა მართლაც საცირკო ხელოვნების კაბადონზე კაშკაშა ვარსკვლავად ამობრწყინდებოდა! (ამის შესახებ მოგვიანებით დაწვრილებით გიამბობთ). თუმცა, ბატონმა მუჟუჟამ ის ვერ გაიგო დროულად, მის საკუთარ თავს რაც დაემართებოდა და სხვა რა უნდა მოვთხოვოთ?

ტაშფანდურას დანა პირს ვერ უხსნიდა... როგორ მოგწონთ? საჩაღეთის... ბოდიში! – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, – პრეზიდენტი(!!!) – სულ სიცილ-ხითხითით უბოდიშოდ გამოაბუნძულეს და თან დამამცირებელი ტაშიც კი დაუკრეს... ნამდვილად გასაყვედურებელია! წარმოუდგენელია, ასეთი თავხედობა, ასეთი თავგასულობა, ასდეთი უსამართლობა აყვავებული და ბედნიერ საჩაღეთში მომხარყო!

რეზიდენციაში მიბრძანებული ტაშფანდურა სიმწრისგან მწარედ ატირდა და ცდილობდა, ცხარე ცრემლებით დაეღებო იმედგაცრუების სიმწარე, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, მატარებელი უკვე წასული იყო...

ამ სამწუხარო და, იმავდროულად, სასაცილო სცენის შემსწრემ ბატონ პრეზიდენტის პირადმა მდივანმა და, იმავდროულად, პირადმა მასხარამ და პირადმა ფოტოგრაფმა გიგლა ყვავიფრჩხილაძემ კი ბოროლასავით ნტუნვა-კუნტრუში დაიწყეს (თუმცა, რასაკვირველია, დიდად დახელოვნებული ვერ იქნებოდა ამ საქმეში) და ცხვირის ნესტოში მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით გაგულისებულად მბურღავ ტაშფანდურას საკუთარი სიხარული გულწრფელად გაუზიარა:

– ბატონო პრეზიდენტო, აი, ხომ ხედავთ, თვითონ თვალნათლივ დარწმუნდით, რომ არ მიტყუებინათ, ჩემმა სასწაულებრივმა აბებმა ნამდვილად იმოქმედა! ასეთი მცირე მიზეზის გამო რომ მოთქვამთ და ცრემლებს ადგარდვალვებთ, ნამდვილად სატირალზე – დმერთმა გაშორეთ! – რაღას იზამთ! ახლავე გაეპიჯეთ და ტირილში მსოფლიო ჩამპინატიში გამარჯვებულის სუპერპრიზს მოგართმევთ – ნამდვილად გეკუთვნიან და ვერაფერს დაგიჭერთ! ჭეშმარიტად დაიმსახურეთ! აგოე!

ტაშვანდურა გაბრაზებისგან ჯერ მოხარშულ კიბოსავით გაწითლდა, განსაკუთრებით თავზე დურად წამოძახებულმა “აგოე!”-მ გააცეცხლა, შემდგომ კი, როცა ბატონმა გიგლამ უკვე საკმაოდ დაგეშილი გუმანით საფრთხე იყნოსა, მისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით მაგიდის მეორე მხარეს მიაშურა და შურისგებას ასცლა, გაღურჯდა კიდევ!..

– რაებს ბეჭეტობ, შე თავხედო?! გასაყვეყნებელია! – ტაშვანდურას გრგვინვით გადმოფრქვეული აღშფოთების ლამაზად მოჩუხჩუხე შადრევანი ზეცას წვდა და ამ საოცრების შემქმნელი ცხვირის ნესტოში საჩვენებელი თითის შეუპოვარი მანიპულაციებით რაღაც მისთვის მეტად ძვირფასის და, იმავდროულად, მოუხელთებელის ძებნას დროებით შეეშვა. – რანაირი მასხარა ხარ, შენს ხმას კაცი ვერ გაიგონებს, ახლა მოგინდა ხომ ენის უშნოდ ფხანა!.. ხუმრობას როგორ მიბედავ?! გასაყვეყნებელია!..

– ბატონო პრეზიდენტო, მე ხომ თქვენი პირადი მასხარა თუ ხუმარაც გახლავარ, ამიტომ ჩემს ნათქვამ ნებისმიერ სისულელეს რატომ აქცევთ თქვენს ასეთ ძვირფას ყურადღებას? – პატრონის გამძვინვარების შენელებას შეეცადა გიგლა ყვაფიფრჩხილაძე, თან მისთვის შეუფერებელი სიცქვიტით მაგიდის გარშემო რთულ და მოულოდნელ მანევრებს ახორციელებდა, რათა რაც შეიძლება უსაფრთხო მანძილზე დარჩენილიყო მის მოსახელთებლად აქეთ-იქით მოხტუნავე გააფთრებული ბატონ პრეზიდენტისგან. – ოდითგანვე ჩვენ, მასხარებს, გვქონდა უშუალოდ ბოძებულ წყალობა და ხელშეუხებელი უფლება, რომ თავისუფლად და შეუზღუდავად წამოგვეროშა ნებისმიერი უგუნურება თუ სიჩერჩეტე, რომელზეც თქვენმა უმაღლესობამ არამც და არამც არ უნდა გაბრაზდეს, მხოლოდ და მხოლოდ უნდა გულმოწყალებდ შეგინდოს და გულიანად გაიციონოს!

– ახლა ჭკუის სწავლებასაც მიბედავ? გასაყვეყნებელია! აღარ გავიგონო შენგან არავითარი ხუმრობა, სასტიკად გიკრძალავ! უყურე შენ! ხუმრობის უფლება მხოლოდ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს აქვს! აბა რაგა!.. – ბატონი პრეზიდენტი სულ მთლად დასაბმელი გახდა, მაგრამ რადგან იქ ამ სიკეთის გამკეთებელი არავინ აღმოჩნდა, თან მაგიდის გარშემო დევნასაც გემო ვერ გაუგო და კიდევ უფრო გაწიწმდა, იქვე მდგომ ფრიად მიძიმე ანტიკვარული სკამს მსწრაფლ წამოაგლო ხელი და გიგლა ყვაფიფრჩხილაძისკენ გამეტებით გასტყორცნა!

ეს სკამი თუ სავარძელი უბრალო ნივთი არ გეგონოთ – ძვირფასი ტროპიკული ხისგან ამპირის სტილით შესრულებულს, საზურგეზე გადაჯვარედინებული საბრძოლო ქვემეხები ჰქონდა გამორეჟერტიმებული; ალბათ მისი შემქმნელი, მხატვრული ავეჯის სახელგანთქმული ხელოვანი შორეუ ჟაკობი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის მიერ დიდი ოსტატობითა და რუდუნებით შექმნილი ხელთუქმნელი შედევრი თითქმის ორასი წლის შემდეგ მიერ საბრძოლო იარაღად იქნებოდა გამოყენებული! ბატონ პრეზიდენტის მიმართ კი ქების მეტი რა გვეთქმის, ყოჩაღ! იოლი ხომ არ გგონიათ ამ მასიური სავარძლის აწევაც კი! ტაშვანდურამ კიდევ ერთხელ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ ყველაფერში მაგარია და მძლეოსნობაშიც დიდ წარმატებას მიაღწევდა – ბადროს ან ბირთვის კერაში! ასევე, ეჭვგარეშეა, ძალოსნობაშიც გამოიჩინდა თავს – არც მიძიმე შტანგის მოთვინიერება გაუჭირდებოდა!

ბატონ პრეზიდენტის პირადმა მდივანმა ნატყორცნისგან დასაცავად ფარად “დიდი დავთარი” მოიხმო (რომელსაც მუდმივად თან დაატარებდა ბატონ პრეზიდენტის ხლებსას მისი ძვირფასი აზრების შთამომავლობისთვის სამარადჟამოდ შესანახად), თუმცა ამით მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ, იმავდროულად, ტყუილად არ იყო მასხარა – დავთარის აფარება, თუნდაც ბატონ პრეზიდენტის ბრძნული გამონათქვამებით გაძეპილისა, უშველიდა? საბედნიეროდ, როგორც მოგახსენეთ, საკმაოდ მიძიმე და, ამასთანავე, მეტად ძვირფასი ნატყორცნი (იშვიათი მაღალმხატვრული ღირსების ნაკეთობა გახლდათ – სავარძელი საფრანგეთის მეფის კართან დაახლოებული ერთერთი დიდებული საგანგებო შეკვეთით იყო დამზადებული XVIII საუკუნეში და ოქროს ფასი ღირდა!) მიზანს ასცლა და ვაი! – მოხვდა შადრევანდილის თითქმის უკვე დამთავრებულ მოდელს... შადრევანთ მეფის ამ დიდებულ მოდელს ტაშვანდურა მოგზაურობისას სულ თან ატარებდა, მოცალებობის ჟამს დიდის სიყვარულითა და რუდუნებით აკოწიწებდა, მარად შესწორებები შეჰქონდა, აუმიჯობებდა და, ცხადია, მით ფრიად ამაყობდა. საუბედუროდ, ორივე ოსტატობის უდიდესი შედევრი ამ პირველ და უკანასკნელ ურთიერთ ჩახუტებას შეეწირა... (საბედნიეროდ, შემდგომ დიდი ძალისხმევით, მოხერხდა შადრევანთ მეფის მოდელის აღდგენა, ოდონდ საკმაოდ შეცვლილი სახით – ბატონმა პრეზიდენტმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ახალი იდეების საფუძველზე მნიშვნელოვნად დახვეწა იგი).

ბატონ პრეზიდენტის პირადი მდივანი და, იმავდროულად, პირადი მასხარა და პირადი ფოტოგრაფი დაუშვიდობებლად, მისი ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების კვალბაზე, მაქსიმალური სისწრაფით მივარდა კარს, გამოაღო, დაიძახა: “ნახვამდის, აგოე!” და გაუჩინარდა...

აღბათ მოუცდელელობის გამო კარი მოუხურავი დარჩა – კიდევ ერთი უდიდესი მკრეხელობა და არნახული დანაშაული ჩაიდინა!

ბატონმა პრეზიდენტმა დაიბარა კოტიკო:

– სად ბრძანდებიან თამილა, ხატია და სხვები? ნებადა ამ ხუთი წუთის წინათ მჭირდებოდა უსიკვდილოდ, გიგლას წყალს მაინც შევასხამდი! გასაყეყელებელია!

კოტიკომ ირბინა, გაიკითხ-გამოიკითხა და ტაშფანდურას მოახსენა:

– ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, მხოლოდ ქალბატონი ხატია ხუთეულაძე გახლავთ სასახლეში, იგი დიდიდანივე შეუძლოდ გამხდარა და ამჟამადაც ლოგინში წევს... როგორც გავარკვიე, ქალბატონები საყიდლებზე წაბრძანებულან. აღბათ მალე დაბრუნდებიან... – ის კი აღარ უთხრა, რომ თამილა თავცეცხლაძე და ნებადა გაბლანდულაძე აპირებდნენ, აგრეთვე, რომელიმე კაბარეს სტუმრობასაც...

ისედაც ხომ აღრენილი გახლდათ მისი უმაღლესობა და კიდევ ცეცხლზე ნავთის დასხმა უნდოდა? მთელ სასახლეში ერთი ქალიც კი არ იყო! გასაყეყელებელია! რასაკვირველია, მის თანმხლებ მშვენიერ ქალბატონებს ვგულისხმობ და არა დამლაგებლებს ან სხვა მოსამსახურეებს... თურმე იმ დროს, როცა ბატონი პრეზიდენტი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელს თავგამოდებით იცავდა ტირილში მსოფლიოს უძიმეს და უპასუხისმგებლეს ჩამპიონატზე, ეს ჩიტირეკია ქალბატონები... გაპარულან! საყიდლებზე საწოწიალოდ უსირცხვილოდ წაბრძანებულან, იმის მაგივრად, რომ ტაშფანდურასთვის ეგულშემატკივრათ! გასაყეყელებელია! ასე დაუფასეს მათ მიმართ მისი უმაღლესობის უდიდესი ყოველდღიური ყურადღება და უანგარო პატრონობა, განუხრელი ზრუნვა და გარჯა!..

ტაშფანდურას გააფთრებამ რიხტერის შკალით 10 ბალს მიაღწია და კატასტროფული შედეგით გამოიწვია:

– ასე მიხდიან ხომ ამაგს!.. – და ბატონ კოტიკოს უბრძანა: – თვალთ არ დამენახონ, ახლავე ქუჩაში გაყარე მაგ ძუკნების ბარგი-ბარხანა! მაგათი ფეხი აღარ დავინახო აქ!

– თქვენო უმაღლესობავ, სად უნდა წავიდნენ?

– ჯანდაბაში! მამა უცხონდათ, ეგეც მე ვიდარდო? გასაყეყელებელია! თავის ჭკუაზე დადიან და აწიცი იარონ და იწოწიალონ, სადაც გაუხარდებათ და როგორც გაუხარდებათ, მე ხელს აღარ შეეშლი, აბა რავა! ახლავე ბრძანებულეზაც მომიშადე მათი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ – თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისთვის თავის არიდების, თავგასულობისა და არაკომპეტენტურობის გამო!.. საჩქაროდ ქალთა სარეზერვო სიაც მომიტანე, მათ შემცვლელებს ამოვარჩევ, დაუყონებლივ გამოემგზავრონ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთიდან და სასწრაფოდ ჩამოვიდნენ ჩემთან პარიზში! საჩქაროდ!.. ჰო, აუცილებლად გაითვალისწინე: ერთი ქერა უნდა იყოს და მეორე შავგერემანი, აბა რავა!..

ქალბატონები ნებადა გაბლანდულაძე და თამილა თავცეცხლაძე, ფრიად კმაყოფილები მღაზიების მონახულებითაც (მოიარეს ოპერის, შამპ-ელიზეს, სენტ-ონორეს, კასტიონის, რივოლის ქუჩები) და კაბარეში “მულენ რუჟ” მხიარულად გატარებული საღამოთიც, გზად იმაზეც მსჯელობდნენ, ხვალ რომელ კაბარეს სტუმრებოდნენ – მადლობა ღმერთს, კიდევ ბევრი რამ დარჩათ მოსანახულებელი და დასაგემოვნებელი, პარიზში არასდროს მოიწყენ! – და შინ საკმაოდ გვიან დაბრუნდნენ... და პირკატა ეცათ – ბატონ პრეზიდენტის რეზიდენციის ბაღის დაკეტილ ჭიშკართან ლამაზად ჩამწკრივებული მათი ჩემოდნები ქუჩას ამშვენებდნენ... და ისეთი ღრიალი ამოუშვეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატს ტირილში მათი მსხველი ცრემლები ასკარატიანი ბრილიანტებით დაამშვენებდნენ – იაფად ხომ არ შევაფასე მათი ხელოვნება? – I-II ადგილებს ნაღდად არავის დაუთმობდნენ!

მეორე დღეს არა, მაგრამ მესამე დღეს კი პარიზს ჩამოფრინდნენ და ბატონ პრეზიდენტის რეზიდენცია დაამშვენეს მადლ თანამდებობებზე მოულოდნელი დანიშვნებით ფრიად ბედნიერმა ტურფა ქალბატონებმა: ქონების წართმევის ახალმა მინისტრმა, პირმშვენიერმა ქერა (ამჟამად – წითურმა) მზეთუნახავმა თამთა ბატკნიყურაძემ (მანამდე – ბატონ პრეზიდენტის პირადი მასაჟისტი გახლდათ, ტაშფანდურას ძალიან მოენატრა მისი ხელოვნება, ხომ იცო!), და პრეზიდენტის ახალმა მათარათმტვირთველმა, ყორნისფერთმიანმა (ამჟამად – წითურმა), თვალეზიზიზიანმა, მომხიბლავემა პეპელა პირლამაზაშვილმა (მანამდე – ბატონ პრეზიდენტის მანიკურისა და პედიკურის პირადი ოსტატის ფრიად დასაფასებელი თანამდებობა ეკავა). ბატონმა პრეზიდენტმა ფრიად ინანა: “ეს როგორ დამემართა, ამას როგორ ვერ მიგხვდი, რომ თამთა და პეპელა თავიდანვე თან უნდა წამომეყვანა! მუჟუჟა მყავს მოსაკლაგი, რატომ დროზე არ მიჩრია?”.

რას იზამ, მოგესხენებათ, ზოგჯერ ბრძენიც ცდება!

ბატონი გიგლა ყვავიფრჩხილაძეც მესამე დღეს გამოჩნდა.

ბატონი პრეზიდენტი პირად მდივანს, იმავდროულად, პირად მასხარას და პირად ფოტოგრაფსაც გიგლასთვის ფრიად მოულოდნელად ფრიად გულთბილი ღიმილით შეხვდა:

– ვაჰ, სად დამეკარგე, შე ყურუმსალო, ნაღდად მომენატრე, ხომ იცი! არ მეტყვი, სად იყავი? მე შეიძლება, მენდო, არ გავცემ შენს საიდუმლოს... მაგიის ხელოვნებას ან ალქიმის ხომ არ მისდევდი? ვხუმრობ, ვხუმრობ, ჰი-ჰი-ჰი!.. შენ სულ ჩემად ხარ და ისევ მე ვიხუმრებ შენს მაგიურად, თანახმა ხარ?.. აგოე!.. – და ბატონმა ტაშფანდურამ ჩვეულებისამებრ პირად მდივანსა და,

იმავდროულად, პირად მასხარას მოფერებით უთავაზა კინკრიხოში წკიპურტი. – გუშინ ვაპირებდი ინგლისში გამგზავრებას, მაგრამ შენს მოსვლამდე გადავდე! ვერ გაგჩერდები აქ, მაგათი არც ლუფრი მინდა, არც – ეიფელის კოშკი და არც ვერსაის შადრევნები მაინტერესებს – უმადური ხალხია, მასხარა ხალხი, ჭეშმარიტი ნიჭის დაფასება არ იცინან...

– ბატონო პრეზიდენტო, აქ იმდენი სიმდიდრეა, იმდენი სილამაზეა, იმდენი ხელოვნებაა ყოველ ფუნის ნაბიჯზე, რამდენიმე წელიწადშიც ვერ შეძლებთ ყველაფრის გაცნობას...

– და მის სანახავად დაწოწიალობდი? ამ გაცდენილი დღეების ხელფასს გამოგიქვითავე, მით უმეტეს, წკიპურტით კინკრიხოში გაგრჯიშება დამაკლდა, ხომ იცი, და ისე ოსტატურად აღარ გამომდის, შენც დამემოწმები, ჰი-ჰი-ჰი!.. წკიპურტის გაკერა ხელოვნებაა თუ სპორტი? საკითხავი აი ეს არის! რატომ არ იწერ? ჰო, ჩემი დიდი დავთარი რა უყავი? ხომ არ აპირებ, ვინმეს მიჰყიდო?

– დიდი დავთარი თქვენი ბრძნული აზრებითა და ბრძნით უბრძნესი განკარგულებებით თქვენს კაბინეტში დამჩნა და ალბათ ახლაც იქ დევს... – გიგლა ყვავიფორჩხილაძე აღარ შეეცადა, გაეხსენებინა ტაშვანდურასთვის, რა მდგომარეობაში მყოფს მოუხდა მას ესოდენ ძვირფასი ფოლიანტის საჩქაროდ დატოვება.

– მეტს არაფერს მეტყვი? ბიჭო, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო: რატომ ხარ სულ ჩუმად, რა ენა ჩაგყლაპია, ტყუილად გიხდი ამხელა ჯამაგირს? წკიპურტებით დასაჩუქრებას აღარ ვთვლი, ჰი-ჰი-ჰი!.. გაიდე წყალობა, თქვი რამე სასაცილო, მასხარა ხარ თუ ტომარა? ვაჰ, ეს რა კარგად გამომივიდა რითმა, ხომ მაგარი ვარ? გიგლა – გლახა, გაილახა!.. ჰი-ჰი-ჰი!.. შენ ხარ მასხარა თუ მე? უნდა გამოგიქვითო ჯამაგირიდან, ჰი-ჰი-ჰი!.. თვალზე გატყობ, შენ რადაცას მიმალავ და პირზე ბოქლომი იმიტომ გაქვს დადებული, გეშინია, უნებურად არ გაცეცე საიდუმლო... მეორედ გეკითხები, რა საიდუმლოა ასეთი, ჰა? სად დაწოწიალობდი ორი დღე და ორი ღამე, რომელი ადგილი დაამუღამე, სად დაიკარგე? ვაჰ, მეც რომ არ მინდა, მაინც ლექსად გამომდის, ხომ მაგარი ვარ, ჰი-ჰი-ჰი!.. კოტიკომ მთელი პარიზის პოლიცია შეაწრიალა და ვერ მიაგნეს მაწანწალას! ისევ ლექსი, ჰი-ჰი-ჰი!.. დავთარი აქ რად არ გაქვს, ჩემი ლექსი მოქარგავს!.. ვაჰ, რა მაგარი ვარ, ჩემი თავის მეშინია, ჰი-ჰი-ჰი!..

გიგლა ყვავიფორჩხილაძე წელში მოწიწებით მოიხარა:

– ბატონო პრეზიდენტო, რამდენადაც თვითონ მეითხეთ, გაგკადნიერდები და მოგახსენებთ, სადაც ვიყავი... აქ მე შემთხვევით შეგხვდი აღმანზორ მიჭენავას, ბულონის ტყეში პატარა კარავი აქვს გაშლილი... თქვენს უმადლესობას ხომ არ ექნება სურვილი ჩვენს სახელოვან მამულიშვილთან საუბრისა? მას თქვენს უმადლესობასთან მცირე სათხოვარიც აქვს...

– მასხრობ თუ მართლა მეუბნები? – გაუკვირდა ტაშვანდურას. – ვინ არის ეგ შენი მიჭენავა თუ მოჭენავა, რომ ჩემი ძვირფასი დრო დაგუთმო?.. ან კარავში რა უნდა, ტყუარია? გასაყვეყნებელია!..

– თქვენო უმადლესობავე, ბატონი აღმანზორი, სამი წელია და მეტიც, მთელ მსოფლიოში მარტოდმარტო ველოსიპედით მოგზაურობს და უკვე სამი კონტინენტი მოიარა, ამჟამად კი პარიზში გახლავთ. მთელი მსოფლიოს პრესა აშუქებს მის არნახულ, ხიფათით აღსავსე, ძნელ მოგზაურობას, რამდენიმე სახელმწიფომ კი მისი თავდადება დააფასა და ორდენებითაც დააჯილდოვა...

– მე გაზეთებს არ ვკითხულობ, არ მაინტერესებს! – შეაწყვეტინა ტაშვანდურამ. – ეტყობა, მათხოვარია ვიღაცა, საქმე გამოლევია და დაწოწიალობს აქეთ-იქით...

– ბატონო პრეზიდენტო, მთლად მასე არ გახლავთ: ბატონი აღმანზორი ცნობისმოყვარე, დიდად განათლებული პიროვნებაა, თავისი მოგზაურობის შესახებ რამდენიმე წიგნის დაწერას აპირებს, თავის მდიდარ შთაბეჭდილებებს სხვებსაც გაუზიარებს. ალბათ ყოველ კონტინენტზე მოგზაურობას ცალკე ტომი დაეთმობა ან იქნებ – ორიც...

– მე არც წიგნების საკითხავად მცალია, მოკლედ მითხარი, რადაცის თხოვნა უნდაო...

– დიახ, ბატონო პრეზიდენტო, აქამდე ორმოცდაათზე მეტი ქვეყანა მოიარა და უკვე შვიდი ველოსიპედი გამოიცვალა, ახლა საჩქაროდ სჭირდება ახალი ველოსიპედი, რათა მოგზაურობის გაგრძელება შეძლოს. თუ თქვენი უმადლესობის კეთილი ნება იქნება, შეუძინოს ბატონ აღმანზორს სამგზავრო ველოსიპედი, ეს გაზეთებში გამოქვეყნდება და თქვენს მრავალ კეთილ საქმეს კიდევ ერთი შეემატება – უანგაროდ დაეხმარებით მსოფლიო რეკორდსმენს, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელოვან შვილს, დიდ მოგზაურსა და მამაც ადამიანს...

– სახელოვანი შვილიო? უყურე შენ! რაგა, ჩემზე დიდი მოგზაურია ეგ ვიღაც მათხოვარი? ჩემზე მამაცია? გასაყვეყნებელია! – ტაშვანდურას აღშფოთებამ მოჩუხჩუხე შადრევანივით ისე ძალუმიად ამოხეთქა, მისი მჩქეფრე კინეტიკური ენერგია რომ ბატონ გიგლას წინადადების მიხედვით ელსადგურის დახმარებით გამოეყენებინათ, არ იქნებოდა ურიგო. – საქმე გამოელაია? დაჯდა ველოსიპედზე და მის გემოზე დაჭენაობს, მე კიდევ ახალთახალი ველოსიპედიც ვუყიდო? რატომ იხდის სამათხოვროდ საქმეს, ვერ დაეტევა შინ? მამაძაღლია ვიღაცა!.. დამაცა, დაბრუნდება ეგ გაიძვერა, გამომძაღველი აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში და მე ვაჩვენებ მაგას სეირს, როგორ უნდა ზევით-ქვევით ველოსიპედით უთავბოლოდ სეირნობა!.. ვინ ჰგონია თავი, წიგნებიც

უნდა დაწეროს? თავხელი!.. იქნებ თავისი მოგზაურობის ამსახველი ალბომის გამოცემასაც აპირებს? გასაყვეყნებელია!..

და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტმა, მისმა უმაღლესობამ, ბატონმა არისტოტელე ბუქნაძემ საკუთარ პირად მდივანსა და, იმავდროულად, პირად მასხარასა და პირად ფოტოგრაფს კინკრიხოში გემრიელი წიკაურტი უთავაზა ამ საქმეში უკვე დიდად გაგარჯიშებული და რამდენიმე დღით დასვენებული მარჯვენა ხელით; თან მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ნესტოში ბურღვით სამუშაოებსაც დიდი წარმატებით აგრძელებდა, რითაც ცხადად ამტკიცებდა იმ მეცნიერების მიერ დადგენილი ძველი შეხედულების სრულ მცდარობას, რომლის მიხედვითაც ერთდროულად ორი საქმის ერთნაირად სრულყოფილად კეთება თითქოს შეუძლებელია... იქნებ ეს კანონი სწორიც იყოს, მაგრამ ტაშანდურა ყველასგან გამორჩეულია და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მასზე მაღლა დგას!

- ჰი-ჰი-ჰი!.. გიგლა, გაგლა, გაგლახავ!.. გიგლა - გლახა, გაილახა!.. ჰი-ჰი-ჰი!.. ხომ მაგარი ლექსია? - უკვე დიდად კმაყოფილმა იკითხა ტაშანდურამ და გაიღიმა კიდევ.

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უდაოდ დიდი პოეტი ბრძანდებით... ჭეშმარიტად, ძალიან დიდი, განუმეორებელი... - საკუთარი კინკრიხოს მსუბუქი დახელოებით უპასუხა თავდახრილმა ბატონმა გიგლამ, თან ცდილობდა, ზურგით უკან-უკან სვლით, ნელ-ნელა, რამდენადაც შეეძლო, დაშორებოდა კეთილისმყოფელს - დიდი მგოსანი ისეთ მშვენიერ გუნება-განწყობილებასე ბრძანდება, ემანდ დამატებით პანდურითაც არ დამასაჩუქროს, ჭკუა-გონება დაუშლის თუ თანამდებობაო.

- აი, პრეზიდენტობის მეთე ვადის ამოწურვის შემდეგ მოვიცლი, - დასერიოზულდა ტაშანდურა, - და ყველას ვანახვებ, ვინ არის ბედნიერი და აყვავებული საჩაღეთის პირველი მოგზაური! და პირველი პოეტიც, აბა რავა!.. არა, ჯობს - მეთორმეტე ვადის ამოწურვის შემდეგ!.. გიგლა მყავდა ერთი ჩიტი, გაღეული, განა დიდი, ჰი-ჰი-ჰი!.. მერე დავთარში ჩაწერა არ დაგავიწუდე! ხომ გითხარი, მე დიდი ხანია, აღმოვაჩინე, რომ ნაღდი პოეტი ვარ, მართლა დიდი პოეტი!.. არა გჯერა? პოეტად დავობადე - რომც არ მინდოდეს, ხშირად მაინც ლექსად გამომდის! მე თვითონ მიკვირს, ხომ იცი! შადრევანთ მეფეზე ლექსის დაწერაშიც ყველას ვაჯობებ, აბა რავა!.. დიდშადრევანის სადარი, სხვა შადრევანი სად არი!.. ხომ მაგარია? გასაყვეყნებელია!..

კარი X. ტაშანდურა აცვიფრებს ლანდონს!

ნისლიანი ალბომი ერთი ხელის გაწვდენაზე კონტინენტიდან, თან სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალის შემდეგ ლანდონში საბოლოოდ დამკვიდრდა ბატონ პრეზიდენტის ბიძა - დიდად პატივსაცემი ბატონი ემპედოკლე ბუქნაძე; საყვარელმა ბიძამ მას ცხოვრებაში გზა გაუკვალა, კაცად აქცია, ჰოდა, არისტოტელე ბუქნაძეს როგორ გაუძღვებდა გული, რომ იგი არ მოენახულებინა! სასიხარულო სიურპრიზს მოუწყობს - მოულოდნელად გამოეცხადება!

და აი, ჩვენი გმირი მოგზაური თუ მოგზაური გმირი ამაღლითურთ არ შეუშინდება და გემით წარმატებით გადალახავს მღელვარე დოუვერის სრუტეს (ფრანგებისთვის - პა-დე-კალეს სრუტეა); რა თქმა უნდა, შეეძლო, მატარებლითაც ემგზავრა, მაგრამ გემბანზე გადაღებული ტაშანდურას - ზღვის ბებერი მგლის - ფოტოები მომავალ წიგნ-ალბომს დიდად დაამშვენებს! და აჰა, გამორჩეულია დოუვერის თეთრი კირქვის კლდოვანი, მაღალი სანაპირო; პორტიდან ლანდონისკენ, გულაჩქროლებული, მატარებლით მიიჩქარის, მიაღწევს კიდევ და... ბედი არ გინდა?! ბატონი ემპედოკლე ბუქნაძე, ცნობილი ბიზნესმანი, სხვადასხვა საეჭვო ფინანსური მაქინაციებისა და იარაღით საერთაშორისო ფარული ვაჭრობის ბრალდებით წინა დღით დაუკავებიათ!..

უკიდურესად აღშფოთებული ტაშანდურას სულიერი მდგომარეობა სიტყვებით ძნელი აღსაწერია: დახე უსამართლობას, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია ემპედოკლე ბუქნაძის სამაგალითო პატიოსნება, უანგარობა, ქველმოქმედება, უამრავი სხვა დიდი და პატარა კეთილი საქმე და გაწეულ უშურველ ღვაწლს ასე უფასებენ?.. გასაყვეყნებელია!..

ღიას, ქვეყნიერებაზე წარმოუდგენელი უსამართლობა მეფობს: ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ბატონი პრეზიდენტი ემპედოკლე ბუქნაძეს არამცთუ ვეღარ მოეხვია, სანატრელი ბიძის ნახვის უფლებაც კი არ დართეს: დიდი მობოდიშებით ზრდილობიანად მოახსენეს მის უმაღლესობას - სამწუხაროდ, გამოძიების დამთავრებამდე მოგიწევთ მოცდაო...

ტაშანდურა ლამის დასაბმელი გახდა... როგორ, მას, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, ვიღაც ტილიანი მოსამართლე თუ გამომძიებელი დიდი ბრიტანეთის სამეფოში კანონების უხედავობაზე ფრიად სერიოზულად ლექციის წაკითხვას უბედავს?! გასაყვეყნებელია!..

იხვანცაღა ტაშანდურამ, ნახევარი ლონდონი მოირბინა, რომ როგორმე ემპედოკლე ბუქნაძის ბედი შეემსუბუქებინა, მაგრამ ამ დაკონსერვებულ დიდ ბრიტანეთში ისეთი ადამისდროინდელი აბურღულ-დაბურღული სასამართლო სისტემა ჰქონიათ, ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს... არისტოტელე ბუქნაძის მიერ დაქირავებული ფრიად ძვირადღირებული ადვოკატიც (ეს რიგით უკვე მესამე ადვოკატი გახლდათ - ორი ბიძამისს უკვე ჰყავდა) სანუგეშოს ვერაფერს დაჰპირდა მომავალი სასამართლო პროცესის სასიკეთო შედეგის თაობაზე და, როგორც მოგახსენეთ, არისტო-

ტელე ბუქნაძეს, მის უმაღლესობას, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, საყვარელ ბიძასთან, პატიოსნებითა და ყველა კეთილი თვისებებით საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებასთან, დალაპარაკების საშუალებაც კი არ მისცეს... ნამდვილად გასაყვეყნებელია!..

ესეც შენი ნაქები ინგლისი! არა, აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში ამგვარი განუკითხაობა, სიმართლისა და სამართლიანობის ფეხქვეშ გათელვა წარმოუდგენელია!

ბატონ პრეზიდენტის პირადი მრჩეველი და პირადი ასტროლოგი მუშუქა ბუქნაძე შეეცადა, ტაშფანდურასთვის ერთგვარი შეება მიენიჭებინა (და, იმავდროულად, მისი რისხვაც აეცილებინა – რათა პატრონს მისთვის კითხვა არ დაესვა: “რატომ დროულად არ მაცნობე, თუკი ბიძაჩემს საფრთხე ელოდა?”):

– ბატონო პრეზიდენტო, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, პოეტი, ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე, აგრიგენტელი, ახლანდელი აგრიჯენტო კუნძულ სიჩილიაში, ემპედოკლე ჯერ კიდევ ოცდაოთხი საუკუნის წინათ თვლიდა, რომ სამყაროს მარადი მოქმედი ძალებია სიყვარული ანუ მიზიდულობა და სიძულვილი ანუ განზიდვა... ეტყობა, ამჯერად თქვენი ბიძასთან განშორების ძალა ზეობს, მაგრამ მდგომარეობა აუცილებლად საპირისპიროდ შეიცვლება – თქვენი შეერთების ანუ შეხვედრის სასარგებლოდ... თქვენო უმაღლესობავ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს სულ მალე მოხდება!

სამწუხაროდ, ასტროლოგის ვარაუდი არ გამართლდა და მან ნუგეშისცემისთვის მადლობის მაგივრად მეუფის წიკპურტი კი არა, უფრო წონადი საჩუქარი – გემრიელი პანდური – დაიმსახურა:

– დამეკარგე იქით! ფილოსოფია და ტვინის გალაყება მინდა მე? ვილაც გადაყრუებული აგრიგენტელი ემპედოკლე! გასაყვეყნებელია!

თუმცა, ცხოვრება, ჩვენი სიხარულისა თუ მჭვუნვარების მიუხედავად, ჩვენგან დამოუკიდებლად მიდის და მიედინება ანუ თავისას მოითხოვს, ჰოდა, დაკოდილ გულზე რა არის ყველაზე კარგი? რა თქმა უნდა, რესტორნიდან რესტორანში მოგზაურობა – მე შენ გეტყვი, ერთფეროვნება დაგდლის ან მოგყირჭდება ნაირ-ნაირი კერძების დაგემოვნება! ინდური რესტორნიდან – ჩინურში, ფრანგულიდან – მექსიკურში... ჯანს.. ხომ არ გგონიათ, ბატონი პრეზიდენტი, უხეში გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მხოლოდ კუჭს მიაგებდა პატივს; არა, ის ოცნებობდა, აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთშიც გახსნილიყო უამრავი ასეთი, სულ სხვადასხვაგვარი რესტორანი და მისი განკარგულებით, ბატონი კოტიკო კატაბარდაძე, პრეზიდენტის ამინისტრაციის უფროსი, აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რათა კულინარიის სახელგანთქმული ოსტატები მიგლინებულ ყოფილიყვნენ აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში, რათა მათი სწორუპოვარი ხელოვნების ადგილობრივ ნიადაგზე დანერგვით კიდევ უფრო აყვავებული ყოფილიყო ქვეყანა და ბევრად ბედნიერი – ხალხი! თუმცა, ბოლიში, წინა წინადადების ბოლო დაზუსტებას მოითხოვს: მე და შენგან განსხვავებით, ჩემო მკითხველო, დიდად ბედნიერი, უმეტეს წილად, იქნებოდნენ ქვეყანაში ჩამობრძანებული მდიდარი ტურისტები და ჯიბესქელი, დიდად ბედნიერი საჩაღელნიც, რასაკვირველია!

ასევე, ტაშფანდურას ყოფის გასამრავალფეროვნებლად დროდადრო გასეირნებაც არ არის ურიგო: იმდენად სევდის გასაქარვებლად არა, უფრო – მადის მოსაყვანად... როგორც ერთის, ისე მეორის განსახორციელებლად ლონდონში შესანიშნავი პირობებია! ბრიტანეთის დედაქალაქში მრავლად ჰქონიათ სულ სხვადასხვაგვარი სახელგანთქმული პარკები, – თავისუფალ, პეიზაჟურ სტილშიც, ფრანგული რეგულარულიც, შერეული სახისაც – ყველანი დიდებული ქანდაკებებითა და ლამაზი წყალსატევებით დამშვენებულნი, მაგრამ, დიდი ბრიტანეთის გრილი კლიმატიდან, ხშირი წვიმიანი ამინდებისა და საქვეყნოდ ცნობილი ლონდონის ბურუსებიდან გამომდინარე, შადრევნების აგებით თურმე დიდად არ შეუწუხებიათ თავი (ბატონ პრეზიდენტს სრულებით არ გაუჭირდება ლონდონი ერთ-ერთ დღეში ყველა მათგანის დათვალიერება და მათ ფონზე ფერადი ფოტოსურათების გადაღება); სამაგიეროდ, სხვა მხრივ აქ გასართობს და თვალის სასეიროს მრავლად იპოვის მოცლილი კაცი!

ერთ კვირადღეს ტაშფანდურა, რამდენიმე დღიანი გადაბმული ლხინის შემდეგ, რა თქმა უნდა, ამალითურთ, გიგანტური ქალაქის ცენტრში განლაგებულ, უზარმაზარ ფართობზე გაშლილ, საქვეყნოდ ცნობილ ჰაიდ პარკს – ოდესღაც ინგლისის მეფეების სანადირო ტყეს – ესტუმრა. ეს არ გასჭირვებია, რამდენადაც მისი უმაღლესობის რეზიდენცია, საგანგებოდ შერჩეული და დაქირავებული XVIII საუკუნის მდიდრული არისტოკრატიული სასახლე, იქვე ახლოს, “მილიონერთა ქუჩაზე” – კენსინგტონ პალას გარდენზზე – მდებარეობდა, აბა რავა!

ჯერ ბატონმა პრეზიდენტმა უკიდევანო პარკში გასეირნება ინება, რომელიც დღესაც ტყეს წააგავდა. XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტი ალიგზანდერ პოუპი, ინგლისური პეიზაჟური პარკების ფუძემდებელი, ამბობდა, რომ მამაცი ბრიტანელები თავიანთ ბაღებს ანიჭებენ ტირანის, დათრგუნვისა და ავტოკრატიისგან თავისუფლებას – ჰაიდ პარკში შეუკრეჭავ ხე-ბუჩქებს, ამწვანებულ მინდვრებს ბუნებრივი სახე აქვთ და შენც შეგიძლია, საკუთარ ნებას დაჰყვე; წახვიდე საითაც გინდა, ითამაშო, გემოზე იკოტრიალო ბალახზე...

ტაშფანდურას ყურადღებას პეიზაჟური პარკის სილამაზეზე მეტად ტურფა ქალიშვილები იპყრობდნენ და ერთგან, კიდევ უფრო – ცხვრები! ფრიად განცვიფრდა, როცა აბიბინებულ მდუღოზე ნებიერად მობალახე ნასუქი ცხვრები დაინახა – ძალიან მოეწონა, ხომ იცი! უზარმაზარი

ქალაქის შუაგულში უდარდელად ძოვენ ბალახს და მათ არავინ ერჩის! რა ნაპატივებია, რა გემრიელად მოვლილი, ნეტა რა ჯიშისაა? მაშინვე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე მოიხმო:

– უჰ, გავგიჟდები, თუ ნახევარ საათში ცხვრის ცხელ-ცხელი ხინკალი არ მივირთვი!.. გასაყეყეჩებელია!.. ახლავე გავარდი და იყიდე ერთი, არა, უკეთესია – ორი ცხვარი და სასწრაფოდ ხინკლის ამბავს მოუარე – აქ მთელი მსოფლიოს სამზარეულოს ოსტატები კი ჰყავთ, მაგრამ ვაითუ ამ საქმის ოსტატი არ ჰყავთ და ამიტომ შენ თვითონ უნდა გაუწიო ხელმძღვანელობა! აბა ჰე, სანამ მე ერთ პატარა საქმეს მოვითავებ, შენ მაგას მიმიხედვე! ორატორთა კუთხეში ვიქნები! არ გააჯანჯლო, ერთ საათში მოკვარაზჭინებული იყოს ყველაფერი! – და ტაშფანდურამ ამას წინათ სოტბის აუქციონზე შექენილ, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ანიკვარულ ოქროს საათს დახედა. ეს რამდენიმე დღეა, ეს ახალი შენაძენი ხშირ-ხშირად იტაცებს მის კმაყოფილ მზერას, მისი ყურებით ვერ ძღვება; იმიტომ კი არა, რომ დროის დაფასება დაიწყო – საგანგებო შეკვეთით შესრულებულ უძვირფასეს ნაკეთობას ნაირ-ნაირი ეროტიკული სცენებიც ამშვენებს! დიდებული ნამუშევარია, ხელოვნების ჭეშარიტი შედეგრი, ტყუილად კი არ მისცა მასში კონკურენტებთან მძაფრ პაექრობაში ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი! აბა რაა!..

შემდეგ ცხვირის ნესტოში საჩვენებელი თითის მომხიბლავი ტრიალით მშვენიერ მათარათმტვირთველს პეპელა პირლამაზაშვილს უბრძანა:

– სასწრაფოდ მათარა მომაწოდე! წყლიანი არა, არაყიანი – ხინკალს უხდება, ხომ იცი, უკვე წინასწარ ნერწყვი მახრჩობს! თანაც სეფე სიტყვა მაქვს წარმოსათქმელი და სიმხნევებს შემმატებს!

– ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, მხოლოდ წყლიანი მათარა გვაქვს! – ლამის ატირდა მშვენიერი პეპელა. – არაყიანი მათარა არასდროს გვქონია და თუ თქვენი უშუალოდ სურვილი იქნება, აწი აუცილებლად გავითვალისწინებთ! თქვენი ნებართვით, სხვა მათარაც მექნება, ნამდვილ სკოჩს მოგართმევთ პირველი მოთხოვნისთანავე!

– მომეცი აქ! – ტაშფანდურამ ცხვირის ნესტოს დროებითი შვება უბოძა და ხელიდან გაშლილი მშვენიერ პეპელას წყლიანი მათარა; სახურავი მოხსნა, მოიყუდა, შემდეგ უცებ პირიდან წყლის ჭავლი ქალბატონს პირდაპირ სახეში შეაფრქვია... – აბა, რაღას უდგენარ, ყვირისგან პირი გამიშრა! გაფრინდი და ხუთ წუთში სკოჩის ბოთლით აქ გაჩნდი, ოღონდ ლიკერი “დრამბიუი” ან სხვა მისი მსგავსი არ დამანახო, ეგ თქვენთვის შეინახე – მე მხოლოდ თორმეტწლიან სკოტლანდიურ ვისკის “ჩივას რიგალს” ვსვამ, ხომ იცი! ორატორთა კუთხეში მოგვკებნე! ვაჰ, ვინა ყოფილან, კაცო, ყველაფერზე ისევე მე უნდა ვიზრუნო და ვიმტვირთო თავი, გასაყეყეჩებელია! არა, ძმაო, პრეზიდენტობა ნამდვილად ძალიან ძნელი ტვირთია, ნამდვილად!

ქონების წართმევის მინისტრმა, პირმშვენიერმა თამთა ბატკნიყურაძემ და სახელმწიფო ქონების ჩალის ფასად გაყიდვის, ქვეყნის ეკონომიკური დაქცევისა და ხალხის საზღვარგარეთ გაქცევის მინისტრმა, ულამაზესმა ხატია ხუთგულაძემ პეპელას სახეზე წურწურით ჩამომდინარე წყლის დანახვისას კმაყოფილი სიცილი ვერ შეიკავეს.

არ ვიცი, ტაშფანდურას რა ეწყინა – მიიჩნია, რომ ქალბატონების კისკისი მისმა სიტყვებმა გამოიწვია თუ მშვენიერი პეპელას თავისებურად გამოსარჩლება გადაწყვიტა, ან იქნებ სულაც ჩვეულებრივ გააგრძელა გართობა, მე მხოლოდ შედეგს მოგახსენებთ: ამჯერად ბატონმა პრეზიდენტმა წყლის ჭავლი მაშინვე შეაფრქვია თამთასაც და ხატისაც...

– გაგრილება მოგიხდებათ, ხომ იცი, ჰი-ჰი-ჰი!..

ამ დროს ტაშფანდურასთან მიიჭრა ვიღაც საჩაღელთა მსგავსად უდარდელად მოსეირნე ჯენტლმანი, ოღონდ პატარა ძაღლთან ერთად (ეს ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა, რომ პრეზიდენტის დაცვამ უცნობს ხელი ვერ შეუშალა):

– ჩვენებური ხარ, ბიჭო? – გახარებულმა შეჰყვირა მაღალმა, თითქმის არისტოტელე ბუქნაძის სიმაღლის, შავუღვაშიანმა, უკვე საკმაოდ გამელოტებულმა კაცმა, მერე კი განცვიფრებით წამოიძახა: – გვაჯი, აქ რა გინდა, ბოშო? სასტაულია, სასტაული!

გოშიამ კი რატომღაც პატრონის სიხარული არ გაიზიარა და ტაშფანდურას გააღმასებული ყეფით შეხვდა; ისე ჯიქურად მიიწვედა ტაშფანდურასკენ, თითქოს ცოცხლად გადაყლაპვას უპირებდა, ლამის ტყავის წვრილი და მოკლე საბელი გაწყვიტა.

აყვავებული და ბედნიერი საჩაღელთის პრეზიდენტს, მის უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს ჯერ შეეშინდა მისი კანჭების მიმართ ფრიად აგრესიულად განწყობილი ოთხფეხა არსებისა, ასევე, ფრიად გაუკვირდა და, მართალი მოგახსენოთ, მაინცდამაინც დიდად არ ესიამოგნა ძაღლის პატრონის დანახვა და, განსაკუთრებით – ბავშვობის სახელით მისი უმაღლესობის მოხსენიება. ჯერ ვითომ ვერ იცნო მისი თანაკლასელი...

რამდენი წელი ერთ მერხზე ისხდნენ და ერთდაც უთვალავჯერ გადამძვრალან სხვათა ბაღებში ჯერ უმწიფარი ვაშლის დასაკრეფად ან ბაღჩაში – ქორფა კიტრის დასაგემოვნებლად... მართალი ითქვას, მხოლოდ ოქროსთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა, ისიც იმიტომ, რომ გვაჯის დაუნანებლად გადააწერინებდა ხოლმე მათემატიკაში ამოხსნილ ამოცანებსა და მაგალითებს, და, რაც მთავარია, ძალიან ეხერხებოდა დაფასთან გაძახებულისთვის ჩურჩულით კარნახი.

– ოქრო ვარ, ოქრობილა ოქროცოცხადე, ვერ მიცანი? – ხელები გაშალა ჩასახუტებლად ბავშვობის მეგობარმა.

– გიცანი, მერე რა გინდა? – უგემურად მიუგო ტაშფანდურამ და ძაღლს ცერად გახედა, შით შით დაბურძვლა და თავზე თმები ყალფზე დაუდგა – ემანდ ჩემი ძვირფასი შარვლის ტოტების სიმტკიცის შემოწმებას ხომ არ აპირებსო; თან ცხვირის ნესტოში ინტენსიურ ბურღვით სამუშაოებს დროებით თავი დაანება და უნებურად თითიც კი გამოიღო მისი ძვირფასი ნაგსაყუდელიდან.

– არაფერი, შენი კარგად ყოფნა... – მიუგო ამგვარი აგდებული პასუხით დაბნეულმა და შემცბარმა ოქრომ. – ჰო, ბოდიში, ძმაო, ადრე დედაქალაქშიც ხომ ერთად ვიყავით ერთხანს და მაში უკვე სხვა სახელი გერქვა – არისტო, მაგრამ მე ისევ ძველებურად გვაჯის გეძახდი... გვაჯუნო, ხარჯი ხარჯია, ბარემ გვარიც გამოგეცვალა, შე კაცო!..

– მაგას შენ არავინ გეკითხება!.. – ტაშფანდურა ელაპარაკებოდა ბავშვობის მეგობარს, მაგრამ დაბაბულ მზერას ძაღლს არ აცილებდა. – არისტო კი არა, არისტოტელე ვარ! ვაჰ, მე უფრო არ ვიცი, რაც მქვია? თუ კაცი ხარ, მოაცილე აქაურობას ეგ ძაღლია თუ სატანა! გასაყეყეყებელია!

ოქრომ ცუგურია ხელში აიყვანა:

– რამ შეგაშინა, კინგ კონგმა მარტო ყეფა იცის, არ იკბინება. ზოგ კაცს ჰგავს, მხოლოდ მოქარგული ლაპარაკი რომ ეხერხება და ნაღდ საქმეში ვერ ვარგობს...

– მე ყველაფერში მაგარი ვარ! აბა რავა!..

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... გვაჯი, ბიჭო, ხომ არ დაგავიწყდა, ნავთლუღის ბაზარში ლატარიას რომ ვატრიალებდით?... ჰო, მაშინაც ძალიან მაგარი იყავი! წინათ სულ გაღიმებული მახსოვხარ; აქ, ხომ ხედავ, ტყეა, დაბლვერილ ხალხს მგლები გლეჯენ, არ გეშინია? მაგარი ბიჭი კი ხარ, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი!.. – ოქრომ შავ ულვაშებში ჩაიციხა, ძაღლი ბალახზე დასვა და სეირნობა თავისი გზით განაგრძო.

ბატონი პრეზიდენტი ცუდ გუნებაზე დადგა:

– ვერ გაიგებ, რომელ რეგენს სად შეხვდები, გასაყეყეყებელია!.. დაცვის უფროსი რას მიკეთებს? ხვანცალა ხვალაშივილი მყავს ამოსაპანდურებელი, ეს დაცვის ხალხიც ტყუილად დავიქორავე! გასაყეყეყებელია!..

მჭერმეტყველთა კუთხეში ალაგ-ალაგ ხალხის მცირე ჯგუფები იდგა და ორატორებს უსმენდნენ. თუ აქ ტაშფანდურასაც სურდა, გაეზიარებინა მსმენელთათვის საკუთარი ფრიად ძვირფასი აზრები, წესით ისიც უნდა შემდგარიყო რაიმე ევრეთწოდებულ სოუპოქსზე, “სასაპნე ყუთზე” ანუ ქუჩის ორატორისთვის განკუთვნილ კვარცხლბეკზე, აქაურ ტრიბუნაზე – მიწაზე არ უნდა იდგე და მაშინ უფრო დაეჯერება შენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს!..

ტაშფანდურას ისედაც ჩამოყვებულ გუნება კიდევ უფრო გაუფუჭდა: ყველა ტრიბუნა ვიდაც ჩიტირეკია ორატორებს დაუსაკუთრებიათ და რაღაც სისულელეებს ქაქანებენ: როგორ უნდა ასწავლო კანარის ჩიტებს სტვენა; ვიდაც მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი ახალგაზრდა, ინდოელი თუ ჩინელი, მოუწოდებს, ფართე საპროტესტო კამპანია გააჩაღონ ზოგიერთ პარკში მტრედებზე ნადირობის წინაღმდეგ; მეორე (მაღალმა, ლამაზმა ქალიშვილმა განსაკუთრებით მიიპყრო ტაშფანდურას ყურადღება!) წკრიალა ხმით ქადაგებს: მთელ მსოფლიოში მოსპონ ხელისუფლება, მთავრობები და კაცობრიობა დაუბრუნდეს უკლასო საზოგადოების ეპოქას!.. და მას კი, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, ამ სიშორიდან ჩამოსულს, ამის გამო უნდა შეფერხება შეექმნას? ვერაფრით მოითმენს, ეგლა აკლია, რომ ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად რიგში ჩადგეს!.. გასაყეყეყებელია!..

რამდენადაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე სახინკლე საქმის მოსაკვარაზუნებლად იყო წასული, ტაშფანდურას მიერ სამსახურებრივი დაუდევრობისთვის შეხურებული პრეზიდენტის პირად მცველთა უფროსი ხვანცალა ხვალაშივილი თვალების ბრიალით იქაურობას წრეს უვლიდა, პრეზიდენტის პირადი მრჩეველი და პირადი ასტროლოგი მუჟუჟა ბუბუჟაძე კი დაიმაღლასავით – ერთ დიდ ხეს იყო მოფარებული და, შემკრთალი, ელოდა მოვლენების შემდგომ განვითარებას... ჰოდა, ამჯერად, ექსტრაორდინარული სიტუაციიდან გამომდინარე, ბატონ პრეზიდენტის განკარგულებით ბატონ გიგლა ყვაგიფრჩხილაძეს მოუწია ტაშფანდურასთვის “საპნის ყუთის” საშოვნელად სირბილი; აქეთ ეცა, იქით ეცა, თხოვნაც სცადა, შეშინებაც და ძაღლის გამოყენებაც – სულ ტყუილად, ტრიბუნა ვერ დაითრია! მისი ქიჩმაჩი მხოლოდ სიცილს იწვევდა დამსწრეთა შორის – მაგარი ვიდაცა ჩანს, ცირკში კლოუნად ივარგებდა... რაღა ქნას? წყლის სახეში შეფრქვევას ვინ ჩივის, შეიძლება, ტაშფანდურამ სახალხოდ პანდურიც უთავაზოს და სამსახურიდანაც დაითხოვოს!..

გიგლა ამჯერად გადარჩა – ბატონი ტაშფანდურა ტყუილად არის გენიოსი? ყველა გაჭირვებიდან გამოსავალს მაშინვე იპოვის!

– აბა, გიგლა ბატონო, სხვა მხრივ ვერ ივარგე და ახლა ოთხზე დადექი, შენ თვითონ იქნები ტრიბუნა! – უბრძანა ტაშფანდურამ პირად მდივანს, თან, საკუთრი გონებაშახვილობით გუნებაგამოკეთებულმა წაუმიღერა: – აჩუ-აჩუ, ცხენო, აგოე!

ამასთანავე, ბატონ გიგლას ტაშფანდურამ პირიდან წყლის შეფრქვევის იგივე პროცედურა ჩაუტარა, როგორც მშვენიერ ქალბატონ პეპელას – წყლიანი მათარა ისევ ხელში ეჭირა; პირადი

მასხარის ტანსაცმლის დასველებას არ მოერიდა – ბატონ პრეზიდენტს ფეხის დასრიალებისა სრულებით არ შეეშინდა! (ერთს შევნიშნავ: ის კი არ იცის, რომ, რომელ ჩვარზეც ხშირად ვიწმენდთ ფეხს, იმაზე, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ფეხი დაგვიცდეს! ამ ძველთაძველ ჭეშმარიტებაში მკითხველი წიგნის ბოლოში დარწმუნდება).

ღიახ, ბატონი გიგლა ყვაფიფრჩხილაძე იმავდროულად საჩაღეთის პრეზიდენტის პირადი მასხარაც გახლავთ, მაგრამ ასე საჯაროდ მისი ამ მეორე მოვალეობის შესრულება ესამუშა, მით უმეტეს – სრულიად მოულოდნელად წყლის ჭავლი პირდაპირ სახეში შეაფრქვიეს (“დიდი დაფთარი” ხელში ეჭირა და კი აიფარა, მაგრამ დაგვიანებით); მაშინვე, ჯერ სახეზე ჩამოისვა ხელი, შემდეგ რატომღაც შარვლის მუხლისთავეებიდან მტვერი საგულდაგულოდ ჩამოიფერთხა – ვითომ მწვანე ბალახს გააჭუჭყიანებდა? – და ერთ წუთში პატრონის ბრძანება შესრულებული იყო!

ტაშფანდურამ ბატონ გიგლა ყვაფიფრჩხილაძის ცოცხალ ტრიბუნად გამოყენება გადაიფიქრა – პრეზიდენტის პირადი მდივანი და, იმავდროულად, პირადი მასხარა ფრიად ტანმორჩილი, სუსტი და თან კუზიანი გახლდათ...

– ადექი! – უბრძანა ტაშფანდურამ ბატონ გიგლა ყვაფიფრჩხილაძეს, ირგვლივ მიმოიხედა, სხვა კაცი მის ამაღლაში იქ ვეღარავინ დაინახა (ბატონი მუუუჟა წინდახედულად სხვებს ამოეფარა) და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ლონდონში დაქირავებული პირადი დაცვის ერთ-ერთი ბრგე მცველისკენ გაიშვირა (მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ჩვეულებისამებრ მარცხენა ნესტოში საქმიანობდა): – ოთხზე დადექი!.. ცოცხლად, ცოცხლად!..

– რა ბრძანეთ? – ფრიად გაუკვირდა პირად მცველს.

– ოთხზე დადექი! – გაუმეორა ტაშფანდურამ.

– მეხუმრებით?

– დადექი, ჩქარა! – მოუთმენლად შეჰყვირა ტაშფანდურამ და ცხვირის ნესტოში თითით ბურღვითი სამუშაოებიც კი დროებით შეაჩერა.

– ბოდიში, მაგრამ ამგვარი რამ არ შედის ჩემს მოვალეობაში!

– რა? – მიეჭრა ტაშფანდურა ურჩს, მაგრამ მის პირისპირ მდგომი ტანმოსულ ტაშფანდურაზე მთელი თავით მაღალი აღმოჩნდა და მის თვალებში გაკვირვება უკვე დაცინვამ შეცვალა, რაც გამორიცხავდა უკვე მიღებული მტკიცე გადაწყვეტილების შეცვლას და...

სახეაჭარხლებული ტაშფანდურა ახლა სხვა პირად მცველებს აუხირდა; მუქარით რომ ვერას გახდა, ახლა I ხარისხის “შადრევანთ მეფის ორდენით” დაჯილდოებასაც კი დაჰპირდა, მაგრამ ცოცხალ ტრიბუნად გახდომა რატომღაც არავინ ისურვა – არც ბრძანებით და არც ნებაყოფლობით...

ბედად ამ დროს გამოჩნდა ჩქარი სიარულისგან გულამოვარდნილი და გაოფლილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე, რომელიც შეშინებული სახით იქვე დადგა – ეტყობა სახინკლე საქმე ვერ მოაგვარა! ტაშფანდურამ ახლა მას დაუმიზნა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი (საკვირველი კია, ხინკლის ამბავის კითხვა არც გახსენებია!):

– ახლავე ოთხზე დადექი! ჩქარა!..

დამფრთხალი კოტიკო ყველაფერს მოელოდა, ასეთ უცნაურ ბრძანებას კი არა და, გაოგნებულად, მაშინვე მუხლებზე დავარდა.

– ოთხზე, ოთხზე! – მოუთმენლად დაუყვირა ტაშფანდურამ.

როცა მისი სურვილი შესრულდა, ბატონმა ტაშფანდურამ ორი ზორბა პირადი მცველი მოიხმომ (სულ მხოლოდ თხუთმეტი პირადი მცველის დაქირავებით დაკმაყოფილდა დიდი ბრიტანეთში ჩასვლისას – როგორც შეიტყო, აქ წესრიგი და წესიერება ელოდა); მათი დახმარებით ფრთხილად ავიდა ბატონ კოტიკო კატაბარდაძის ზურგზე (წინდაწინ ფესსაცმელების ლანჩის გასაწმენდად ერთ-ორჯერ მაინც გასმა-გამოსმა ბალახზე არ ჩათვალა საჭიროდ):

– ალე ჰოპ!.. ჰი-ჰი-ჰი!.. კიდევ კარგი, ჯერ ხინკალი არ მაქვს ნაჭამი! კოტიკო, ოცი ხინკალი ნეტავ რამდენს აიწონის? – შეიცოდა ტაშფანდურამ კოტიკო. – ჰი-ჰი-ჰი! ჰო, მართლა, როგორაა ხინკლის საქმე? ისეთ მადაზე ვარ, ოცდაათსაც დავაყუმბარებდი, აბა რავა!.. მიყვარს ხინკალი, გინდაც მომკალი!.. ჯან!.. ეს რა გემრიელი ლექსი გამომივიდა, მე თვითონ მიკვირს! ჰი-ჰი-ჰი!.. ხომ მაგარი ვარ, გიგოლოკო-კიკოლიკო, ჰა? ჩაიწერე!.. თუ “დიდი დავთარი” კიდევ ავიფარებია სახეზე და დასველდება, შიგ შენი გაგდების ამბავის ჩაწერაც მოგიწევს, ჰი-ჰი-ჰი!.. ჯერ ჩემი სიტყვა ჩაწერე!

და მასხრული წარმოდგენის მოლოდინში შეკრებილ დამსწრე საზოგადოებას ორბის თვალი მოავლო. შემდგომ წყლიანი მათარა დროებით მარცხენა ხელში დაიჭირა (რის გამოც ცხვირის ნესტოში არქეოლოგიური სამუშაოები დროებით შეჩერდა), მარჯვენა ხელი კი წინ გაიშვირა, ვითარცა გამოცდილმა მჭერმეტყველმა...

და გლიჯა სიტყვა! არა – სიტყვათა სიტყვა! ნადლი სეფესიტყვა! აბა რავა!..

მოგესენებათ, ჰაიდ პარკში შეგიძლია, ილაპარაკო და გემოზე მოიფხანო გული, თუკი რამე გაწუხებს: აშარი ცოლის ხუმტურების გამო, სამსახურში შენი უფროსის გაუნათლებლობის, უხეშობისა და თავგასულობის თაობაზე; მოუწოდო ლოთობისგან თავშეკავებისკენ ან, როგორც ნადირთა დაცვის თავგამოდებულმა ქომავამა, აღშფოთება გამოსატო ინგლისელ არისტოკრატთა მელიებზე დაგეშილი ძაღლებით ტრადიციული ნადირობის გამო და მოითხოვო პარლამენტისგან

ამ სასტიკი გართობის სასწრაფოდ სამუდამოდ აკრძალვა... აუწყო დამსწრე საზოგადოებას თუნდაც მავან მინისტრთა არაკომპეტენტურობასა და დანაშაულებრივ გარიგებებში მონაწილეობის შესახებ, გინდაც – პარლამენტის ზოგიერთი პატივცემული წევრის კორუფციაში ყურებადღე ჩაფლობის გამო გამოხატო საკუთარი გულისწყრომა; ახარო დაინტერესებულ საზოგადოებას ახალი მსოფლიო მასშტაბის რელიგიური მიმდინარეობის თუ ახალი სექტის დაარსება და მის მიმდევართა რიგებში გაწევრიანება შესთავაზო...

ტაშფანდურა ასე არ დაწვრილმანებულა და მისი მგზნებარე გამოსვლა მიდგნილი იყო ფრიად აქტუალური თემისადმი – განსაკუთრებული მოვლენის, დიდი შადრევნის, სწორუპოვარი შადრევანთ შადრევნის, შადრევანთ მეფის მშენებლობის მნიშვნელობის შესახებ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის თანამედროვე ისტორიაში! არა, ძვირფასი ბოლიში, მსოფლიო ისტორიაში, აგოე!..

ტაშფანდურამ წრფელი გულით შესთავაზა მთელი მსოფლიოს მხატვრებს, მოქანდაკეთ, დეკორაციული ხელოვნების ოსტატებს, არქიტექტორებსა და ნებისმიერი ფანტაზიითა და გემოვნებით დაჯილდოებულ ადამიანს, მიეღო მონაწილეობა შადრევანთ მეფის საუკეთესო პროექტის კონკურსში; შემდგომ კი მიიპატიჟა იქ მყოფნი მსოფლიოს მერვე საოცრების, შადრევანთ მეფის, გახსნის გრანდიოზულ ცერემონიაზე! საკუთარი თვალით დაწვრილმანებით – ჩვენ ყველაფერში მაგრები ვართ, აბა რავა!

ტაშფანდურას სიტყვების მსმენელნი მხოლოდ ზრდილობიანი ტაშის დაკვრით შემოიფარგლნენ, თან იცინოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის კოტიკო კატაბარდაძის უსიტყვო მორჩილების გამო – ასეთი ჯიჯი ანუ მეტისმეტად ერთგული, ყურმოჭრილი მონის მსგავსი მსახური ჯერ არ გვინახავსო. რასაკვირველია, ბატონ პრეზიდენტის მხლებლებმაც ტაშფანდურას მჭერმეტყველება ტაშით დააჯილდოვეს, ოღონდ – მქუხარე აპლოდისმენტებით! – კაი ბიჭები და გოგონები იქნებოდნენ და სხვაგვარად მოიქცეოდნენ! განსაკუთრებული გულმოდგინებით ჩირგვებიდნ გამომძვრალი მუჟუჟა ბუჭბუჭადე გამოიჩინოდა, ხელისგულები ლამის გადაიტყავა!

ტაშფანდურამ იკითხა, ტაში ტაშად და ზოგიერთები რატომ გაჰყვირიან დამცინავ სიტყვებს, იმის მაგივრად, რომ ყურადღებით მისმინონ; თან დაიხარა და ოთხზე მდგომ კოტიკო კატაბარდაძეს ხუმრობით კინკრისოში წკიპურტი გაჰკრა: რატომ აძლევ თავხედებს ამის უფლებასო, ჰი-ჰი-ჰი!..

მოწიწებით მოახსენეს: ისინი მოითხოვენ, რომ მორჩეთ ამდენ ლაპარაკს, სხვებსაც მიეცით საშუალება, თქვან საკუთარი სათქმელიო. ტაშფანდურას მშვენივრად ესმოდა, რასაც სიცილით ამბობდნენ მაყურებელნი: ამ ორატორთა კუთხეში რა არ გვინახავს, მაგრამ მსოფლიოში თუ არსებობდა “ფაუნტინ ფრიკს” ანუ “შადრევანზე გადარეული”, “შადრევნის იდეით შეპყრობილი”, ამას კი ვერაფრით წარმოვიდგენდით და დიდად ვიმხიარულეთ მისი ხილვით, განსაკუთრებით – როგორ მოხდენილად უშვებს პირიდან შადრევანს, ამ საქმეში დიდად დახელოვნებული ჩანს, ნამდვილი არტისტიო.

ტაშფანდურამ იუკადრისა:

– უყურე შენ, რას მიბედავენ! ვინ ვგონივარ მაგათ მე?! – აღშფოთებით იკითხა, ისევ დაიხარა და კოტიკო კატაბარდაძეს კინკრისოში წკიპურტი კვლავ უთავაზა: – რა ხდება აქ, გამაგებინე?! ცირკის მასხარა ვგონივარ? ვაი მაგათ პატრონს!.. გასაყვეყნებელია!.. რატომ ის არ უკვირთ ამ შობელძაღვებს, ახალგაზრდები დედიშობილა რომ დარბიან ოქსფორდ სტრიტზე ან პიკადილიზე რაღაც სულელური პროტესტის ნიშნად!.. თუ მოვინდომე, კი ვაჩვენებ მაგათ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი კლოუნი, არც ეგ გამოიჩინდება! მაგათ არ იციან, ყველაფერში რა მგარი ვარ, აბა რავა!..

გვერდით ვიღაცამ სხვამ მოინდომა სიტყვის წარმოთქმა და მას ბევრად მეტი მსმენელიც გამოუჩნდა; ტაშფანდურამ ვერ აიტანა კონკურენცია – მხოლოდ ის უნდა ლაპარაკობდეს!

– სად არიან წესრიგის დამცველები?! – და კოტიკოს კვლავ უთავაზა წკიპურტი კინკრისოში. – დაუფონებლივ დააპატიმრეთ თავხედი! წააბრძანეთ აქედან და საკადრისი სასჯელიც მიუზღეთ! ეს არის მათი სახელგანთქმული ბრიტანული დემოკრატია? ჩემი პირადი მცველები რაღას უდგანან და ისინიც იკრიჭებიან?

ახმახი პირადი მცველები ამჯერად დაუფარავად იცინოდნენ...

როგორც იქნა, კოტიკო განთავისუფლდა ტაშფანდურასთვის ცოცხალი ტრიბუნის მოვალეობის შესრულებისგან და დედაქალაქის პოლიციის წარმომადგენელს მოახსენა ტაშფანდურას თხოვნა თუ ბრძანება, მაგრამ ბობიმ მხოლოდ გაიღიმა: აქ კიდევ რამდენიმე ორატორი ლაპარაკობს და ხომ არ გნებაეთ, ისინიც დავსაჯოთო, საკმარისია ამდენი ხუმრობაო...

და სწორედ ამ დროს მისი უმაღლესობის, ბატონ პრეზიდენტის ელევანტური კოსტიუმის გულისპირი მოულოდნელად დაჯილდოვდა ფრიად სასიამოვნო შეხედულებისა და ასეთივე ფერისა და სუნის “ორდენით” – მტრედმა დაასკინტლა!

– მათარა! – დაიღრიალა ბატონმა პრეზიდენტმა მისთვის ფრიად შეუფერებელი ხმით, თანაც საზოგადო ადგილას და მზერით ტურფა მათრათმტვირთველს დაუქყო ძებნა, მაგრამ პეპელა პირლამაზაშვილი ვისკის საყიდლად გახლდათ წასული. ტაშფანდურამ მხოლოდ ახლა შეამჩნია,

რომ მათარა ხელში ეჭირა და ჯიბიდან ამოდებულ ცხვირსახოცს მაშინვე მიუმარჯვა კიდევ, მაგრამ, იგი უკვე წყლისგან დაცლილი იყო!

დაჯილდოებული კოსტიუმის სასწრაფო გაწმენდის ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო ბატონ პრეზიდენტის მსახურებელთა ყველა ცხვირსახოცმა, სამწუხაროდ, ყველამ – მშრალმა...

– ბატონო პრეზიდენტო, ბედს ეწვეით! ეს მომავალში რაღაც ღიდი ჯილდოს მიღების ნიშანია! – ანუგეშა მისმა პირადმა მრჩეველმა და, იმავდროულად, პირადმა ასტროლოგმა მუჟუჟა ბუჟბუჟაძემ.

– დამეკარგე იქით! – ტაშფანდურამ ბატონ მუჟუჟას ცარიელი მათარა სტყორცნა, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ეჭირა და საოცარი სიზუსტით პირდაპირ ცხვირში მოარტყა, რაიც ასტროლოგის მეცნიერული პროგნოზით სულაც არ იყო გათვალისწინებული... ფრიად ფრთხილი იყო ბატონი მუჟუჟა, მაგრამ ისიც ფრიად მოულოდნელად დაჯილდოვდა!

ახლო ტრიბუნაზე შემდგარმა ორატორმა არ მიაქცია ყურადღება ტაშფანდურას ახირებას, მხოლოდ მე უნდა მომისმინოთ და დაიწყო ცხარე ლაპარაკი. ტაშფანდურას მსმენელნი და სეირის მსურველები შემოეფანტნენ და იქითკენ, ახალი ორატორისკენ გადაინაცვლეს.

– პოლიცია! – აყვირდა გაგიჟებული ტაშფანდურა. – ეგ არამზადა უგვანო სიტყვებით თათხავს აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში არსებულ წეს-წყობილებას და მე, მის პრეზიდენტს, საჯაროდ შეურაცხყოფს! გასაყვეჩქებელია!.. ეგ კაცი რატი რწყილაძეა, ნამდვილი გარეწარი, სახელმწიფო დანაშაულისთვის ძებნილი “ხალხი ძალადობის წინააღმდეგ” პარტიის ლიდერი! სად ისწავლა ასეთი პამართული ტყუილი? ვიცი, რასაც ცრუობს ეგ ნამირადა: ვითომ საჩაღეთი პოლიციური სახელმწიფოა და იქ გამეფებულია ძალმომრეობა, ადამიანთა უფლებები ფეხქვეშ ითვლება, ვიტაცებთ, ციხეში ვაღპობთ და ვსპობთ ოპოზიციონერებს, ვითომ ჩვენთან არ არსებობს სამართალი და პარლამენტიც კი ჩემი ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელია! ამ ბორცვ ცილისმწამებელს ჩემი თანამდებობიდან ძალით ჩამოგდება უნდა! მოვითხოვ, ახლავე დააპატიმროთ მოღალატე და სასწრაფოდ მოხდეს მისი ექსტრადიცია და სასწრაფოდვე გადასცეთ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ხელისუფლებას!..

ტაშფანდურას გამოსვლა ამით არ დამთავრებულა, იგი გაჯერებული იყო ნარჩევი გინებითა და მუქარით საკუთარი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასაცამტყვერებლად! კიდევ კარგი, მის სიტყვებს იქ მყოფნი ხუმრობად თვლიდნენ, თორემ ხომ მაშინვე დაირაზმებოდნენ და დაუყონებლივ გაემბზავრებოდნენ საჩაღეთში... ბოდიში, აყვავებულ და ბედნიერ საჩაღეთში, ტაშფანდურას საშინელი ოპონენტების გასანადგურებლად...

გაანჩხლებული ტაშფანდურა მიიჭრა დინჯად მოსეირნე პოლიციელთან, რომელსაც დიმილს ვერ იკავებდა – ორატორთა კუთხეში რაღა არ უნახავს და კარგა ხანია, ასე არ უმხიარულია! – და კატეგორიულად მოითხოვა, აღეკვეთა საშიში სახელმწიფო დანაშაულის რატი რწყილაძის უმსგავსო ქმედება – ეს გასაყვეჩქებელია!

მაგრამ ბოთმი ამჯერად ფართოდ გაუღიმა და ხელებიც გაშალა – აქ ყველას ეძლევა უფლება სრულიად თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულება ნებისმიერ საკითხზე!..

ტაშფანდურა ამგვარმა პასუხმა კიდევ უფრო გააცეცხლა. როცა ყვირილითა და მუქარით ვერას გახდა, გაიჯგემა, ვითარცა მეფე ართურის დროინდელი ჯაკი – გოლიათთა შემწუსრელი, თუმცა არც უჩინმაინის ქუდი ჰქონდა, არც – სწრაფმავალი ელვა ჩექმები, არც – მახვილი და მაშინვე დაადასტურა, რომ არც სიბრძნის ქუდი ეხურა: იქვე გამოჩენილ ტურფა მათარათმტვირთველს პეკელა პირლამაზაშვილს გამოსტაცა ხელიდან ბოთლი, მოხსნა თავსახური, მოიყუდა და... “დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და დედაქალაქის პოლიციის წარმომადგენელს ფიზიკური შეურაცხყოფა და მორალური ზიანი მიაყენა” (როგორც შემდგომ აღნიშნული იყო საპოლიციო უბანში შედგენილ ოქმში). მიკვირს, ხომ იცი, უმაღლესი ხარისხის სკოჩი შესაფრქვევად როგორ გაიმეტა! სხვათა შორის, ბატონი პრეზიდენტი მოითხოვდა პირადი მცველებისგან დახმარებას, როცა მას, მართალია, ხელკეტით არ გაუმასპინძლდნენ – დაინდეს! – მაგრამ ხელბორკილი კი დაადეს და სადაც ჯერ იყო, იქ წააბრძანეს; ამ ჯენტლმენებმა კი უპასუხეს: “ბოს (გამოთქმით ამერიკელი ჰგონიათ – ამერიკაში მიაღებინა განათლება ბიძამ, ემპელოკლე ბუქნაძემ), ჩვენ პოლიციელს როგორ გავუწევთ წინააღმდეგობას! თქვენც გირჩევთ, დაემორჩილოთ მის ყოველ მოთხოვნას!”.

ტაშფანდურას ჭკუა ეყო და მათ დაუჯერა, თორემ დაჯარიმებას არ აკმარებდნენ და დიპლომატიური სკანდალის გმირიც გახდებოდა...

რასაკვირველია, იმ საღამოს გამართული მორიგი ლხინის დროს, – ამჯერად ინდურ რესტორანში, – ყველა ბატონ პრეზიდენტის არაჩვეულებრივი მჭერმტყვევლების შესახებ საუბრობდა და მას მსოფლიოში ადამის დროიდან მოღვაწე ყველა ხალხისა და ყველა დროის უდიდეს ორატორთა ხუთეულში ასახელებდა.

– აბა რაგა! – თავმდაბლად დაეთანხმა მათ ტაშფანდურა. – უცნაური ქვეყანაა! აქ არც ორატორები უვარგათ და არც პოლიცია... დასეირნობენ, ვითომ კურორტზე ისვენებენ... იარაღსაც კი არ ატარებენ, გასაყვეჩქებელია!.. მე ყოველთვის მეხერხებოდა პოლიციელებთან ურთიერთობა, ამ ბრიტანელებთან კი ვერაფერი გავაწყვე! მივდივარ, კაცო, და ვეუბნები: “აგერ ყაჩაღი და ქვეყნის ამომგდები, წესისამებრ მთელ მსოფლიოში ინტერპოლი რომ უნდა ეძებდეს, გამოჭიმულა ტრიბუ-

ნაზე! და თუ იცი, რას ქადაგებს ეგ ენაგადმოგდებული გათახსირებული? მე მესვრის ლაფს! აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთს ტირანისა და ძალმომრეობის ბუდედ ასადებს!“. და ეს უღარდელი პოლიციელი გულარხინად უყურებს ამ ამაზრზენ სურათს, თითიც არ გაატოკა! ესაა დემოკრატია? ასეთი დოჟლაპიობის შემხედვარე, მიკვირს, ხომ იცი, როგორ არ დაამხეს აქამდე აქაური მთავრობა! ახი იქნებოდა, აბა რავა!..

– ბატონო პრეზიდენტი, ინგლისში პარლამენტი უკვე შვიდი საუკუნისაა, უფრო ადრე, რვა საუკუნის წინათ, მიიღეს “თავისუფლების დიდი ქარტია”, – ხმის ამოდება გაბედა გიგლა ყვაგიფრჩხილაძემ; იმედი ჰქონდა, ბატონი პრეზიდენტი სუფრაზე მაინც არ მტყორცნის შადრევანსო; თანაც, თუმცა ტურფა მატარათმტვირთველი პეპელა პირლამაზაშვილი ტაშფანდურას გვერდს უმშვენებდა, ამჯერად მათარა თან არ ჰქონდა...

– მერე, მერე? – გამხნევა გიგლა ტაშფანდურამ.

– ადამიანის პიროვნული და საზოგადოებრივი უფლებების დარღვევას აქ ვერაფერს გაბედავს და ფიქრადაც კი არ გაიფლებს...

– ჰი-ჰი-ჰი! – რატომღაც მხიარულ გუნებაზე დადგა ტაშფანდურა. – მოდი, ჩემო გიგოლიკო-კიკოლიკო, მე და შენ ამის სადღეგრძელო დავლიოთ! ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, აბა რავა! ასწიე ეგ ბროლის ჭიქა და მომიჭახუნე!

ბატონი გიგლა კი შეფიქრიანდა, როდის იყო ბატონი პრეზიდენტი ასე მიყადრებდა თავსო, მაგრამ ურჩობა ვერ გაბედა, საესე ჭიქით ხელში წამოღდა... და ტაშფანდურამ მასთან მისულს ჯერ ჭიქა მიუჭახუნა და შემდეგ მოულოდნელად პირიდან ვიკის შადრევანი შეარქვია... მაგარია ბატონი პრეზიდენტი და, თუ ახლომანლო წყლიანი მათარა არ ეგულება, ვისკის ბოთლითაც შეუძლია იოლას გავიდეს, აბა რავა!..

– გიგოლიკო-კიკოლიკო – ყიყლიყო! ჰი-ჰი-ჰი!.. შენ არ ამბობდი, გაუმარჯოს ადამიანის თავისუფლებასო? მეც თავისუფალი ვარ, აბა რავა! ჰი-ჰი-ჰი!..

გამორჩეული ორატორული ნიჭის აღნიშვნის გარდა, ვიღაცამ ტაშფანდურას ისიც უთხრა, ალბათ ხუმრობით, რომ ბატონი პრეზიდენტი სხვა მხრივაც ანცვიფრებს მსოფლიოს და მისი ცვილის ფიგურა მადამ ტიუსოს სახელგანთქმულ მუზეუმს ტყუილად კი არ ამშვენებსო.

ჰოდა, მეორე დღეს, ბეიკერის ქუჩაზე მშვენიერ შენობაში მოთავსებული მადამ ტიუსოს ცვილის ქანდაკებათა მსოფლიოში სახელგანთქმული მუზეუმის კარი ზუსტად დილის ათ საათზე როგორც კი გაიღო, პირველი მნახველი, ვინც მის ზღურბლს გადააბიჯა, როგორც ალბათ მიხვდები, მკითხველო, მოუთმენლობით აღსავსე ტაშფანდურა გახლდათ!

შესასვლელი ბილეთის ფასი საკმაოდ ძვირი მოეჩვენა ბატონ პრეზიდენტს – თერამეტი გირვანქა სტერლინგი, წარმოვიდგენიათ? და აყალმაყალი ატეხა:

– როგორ, ჩემი საკუთარი გამოსახულების სანახავად ფული უნდა გადავიხადო? თანაც – ამდენი? გასაყვეყნებელია!..

ერთი პირობა ტაშფანდურა აპირებდა უკან გაბრუნებულიყო, – ლონდონში ამაზე უკეთესი სანახავი ბევრზე ბევრია! – მაგრამ საკუთარი ქანდაკების ხილვის სურვილმა გადასწონა; ეკონომის მიზნით მუზეუმში მხოლოდ ის და გიგლა შებრძანდნენ (გიგლა იმიტომ, რათა ბატონ პრეზიდენტის ბრძნული აზრები არ დაკარგულიყო, ასევე – მისივე ფოტოებიც ხომ უნდა გადაეღო ვინმეს), პირადი დაცვაც კი შესასვლელთან დატოვა.

ტაშფანდურამ საგულდაგულოდ დაათვალიერა უზარმაზარი კოლექცია (მხოლოდ საშინელებათა განყოფილებას აუარა გვერდი – იქ ცალკე ბილეთი უნდა შეეძინა!) – თითქმის მთელი დღე მოუნდა! და კინაღამ გაგიჟდა: “ამას რა ხედავს ჩემი თვალები – ჩემი ძველი ოცნების ტურფა ქალიშვილები! სოფი ლორენ, გამარჯობა! საღამი ჯინა, ცარიელი ეშხი ხარ! მერილინ, რა თოჯინისთვის დაუმსგავსებია! ვივიენ, ბრიტანეთის ნაზო ყვაგილო!.. გრეტა, ბრიჯიტ, სილვანა, ლუჩია, კატრინ – რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდით ყველანი, ჩემს ყმაწვილკაცობაში რამდენ ადამიანს ანიჭებდნენ სიხარულს და მხნეობას თქვენი ფოტოსურათები!..”.

შემდეგაც მის სახეს კმაყოფილების ღიმილი არ შორდებოდა: “გამოჩენილ პოლიტიკოსებს” ანუ მათ ნატურალური ზომის ცვილის ქანდაკებებს ვისაც კი დაეტოლა, ყველას აჯობა სიმადლით! აბა რავა! (მართალი მოგახსენო, მასზე მაღლებიც იყვნენ, მაგრამ მათთან სურათის გადაღება არ ისურვა). და ასამდე “პოლიტიკოსთან”, “სპორტსმანთან”, “განგსტერთან” და, განსაკუთრებით, ტურფა ქალბატონებთან, “კინოვარსკვლავებთან” და “ფოტომოდელბებთან”, მეგობრულად გვერდით მდგომმა, ფერადი ფოტოსურათებიც გადააღებინა გიგლას – ფართედ იღიმებოდა და ყველას მხარზე მეგობრულად ჰქონდა ხელი მოხვეული! მრავალი ამ სურათთაგანი სულ მალე აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პოპულარული ჟურნალების ყდებს გააღამაზებს, მომავალშიც დიდად გამოადგება მისი მოგზაურობის აღმწერი მდიდრულად დასურათხატებული ალბომ-წიგნის დასამშვენებლად... ყველაფერში მაგარია არისტოტელე ბუქნაძე, აბა რავა! შესაშური აღლო აქვს, სიბრძნე და წინდახედულება!

მაგრამ საბოლოოდ მაინც იმედი გაუცრუვდა: მადამ ტიუსოს მუზეუმში მისი ქანდაკება არ ჰქონიათ! იქნებ გამორჩა? რა თქმა უნდა, არა; მუზეუმის დირექციაში დაუდასტურეს, – ერთი წუთი დასჭირდა კომპიუტერში ჭეშმარიტების მოძიებას, – რომ არც მუდმივი ექსპოზიციისა და არც საცავის კატალოგებში, სამწუხაროდ, მისტერ ბუქნაძეს ცვილის ქანდაკება არ ირიცხება...

გასაყვეყნებელია! წარმოგიდგენიათ ასეთი... – რა დავარქვა? მიჭირს შესაფერისი სიტყვების მოძებნა, – ასეთი სიბრყველესთან ნაზიარები უცოდინარობა თუ უპასუხისმგებლობაზე დამყნელი უგუნურება?!

ტაშფანდურა ჩხუბის ხასიათზე დადგა:

– ვიღაც ვიგინდარებს სწყალობთ – სისხლისმსმელ განგსტერებს, უნიჭო კინოვარსკვლავებს, ხისთავიან ფეხბურთელებს და უტყუარ ფოტომოდელებს – და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს უგულვებელყოფთ, რომლის სახელიც მთელ მსოფლიოში ქუხს? აბა ერთი ნე-ბისმიერი გაზეთი და ჟურნალი გადაშალეთ, თუ იქ ჩემი ფოტო არ იყოს! გასაყვეყნებელია! ახლა აგერ ვარ და ბედნიერი შემთხვევა გეძლევათ, ნატურიდან შეასრულებინოთ ჩემი ზუსტი პორტრეტი! აბა რავა!

მუზეუმის ადმინისტრაციის მესვეურებმა მორიდებით მოახსენეს: მათთვის დიდი პატივია ასეთი გამოჩენილი პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის სტუმრობა; იმედი აქვთ, რომ ბატონ პრეზიდენტის ქანდაკება ახლო მომავალში დაამშვენებს მადამ ტიუსოს მუზეუმს; უმოკლეს დროში მის გვარს აუცილებლად შეიტანენ განსახილველ კანდიდატთა სიაში – ექსპოზიციას მუდმივად აახლებენ, წესით თვეში ამატებენ ათ ახალ ქანდაკებას; მის უმაღლესობას ან მის წარმომადგენელს ტელეფონით დაუკავშირდებიან და შეატყობინებენ გადაწყვეტილებას ამის თაობაზე...

ტაშფანდურას გაანჩხლება აი, ახლა უნდა გენახათ!

– გასაყვეყნებელია!.. როგორ, მე, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი არისტოტელე ბუქნაძე, ათასგვარი სახელმწიფო საქმეებით უზომოდ დაკავებული, თქვენს ზარს უნდა ვლოდლო?

ბატონ პრეზიდენტს აუხსნეს, რომ ცვილის ფიგურის დამზადება არ არის იოლი საქმე და ხანგრძლივ დროსაც მოითხოვს: სანამ ცვილის ქანდაკების შექმნას გამოცდილი, მაღალკვალიფიციური მოქანდაკენი შეუდგებიან, საჭიროა წინდაწინ უამრავი ფერადი ფოტოსურათის გადაღება, პიროვნების ყველა “შემადგენელი ნაწილის” ზუსტი გაზომვა, მხატვარმა უნდა გააკეთოს უამრავი პორტრეტული ჩანახატი სულ სხვადასხვა რაკურსში...

ტაშფანდურას დაწყნარებას თავის მოქონვითაც შეეცადნენ:

– ბატონ პრეზიდენტის ცვილის ქანდაკება მშვენიერი იქნება! არც გაახალგაზრდავება დაგჭირდებათ, არც სიმაღლეში მომატება – ერთსაც და მეორესაც ყველაზე ხშირად გეტხოვრებ... ორდენები რამდენი გაქვთ? ყოველგვარი უცხოური ორდენის შოვნა შეგვიძლია – ნატურალურის, ნუმიზმატიკთან, მაგრამ საჩაღეთის ორდენისა გაგვიჭირდება და თქვენი დახმარების იმედი გვაქვს!

მაგრამ ტაშფანდურას არაფრის გაგონება არ სურდა და როცა მისი დაშოშმინება ვერ შეძლეს, იძულებულნი გახდნენ, მუზეუმის დაცვის პოლიცია გამოეძახებინათ და მათი დახმარებით ზრდილობიანად გამოებრძანებინათ ქუჩაში...

თუკი ოდესმე არისტოტელე ბუქნაძის ცვილის ქანდაკება შეიქმნება და მნახველთათვის საჯაროდ გამოიფინება მადამ ტიუსოს მუზეუმში, რათა ყველა მსურველს მიეცეს საშუალება, დატკბეს ხილვით ამ მართლაც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის და ფრიად გამორჩეული პიროვნების გამოსახულებისა, იმედი მაქვს, მას “ხმოვანს” გააკეთებენ – გაბრაზებული ტაშფანდურას მჩქეფარე სიტყვიერი შადრევანი დიდად დაამშვენებს და უფრო რელიეფურად და საესედ წარმოაჩენს მის ჭეშმარიტ სახეს...

ბატონი პრეზიდენტი ქუჩაში კიდევ უფრო აბოხოქრდა – ამჯერად პირადი დაცვის წევრები (რომლებიც მთელი დღე მოთმინებით ელოდნენ ქუჩაში) აიკლო საყვედურებით, რატომ მიეცით უფლება, ჩემი პიროვნების აბუჩად ავლებო... ტაშფანდურა განსაკუთრებით იმან გაახელა, რომ მისი უმაღლესობის მხლებელთა მშვენიერი ნაწილი – ტურფა ქალბატონები: თამთა ბატკნიყურაძე და პეპელა პირლამაზაშვილი – მას არ დალოდებიან და სადღაც გასართობად წასულან, წარმოგიდგენიათ? გასაყვეყნებელია!.. მხოლოდ წითური მზეთუნახავი ხატია ხუთგულაძე არ აპყოლია ცდუნებას (აბა, თუ მიხვდებით, რატომ?), მაგრამ ბატონ პრეზიდენტის რისხვა მას მაინც გადაწვდა, აგრეთვე – ასევე ყოველად უდანაშაულო გიგლა ყვავიფრჩხილაძეს, მუჟუჟა ბუჭბუჭაძესა და კოტიკო კატაბარდაძესაც... ჰო, ბატონ პრეზიდენტის პირადი მდივანი ვოლფგანგ შულცეც არ ჩანს, ქალბატონებს ხომ არ გაჰყვა? ასეთი თავხედობა გაგიგონიათ?!

რაღა თქმა უნდა, ტაშფანდურამ მაშინვე გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან ქონების წართმევის მინისტრი მშვენიერი თამთა ბატკნიყურაძე, პრეზიდენტის პირადი მათარათმტვირთველი მშვენიერი პეპელა პირლამაზაშვილი და, რასაკვირველია, პირადი ექიმიც ვოლფგანგ შულცეც მათ მიაყოლა... პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს კოტიკო კატაბარდაძეს დაევალა, სასწრაფოდ გამოეღვა ქუჩაში ამ ორი შერისხული ქალბატონის და ერთი ბატონის კუთვნილი ჩემოდნები და პირადი ნივთები, აგრეთვე სასწრაფოდ ეზრუნა მათ შემცველთა გამონახვის თაობაზე. მათგან ერთი უმაღ გამოჩნდა; ბატონმა პრეზიდენტმა მისი პირადი მდივანი და, იმავდროულად, პირადი მასხარა დაიბარა, მის კინკრისოში გემრიელი წკიპურტი დააგემოვნა და ახალი წყალობა უბოძა:

– უყურე შენ! შენი გოგრა კარგად დამწიფებულა, ხომ იცი, გასაყვეყნებელია, ჰი-ჰი-ჰი! ამიტომ დღეიდან ჩემი პირადი ექიმიც იქნები! ძალიან მოსახერხებელია – მაინც ყველგან თან უნდა

დამყვებოდეს პირადი მდივანი და მეცნიერ კაცს ჩემი პირადი ექიმობა არ გაგიჭირდება; ნუ გეშინია, ბევრი საქმე არ გექნება, ბუღალსავით ვარ!

ამჯერად სკანდალის ავტორს მართლაც აუხდა ერთ-ერთი ოცნება – ადგილობრივი ბუღალსა-რული შურნალების გარეკანებზე ბატონ პრეზიდენტის ფერადი ფოტოგრაფიები გამოქვენდა!.. კიდევ უფრო საამაყო გახლდათ, რომ ტაშფანდურას გმირობისა და ვაჟაკური შემართების ამსახველი ფოტოები და წერილები სერიოზული გაზეთების ფურცლებზეც მოხვდა...

გაზეთები გაზეთებად, მაგრამ ოფიციალური წრეებიდან რომ არაგინ გამოხმაურებია ბატონ პრეზიდენტის აქ ყოფნას? ეს ვინ ყოფილან, კაცო, ინგლისელები, ჰა? ქვეყანას პატივი დასდო და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელგანთქმული პრეზიდენტი ჩამობრძანდა, აქაური მთავრობის მხრიდან პატარა ყურადღება მაინც არ უნდა გამოიჩინონ? ისე, არც დედოფალთან მიპატიუებაზეც იტყოდა უარს ტაშფანდურა! წინდაწინ უძვირფასესი შესაბამისი ტანსაცმელიც საგანგებოდ შეიკერა – სმოუკინგ-ჯეკეტიც და ფრაკიც; რომელი სამოსითაც იქნება აუცილებელი მისვლა სტუმრობის დროს, იმით წარსდგება: ოფიციალურ მიღებაზე მიბრძანება მხოლოდ ყველა ეტიკეტის დაცვით შეიძლება! რამდენიმე პეპელა-ჰალსტუხიც კი შეიძინა, აბა რაგა!

სახეიმოდ გამოწყობილი, კარგა ხანს ტრიალებდა და კოხტაობდა დიდ სარკესთან, – ადრეც აღვნიშნე, მისი რეზიდენცია ძველი არისტოკრატიული გვარის მფლობელის ყოფილი სასახლე იყო, ამჟამად სასტუმროდ გადაკეთებული, – აქ დიდი სარკეების უკმარისობა ნამდვილად არ იგრძნობოდა!

– ბატონო პრეზიდენტო, – შეჰკადრა ტაშფანდურას მისმა პირადმა მრჩეველმა და, იმავდროულად, პირადმა ასტროლოგმა მუჟუჟა ბუბუჟუბუძემ, – თუკი გვირგვინოსნის კარზე თქვენი წარდგენა ასე გიზიდავთ, შევედეთში რატომ არ ისურვეთ ამის გაკეთება?

– შევედეთში? შევედეთშიც ჰყავთ მეფე? – გაუკვირდა ტაშფანდურას. – მერე, იქ რომ ვიყავით, რატომ მაშინ არ მომახსენე, შე ყურუმსადლო? – და ბატონ მუჟუჟას კლასიკური ფერის შავი ფეხსაცმელი გემრიელად ამოჰკრა ზურგს ოდნავ ქვემოთ რბილობში.

პანწური თუმცა ფორმალურად თითქოს მეგობრული გახლდათ, მაგრამ ფაქტობრივად ბატონ მუჟუჟას საჯდომისთვის ფრიად საგრძნობი გამოდგა, რამდენადაც ტაშფანდურა სხვას თუ არა, ჯან-ღონეს ნამდვილად არ უჩიოდა! დიახ, კარგი შესახედავი, ნაპატივები ჯენტლმანი შესცქეროდა სარკიდან აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, დიდად მიმზიდველი და ფრიად მოსაწონი!

მაგრამ, ყველა ამ სიკეთის მიუხედავად, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე ტყუილად დარბოდა და უქმად ირჯებოდა – ტაშფანდურას ოფიციალურად მიღების თაობაზე ინგლისის პრემიერ-მინისტრის კანცელარიის საოქმო განყოფილებაში უარი არ უთქვამთ, მაგრამ ზრდილობიანად განუმარტეს, რომ ამგვარი ღონისძიებები რამდენიმე თვით ადრე მაინც უნდა დაიგეგმოს, მთავრობის მეთაურის სამუშაო გრაფიკი საათობით და წუთობითც კი არის განსაზღვრულ-განგაბარიშებული და, სამწუხაროდ, გადატვირთულობის გამო, საშუალება არ გააჩნია, თქვენს დიდად პატივცემულ პრეზიდენტს შეხვდეს, რაიც მომავლში, დარწმუნებული ვართ, აუცილებლად განხორციელდება და, რასაკვირველია, ორივე მხარისთვის სასიამოვნო და ურთიერთსასარგებლო იქნებაო...

ინგლისის დედოფლის კარზეც ბატონ პრეზიდენტის ოფიციალური მიღება სამწუხაროდ, ვერ ხერხდებოდა, როგორც კოტიკო კატაბარდაძეს აცნობეს, დედოფლის მუდმივი მოუცლევლობის გამო: ხან – გაგიჟებული მოყვარული ყოფილა ცხენებისა და დოღს უნდა დასწრებოდა, ხან – ძაღლებთან ერთად ყოველდღიური გასეირნებით იყო დაკავებული; ბოლოს კი კოტიკო გაახარეს ცნობით, რომ დედოფალი აღარ გახლავთ ლონდონში – შოტლანდიაში გაემგზავრა თავის საყვარელ რეზიდენციაში დასასვენებლად და როდის ინებებს დაბრუნებას, არ არის ცნობილიო...

თუმცა, მეფის კარს ვინ ჩივის, არისტოკრატიულ სალონებშიც კი ვერ შეადწია, მაგარი ქედმაღლობა ჰქონიათ გამჯდარი ძვალ-რბილში აქაურ ბრექია სნობებს, გასაყვეჩქებელია!

ბატონ პრეზიდენტის აღშფოთება უსაზღვრო იყო:

– ინგლისი რანაირი დემოკრატიული ქვეყანაა? ჩემი მეათე ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეოთხემეტე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ლონდონში ვაპირებდი დასახლებას, ჩემი საყვარელი ბიძაც აქ მეგულებოდა, მაგრამ გული ამიცრუვდა... უპატიოსნესი პიროვნების, ემპედოკლე ბუქნაძის დაპატიმრება შეიძლებოდა? ჩვენთან, მაღლობა ღმერთს, ამგვარ ადვირახსნილობას არავის ვაპატიებთ! ეს არის პიროვნების თავისუფლების დაცვა? ეს არის დემოკრატია? გასაყვეჩქებელია! აქ რა გამაჩერებს, სული მეხუთება უსამართლობისგან!.. თანაც დამყავებულია აქ ყველაფერი, ყველგან რა მოწყენილობა... რა ხანია აქ ვარ და არც გაფიცვა მომხდარა, მხოლოდ ერთხელ ვიდაც ტერორისტებმა მეტროსთან ბომბი ააფეთქეს და რამდენჯერმე ფეხბურთის მაჩის შემდეგ გულშემატკივრებს შორის ჩხუბი ატყდა, მერე ქუჩებში მანქანებს ცეცხლი წაუკიდეს, მაღაზიები დაარბიეს და გაძარცვეს... პოლიტიკური ცხოვრებაც სრულიად დამდაბლაგებულია: გაგონილა, არც თემთა და არც ლორდთა პალატაში წელს ჩხუბი ერთხელაც არ ყოფილა, ეს არის პარლამენტი?.. რა უნდა ვისწავლოთ ამათგან? სულ არ მწყდება გული, რომ ვერ დაგმყარეთ რაიმე სერიოზული პირადი ურთიერთობები საზოგადოებრივ და სახელმწიფო წრეებთან,

მერეც, მერეც მოესწრება! ისედაც გადატვირთული ვარ აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში ათასგვარი სახელმწიფო საქმეებით და ახლა მაინც არ უნდა განვიტვირთო? არ უნდა დავისგვნო, გავერთო? ამის უფლებაც გამაჩნია და საშუალებაც, აბა რავა! მაგრამ არა, ვერ ვატან აქ დროსტარებას გემოს,

პრეზიდენტის პირადი მრჩეველი და პირადი ასტროლოგი მუჟუჟა ბუჟბუჟაძე ტაშფანდურაზე მეტად იყო კმაყოფილი:

– ბატონო პრეზიდენტო, სამაგიეროდ, თქვენ ხომ ნაწილობრივ მაინც შეცვალეთ საზოგადოებრივი ცხოვრების პეიზაჟი, სადაც კი გამოჩნდით, საოცარი გამოცოცხლება შეიტანეთ! ტელევიზიის რომელ არხსაც კი ჩართავთ, უკანასკნელ ამბებში თქვენს შესახებაა საუბარი! გაუთავებლად უჩვენებენ, როგორი მშვენიერი დასასრული ჰქონდა თქვენს ღირსშესანიშნავ სტუმრობას მაღამ ტიუსოს მუზეუმში, დაცვის სამსახურს თურმე ყველგან დასაკვირვებლად ტელეკამერები უყენია. სენსაცია: თქვენს სტუმრობას მუზეუმში მეტი დრო დაუთმეს, ვიდრე დედოფლის ოჯახის შესახებ ქრონიკის ხანგრძლივობას! დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება გახდით!

– არა, არა, სული მეხუთება, აქ გამჩერებელი აღარ ვარ!..

და მაშინვე ჯერ ბატონ მუჟუჟას კინკრიხოში გემრიელი წკიპურტი მოხდენილად გაჰკრა, შემდეგ ეშხში შევიდა და ერთგულ მეგობარს გიგლა ყვავიფრჩხილაძეს მეგობრულად პანდური უთავაზა, დასასრულ კი ბრძანა, სასწრაფოდ ჩაელაგებინათ ჩემოდნები. სულ არ გახსენებია, რომ ხვალისთვის დაგეგმილი ჰქონდა ლონდონის მახლობლად სწვეოდა ჰამპტონ კორტს – უმშვენიერეს სასახლეს არხებით, წყალსატევებითა და შადრევნებით დამშვენებული პარკებითა და ბაღებით, ხოლო დღესვე აპირებდა ტემპლში მყუდრო შადრევნის ეზოსა და ტრაფალგარის მოედანზე ორი მშვენიერი შადრევნის მონახულებას... კიდევ კარგი, კიდევ კარგი, ტრაფალგარის მოედნის ხიბლს ვერ ეზიარა, თორემ ალბათ მონდომებდა საჩაღეთის დედაქალაქში დიდი შადრევნის მოედანზე შადრევანთ მეფის წინ უზარმაზარი გრანიტის სვეტის აღმართვას (არანაკლებ 50 მეტრი სიმაღლისა – ტრაფალგარის მოედნის ნელსონის სვეტს უნდა აჯობოს, აბა რავა!), დამშვენებულს მის წვერზე დადგმული აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის ბრინჯაოს მოოქრული ქანდაკებით, არანაკლებ ექვსი მეტრის სიმაღლისა – აღმირაღის ფიგურას უნდა აჯობოს, აბა რავა!..

კარი XI. შადრევანთ მეფეს ისეთი ოქროს ხე უნდა ამშვენებდეს, მსოფლიო გადარიოს, აბა რავა!..

ცივი და ნისლიანი ალბინიდან – მცხუნვარე მზით გაცისკროვნებული იბერიის ნახევარკუნძულისკენ! ესპანეთში ახალ თანამგზავრებთან ერთად უნდა იმოგზაუროს – ახალ პირად მათათმტვირთველთან, მშვენიერ ჟუჟუნა ჟუნურუკაშვილთან და ახალ ქონების წართმევის მინისტრთან, მშვენიერ ხათუნა ხელთოფაძესთან; მათ გვერდს დაუმშვენებს წითური მზეთუნახავი ხატია ხუთგულაძე – მისი თოვლივით თეთრი, ნაზი კანი რომ სიბნელეშიც კი ანათებს! ბატონი პრეზიდენტი უნდა გაეცნოს კოხტა სასახლეებსა და ფორთოხლისა და ლიმონის ხეებით დამშვენებულ ტრადიციულ შიდა ეზოებს აუზითა და შადრევნით! ვინ აპატიებს, რომ ტურფა შინაგანი ეზოს – პატიოს – სინატიფე არ შეიგრძნოს!

უპირველესად უნდა მონახულოს ესპანეთის ძველი დედაქალაქი ტოლედო: “ვეროპის დედოფალი”, “ესპანეთის გული”, “ესპანეთის გვირგვინი და ქვეყნიერების სინათლე” – ელ გრეკოს ქალაქი!

ვაჰ, რა მშვენიერია ძველი ქალაქი – მაღალსამრეკლოებიანი ტაძრები, ვიწრო ქუჩები, ქვის გარეგნულად არცთუ მომხიბლავი საცხოვრებელი სახლები, მაგრამ სინამდვილეში – შიგნით პატარა სასახლეები ყოფილა! პირველი სართულის გალერეიდან პირდაპირ შიდა ეზოს – პატიოს – ყვავილნარში გაღისარ, საამოდ ჩქეფს პატარა შადრევანი...

ერთ-ერთი ასეთი სასახლე დაიქირავა ბატონმა პრეზიდენტმა მისთვის და მისი ამაღლისთვის და მის ეზოში, პატარა შადრევნის აუზში იგემა პირველად ბატონმა გიგლამ იძულებითი განბანვის სიამე... ამ მოვლენას, მრავალრიცხოვან მხლებლებთან ერთად, თუმცა მზის ბრიალა თვალიც აკვირდებოდა, პრეზიდენტის პირადი მდივნისთვის და, იმავდროულად, პირადი მასხარისთვის დადგა “ტოლედოს ღამე” – ესპანური ხატოვანი თქმა გახლავთ უსიამოვნო მოულოდნელობის აღსანიშნავად...

ერთხელ ტაშფანდურა გემრიელი სადილის მირთმევის შემდეგ პატიოში ბოლთას სცემდა და აუზის კიდზე მჯდარი გიგლა ყვავიფრჩხილაძე მის ბრძანულ აზრებს იწერდა დიდ დავთარში, როცა მოულოდნელად ბატონმა პრეზიდენტმა ხელი ჰკრა პირად მდივანს და ეს უკანასკნელი აუზში ჩადგაფუნდა... აქვე უნდა აღვნიშნო ტაშფანდურას კიდევ ერთი საოცარი სიმარჯვე: მან მოასწრო გიგლას ხელიდან დავთრის გამოდღებვა, რითაც შთამომავლობა გადაარჩინა აუნახადურებელ დანაკლისს!

– ხომ მაგარი ვარ, ჭირიმე!.. ჰი-ჰი-ჰი!.. გასაყვეყნებელია!.. – ხარხარებდა ბატონი პრეზიდენტი და მარჯვენა, მაღლა ამართულ ხელში დიდი დავთარი ეჭირა; შემდეგ, როცა სიცილი მოათავა,

ისევ განაგრძო მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ცხვირის ნესტოს სიღრმისეული გამოკვლევა ან, შესაძლოა, ეს მისი ღრმად ჩაფიქრებისა და მსოფლიოს მწვავე საკითხების გადაჭრის ძიების მისებური თანმდევი პროცესი იყო – ვინ იცის!

სხვა მნიშვნელოვანი რამ აღარაფერი მომხდარა და რამდენადაც ტოლედო ტაშფანდურამ პარიზისა და ლონდონის შემდეგ მიყრუებულ პროვინციულ ქალაქად მიიჩნია და აქ მისი უმაღლესობის ნატიფი გემოვნების ყურადღების ღირსი არაფერი აღმოჩნდა, – არც დიდი ტაძარი, არც სხვა ეკლესიები, არც სანტა კრუსის მუზეუმი და ელ გრეკოს სახლ-მუზეუმიც კი, – მალევე განაგრძეს მოგზაურობა.

შემდეგ – მომხიბლავი ანდალუსია:

კორდოვა!..

გრანადა!..

სევილია!..

კორდოვაში ტაშფანდურას უამბეს, რომ X საუკუნეში ხალიფამ აბდერაჰმან III-მ დედაქალაქიდან ხუთ კილომეტრში ააშენა ახალი რეზიდენცია – მაღინათ აზ ზაჰრა; მის ცენტრში გაშენებული იყო ბაღი, რომელსაც ამშვენებდა ბიზანტიიდან ჩამოტანილი მწვანე მარმარილოს შადრევანი თორმეტი სტილიზებული ოქროსა და ძვირფასი ქვების ცხოველთა ქანდაკებებით. სპილოს ძეგლისა და ებენის ხის სვეტებით დამშვენებულ მიღებათა დარბაზში მდებარეობდა ვერცხლისწყლით გაფსებული წყალსატევი, რომლისგან ასხლეტილი ათინათებიც დარბაზში იფანტებოდა და საოცარ ზღაპრულ იერს სძენდა იქაურობას...

– ჩაიწერე! – უბრძანა ტაშფანდურამ გიგლა ყვაფიფრჩხილაძეს. – შადრევანდიდში აუცილებლად იქნება მრავალი სარკე! აბა რავა!.. კარგად მოიფიქრე, უამრავი სარკე უნდა იყოს და მათი ნაწილი მოძრაობდეს, ტრიალებდეს, ათას ათინათს ისვრიდეს გარშემო!.. გასაყვეყჩებელია!..

მაღინათ აზ ზაჰრას აშენებიდან თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ კორდოვის ხალიფატის ფაქტობრივმა მმართველმა ალ მანსურმა განიზრახა, დაეჩრდილა წინამორბედის ნაღვაწი და ქალაქის სანახებში გააშენა საკუთარი სასახლე – მაღინა აზ ზაჰირა. ყველაზე დიდი ეზოს ცენტრში მდებარეობდა უცნაური შადრევანი – ვერცხლისგან გაკეთებული ფორთოხლის ხე ოქროს ნაყოფებითა და ტოტებზე მსხდომი ფრინველებით, რომელთა ნისკარტებიდანაც გადმოედინებოდა წყალი... ბერბერების შემოსევებმა კორდოვის სხვა სასახლეებთან ერთად იმსხვერპლა ორივე ეს სასახლეც და ტაშფანდურას ფრიად დასწყდა გული, რომ ამ საოცრებების ხიფა ვერ შეძლო...

– უკეთესს გაგაკეთებ! არისტოტელე ბუქნაძის სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება! აბა რავა!.. ჩაიწერე! – უბრძანა ხალიფამ, ბოდიში, ტაშფანდურამ, პირად მდივანს გიგლა ყვაფიფრჩხილაძეს. – მსგავსი რამ დიდად დაამშვენებს ჩვენს შადრევანთ მეფესაც! ისეთი დიდებული ხე უნდა იყოს, მთელი მსოფლიო გადარიოს! ოქროსი, აბა რავა!.. მის სანახავად ყველა კონტინენტიდან ზღვა ხალხი მოასკდება! გასაყვეყჩებელია!..

შემდეგ ტაშფანდურამ თანამედროვეობაში გადმოინაცვლა და ამჯერად იგი მოხიბლა დედ პოტროს მოედნის შუაში მდებარე მშვენიერმა შადრევანმა ყალყზე დამდგარი ცხენით – კორდოვის ღერბის განსახიერებით. რასაკვირველია, ტაშფანდურამ მაშინვე უბრძანა პირად მდივანსა და პირად მასხარას:

– ახლავე ჩაიწერე! შადრევანთ შადრევანს უეჭველად, უეჭველად უნდა ამშვენებდეს ყალყზე დამდგარი მოჭიხვინე ცხენი!.. არა, უმჯობესია, ორი ცხენი მაინც იყოს! მათი პირებიდან ერთმანეთის შესახვედრად ზევით აჭრილი წყლის მძლავრი ჭავლები ერთმანეთს გადაჰკვეთენ მაღლა, სულ მაღლა!.. ხომ იქნება ეს გასაყვეყჩებელი?.. აბა რავა!..

– ბატონო პრეზიდენტო, იქნებ ჯობდეს, წყალმა ნესტოებიდან იჩქეფოს? – წიკვინა ხმით მიმართა ტაშფანდურას გიგლა ყვაფიფრჩხილაძემ. – ორი წყვილი ჭავლებისა შეხვედებიან ერთმანეთს!

– ნესტოებიდან? – იკითხა ტაშფანდურამ, საკუთარ ნესტოში მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ჩვეულებრივი საქმიანობა შეაჩერა, გიგლას ეჭვით შეხედა და გაიმეორა: – ნესტოებიდან? რატომ მაინცდამაინც ნესტოებიდან? გადაკვრით ხომ არ გინდოდა ამით რაღაც გეთქვა?..

– ბოდიში, ჩემო ბატონო, თუ რამე არ მოგეწონათ ჩემს ნათქვამში, – ისედაც ბუნებით მოხრილი გიგლა წელში კიდევ უფრო მოიდრიკა. – მე ხომ სხვა მოვალეობაც მაკისრია... ბოდიში, ძვირფასი ბოდიში, მასხარის სულელურ ბჟუტურად ჩათვალეთ...

– შენი ბედი, რომ დღეს კარგ გუნებაზე გახლავარ! – და ტაშფანდურამ ბატონ გიგლას ელეგანტური პანჩური უთავაზა. – ჰი-ჰი-ჰი!.. რა კოხტად მოიხარე, გასაყვეყჩებელია!..

შემდგომ ბატონმა პრეზიდენტმა მონახულა თეთრონა გრანადა, – მავრთა უკანასკნელი დედაქალაქი ესპანეთის მიწაზე, – “ქალაქთა დედოფალი”, “ჭეშმარიტი სამოთხე”, “ზურმუხტებით საფე ვერცხლის ღარნაკი”!..

სახელგანთქმულ ალჰამბრასა და ხენერალიფეში, რასაკვირველია, წყალსატევებმა და შადრევანებმა განსაკუთრებით დაინტერესა ტაშფანდურა. ალჰამბრის კედლებს გარეთ, მართლმსაჯულების კარიბჭესთან განუმეორებელი, კარლოს მეხუთის, შადრევანია: სამი თავიდან მოედინება ნაკადები – განსახიერება გრანადაში გამდინარე სამი მდინარისა. თვით ალჰამბრის კედლებს შიგნით კი...

– ვაჰ, შენი გულისა, რამდენი ეზოა, ყველაში – შადრევანი და აუზი! ზოგ კოშკში – ქალიშვილთა დარბაზი, ან კიდევ – აბანოც!.. ჩაიწერე! – დიდი დავთრის წიგნი გადააშლევინა ტაშფანდურამ გიგლა ყვაგიფრჩხილაძეს. – სხვადასხვა წყალსატევებითა და მცირე შადრევნებით დიდად დამშვენდება შადრევანიდიც! აბა რავა!.. ჩაწერე?.. სხვადასხვა ფორმისა და ზომის წყალსატევები განლაგდება სხვადასხვა დონეზე და წყალი ზემო წყალსატევებიდან ფარდასავით ჩამოედინება ქვევით!.. ასევე, მოჭყუმპალავეთათვის შესაძლებელი იქნება, ზევიდან ქვევით გადმოეშვან თავით! ჰო, ქალიშვილების მხატვრული თამაშ-ჯომარდობაც ჩატარდება, აბა რავა!.. ხომ კარგი იქნება?.. გასაყეყეყებელია!.. გიგლა ბატონო, ახლა ხომ ძალიან ცხელა?

– არა, ბატონო პრეზიდენტო, უფრო თბილა, გრილა კიდევაც...

– პასუხი მცდარია, რაშიც ახლავე დარწმუნდები!.. მომეცი აქ ეგ დავთარი!.. ავოე! – და ბატონ გიგლა ყვაგიფრჩხილაძეს მეგობრულად უბიძგა, ერთ-ერთ წყალსატევაში ჭყუმპალაობის სიამოვნება არ მოაკლო.

შემდგომ კიდევ უფრო სამხრეთით გადაინაცვლეს – სევილია! ძელთაგანვე პოეტების, მხატვრების, მეცნიერთა ქალაქი, ასევე – ვაჭრებისა და თაღლითების, გაქნილი მატყუარების, სახელგანთქმული ზღვაოსნებისა და თვალმახარა შავგვრემანი ტურფების!

სიმწვანეში ჩაფლულ სევილიაში ახლაც არ დაღატობდნენ ანდალუსიურ ტრადიციას და ფორთოხლის ბაღებით, ყვავილნარებითა და მარადმწვანე სუროთი დამშვენებულ შიდა ეზოებში აუზები და შადრევნები იტაცებდნენ თვალს. ბირჟის ცენტრში განლაგებულმა მცირე შადრევანმა კოლუმბის ქანდაკებით – სწორედ სევილიიდან გავიდა კოლუმბის ფლოტილია, რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა – ტაშფანდურას წამოაძახებინა: “ეფრიკა!”. თვით ტაშფანდურამ კი რა აღმოაჩინა ასეთი გასაკვირველი?

– გადაშალე დიდი დავთარი! – უბრძანა ტაშფანდურამ პირად მდივანს. – ჩაწერე: შადრევანდიდის შუაში უნდა იდგეს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის ქანდაკება! აი ასე, ხელეაწეული, მარმარილოს დიდებული ქანდაკება! არც ბრინჯაოს, მოოქრული ქანდაკება ჩანს ცუდი... არა, ნაღდი ოქროსი უნდა იყოს, ხომ უკეთესი იქნება? აბა რავა!.. მომეცი აქ დავთარი, ხომ ყველაფერი კარგად ჩაწერე?.. გასაყეყეყებელია!..

გაკვირვებულმა გიგლამ დაკეცა დავთარი და მეუფეს გაუწოდა, მან კი უცებ გიგლას ხელი ჰკრა და აუზში ჩააგდო:

– ავოე! დღეს ძალიან ცხელა, ჩემო გიგლა, ცოტა გაგრილება მოგიხდება და გთხოვ, მაღლობას ნუ მეტყვი!.. კოლუმბის გარშემო გაცურე და გამოცურე, იქნებ შენც რამე აღმოაჩინო, ჰი-ჰი-ჰი!.. ვაჰ, რა კარგად ვერთობი, აქამდე სად იყავი, ჭირიმე, გასაყეყეყებელია!

მეორედ სევილიაში ბატონი გიგლა გაგრილდა ხირალდას კოშკის წინ მდებარე პატარა, სამეფო მოედანზე არსებულ შადრევნიან აუზში, როცა იგი ტაშფანდურამ მაღლა აახელა: “ვაჰ, რა მაღალია ეს ოხერი, მზერას ვერ ვუწვდენ?”, მესამედ კი – დიდებული სევილიის საეპისკოპოსო ტაძრის ეზოში – ვესტგუთების დროინდელ, ძალიან უბრალოფორმებიანი შადრევანის აუზში...

შემდგომაც, ყველა შადრევანის მონახულება ჩვეულებისამებრ მთავრდებოდა ბატონ გიგლა ყვაგიფრჩხილაძის იძულებითი განბანვით და ბატონ ტაშფანდურას თავაწყვეტილი ხარხართ – ცერემონიალის ამგვარი დასასრული უკვე ტრადიციული ხდებოდა.

ალკასარში – შადრევნებით დამშვენებული ეზოებისა და დარბაზების მორიგეობა: ქალიშვილთა ეზო, თოჯინათა ეზო, უფლისწულის დარბაზი, ელჩთა დარბაზი, დროშათა ეზო, მართლმსაჯულების დარბაზი, სამონადირეო ეზო... ერთიმეორეზე უნატიფესი! ტაშფანდურას რაღაცას ეყიყინებიან მუდუნარის სტილის შესახებ, რომლითაც თურმე აშენებულია ეს ბრწყინვალე სასახლე, ფანჯრების მაქმანივით ნატიფი რკინის ცხაურების პლატერესკოს სტილის შესახებ, ბატონ პრეზიდენტს კი, ბოდიში და ყველაფერი ეს ფეხებზე ჰკიდია! მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა, როცა მარია პადილიას, მეფე პედრო სასტიკის საყვარლის, საბანაო აუზი იხილა. თურმე, როცა ეს ლამაზმანი აუზში ნებივრობდა, ამ დროს კარის დიდებულნი ვაღდებულნი იყვნენ, დასწრებოდნენ ამ ცერემონიალს... უფრო ადრე კი, მავრთა ბატონობის ხანაში, ამ აუზში ხალიფას ჰარამხანის ტურფები ეძლეოდნენ განცხრომას!.. ტაშფანდურას განსაკუთრებით მოეწონა მთავარი, ქალიშვილების ეზო. ამ ეზოში თურმე გასინჯეს თუ დაათვალიერეს ასი ქალიშვილი, რომელიც კორდოვის ხალიფამ სევილიაში გამოგზავნა ხარკის საფასურად და ასივე ქალწული მზეთუნახავად სცნეს!.. ტაშფანდურამ ხან ესპანეთის მეფედ იგრძნო თავი, ხანაც – სევილიის ხალიფად...

ვაჰ, რა ძველთაძველი, მაგრამ მშვენიერად მოვლილი საუცხოო ბაღებია, განსაკუთრებით კი – ალკასარის, სანტა კრუსის უბნისა და სან ელმოს სასახლისა!

როცა სან ელმოს სასახლის წინ იდგნენ და მის განსაცვიფრებელი სილამაზის ფასადს ათვალიერებდნენ, გიგლა ყვაგიფრჩხილაძემ თქვა:

– ამ სასახლეში, როგორც ამბობენ, ცხოვრობდა დონ ხუანის პროტოტიპი! – და პრეზიდენტის პირადმა მდივანმა მაღევე ენაზე იკბინა: ნეტავ რა მრჯიდა, რომ ლაქლაქში ჩემს პატრონს აყევიო.

– ვინ იყო დონ ხუანი? – იკითხა ტაშფანდურამ. – აქაური ქალაქის თავია? თავაზიანობის ვიზიტით ხომ არ ვეწვიოთ? ზრდილობა ყველაფერია! იმედი მაქვს, აქაურები ინგლისელ არისტოკრატებს არ ჰგვანან...

გიგლა ბატონი ეცადა, ღიმილი დაეფარა:

– ბატონო პრეზიდენტო, დონ ხუანი ესპანელი დრმატურგის ტირსო დე მოლინას დრამის “სევილიელი მაცდური ანუ ქვის სტუმარი” პერსონაჟია, რომელიც მერვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწერა...

– გაჰ, რა განათლებული გოგრა გქონია, – გაჰკრა წკიპურტი გიგლას კინკრიხოში ტაშფანდურამ, – მაგრამ ხმა არ მომწონს, ხომ იცი, დამწიფება მაინც აკლია! ჰი-ჰი-ჰი!..

გიგლა ყვაგიფრჩხილაძეს აღარ უთქვამს ტაშფანდურასთვის, რომ მრავალი სხვა სახელგანთქმული ნაწარმოების პერსონაჟებიც სევილიელები იყვნენ, მათ შორის პიკარესკული რომანების გმირები; აქაურები იყვნენ სევილიელი დალაქი ფიგარო და კარმენი, ამ ქლაქში დაიწყო დაიწყო უკვდავი “დონ კიხოტის” წერა სერვანტესმა...

საღამოსპირს მონახულეს ჯერ ჰერცოგ ალბას ყოფილი სასახლე ლას დუენიას – ამწვანებული, შადრევნებით შემკული შესანიშნავი შიდა ეზოთი, შემდეგ – დ’ალკალას სასახლე, იგივე – პილატეს სახლი.

პილატეს სახლის შიდა ეზოში – პატიოში – შუაში აუზი და შადრევანია: ოთხ დეფინის უჭირავს წყლის ფართო თასი; ქანდაკებაც ოთხია – ოთხივე რომაული: სამი – მინერვა, ცერერა და მუზა – ეზოს კუთხეებში, ხოლო ერთიც – იანუსისა – წყლის თასში ამართულა.

– ჩაიწერე! – ტაშფანდურამ წკიპურტი გაჰკრა კინკრიხოში გიგლა ბატონს. – შადრევანთ მეფეს უეჭველად ჩემი ბრინჯაოს ქანდაკება უნდა ამშვენებდეს!

– ბატონო პრეზიდენტო, ეგ უკვე ჩავწერეთ, – ამოიკნაგლა გიგლა ყვაგიფრჩხილაძემ, – თანაც, ბრძანეთ, ოქროსი ჯობსო...

– მერე რა, კიდევ ჩაწერე! მეღანი გამოგელია თუ ტვინი? – ტაშფანდურამ არ დაიზარა და კვლავ გაუწკაპუნა გიგლას კინკრიხოში მარჯვენა ხელით, მარცხენა ჩვეულებრივი საქმით იყო დაკავებული ცხვირის ნესტოს არეში. – ჰო, ოქრო ნამდვილად აჯობებს! რით ვერ დამწიფდა გოგრა, ალბათ დაგრჩება ოხრად!.. გაჰ, რა მაგარი ვარ, ხომ კარგი ლექსი გამომივიდა? გასაყვეჩხებელია!.. ჰი-ჰი-ჰი!..

ღიახ, მისი უმაღლესობის უზენაესი გადაწყვეტილებით ტაშფანდურას ქანდაკება ტიტლიკანა იქნება და ყველას შეეძლება, დატკბეს და დააფასოს მისი სხეულის ნატიფი ფორმები! აბა რა-გა!..

გიგლა ყვაგიფრჩხილაძეს სხვა რამ აღარდებდა: როგორმე თავი დაედწია დიდად სასახლეო და საამაყო თანამდებობებისთვის და გასაპარავად საუკეთესო დროს ეძებდა – სევილიის ძველი უბნების ვიწრო და დაკლაკნილი ქუჩების ლაბირინთში ეშმაკიც ვერ მოგებნის! მაგრამ... დიდი ხნის წინათ არის ნათქვამი: ქვეყნიერება, ცხოვრება – თეატრია, ჩვენ კი – ტაკიმასხარები!

ღიახ, გიგლა ყვაგიფრჩხილაძემ განზრახულის სისრულეში მოყვანა ვერ მოასწრო – ტაშფანდურამ სასწრაფოდ მიაშურა მშვენიერ იტალიას:

– ესპანეთს არა უშავს, რამდენიმე შადრევანი მომეწონა, მაგრამ ქალები არ მომწონს: შაფთმიანი, მცხუნვარე ქალბატონებია!

კარი XII. გაუმარჯოს ზღვაში ჭყუმპალაობას და ვნების ტალღებში ცურვას, აგოე!

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე ფრიად დაღადა, როგორც იტყვიან, დაუღალავმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ: ცალკერძ – მთებში, საზამთრო კურორტებზე თხილამურებით სრიალმა, ცალკერძ – სხვადასხვა ქვეყნებში შადრევნების მონახულებამ... ჰოდა, უკანასკნელთა აუზებში თუ ბატონი გიგლა ყვაგიფრჩხილაძე ნებივრობდა ხოლმე (მართალია, ტაშფანდურას უუმაღლესი უშურველი პირადი ხელშეწყობით), ახლა უპრიანია, თვით ტაშფანდურამაც დაისვენოს და ასევე ინებივროს, ოღონდ დიდზე დიდ და მარად მღვლევარე აუზში – ხმელთაშუა ზღვაში, გაუმარჯოს რივიერას! ან იქნებ ესპანეთის აღმოსავლეთი სანაპიროების კურორტებს ეწვიოს? კოსტა ბრავა – კლდოვანი სანაპირო, კოსტა ბლანკა – თეთრი სანაპირო, კოსტა დელ სოლ – მზიანი სანაპირო, ამოირჩიე!.. არა, ესპანეთში საკმაოდ დრო დაჰყო, ახლა – სახელგანთქმული რივიერა, საფრანგეთისა ან იტალიისა!

ღიახ, არჩევანმა კვლავ საჭოჭმანოდ გაუხადა საქმე: რა ჯობს – საფრანგეთის კოტ დ’ლაზური თუ იტალიის რივიერა ლიგურე? დასაწუნი არცერთი არის, მაგრამ ლაჟვარდოვანი სანაპირო უკვე მონახულა და კაზინოებში გატარებული დრო არც ისე სასიამოვნოდ აგონდება... თანაც, საკურორტო ქლაქ სან ემპედოკლეში იტალიური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი იწყება და როგორ იქნება, არ დაესწროს?!

გაუმარჯოს იტალიას! უმშვენიერეს იტალიას!

- ბატონო პრეზიდენტო, რაღამც იტალიაში მივემგზავრებით, ხომ არ ინებებთ ბოლონიიდან დავიწყეთ? - შესთავაზა ტაშფანდურას მისმა პირადმა მდივანმა გიგლა ყვაფიფრჩხილაძემ. - იქ პიაცა მაჯორეს ამშვენებს სახელგანთქმული ჯამბოლონიას მიერ შექმნილი ნეპტუნოსის შადრევანი!.. იქიდან რომისკენ გავემგზავრებით და გზად კიდევ ერთ შედეგს მოვინახულებთ: ბართოლომეო ამანატის, ასევე, ნეპტუნოსის არაჩვეულებრივი ქანდაკებაა ტოსკანის ყვაფელშიც, ფირენცეშიც, სინიორისი, იგივე - პალაცო ვეკიოს, მოედანზე...

- ძალიან განათლებული ყოფილხარ, ხომ იცი! უჰ, რა მაგარი გოგრაა!.. - ტაშფანდურამ გემრიელად გაჰკრა წკიპურტი ბატონ გიგლას კინკრიხოში და გადაინახნარა; რადგან ორი სასიამოვნო საქმის ერთდროულად დაგემოვნება მისთვის ძნელი იყო, წინდაწინ მეორე ხელის საჩვენებელი თითი გამოიღო ცხვირის ნესტოდან. - რა გააწყალეს გული ამ ნეპტუნოსებით - ყველგან ის არის, უკეთესი ვერაფერ ნახეს? ყველა - წვეგრებაურძენილი და თმადაუვარცხნელი, რაღაც სასაცილო სამთითა ფიწალი დაუჭერია ხელში, დიდი კვერთხია რაღა! ჩემი შიშველი ქანდაკება რით იქნება ნაკლები?

- თქვენო უმაღლესობავ, იტალიაში მშვენიერ შადრევნებს რა გამოლევს! ასევე, თუ მოისურვებთ, სანამ შადრევნების მექაში, რომში, ჩავიდოდეთ, შეგვიძლია, ვნახოთ ფრა ბევიანტეს ქმნილება - საუცხოო შადრევანი ფონტე მაჯორე პერუჯაში... ან რომთან ახლოს, ტივოლიში, დ'ესეტის ვილის სახელგანთქმული ბაღის არაჩვეულებრივი გროტები, კასკადები, შადრევნები... ასზე მეტი შადრევანია, მათ შორის უნიკალურები: ჭოტის, სიბილას, ოთხი გველეშაპის...

- იქაც იქნება ნეპტუნოსის ქანდაკება! - შეაწყვეტინა ტაშფანდურამ.
- დიახ, ბატონო პრეზიდენტო, ზღვის მეუფის ქანდაკებაც ამშვენებს...
- არა, ჯერ - ზღვა, მერე - მისი ღმერთი! - გადაწყვიტა ტაშფანდურამ.

იტალიაში გამგზავრების წინა დღეს ერთი ამბავი მოხდა, რომელიც აუცილებლად უნდა აღვნიშნო.

დიდიდანვე წესისამებრ განკარგულებებისთვის მისულ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ბატონ კოტიკო კატაბარდაძეს უგუნებოდ მყოფმა ტაშფანდურამ უბრძანა:

- ახლავე დამიძახე ბუშბუჟას! სასწრაფოდ!

პრეზიდენტის პირადი პირადი მრჩეველი და, იმავდროულად, პირადი ასტროლოგი ბუშბუჟა მუჟუ... ოჰ, ბოდიში, მუჟუჟა ბუშბუჟაძე შეფიქრიანებული იყო - კოტიკომ ტაშფანდურას დანაბარების გადაცემისას გააფრთხილა, ბატონი პრეზიდენტი ფრიად უგუნებოდ ბრძანდებო - და ჭკპა-ქუხილის მოლოდინში ტაშფანდურას ეახლა.

- ბუშბუჟა ჩემო! ამ ღამეს უცნაური სიზმარი ვნახე და რას უნდა ნიშნავდეს? ჰო, ვითომ თბილ აუზში ვნებიერობდი ორ ტურფასთან ერთად, ერთი ქერა იყო, მეორე - შავგვრემანი... ნახად მელერსებოდნენ და უცებ, განცხრომაში ვარ და, აუზში უცებ მესამე ქალი არ ჩამოხტა? ჯერ გამინარდა, ხომ იცი, მაგრამ მერე უცებ წყალი გაცივდა, ყინულივით გახდა... და გული გამიჩერდა!.. ამ დროს გამეღვიბა და სულ ჭირის ოფლში ვცურავდი, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა! რის შესახებ უნდა მიანიშნებდეს?

ბატონ პრეზიდენტის პირადმა მრჩეველმა და, იმავდროულად, პირადმა ასტროლოგმა, მუჟუჟა ბუშბუჟაძემ გაიფიქრა და ტაშფანდურას კი, რასაკვირველია, არ მოახსენა, რომ მისი ამგვარი სიზმარი არც იყო გასაკვირი: წინა ღამით არისტოტელე ბუქნაძემ ჩვეულებრივზე მაგრად იგრილა რესტორანში და ძალიან გვიან, გამთენიისას დაწვა დასაძინებლად...

ბატონ მუჟუჟას შიშმა წკიპურტის დაგემოვნებისა კინკრიხოში ან პანდურით დასაჩუქრებისა - ბევრად უფრო უარესსაც ელოდა! - ნაწილობრივ მაინც გაუარა, შვებით ამოისუნთქა და გაღიმებაც კი გაბედა! ამის უბრალო მიზეზი კი ის გახლდათ, რომ უკვე კვირაზე მეტია, რაც პრეზიდენტის პირადი მრჩეველი სულ აპირებდა ტაშფანდურასთვის ერთი ფრიად უხერხული რჩევის მიცემას და ახლა შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა, განზრახვა სავსებით უმტკივნეულოდ შეესრულებინა! თუმცადა კი, საკუთრი გამოცდილებიდან გამომდინარე, მთლად არ გამორიცხავდა ტაშფანდურასგან მოულოდნელ, უჩვეულო გამონმარებასაც...

- ბატონო პრეზიდენტო, ადრეც მინდოდა თქვენი უმაღლესობისთვის მომეხსენებინა... თუ ვარსკვლავების განლაგების მიხედვით ვიმსჯელებთ, და ამას ბატონ პრეზიდენტის სიზმარიც ეჭვმიუტანლად ადასტურებს, დიდი ალბათობა არსებობს, რომ ქალებს მომავალი კვირიდან თქვენთვის რაღაც უსიამოვნების მოტანა შეუძლიათ და მათ ერთი თვის განმავლობაში, შეძლებისდაგვარად, უნდა მოერიდოთ... ამიტომ მომავალი ხიფათის თავიდან ასაცილებლად გადადგმული პირველი ნაბიჯი ასეთი უნდა იყოს: სასურველია, ჩვენი მხლებელი ქალბატონები - ხატია ხუთგულაძე, პეპელა პირლამაზაშვილი და თამთა ბატკინყურაძე - აყვავებულ და ბედნიერ საჩაღეთს გაემგზავრონ...

(ეჭვი მაქვს, რომ ბატონ მუჟუჟას ამ დროული რჩევის სანაცვლოდ ცოტა ხნის წინ რაღაც თანხა გადაუხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა კოტიკო კატაბარდაძემ - დიდად სამწუხაროდ, ბატონ პრეზიდენტის ფრიად უზრუნველი და უზომო დროსტარების გამო, ფინანსური კრიზისის ულმობელი მხეცი აპირებდა კბილების კრეჭით შემოტევას!).

ტაშფანდურას დაყოლიება არ გახდა ძნელი - ახალი შთაბეჭდილებები, ახალი ქალები, ამას რა სჯობს, ჯან!

და აი – საოცნებო ზღვისპირა საკურორტო ქალაქი სან ემპედოკლე! სიმწვანის ოკეანეში ალაგ-ალაგ თეთრი სასახლეები ქათქათებენ, ცისფერი სასტუმროები აზიდულან, ყველგან – უთვალავი ფერად-ფერადი ყვავილის სურნელი, პლაჟის უღევი ოქროს ქვიშა და ზღვის ტალღების მოლივლივე ტალღებიდან მზის ბრიალა თვალის უთვალავი ანარეკლი მხიარულად თვალს გიპაჭუნებს...

მთელი იტალია და ნახევარი ევროპა უცებ გაგიჟდა – რამდენიმე დღით აქ იტალიური სიმღერის საერთაშორისო კონკურსი ტარდება!!! ყველანი საოცნებო სან ემპედოკლესკენ მოეშურებიან!!!

ქუჩაში ვერ გაივლი! სასტუმრო-პანსიონატებში ყველა ადგილი ერთი წლის წინ დაუჯავშნავთ! მრავალს საკუთარ ავტომობილებში ან სახელდახელოდ გაშლილ კარგებში სძინავს “ყვავილების სანაპიროზე” – სამეფო პალმებით დამშვენებულ ზღვისპირა ხეივანში... ამდენი ტურფა ასული კი მრავლის მნახველ ტაშფანდურასაც არ დასიზმრებია! თავის აქეთ-იქით დაუსრულებელი ტრიალით კისერი დაეღალა, შეგეცოდება კაცი, ხომ იცი!

მაგრამ... მაგრამ ერთი გაუთვალისწინებელი და მისთვის ყოველად გაუგებარი გარემოება უშნამაგდა მრავალგვარი მომავალ სიამეთა განცდას...

– გასაყვეყნებელია! – ტაშფანდურას კატასტროფიული აღშფოთების აზვირთებულმა ტალღებმა წალკეის საფრთხე შეუქმნა საკურორტო ქალაქსაც და შემოგარენსაც, რაღა უნდა ვთქვა შავ დღეში ჩავარდნილ კოტიკო კატაბარადის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც უშუალოდ მიმართავდა ბატონი პრეზიდენტი. – ჩემი საყვარელი ბიძის, ემპედოკლე ბუქნაძის სახელს ატარებდა აქაური წმინდანი და მე, არისტოტელე ბუქნაძე, დამე მაწანწალასავით ქუჩაში უნდა ვგედო? გასაყვეყნებელია! მოიკალით თავი და ნებისმიერ ფასად უმაღლესი კლასის საცხოვრისი მიშოვეთ! სასწრაფოდ!..

ბატონი პრეზიდენტი წვიპურტით არ დაკმაყოფილდა, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, ამჯერად განსაკუთრებულ პატივი მიაგო და პანჩური უთავაზა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს; ხარჯი – ხარჯიანო და ამგვარადვე დააჯილდოვა იქვე მდგომი, დიდი დავთარში ტაშფანდურას ბრძნული აზრების გამაღებით აღმზუსნავი, პირადი მდივანი და პირადი მასხარა გიგლა ყვავიფრჩხილაძეც – ზოგჯერ ამ უკანასკნელის აუზში ჩაგდებისას ხელის კვრის მაგივრად – მრავალფეროვნება უყვარს, ხომ იცი! – ასეც ერთობოდა ტაშფანდურა; თუმცა ამგვარი ცელქობისთვის ამჯერად მიზეზად მხოლოდ მისი გულისწყრომისა და მრისხანების ოკეანე არსებობდა.

თითქოს ტაშფანდურას გაკრიალებულ-მზინავი ფეხსაცმლის ჭვინტის დარტყმისგან მძლავრი კინეტიკური ენერჯია გადაეცაო, ციბრუტივით დატრიალდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარაძე... როცა სან ემპედოკლეს სანახებში მდიდრული ვილები დაიარა და ვერსად ბატონ პრეზიდენტის შესაფერისი აპარტამენტები ვერ ნახა თავისუფალი, თუმცა ზღაპრულ ფასს იძლეოდა (წინა დღით საჩაღეთიდან მოზრდილი თანხა მოუვიდათ!), ბოლოს, გამოსავალი მაინც მონახა – ერთ-ერთ ტურისტულ სააგენტოს სასწრაფოდ მონაკოდან ჩამოაყვანინა მოტორიანი უმაღლესი კლასის ფეშენებელური იახტა – ერთი კვირით ის ტაშფანდურას მცურავი რეზიდენცია გახდება! თან საქმე: ბატონი პრეზიდენტი სასწრაფოდ მეზღვაურის ფორმასაც შეუკვეთავს და იახტის ბორტზე ნაირგვარ ფოტოსურათებსაც გადაიღებს, რომლებიც დიდად დამშვენებენ ზღვის ბებური მგლის მომავალ წიგნს!

ტაშფანდურამ გაუტია – თუმცა იახტაზე შესანიშნავი საცურაო აუზი აქვს, თითქმის მთელ დღეს პლაჟზე ატარებს! არ უშინდება მზის მწველ სხივებს, რადგან აქ იმდენი მწველი თვალეზის პატრონი ქალბატონი ნებივრობს, ზოგი – თითქმის დელიშობილა... ბატონ ტაშფანდურას თავის წამდაუწუმ აქეთ-იქით ტრიალით ღამის კისერი ეღრძოს!..

– ბატონო პრეზიდენტო, თქვენ რომ ნიუ იორკის შტატში ერთი კვირა დაჰყოთ, ალბათ მთელი აყვებულნი და ბედნიერი საჩაღეთის ერთი წლის შემოსავალს გაანიავებდით... – შეჰკადრა ხუმრობით, რასაკვირველია, ბატონ ტაშფანდურას კოტიკო კატაბარაძემ.

– რატომ?

– იქ, თქვენო უმაღლესობავ, ასეთი კანონია: თუ ქალს მიაშტერდები, ორმოცდაათი დოლარით დაგაჯარიმებენ...

– რაში?

– სწორედ მაგაში! და თუ ტურფამ ჩაგიარათ და უკან თვალი გააყოლეთ – ორმაგი ჯარიმა, ასი დოლარი!

– ვინ ბრიყვა შემიძღო ასეთი კანონები, ნამდვილი დამთხვეულები არიან! გასაყვეყნებელია!

– დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ამერიკელები უცნაური ხალხია; ყველა შტატს თავისი კანონები აქვს და ზოგი ისეთი უცნაური, გაგიკვირდებათ! მაგალითად, ერთ-ერთ შტატში ქმარს უფლება ეძლევა, ცოლს სცემოს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ კვირაში!

– ქალთან დაწოლაც ხომ არ არის სადმე რეგლამენტირებული? – ხუმრობას ინებებს ბატონი პრეზიდენტი, – ჰი-ჰი-ჰი, გასაყვეყნებელია!

– რა ვიცით, აქ რა კანონებია, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თქვენო უმაღლესობა! – ბატონი კოტიკო შიშობს, ბატონ პრეზიდენტის მიერ ფულის უზომო ფანტის გამო ვაითუ ისევე მშრალზე დარჩნენ...

– ბატონო პრეზიდენტო, ამასვე გვამცნობენ ვარსკვლავებიც... – სიტყვა შეაწია პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს პრეზიდენტის პირადმა მრჩეველმა და პირადმა ასტროლოგმა მუჟუჟა ბუჟბუჟაძემ.

ბატონ ტაშფანდურას მეტი საქმე არ ჰქონდა, ამგვარ წვრილმანებზე ფიქრით თავი შეეწუხებინა!.. ისე როგორ გაძლებდა – პლაჟზე, ზღვისპირა ხეივანში სეირნობისას თუ რესტორანებში, კაზინოში და ღამის კლუბებში სტუმრობისას გაიცნო მრავალი მომხიბლავი მანდილოსანი... ერთ-ერთი მათგანი, ნახევრად იტალიელი, ნახევრად შვეიცარელი, ნორჩი სინიორინა ჯინიოლა გოგლი-მოგლი თურმე მომღერალია, თანაც ჩვეულებრივი კი არა – მონაწილეობას მიიღებს სან ემპედოკლეს იტალიური სიმღერის საერთაშორისო კონკურსში!.. გასაყვეყნებელია!.. ტაშფანდურა იმითაც მოხიბლა ჯინიოლამ, რომ ფრიად ფუმფულა, შესანიშნავი წაბლისფერი თმა ამშვენებს ცისფერ თვალებსა და ნაზ, თეთრ სახეს... მაღალი მფარველი სინიორინას ჰპირდება, რომ უეჭველად გაამარჯვებინებს – ის ხომ ყოვლის შემძლეა! უფრო სწორედ, მოზრდილი ქისის მფლობელია – მის სურვილს წინ რა დაუდგება! აბა რავა!..

– ბატონო პრეზიდენტო, თქვენც ხომ არ ინებებდით მონაწილეობის მიღებას სიმღერის კონკურსში? – ერთხელ ტაშფანდურას ფრიად სერიოზული სახით შეეკითხა გიგლა ბატონი; სინიორინა ჯინიოლასთან პაემნებზე ტაშფანდურა პირადი მდივნის გარეშე დადიოდა, შეხვედრიდან დაბრუნებული კი მხიარულ გუნებაზე ბრძანდებოდა და ნეაპოლურ სიმღერებსაც კი წაიმღერებდა, თუმცა არც სმენით დაიკვივნინდა და ხმა კი ნაღდად სიმღერის ანტიკონკურსზე ანუ ანტისიმღერის კონკურსზე გაამარჯვებინებდა!

ტაშფანდურამ გიგლას ეჭვიანი მზერა მიაპყრო:

– რავა, ეჭვი გეპარება ჩემს უნარში?

– როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, ბატონო პრეზიდენტო! – გაასასავა ხელები გიგლა ყვავიფრჩილაძემ და წელშიც მოიხარა. – თქვენს შესაძლებლობებს დიდად ვაფასებ! სულ დიდინებთ და ვიფიქრე, ტყუილად რატომ უნდა მოცდეს ასეთი ნიჭი-მეთქი...

– ეგ არაა შენი უმწიფარი გოგრის გადასაწყვეტი! – და ტაშფანდურას მარჯვენა ხელის ორი თითი შეხმატკბილებულად ესტუმრა გიგლას კინკრისოს ხანმოკლე, მაგრამ, თუ გამოცემული ხმით ვიმსჯელებთ, საკმაოდ ნაყოფიერი ვიზიტით. – გავარდი ახლავე და ყველა საკონკურსო სადამოს ბილეთები იშოვე! გასაყვეყნებელია!..

გიგლამ, რამდენადაც შეეძლო, მოკურცხლა და, რასაკვირველია, სიტყვა არ დასცდენია იმის თაობაზე, რომ ბილეთების შესაძენად უკვე ორი დღეა, ამოდ დარბოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე; ამის შესახებ გაჩუმება არჩია, თორემ ბატონ პრეზიდენტს ალბათ პანწურსაც გამოსტყუებდა...

სადამოსპირს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, მის უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს ბატონმა გიგლამ და ბატონმა კოტიკომ დიდის მწუნარებით აცნობეს, რომ იტალიური სიმღერის კონკურსზე დასასწრები ბილეთების შოვნა ზღაპარია...

– როგორ თუ ბილეთები არ არის? რომ არ დავესწრო გავგიჟდები! – მართლა დასაბამელ გიჟს დაემსგავსა ბატონი ტაშფანდურა. – რას იფიქრებს სინიორა ჯინიოლა გოგლი-მოგლი? ხომ მომეჭრა თავი! გადამყიდველებთან ერთი ცალი მაინც იშოვეთ – ნებისმიერ ფასად! გასაყვეყნებელია!

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს კოტიკო კატაბარდაძეს ერთი ბილეთის შოვნა მისი უმაღლესობისთვის ძალიან გაუჭირდა (რავა ითქმის ბეგრად მოუხერხებელ და უხერხემლო ბატონ გიგლას შესახებ) და, ბოლოს, როგორც იქნა, საწადელს მაინც მიაღწია. იახტაზე საოცნებო ბილეთის პატრონისთვის გადაცემის წინ ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ შეამოწმა და ელდა ეცა – ბილეთი ყალბი ჩანდა! ძალიან კარგად გაკეთებული, მაგრამ მაინც – ყალბი! არადა, მასში გადახდილი თანხით მშვენიერ მსუბუქ ავტომანქანას იყიდდა კაცი – სულ მთლად ახალს თუ არა, კარგ “ფორმაში” მყოფს მაინც!

კოტიკო მუჟუჟასავით ასტროლოგი არ იყო და არ დაუწვია მარჩიელობა, ღირდა თუ არა ბატონ ტაშფანდურასთვის მწარე სინამდვილის გამხელა... პირჯვარი გადაიწერა და გულის ფანცქალით მიართვა ბილეთი მის უმაღლესობას – რაც იქნება, იქნება!

საბედნიეროდ, ტაშფანდურამ, სწორედ ფულის უზომო ფანტის გამო, ელვისებურად იმდენად გაითქვა სახელი, რომ უკვე საყოველთაო ყურადღების მიპყრობა მოასწრო; საკონცერტო დარბაზში მისვლისთანავე, ბილეთი არც უკითხავთ და, ვითარცა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელგანთქმული პრეზიდენტი, საპატიო სტუმრების საგანგებო ლოჟაში მიიპატიჟეს – ფრანგებს და, მით უმეტეს, ინგლისელებს კი არ ჰგვანან!.. კიდევ კარგი, კიდევ კარგი, თორემ მის ბილეთზე მითითებულ ადგილს დაატოვებინებდნენ ან, უკეთეს შემთხვევაში, უკვე დაკავებული დახვდებოდა; ორივე შემთხვევაში კი აყალმაყალი ატყდებოდა და მის უმაღლესობას, ბატონ პრეზიდენტს გარეთ უბოდიშოდ გამოაპანდურებდნენ... ისე ნამდვილად ახი იქნებოდა ტაშფანდურაზე, ერთხელ მასაც მოხვედროდა პანწური!.. ახლა კი ლოჟაში გვერდით მსხდომ ქალბატონთა სა-

ყურებისა და ბეჭდების ბრილიანტების ბრწყინვალეობამ მოსჭრა თვალი! მართალი მოგახსენოთ, ტაშფანდურას ბევრად გაუხარდებოდა, თუკი სინორონითა და სიტურფით მოსჭრიდნენ თვალს – ყველანი რატომღაც საკმაოდ ხნიერი იყვნენ და, სრულიად უშედეგოდ, ფრიად უხვად დაფერილ-შეღებილნი, ძვირფას კაბებში გამოპრანჭულნი...

კონკურსი რამდენიმე დღეს გაგრძელდება და ტაშფანდურა სინორონა ჯინიოლასთვის დაპირებული ასასრულებლად საფუძველ ამზადებს, ფაფხურობს, შუამავლებს ეძებს: ცდილობს, მოქრთამოს ჟიურის წევრები... უკვირს კია – არაფერი გამოსდის! ეს რა ქვეყანაა – მის ფულს და სიტყვას გასაგალი არ აქვს! გასაყვეყნებელია!

დადგა კონკურსის გახსნის დღეც, უფრო სწორედ, საღამო...

წარუმატებლობით გულდამძიმებული ტაშფანდურა სინორონა ჯინიოლა გოგლი-მოგლის გამოსვლას გულის ფანცქალით ელის კახინოს დარბაზის სულის შემხუთავ სიცხეში... და აი, როგორც იქნა, მონაწილეთა გამოსვლებით, ინტერმედიებში კომიკოსების უნიჭო, გულის გამაწვრილებელი სკეჩების, საბალეტო დივერსიმენტებისა და კონკურს-კონცერტის წამყვანთა უკბილო ხუმრობებით გულგაწყალბულმა ბატონმა პრეზიდენტმა ისეთი გაშმაგებით დასცხო ტაში, რომ მისი და მეზობელი ლოჟების მაყურებელ-მსმენელთა ყურადღება მიიპყრო – გამოაცხადეს სინორონა ჯინიოლა გოგლი-მოგლის სახელი!

ორიგინალური ნომერია: ოქროსფერი მბრწყინავი სამოსით საკმაოზე მეტადაც შილიფად ჩაცმული სინორონა ჯინიოლა გოგლი-მოგლი მღერის და ცეკვავს: მას პარტნიორობას უწევს ორი მოსული ტანის ზანგი რეპერი, – ნეტავ სად გამონახეს? – ისინიც ცეკვავენ და გველებით იგრინებინან...

დამთავრდა სინორონას გამოსვლა და ტაშიც გაისმა, რომელიც უცებ კიდევ უფრო გაძლიერდა: ტაშფანდურამ ახლა კიდევ უფრო გამოიღო თავი – ახლამახლო მყოფთა კი რა, მთელი მაყურებლებით გადაჭედილი დარბაზის ყურადღება დაიმსახურა! გრძობამოზღვაგებული არისტოტელე ბუქნაძე ყველასთვის მოულოდნელად სცენაზე აიჭრა და მისი სათაყვანებელი ქალის სასიმღერო ნიჭითა და ხმით უსაზღვრო აღტაცება ფრიად ემოციურად გამოხატა – სინორონა ხელში აიტაცა და ორ-სამჯერ დაატრიალა!

ზანგები განცვიფრებულნი უყურებდნენ ტაშფანდურას – სიმღერის დამთავრებისას უნდა აეტაცათ სინორონა მაღლა აწეულ ხელებზე, მაგრამ მათ ვინ აცალდა!

დარბაზი კინაღამ დაინგრა გაშმაგებული ტაშისცემით, აღტაცებული შეძახილებითა და სტეგენით!

ამ დროს სცენაზე მოულოდნელად ავარდა მეორე მამაკაციც, როგორც შემდეგ გამოირკვა, სინორონა ჯინიოლა გოგლი-მოგლის დროებით, ტაშფანდურას ქისის ხათრით, მიტოვებული საქმრო, ერკოლე დემპედოკლე – დიდგვაროვანი სინორონი... და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ბატონ პრეზიდენტს საოცრად მჭექარე ხმით დაუღრიალა:

– მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ჩემი საცოლის ხელში აყვანა!

უხმო და მოჩიფჩიფე კონკურსანტების ფონზე სინორონა ერკოლეს ხავერდოვანი ბარიტონი კარგად გამოჩნდებოდა, საწყენი იყო, რომ კონურსში მისი საცოლე მონაწილეობდა და არა ის (ოპერის დამწყები მომღერალი გახლდათ და დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე)...

ტაშფანდურას უცნობი სინორონის საქციელი ფრიად გაუკვირდა: მიჩვეული იყო, რომ მხოლოდ ის ყვიროდა ხოლმე!.. უარესი მოვლენა კი წინ ელოდა: მართალია, სინორონი ერკოლე არ იყო ბატონ ტაშფანდურას არც სიმაღლისა და არც წონისა, – ალბათ მოკრივეთა შეჯიბრებაში კაი ორი კატეგორიით მსუბუქში იასპარეზებდა, – მაგრამ ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია და ცხადად აჩვენა ბატონ ტაშფანდურას ყბას, გაფიცხებისას როგორი ცხარე მუშტიც ჰქონია... ასე რომ, სანამ ტაშფანდურას პირადი მცველები რაიმეს უშველიდნენ (საიდან და როგორ მოხვდნენ დარბაზში, უფრო სწორედ – სცენაზე, მეც მიკვირს!), მათი დაცვის ქვეშ მყოფი “ობიექტი” (ალბათ უფრო – სუბიექტი!) სცენის ფიცანარნაგს მთელი ტანით მჭიდროდ იყო ჩახუტებული, ვითარცა მშვენიერ სასურველ ქალს...

მეორე დღეს მთელი იტალია ამ ფრიად პიკანტური ინციდენტის შესახებ ლაპარაკობდა! აფსდუს, ბატონ პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი გიგლა ყვაფიფრჩხილაძე ამ დროს დარბაზში არ იმყოფებოდა თავისი ფოტოაპარატით, რა შესანიშნავი მოვლენის უკვდავყოფა შეეძლო თუმცა, იქ დამსწრე სხვა ფოტო დ ტელეკორესპონდენტთა ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობოდა და მეორე დღესვე ტაშფანდურას რაინდული საქციელის ამსახველი ფოტოსურათში არები გაზეთების პირველ გვერდს ამშვენებდნენ! ტელევიზიით ხომ დამის უკანასკნელ ცნობებში აჩვენეს და მეორე დღესაც რამდენჯერმე გაიმეორეს; “სინორონა ჯინიოლა გოგლი-მოგლის ფრიად ექსტრავაგანტური კავალერი, სინორონი პრეზიდენტი საჩაღეთიდან!”,

სინორონა ჯინიოლამ, სამწუხაროდ, ვერცერთი ჯილდო ვერ დაიმსახურა, სამაგიეროდ, სახელი გაითქვა! მართალია, მის პოპულარობას სკანდალური ელფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც დიდად კმყოფილი უნდა დარჩენილიყო!

ბატონმა პრეზიდენტმა ერთგვარად მაინც შეასრულა პირობა – საკუთარი საქციელით მიადწია იმას, რომ ამიერიდან მისი რჩეულის სასიმღერო კარიერა უზრუნველყოფილი იყო!.. მთავარი-ა, შენი სახელი ყველას პირზე ეკეროს და შენი ხმა და ოსტატობა იმდენად აღარ აინტერესებთ!

დიახ, ბატონი პრეზიდენტი ქვეყნის ყბაში ჩავარდა და როცა მისი საკუთარი, უკვე სახელგანთქმული ყბა ასე თუ ისე მოუშუშდა და წველების წრუპვის გარდა, უკვე ფაფების ჭამაც და ლაპარაკიც შეძლო, მაშინვე სინიორინა ჯინიოლა გოგლი-მოგლის მონახულება გადაწყვიტა...

ბვირფასი საჩუქრებითა და მიხაკების მშვენიერი თაიგულით ხელდამშვენიებული ტაშფანდურა ქალბატონ ჯინიოლა გოგლი-მოგლის სასტუმროს ნაცნობ ნომერს მიაღება, მხლებელმა მსახურმა, რომელსაც საჩუქრები ეჭირა ხელში, კარზე დააკაკუნა...

და ჰოი უმადურობაჲ! თაგამოდებისა და გარკვეული მსხვერპლის უანგაროდ გაღების საფასურად, ჯილდოდ არ იკითხავთ, ბატონმა ტაშფანდურამ რა მიიღო? საკმაოდ მკვანე საუბარი, შეზავებული ერთი მხრივ – საყვედურებით (სინიორინასი) და მეორე მხრივ – უსუსური თავის მართლების მცდელობით (ტაშფანდურასი)...

– უსინდისოდ მომატყუეთ, თქვენი დანახვაც აღარ მინდა! გამარჯვებას დამპირდით, ჟიურიმ კი ბოლოდან მეორე ადგილი მომაკუთვნა! – წიკინებდა ტაშფანდურას ამაგის დაუნახველი მშვენიერი ქალბატონი.

– ბვირფასო!.. ჟიურის არც ერთი წევრი არ გამომიტოვებია, რომ კაცი არ მიმეზავნა, შესაბამის ანაზღაურებას წინდაწინ ვპირდებოდი, მაგრამ არავინ გამოეხმაურა ჩემს გულითად წინადადებას... პირადადაც ვცადე ერთი-ორის დაპატიჟება სადმე მყუდრო ადგილას, მათი არჩევანით – ჩემზე უკეთ იციან აქაური ქალაქგარეთი რესტორნების დისლოკაციის ადგილები და გემრიელად ჭამა-ყლაპვის შესაძლებლობათა დონე... სათოფედ არ მიმიკარეს! – ბატონი პრეზიდენტი უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდა, არ იყო დაჩვეული თავის მართლებას! გაოცებული და გაოგნებული იყო სინიორინას მოულოდნელი და მისთვის სრულიად გაუგებარი ფერისცვალებით – უმადურობის მხვერპლი შეიქნა!

– წუწურაქი ყოფილხართ, ბატონო ჩემო! მსმენელ-მაცურებელთა ტელეფონით ღარეკვით ან მობილურის მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ხომ მაინც შეგეძლოთ დანაკლისის ანაზღაურება – იქაც ბოლოდან მეორე ვიყავი, ბოლოსწინა ადგილი მეტო! აღარ ვიცოი, სირცხვილით თავი სად გამომეყო!

– რაც შემეძლო, უამრავი გზავნილი გამოგვზავნე, მთელი ჩემი გარემოცვა მხოლოდ ამით იყო დაკავებული... ვნანობ, რომ ქალბატონები ადრე გავამგზავრე შინ... – ბატონმა ტაშფანდურამ მაშინვე ენაზე იკბინა, ზედმეტი წამოსცდა! მაგრამ ისარგებლა იმით, რომ სინიორინამ ყურადღება არ მიაქცია მის ბოლო სიტყვებს, იმდენად იყო ჩაფლული საკუთარი განცდების ტყვეობაში და საჩქაროდ დაამატა: – შენს კოდზე, თხუთმეტზე, რამდენიმე ასეული მოკლე ტექსტური შეტყობინების გამოგზავნა მაინც მოვახერხე...

– ჩემი კოდი ცამეტი იყო!
– მერე, მაგ თარსი კოდით აპირებდი გამარჯვებას? – იქით გადავიდა შეტყვავზე ტაშფანდურა, რომ როგორმე საკუთარი თავი გაემართლებინა.

– მე კი არ ამირჩევია, მომანიჭეს! თანაც ჩვენთან ცამეტი ბედნიერი რიცხვია, თარსი კი ჩვიდმეტი გახლავს, ეგ აღარ იცი, შე მართლა თარსო? როგორ უნდა გქონდეს შენისთანა გაუნათლებელი ადამიანის იმედი!

ბატონმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, საპასუხო იერიშზე გადასულიყო:
– შენ რომ კონცერტის წამყვანი გეთომარებოდა, შეყვარებული თუ გყავსო, შენ კი უშნოდ იკვანწებოდი, თვალებს უჭუჭუნებდი: “ჯერჯერობით სიყვარულს ვეძებ!” – საკმაოდ კარგად გამოაჯავრა ტაშფანდურამ სინიორა ჯინიოლა, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დიდებული მსახიობი იყო! – შენს დიდად განათლებულობაზე მეტყველებს, ჭეშმარიტად!

– სცენაზე რა არ ხდება!
– მაშ, იტყუებოდი? გასაყვეჩქებელია!.. – განაგრძობდა გახალისებული ტაშფანდურა, რომ ჯინიოლამ დაუფიქრებელი პასუხით შესაძლებლობა მისცა, იქით გამოდავებოდა. – ე რა წვინტლიანი სიმღერა შეასრულე, მეგონა, ღოღუსავით ჩამოიდგენთებოდი და გაქრებოდი... “საუკუნის პრობლემები” – სიმღერის ეს უცნაური სახელი მაინც რამ მოგაფიქრებინა? სახელი სიმღერისა აღთან იყო და ტექსტი ბალთან, რა განზრახვით გააკეთეთ ასე უგუნურად?

– შენ რა იცი, ათი ათასი ევრო დამიჯდა მისი მხოლოდ მუსიკის დაკვეთა, ტექსტის ხარჯი კიდევ სხვა იყო...

– მერე, რისთვის გადაყარე ამდენი ფული, მსოფლიო პრობლემებს რას ეჭიდავები, საკუთარი პრობლემები ვერ მოგიგვარებია! ან ის დებილი რეპერი რად გინდოდა, რომ დაიწყვილე, იმან გაგიფუჭა საქმე... ეს არის იტალია – სიმღერისა და მომღერლების ქვეყანა? ამდენი უხმო ვაი-მომღერალი სად მოაგროვეს? რავა ყველა ჩიფჩიფებდა და წიკმუტუნებდა, ახლა მოდაშია?

– ლანძღვა კარგად გეხერხება, ტყუილად გამოგჭიმეს საპატიო სტუმართა ღოფაში... შენი ბედი, რომ იქ ჩუმად იჯექი, თორემ გადმოგაგდებდნენ იქიდან პირდაპირ პარტერში!..

– მერე შენ რა გეშველებოდა, ხელში რომელი თაყვანისმცემელი აგიყვანდა?.. ნახე, მთელი პრესა ამ ამბითაა გადაჭრელებული, უკეთესი რეკლამა რაღად გინდა! ბვირფასო, თუ თავის მოკვლას არ აპირებ, დავიფიწყოთ წარსული შეცდომები და წყენა!.. თავსაც ნუ იკლავ, წინ კიდევ მრავალი კონკურსი გელის. ჩვენთან, აყვავებულსა და ბედნიერ...

სინიორინამ უხეშად შეაწყვიტინა:

– რა უშნო ხუმრობა იცი, იმის რა მეტყობა, რომ მეათე სართულიდან გადახტომას ვაპირებ?

– რა ვიცი, ზოგი, კონკურსში მონაწილეობით იმედგაცრუებული, ფიშტოს იხლის შუბლში ან საძილე აბებს სვამს უზომო რაოდენობით, რომ საუკუნოდ დაიძინოს... რა თქმა უნდა, შენ, ძვირფასო, ჭკვიანი ქალბატონი ბრძანდები და კარგად იცი, ყველაფერი ჯერ წინ გაქვს! აი, ჩვენთან, აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში, მალე, სულ მალე, შადრევანთ მეფის მშენებლობის დამთავრებისთანავე, მოვაწყობთ გრანდიოზულ სასიძღვრო კონკურსს!.. კონკურსთა კონკურსს, აბა რავა!..

– მეპატიჟები? არც კი ვიცი, სად არის და რომელ მხარეს ეგ შენი ღვთისა და კაცთაგან დავიწყებული საჩაღეთი...

– საერთაშორისო კონკურსი – გასაყვეჩხებელი, არნახული გრანდიოზული პრიზებით! ძვირფასო, გპირდები, იქ განაღდებული გექნება გამარჯვება! შეგიძლია, სიმღერის შეკვეთაზე ახლავე იფიქრო, მე გადავიხდი ორივეს – სიმღერის და ტექსტის – ღირებულებას! ოღონდ ერთი პირობით: იგი მიძღვნილი უნდა იყოს შადრევანდიდის სახეიმო გახსნისადმი!..

– არნახული, გრანდიოზული!.. – ათვალწუნებით დაბრიცა საესე ტუჩები მშვენიერმა სინიორინამ. – ჰი!.. დაიკარგეთ იქით შენ, შენი კონკურსიცა და შენი შადრევანდიდიც! ტყუილების გულა! თვალით აღარ დამენახო!

– ძვირფასო...
 – ყბა თუ მოგიჩნა? – ამჯერად ნაზმა ღიმილმა დაამშვენა ჯინიოლას ტუჩები. – ჰი-ჰი-ჰი!.. სადაცაა ერკოლე უნდა მოვიდეს და გირჩევნია, დროზე გაასწრო!.. თორემ ერთ გემრიელ ნოკა-უტს მეორეც დაემატება!

ბატონი არიტოტელე ბუქნაძე ერკოლე დემპედოკლესთან მეორე რაუნდის გამართვის სურვილსა და რევანშის აღების წყურვილს არ შეუწუხებია; გულს კიდევ უფრო უკლავდა ის გარემოება, რომ სინიორ ერკოლეს გვარი საყვარელი ბიძის სახელს ახსენებდა... და ამჯობინა, მოეხმო კეთილგონიერებისთვის და დროულად გასცლოდა იქაურობას.

თუმცა, ახალ, ბევრად უფრო სერიოზულ უსიამოვნებას გადაეყარა – მოგესხენებათ, ერთ ჭირს არცთუ იშვიათად ხელიხელჩაკიდებული მეორეც მაშინვე მოჰყვება დაბარებულივით...

ტაშფანდურა სხვა ხათაბალაში გაება – იტალიური სიმღერის საერთაშორისო კონკურსის ფიურის მოქრთამვის მცდელობის შესახებ საჩივრები შევიდა სადაც ჯერ არს და ბატონი პრეზიდენტი იძულებული გახდა, საკუთარი თავისთვის ეშველა – საჩქაროდ მოკურცხლა, სიმღერის კონკურსის დახურვის გალა კონცერტსაც კი არ დაესწრო! ისე, მართალი მოგახსენოთ, მომხდარი არცთუ სასიამოვნო ამბების შემდეგ არც ჰქონდა ამის დიდი სურვილი...

რაც შეეხება სინიორა ჯინიოლა გოგლი-მოგლის, ის დარჩა სან ემპედოკლეში – სკანდალური ელფერის დიდების სხივებში ნეტარად მცურავი, სარფიანი კონტრაქტების მოლოდინით აღსავსე...

სხვათა შორის, ბატონ ტაშფანდურასაც მაინცდამაინც არ დასწყვიტა გული ამ განშორებამ – ამბობენ, რომში უმშვენიერესი ქალბატონები ბევრად მეტია, ვიდრე ულამაზესი შადრევნებიო, ჰოდა, ამ მოსაზრების მართებულობაში თვითონ, საკუთარი თვალით უნდა დარწმუნდეს!.. აბა რავა!..

რომი – მარადიული ქალაქი – უკვე რამდენიმე ათასწლეულია მოუთმენლად ელის, როდის ეწვევა ნანატრი სიხარული – შესაძლებლობა მიეცემა, ღირსეულად უმასპინძლოს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, მის უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს!

კარი XIII. t aSf andur a – sil amaz is sal o nis gmir i!

რომში ტაშფანდურა დიდებულ რეზიდენციაში ცხოვრობდა, – შუა საუკუნეებში აშენებულ ერთ-ერთ სასახლეში; პალაცოში იყო უამრავი მშვენიერი ფრესკებით და ქანდაკებებით დამშვენებული დარბაზები, ოთახები, ლოჯიები; ატრიუმში, – ყოველი მხრიდან დახურულ შიდა ეზოში, – ძველთაძველ დიდებულ დაბურულ ბაღში, შადრევანი საამოდ ჩქეფდა და ჩიტების ჭიკჭიკს და ფოთოლთა ნაზ შრიალს ეხმატბილებოდა, აბა რავა!..

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს არ დავიწყებია თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულება და დიდის რუდუნებით მრავალი შადრევანი მონახულა – რომში უთვალავი შადრევანი ყოფილა, მათი ჩამოვლა ალბათ რამდენიმე წელიწადში თუ მოხერხდება!

და ყველა მათგანს აღტაცებაში მოჰყავდა, რასაც ადასტურებდა ის, რომ ამის შედეგი გახლდათ ამ შადრევანთა აუზებში გიგლა ყვავიფრჩხილადის იძულებითი გაგრილება – არაერთგზის... ასე რომ, პრეზიდენტის პირადი მასხარა იძულებული გახდა, თან ეტარებინა სათადარიგო ტანსაცმელი გამოსაცვლელად; ზოგ განსაკუთრებით “ილბლიან” დღეს, როცა ორ-სამ შადრევანს მონახულებდნენ – რამდენიმეც კი.

– ნაღდად არ მომწყინდება, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული რამდენაირი მშვენიერი შადრევანია... დღეს საით მივმართებოთ? – იკითხა ერთ დილას ტაშფანდურამ.

- ბატონო პრეზიდენტო, კიდევ მრავალი შადრევანი დაგვრჩა სანახავი, თუნდაც ვილა ბორგეზეს ბაღში ან ნავონას მოედანზე... რომის შადრევნებს მრავალმა გამოჩენილმა ადამიანმა აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა, თვით რომაელებსაც ძალიან უყვართ ეს შადრევნები! - მოახსენა ვიგლა ყვავიფრჩხილაძემ. - ჩვენი საუკუნის გამოჩენილმა იტალიელმა კომპოზიტორმა ოტორინო რესპიგომ რომს სამი სიმფონიური პოემა მიუძღვნა, მათ შორის ერთს ჰქვია "რომის შადრევნები"!

- "რომის შადრევნები"? - იკითხა ტაშვანდურამ.

- დიახ, თქვენო უმაღლესობაგ, რა არის გასაკვირი, შადრევანი ხომ თვით მღერის, თვითონაც არის მუსიკა! გენიოს უნგრელ კომპოზიტორს ფერენც ლისტს ძალიან უყვარდა სახელგანთქმული პატარა ქალაქი ტივოლი, - აქვეა, რომთან ახლოს, - იქ ხშირად ცხოვრობდა და მუშაობდა სახელგანთქმულ დ'ესტეს ვილაში. საფორტეპიანო ციკლში "მოგზაურობის წლები" ვილას განსაცვიფრებელ ბაღს მიუძღვნა ორი საფორტეპიანო პიესა, მათ შორის - "დ'ესტეს ვილის შადრევნები". ადრეც მოგახსენეთ, იქ ასზე მეტი შადრევანია! აუცილებლად უნდა ვინახულოთ!

ტაშვანდურამ ვიგლა ყვავიფრჩხილაძე შეაქო:

- ვაჰ, რამდენი რამ ეტყვა მაგ ვიგლას გოგრაში, ჭირიმე! არ შეეცდი, პირად მდივნად რომ დაგნიშნე, ხომ იცი! - კონტად გაუწყაპუნა პირად მდივანს კინკრიხოში წკიპურტი და დაამატა: - დღეს საით გავიწევი?

- არ ინანებთ, რაც კი საუკეთესო შადრევნები გინახავთ, არცერთს ჩამოუვარდება! - თვით ვიგლა ყვავიფრჩხილაძე კი უკვე მერამდენედ ნანობდა, რა ენად გავიკრიფეო და ისრესდა კინკრიხოს.

მართლაც, დიდად აღაფრთოვანა ბატონი პრეზიდენტი შადრევნებმა ნავონას მოედანზე:

- დიდებულია, დიდებულია! ვინ არის ამ მშვენიერების ავტორი?

- ოთხი მდინარის შადრევნის შემქმნელია ლორენცო ბერნინი, თქვენო უმაღლესობაგ! - მაშინვე უპასუხა ბატონმა ვიგლა ყვავიფრჩხილაძემ.

- ნიჭიერი კაცი ჩანს, ხომ იცი! ახლავე იბრუნეთ, რომ პერსონალურად მოწვეულ იქნას შადრევანთ მეფის კონკურსის ჟიურიში მონაწილეობის მისაღებად! არა, აჯობებს, თვითონ მიიღოს კონკურსში მონაწილეობა! არ დაგავიწყდეს, ჩაიწერე? მერე გამახსენე, უეჭველად შადრევანთ მეფის I ხარისხის ორდენით უნდა დაგაჯილდოვო!

- თქვენო უმაღლესობაგ, მე კი ჩავიწერე, მაგრამ სინიორ ლორენცო ბერნინის გერაფრით მოვიწვევთ; ორდენით, თუკი ამის სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ დააჯილდოვოთ, ხელს არაფერი შეგიშლით...

- ვითომ რატომ, ვინ გაბედავს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის მიწვევაზე უარი თქვას?! თუ საკმარის ფულს ვერ გადაგუხდით?.. გასაყვეყნებელია!..

- ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, ლორენცო ბერნინი, გენიოსი ხუროთმოძღვარი და მოქანდაკე, რამდენიმე საუკუნეა, საიქიოს მშვიდად განისვენებს...

- მერე, რატომ დროულად არ მომახსენე? გასაყვეყნებელია! - მარცხენა წარბი ზე აზიდა ბატონმა ტაშვანდურამ და კინკრიხოში მეგობრულად უთავაზა წკიპურტი, რაც მოასწავებდა, რომ დრო დადგა შადრევნის აუზში ბატონ ვიგლა ყვავიფრჩხილაძის მორიგი განბანვისა... - ვიგლას გოგრა გაგორდა! ჰი-ჰი-ჰი, ხომ მაგარია?.. ვიგლა ბატონო, ბევრი წერა გიწევს, მგონია, სულ წერ და წერ, რა დაგემართა, შე კაცო, და ახლა უნდა დაისვენო, ხომ იცი! გაგრილდი, ჩემო ბატონო, ისიამოვნე, მკლავურიც გაუსვ-გამოუსვი! ჰი-ჰი-ჰი! ნუ გეშინია, აქ საკმაო სიღრმე იქნება - ოთხი მდინარის შადრევანი ყოფილა, ჭირიმე, აბა რავა! თუ დახრჩობის გეშინია?

- მადლობა მომიხსენებია, თქვენო უმაღლესობაგ, ამ ბოლო დროს რაღაც თითქოს მუხლებში ქარები მაწუხებს და ცხელი აბანო უფრო მომიხდება! შემიძლია, დღეს წავიდე?

- დიახ, როგორ არა, თუგინდ ახლავე წაბრძანდი, ოღონდ ჯერ ეგ დავთარი მიბოძე! და ეგ ახალი ფოტოაპარატიც, უკვე მეხუთე ვიყიდეთ, გვეყოფა! ვნახოთ ერთი, როგორი სურათი გადაიღე, თუ ეკადრება ამ დიდებულ შადრევანს... აბა, ჩემო ვიგილო, ახლა უნდა იყივლო! ავოე!..

და ტაშვანდურამ მასთან მისულ ბატონ ვიგლას გაგარჯიშებული ხელით ჩვეულებისამებრ აუზში ჩაგდება დაუპირა, ალე ჰოპ!.. მაგრამ ამჯერად მოულოდნელი რამ მოხდა: ოთხი მდინარის შადრევნის კიდესთან მისული, თვით აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე, პრეზიდენტის პირადი მდივნისა და პირადი მასხარის, პირადი ფტოგრაფისა და პირადი ექიმის ხელით, მოულოდნელი წინმსწრები მეგობრული ბიძგის შედეგად, უცებ თვით აღმოჩნდა აუზში სასაცილოდ მოფართხალებ და ვიგლა ბატონმა ციფრული ფოტოაპარატით მისი ამ მდგომარეობის ამსახველი რამდენიმე საინტერესო და დასამახსოვრებელი ფოტოსურათის გადაღებაც მოასწრო! ხოლო ტაშვანდურას აღშფოთებას კიდევ უფრო უკიდებდა ცეცხლს - ლამის აუზის წყალი აადუღა! - გაქცეული ვიგლა ყვავიფრჩხილაძის წიკინ-ხარხარი:

- თქვენი ჯერიც დადგა! ხომ გემრიელად გაგრილდით, თქვენო უმაღლესობაგ?! გამოსაცვლელად ჩემს სათადარიგო ტანსაცმელს გიტოვებთ; ცოტა სრულად გექნებათ და მხრებსა და იდლიებში მოგიჭერთ, სამაგიეროდ, თქვენი ტანის სრულყოფილ აღნაგობას სრულყოფილად წარმოაჩენს! გასაყვეყნებელია!..

ბატონ ტაშფანდურას პირადი მცველები ფრიად დაბნეული ჩანდნენ – მათთვის სრული მოულოდნელობა გახდა საფრთხის გამოჩენა დასაცავი ობიექტიდან სულ ერთი მეტრის და უფრო ნაკლების მანძილზე, რა უნდა გაეწყოთ? მათ თავგზას უბნევდა სხვა გარემოება: აღარ იცოდნენ, დამნაშავეს გააკიდებოდნენ თუ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტისთვის ეშველათ, რომელიც აუზში ფართხალებდა და თან გაჰკიოდა...

– დაიჭირეთ ეგ ნაპირალა, ჩემი ხელით უნდა დაგახრჩო! – იჭაჭებოდა ბატონი ტაშფანდურა, თან პირიდან წყალს უშვებდა წვრილ შადრევნად: რომელიღაც მესუეთ მდინარის განსხიერებას ლამობდა, ოღონდ რომელიც – ძნელი დასადგენი გახლდათ...

მე რომ მკითხო, ძალიან დასანანი, რომ ნაფონას მოედანზე მომხდარი კლოუნადის უშუალოდ ხილვით სულ რამდენიმე კაცმა ისიამოვნა: ცნობილია, რომ აქ ანტიკურ დროს, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში იმპერატორმა დომიციანუსმა ცირკი ააშენა, რომელიც ოცდაათ ათას მაყურებელს იტევდა! თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მაშინდელ ცირკში სულ სხვა რამის სახსავად მიდიოდნენ – გლადიატორების ურთიერთშერკინების ან მხეცებთან ბრძოლისა...

ერთი შეღავათი ისაა, რომ ამ გმირული ეპოპეის ამსახველი კადრები იმავე საღამოს ინტრენეტში აღმოჩნდა განთავსებული და მთელ მსოფლიოში ტაშფანდურას გმირული პიროვნებით დაინტერესებული ყოველი ადამიანი შეძლებდა, ეხილა ისინი... გარდა ამისა, იქვე იხილავდი ბატონ პრეზიდენტის უწყინარი გართობის სურათებს ლონდონის ჰაიდ პარკშიც... უოჩაღ, ბატონო გიგლა!

ღიახ, საოცარია, ასაკისა და კოჭლობის მიუხედავად, გიგლა ყვაფიფრჩხილაძემ მიმალვა მოასწრო, ასე რომ, იძულებული გახდნენ, დიდი გაჭირვებით სხვა მდივანი ეშოვნათ; თანაც ახალი დავთრის შექმნაც მოუწიათ – ძველი ტაშფანდურასთან ერთად ბანაობას შეეწირა. აფსუს, ბატონ ტაშფანდურას რამდენი ბრძნული გამონათქვამი – ჭეშმარიტი მარგალიტი – დაიღუპა!

ტაშფანდურა კი რომის უთვალავი შადრევნების თვალიერებას ვერ ელყოდა! მაგრამ აქ ერთი უხერხულობა წარმოიშვა: ტაშფანდურამ თავისი ხუმტურები ვერ მოიშალა – ისე შადრევნის ნახვას რა გემო ჰქონდა! – და ამიტომ ყოველი ახალი შადრევნის მონახულების შემდგომ ახალი პირადი მდივნისა და, იმავედროულად, პირადი მასხარის ძებნა უხდებოდათ... ხშირად – ახალი ფოტოაპარატის შექმნაც! გიგლასგან განსხვავებით, სხვა მდივნები პირველივე შადრევანში მიღებული აბაჯანის შემდგომ ვერ ეგუებოდნენ ერთობ სასეირო და ფრიად საამო, თან სრულიად უფასო განბანვას, არც წამდაუწუმ კინკრიხოში წკიპურტის მირთმევა იწვევდა მათში აღფრთოვანებას რატომღაც და არც შიგადაშიგ მეგობრული პანჩურის ამორტყმის სიამით იყვნენ მაინცდამაინც აღტაცებულნი – პირადი ხუმარის სახელოთი, თუნდაც პრეზიდენტისა, ვერ მოიხიბლნენ და უკანმოუხედავად გარბოდნენ მეუფისგან, თუმცა ფრიად საპატიო სამსახურში კარგ ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ. მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა გამორჩეული ნიჭუნარის მქონე ტაშფანდურას გაუჭირდებოდა? და რადიკალური გამოსავალი მალე მონახა კიდევ: პრეზიდენტის განკარგულებით, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის პირადი მდივნისა და, იმავედროულად, პირადი მასხარის ფრიად საპატიო სახელოს ამიერიდან მორიგეობით შეასრულებდნენ მუჟუჟა ბუჟუჟაძე და კოტიკო კატაბარდაძე!

– მე სად ვეძებო ახალ-ახალი მასხარები, უფროს სწორედ, შენ? – ტაშფანდურამ ახალ მასხარას, კოტიკოს, მელოტზე გაუწკაპუნა მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი (ამისთვის მისი ნესტოდან დროებით გამოდებდა დასჭირდა), – შენც მოისვენებ და მეც! კარგად მოვიფიქრე, ხომ მაგარი ვარ? აბა რავა!

– ბატონო პრეზიდენტო, სამაგისო ნიჭი არ გამაჩნია! – აწრუწუნდა კოტიკო, – ხუმრობა არ მესერხება!

– ჭირიმე, შენ მაგას ნუ დარდობ, შენს მაგივრად მე ვიხუმრებ, ჰი-ჰი-ჰი! ამისთვის ჯამაგირიდან შესაბამის თანხას დაგიქვითავ, ყველაფერში მაგარი ვარ, აბა რავა, ჰა-ჰა-ჰა! – სიცილით უპასუხა ტაშფანდურამ და მეორედაც გაჰკრა წკიპურტი კინკრიხოში.

“მაშინ მე ვიქნები თქვენს მაგივრად პრეზიდენტი! თუ გაცვლავ, გაცვლავ იყოს!” – კინაღამ წამოსცდა კოტიკო კატაბარდაძეს პირს მომდგარი ხუმრობა და ამით დამტკიცებდა, რომ მართლაც ღირსია უმაღლესი ნებით ბოძებული ახალი თანამდებობისა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, უხმოდ დაეთანხმა პატრონს... მე რომ მკითხო, ორივე სხვა როლებს გაცილებით შეეფერება: ტაშფანდურა მასხარის როლს მშვენივრად შეასრულებს, კოტიკო კი ტაშფანდურაზე ბევრად უკეთესი პრეზიდენტი იქნებოდა!

ღიახ, კოტიკოს ახალი თანამდებობის ბოძება დიდად არ ესიამოვნა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მელოტი გახლდათ და ტაშფანდურას წკიპურტები კინკრიხოს არეში იმდენად კი არ სტკიოდა, რამდენადაც თანმდევი უცვლელი ხუმრობა აღიზიანებდა: “ნესვი ჯერ არ დამწიფებულა?”; რამდენჯერმე პასუხად კინაღამ წამოიძახა: “ბატონო პრეზიდენტო, მე ვარ მასხარა, თუ თქვენ ბრძანდებით?”, მაგრამ ერთხელაც ვერ გაბედა...

რაც შეეხება ბატონ მუჟუჟა ბუჟუჟაძეს, პრეზიდენტის პირად მრჩეველსა და, იმავედროულად, პირად ასტროლოგს, საინტერესოა, რატომ ვერ იწინასწარმეტყველა საკუთარი პერსონის “დაწინაურება” ან რატომ ტაშფანდურამ მას არ ჰკითხა რჩევა ამ საკითხის გადაწყვეტისას?

ამიერიდან, რამდენადაც ტაშფანდურას უკვე ორი მასხარა ჰყავდა, უკვე წყვილ-წყვილად ჰყრიდა ხოლმე მათ აუზში მორიგი შადრევნის მონახულებისას და ბავშვივით ხარობდა:

– აბა ჰე, ერთმანეთს გაეჯიბრეთ, ვინაა უფრო მაგარი, რომელი უკეთ ცურავს, ჰი-ჰი-ჰი! გამარჯვებულს წკიპურტით დაგაჯილდოვებ, დამარცხებულს – პანჩურით! აბა რავა! ჰა-ჰა-ჰა!..

ერთხელაც ზაფხულის ხვატში ბავშვები ტრევის შადრევანში ყვინთავდნენ – ტურისტების მიერ ჩაგდებულ ხურდა ფულს იღებდნენ – და ეს ჩვენი ტაშფანდურა რას მოითმენდა – ცხელ-და ფრიად და, პირად მცველთა გულის გასახეთქად, ისიც წყალში გადაეშვა თავით! ეტყობა, ნა-გონას მოედანზე ბანაობა გაახსენდა და ამჯერად ჯერ ტანსაცმელი გაიხადა!

იქ უამრავი ადამიანი, უმთავრესად – ტურისტი, რომლებიც ყოველთვის მრავლად ირევა რომის ამ მსოფლიოში სახელგანთქმული შადრევანთან, იღებდა ფოტოსურათებს და მალე ტაშფანდურას გმირული საქციელის ამსახველი მასალა გამოიჩინა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ კი საქვეყნოდ გაავრცელა ვიდეოჩანაწერიც მეუფის ცელქობისა – ტაშფანდურამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი!.. დიდად სასიამოვნო იყო და საამაყოც!.. აბა რავა!..

ერთი რამ კი მაინც ანაღვლებდა ტაშფანდურას – კინაღამ გაგიჟდა, როცა გაიგო, რომ რომში ამ თვეში ერთი ახალი შადრევანიც კი არ გაუხსნიათ! წარმოგიდგენიათ? დაუჯერებელი ამბავია, შეუძლებელი! ეს არის, რომ იბრიკებიან, ევროპა ვართო? აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთზე დიდად ჩამორჩენილები ყოფილან, ეგ უბედურები, რათ გინდა ლაპარაკი – ცხვირი არსად გამოეყოფათ! არადა, როგორ სურდა, დასწრებოდა რომელიმე ახალი შადრევნის გახსნას და, თუ პატივის დასდებდნენ, შესაბამისი სიტყვაც წარმოეთქვა და პირადად საზეიმოდ გაეჭრა კიდევ წითელი ბაფთა! რა ხანია, მოგზაურობის გამო ერთი შადრევანიც კი ვერ გახსნა და მეტისმეტად მოენატრა ეს არაჩვეულებრივი მოვლენა, ხომ იცი!

მსოფლიო გაოცნებულია – უშუალოდ დიახაც მისასაღმებელია, მაგრამ ამგვარი უგულვე-ბელყოფა საყოველთაოდ მიღებული ეტიკეტისა?! ჯერ გამოიბრუა ერთ-ერთ უძვირფასეს რესტორანში, შემდგომ კი... ჟურნალ-გაზეთები აჭრელებულია ტიტლიკანა მეუფის შადრევნის ჭავლებში ნებივრობის სურათებით, სათანადო კომენტარებით... მხოლოდ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მასმედია ქება-დიდების რეპორტაჟებს აქვეყნებს!

ტაშფანდურამ ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე მთელი ერთი საათით დაგვიანა მისვლა – თურმე საროსკიპოში დროის მდინარება სულ დაავიწყდა! შემდგომ ისიც დაავიწყდა, სად იმყოფებოდა და პრემიერ-მინისტრის ლამაზ მეუღლეს კეთილგანწყობის ნიშნად ხელი ნაზად მოუთათუნა გაგაზე! ყველანი აღფრთოვანებულნი დარჩნენ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის ბავშვური უშუალობით – უყვარს სილამაზე და რა ჰქნას!

დიახ, ტაშფანდურა საკმაო გასართობს პოულობდა რომში: დღისით – შადრევნების ჩუხჩუხით, მაღლა ასროლილი წყლის სვეტების ან წყნარად ჩამომდინარე ნაკადის მოლივლივე ფარდის მზერით ტკებოდა, დამით კი – დამის კლუბების დახუთული ატმოსფეროსა და თვალისმომჭრელი სინათლეების თამაშისა და მეტისმეტად ხმაურიანი აწყვეტილი ჰანგების ორომტრიალში ჩაძირვით... მაგრამ ის ვერ ხედავდა და ვერ შეიგრძნობდა “მარადიული ქალაქის” სიდიადეს, მშვენიერებასა და სიცოცხლის ფეთქვას... ტაშფანდურას გული სწყდებოდა მხოლოდ იმაზე, რომ სახელგანთქმული რომის კარნავალი აღარ იმართებოდა და ალბათ დიდი სიამოვნებით დაესწრებოდა გლადიატორთა ბრძოლებს კოლოსეოში, თუკი მართლა საოცრება მოხდებოდა და ორი ათასწლეულის შემდეგ აღდგებოდა ეს სასტიკი სანახაობა.

ტაშფანდურამ მოისურვა სხვაგვარადაც გართობა – ბედად მისი სტუმრობა დაემთხვა კლოუნთა მსოფლიო ყრილობას, რომელიც რომში უნდა გამართულიყო და სად იცინებდა ყველაზე მეტად, თუ არა იქ? კლოუნთა ხელფანებაში შეჯიბრება-კონკურსიც იქნება და როგორ გამოაქლდება, აბა რავა! დიდების დაუოკებელი წყურვილი ჰკლავს – ყოველთვის გამოსაჩენ ადგილზე უნდა იყოს – ყრილობის მიმდინარეობას უნდა უხელმძღვანელოს! სხვა მასზე უკეთ ამ საპასუხისმგებლო საქმეს ვერავინ გაუძღვება, აბა რავა!.. თან ახალი ტაკიმასხარაც სჭირდება, იმდენ კლოუნში მდიდარი არჩევანი ექნება!.. მართალია, მისი ადმინისტრაციის უფროსი კოტიკო კატაბარდაძე დიდად გამეცადინებულა, რაც შეიძლება მალე უმოგოს მორიგი პირადი მდივანი და, იმავდროულად, პირადი მასხარა, რადგან მეუფის წკიპურტი და დროდადრო პანჩურიც გართობის მორიგი ობიექტის გამოჩენამდე მისკენ გადამისამართდება ხოლმე, მაგრამ ჯერჯერობით მისი მცდელობა უშედეგოა, ტაშფანდურა კი მეტისმეტად სულსწრაფია...

– რა შეჯიბრებებში მონაწილეობა აიტეხა, – ბურტყუნებს კოტიკო კატაბარდაძე, რა თქმა უნდა, ბატონ პრეზიდენტის ზურგს უკან, – ხან ტირილი, ხან სიცილი... მე კიდევ სულ სატირლად მაქვს საქმე... უპირაინა, ღონიერ ჭამა-სმაში გაეჯიბროს ნებისმიერს, ნაღდად მიაღწევს წარმატებას!.. მე რომ მკითხო, მართლა მაგარი ტაკიმასხარაა – ასეთი თმით ნებისმიერ ცირკში მაშინვე აიყვანდნენ, ყოველგვარი კონკურსისა და შეჯიბრის გარეშე!

ჰო, რადგან ბატონმა კოტიკომ ტაშფანდურას თმა ახსენა, მინდა, მოგახსენო, ჩემო მკითხველო, უფრო დაწვრილებით ჩვენი მოთხრობის გმირის მორიგი ახირების შესახებ ანუ როგორ დაიკმაყოფილა დაუოკებელი სურვილი – ყველგან და ყოველთვის სხვათაგან გამორჩეული იყოს, საყოველთაო ყურადღება მიიპყროს!.. აბა რავა!..

ერთხელ კოტიკო კატაბარდაძეს დაავალა: ყველაზე პრესტიჟული სილამაზის სალონი მოენახა, ყველაზე სახელგანთქმული ოსტატი დაეხვედებინა და იქ მისი უმაღლესობის მისვლის დრო დაეთქვა.

– კლოუნთა მსოფლიო ყრილობას უნდა დავესწრო და განვაცვიფრო ჩემი ახალი ვარცხნილობით, აბა რავა!..

და აი, ტაშფანდურა 50 კაციანი პირადი დაცვითა და ერთი ამბავით მიაღება რჩეულ სილამაზის სალონს “ანტონიუსი და კლეოპატრა”!

ტაშფანდურას დაცვის უფროსმა კატეგორიულად მოითხოვა: “ახლავე სასწრაფოდ განხორციელდეს უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები, ამისთვის კი გაიყაროს სალონში მყოფი კლიენტები!”

სალონის მფლობელმა გაკვირვებისგან მხოლოდ მხრები კი არ აიჩინა, გაიცინა კიდევაც!

– ბატონებო, თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ? სად გგონიათ თავი? აქ ძალადობას არ დაუშვებთ და ახლავე კარაბინერებს გამოვიძახებ!

– ეს სინიორი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე გახლავთ! – განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა კოტიკო კატაბარდაძემ. – მას დანიშნული ჰქონდა ვიზიტი სალონში და რატომ ბედავენ მის შეჩერებას?

მცირე დისკუსიის შემდეგ სალონის უფროსი დათანხმდა, ბატონი პრეზიდენტი შებრძანებულიყო სალონში როგორც ჩვეულებრივი კლიენტი, ოღონდ, მისი მაღალი მდგომარეობისადმი პატივისცემის ნიშნად, ნება დართეს, ტაშფანდურას თანხმლებულად გაჰყოლოდნენ კოტიკო კატაბარდაძე და ორი მცველი.

კოტიკო კატაბარდაძე გაუძღვა წინ ტაშფანდურას და, ორი მცველის თანხლებით, როგორც იქნა, მიაღწიეს ერთ-ერთ კაბინეტამდე. კოტიკომ კარზე დააკაკუნა და მოკლე ხანში გამოვიდა სათვალისანი შუახნის ხელოსანი, უფრო სწორი იქნება, თუ მას სილამაზის ხელოვანს ვუწოდებთ და მოსულნი შეათვალაიერა:

– თქვენ ბრძანდებით სინიორი არისტოტელე? ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ საათნახევრით დააგვიანეთ!

ბატონმა პრეზიდენტმაც გაკვირვება ვერ დამალა და გამანადგურებელი მზერა სტყორცნა კოტიკო კატაბარდაძეს, თითქოს მის ადმინისტრაციის უფროსს დაეგვიანოს და არა მას.

კოტიკო კატაბარდაძემ საწყალი მზერა ხელოვანს მიაპყრო:

– სინიორ ჯაჩინტო, იქნებ შელაგათი გაგვიწიოთ... მოგეხსენებათ, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის თითოეული წუთი რა ძვირად ფასობს!

– ალბათ თქვენც მოგეხსენებათ, პუნქტუალობა და სიზუსტე მეფეების პიროვნებასაც ამშვენებს! ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ყველა ადამიანის კანონიერ უფლებას თანაბრად ვიცავთ, ამიტომ კეთილ ინებეთ და ნუ დამაპარგვინებთ დროს ფუჭ ლაპარაკში, მე კლიენტი მყავს და მას ვემსახურები, გთხოვთ, ხელს ნუღარ შემეშლით! უცხოელისადმი პატივისცემის ნიშნად, შელაგათს გაგიწევთ და თუ გნებავთ, ურიგოდ მიგიღებთ, ნახევარი საათით მოცდა მოგიწევთ... სხვათა შორის, ჩემთან მისადებლად მთელი ორი კვირით ადრე ეწვერებიან!

ტაშფანდურამ უჩვეულო სიფიცხე გამოამჟღავნა და აყვირა:

– მე აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი გახლავარ! მე არ დაუშვებ ჩემი სახელისა და ღირსების შელახვას! ვინ არის ეგ თქვენი კლიენტი, რითი მჯობია მე?

– სინიორ, მნიშვნელობა არ აქვს, ვის ვემსახურები – ჩვენს ქვეყანაში, და ამ სალონშიც, ყველა კლიენტს თანაბარი უფლებები აქვს! სხვათა შორის, თქვენს გამო იცით, ვინ მიცდის? მსოფლიოში სახელგანთქმული კინორეჟისორი ჯანკარლო დელ კასტელმაჯორე!!

– ხომ იცით, ვინცა ვარ? ძალიან მეჩქარება, დღეს დიდი ფეხბურთის დღეა, “რომა” “ლაციოს” ხვდება და ამ მაჩს რომ არ დავესწრო, გავგოყდები! – ტაშფანდურამ მოულოდნელი სიმკვირცხლით კარი შეაღო და კაბინეტში შეგლიჯინდა: – მანახეთ ერთი ეგ თქვენი მსოფლიო სახელის მქონე რეჟისორი! მე მაგას ვაჩვენებ სეირს! გასაყვეყნებელია!.. კინორეჟისორები ათასია, მე კი ერთადერთი ვარ! აბა რავა!..

სავარძელში ნებიერად იყო გადაწოლილი და ჭერზე მშვენიერ პლაფონს, – ტურფა მდიმარი ქალიშვილები მწვანე მდელოზე წყაროსთან წამოწოლილიყვნენ და მფრინავი ნორჩი ამურები თავს ევლებოდნენ, – ათვალაიერებდა საკმაოდ ხნიერი, მაღალი და მხარბუჭიანი, მაგრამ ჭაბუკივით მოსხლეტილი ტანის მამაკაცი. უბოდიშოდ შემოვარდნილ ტაშფანდურას თბილად გაუღიმა, ოდნავ წამოიწია და წამოუდგომლად გაუწოდა ხელი:

– ჯანკარლო დელ კასტელმაჯორე!

ჯანკარლოს მომხიბლავ ღიმილში თეთრი, მბრწყინავი კბილების გამოშუქებამ, ლამაზად წვერებაპრეხილმა შავმა უღვაშებმა, ოდნავ მოჭუტულმა მუქმა თვალებმა დაატყვევა თუ ხავერდით რბილმა ხმამ – ტაშფანდურამ ანგარიშიუცემლად შეაგება თავისი მარჯვენა:

– არისტოტელე!.. ბუქნაძე!..

– ამერიკელები მომწონს, ძალიან უშუალოები ხართ! აბა, ჩემო ტოტო, რით შემიძლია გემსახუროთ? იმედი მაქვს, რომ სანახევროდ გაკრეჭილს არ გამიშვებთ ქუჩაში! – და ოდნავ ხვეულ, ლამაზად გაჭაღარავებულ გრძელ თმაზე გადაისვა ხელი.

- მე ამერიკელი არ გახლავარ, ამერიკაში მხოლოდ იურიდიული კოლეჯი მაქვს დამთავრებული... მინდა გითხრათ, რომ კინოხელოვნებას დიდად ვაფასებ და მიყვარს, სხვათა შორის, მე პატარა რაღაც გამოცდილებაც მაქვს ფილმების გადაღებისა... დასაწყისი ჩემი მოღვაწეობისა არ იყო ურიგო, მაგრამ შემდეგ, ვაგლახს!.. სახელმწიფო და საზოგადო საქმეებით უკიდურესი გადატვირთულობა... აი, როდესაც მოვიცილი, ჩემი მეათე საპრეზიდენტო ვადის დამთავრებისთანავე, აუცილებლად რეჟისორობას დავუბრუნდები; მანამდე რამდენიმე ფილმის სცენარის დაწერას ვაპირებ, აბა რავე!

ამ დროს კაბინეტში კოტიკო კატაბარდაძემ შემოყო თავი:

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენ რომ მოგეწონებათ, ისე მოეწყო საქმე - სხვა კაბინეტში სახელგანთქმული ოსტატი გელით! ოღონდ ორმაგის გადახდა მოგვიწევს!

- ძალიან კარგი! - და მისთვისაც მოულოდნელად, ტაშფანდურამ გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა კინორეჟისორს:

- სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა!

- ნახვამდის, ტოტო! - მომნიბლავი ღიმილით გააცილა ტაშფანდურა კინორეჟისორმა. - სასიამოვნო იყო თქვენი უმაღლესობის გაცნობა, იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით, კოლეგა!

კოტიკო კატაბარდაძე ტაშფანდურას ახალ კაბინეტში შეუძღვა:

- მხოლოდ სენატორებს, დეპუტატებსა და გამორჩენილ კინოვარსკვლავებს ემსახურება! კმაყოფილი დარჩებით!

ტაშფანდურა მართლაც თავიდანვე დიდად კმაყოფილი ჩანდა: ამჯერად ოსტატი მშვენიერი ქერა ქალბატონი გამოდგა, მას რომ მოსწონდა ისეთი - ტანსრული და პირმრგვალი!

ტაშფანდურა გალანტურად ეამბორა გამოწვედილ ნატიფ ხელზე ქერა მზეთუნახავს და ტყავის მოხერხებულ სავარძელში მოკალათდა.

- რა გქვიათ?... ულრიკე?... იტალიური სახელი არ უნდა იყოს...

- დიახ... როგორი ვარცხნილობა გნებავთ? ალბომში ამორჩევას ხომ არ ინებებთ?

- არა, მე მინდა, ქერად შემიდებოთ თმა. აი, თქვენ რომ გამშვენებთ, ზუსტად ისეთად.

- ჩემი თმის ფერი ბუნებრივია, ამგვარის მიღწევა ძალიან გაჭირდება, მაგრამ შევეცდები.

- მე მითხრეს, იტალიაში ქერათმიანები ვენეციელი ქალებიაო.

- მე რომაელი ვარ, აქ დავიბადე; დედაჩემი გერმანელია, რომის ოპერაში მღეროდა... თმის ფერი გავარკვიეთ, ვარცხნილობა?

- ორივე მხარეს გვერდზე თმას ძალიან დამიმოკლებთ, შუაში კი მაღლა ამართული იქნება მამლის ბიბილოსავით...

- თქვენს შესახებ მითხრეს, პრეზიდენტიო, ალბათ მომატყუეს... როგორი ხომ არ ბრძანდებით? რომელ ანსამბლში გამოდიხართ?

- არა, ნამდვილად პრეზიდენტი ვარ! აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი!

- ძალიან სასიამოვნოა! სინიორ პრეზიდენტო, აქ ექსტრაგაგანტურ ვარცხნილობებს არ ვაკეთებთ, ჩვენთან აკადემიური სტილია, კლასიკური ვარცხნილობები, რომელიც, ვფიქრობ, თქვენთვის უფრო შესაფერისია...

- მე ყველაფერი თანამედროვე მიყვარს!

- რა გაეწყობა, ჩვენთვის კლიენტის სურვილი - კანონია!

ტაშფანდურა ჯერ გააკრიჭეს, შემდეგ თმის შეღებვის რამდენიმესაფეხურიანი პროცედურაც ჩაუტარეს და როცა თავი დაბანეს, გაუმშრალეს და სარკეში ჩაიხედა, უკმაყოფილოდ წამოიძახა:

- ეს არის ქერა თმა? როგორ უსაშველოდ გაგიღიავებიათ, აბა, თქვენი თმის ფერს შეაღარეთ!

- სინიორ, თავიდანვე გაგაფრთხილეთ - ზუსტად ამგვარის მიღწევა შეუძლებელია-მეთქი.

- საოცრად არ მომწონს, ნერვებს მიშლის! ახლავე გადამიღებთ! სასწრაფოდ! თან ორმაგსაც რომ მახდევინებენ!

სინიორა ულრიკემ ხელები გაასავსავა:

- რა გიყოთ, არ ვიცი! ეს პირველი შემთხვევაა, ჩემგან უკმაყოფილო კლიენტი ჯერ არავინ წასულა... ბოდიშს ვიხდი!

- გადამიღებთ!

- რა ფერი გნებავთ? ისევე შავი?

- არა, წითელი!

- წითელი?

- დიახ, როგორიც მე მსურს - კაშკაშა წითელი ფერისა იყოს! რაც შეიძლება კაშკაშა ცეცხლისფერი! კოტიკო, ხატიას დამიძახე, მისი თმის ფერი ნაზოს!

- ბატონო პრეზიდენტო, თქვენი განკარგულებით, ქალები ყველანი შადრევანთქალაქში დაბრუნდნენ...

კარგა ხნის შემდეგ, მორიგი მანიპულაციების დამთავრებისთანავე, ტაშფანდურას თავი დაბანეს და... სინიორას ტანში გააჟრჟოლა - ისეთი ჯღალი ფერის "ბიბილო" ჰქონდა ბატონ პრეზიდენტს, ნამდვილი "პანკი"-სგან მხოლოდ უძვირფასესი შარვალ-პიჯაკით განსხვავდებოდა! მაგრამ, ტაშფანდურა მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდა და როგორც კი თეთრი ზეწარი გადაადრეს

და ხელეები გაუნთავისუფლდა, მაშინვე მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ჩვეულებისამებრ ცხვირის ნესტოსკენ წარმართა, ხოლო მარჯვენა ხელით მშვენიერი სინიორას ბარძაყზე ნახად მიეაღწერს:

– მშვენიერია!

გაუგებარი იყო, ეს სიტყვები სინიორას ნახელავს ეხებოდა თუ მის ბარძაყს, მაგრამ შედეგი კი შემდეგი გახლდათ: მშვენიერი სინიორას ხელისგულმა ტაშფანდურას ღოყას დოლის როლი დააკისრა – ისეთი ტკაცანი გაისმა, რომ როკ-ანსამბლის ნებისმიერ დრამერს შეშურდებოდა!

კარი XIV. თან საქმე: ტაშფანდურა ამკობს კლოუნთა მსოფლიო ყრილობას – რომში, აბა რავა!

ტაშფანდურას ვინ არ იცნობს, მისი სკანდალური თავგადასავლებით აჭრელებულია ჟურნალ-გაზეთების ფურცლები, მაგრამ კლოუნთა მსოფლიო ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტს რომ მიაკითხა, თავდაპირველად შესაფერი პატივით არ მოპყრობიან – გადაცემული საჩაღეთის პრეზიდენტის უნიჭო, კარიკატურულად მიმბაძველი ეგონათ და არ უშვებდნენ, გაეხუმრნენ:

– აქ რა გესაქმება, წადი, ძამია, საქმე ნახე! თუ გინდა, ფეხბურთის მაჩის გახსნას დაესწარი და თუ მართლა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი ბრძანდები, როგორც საპატრიო სტუმარს, დიდი სიამოვნებით დაგიტომბენ პირველი დარტყმის უფლებასაც!..

– არა, მე ნამდვილად ნაღდი პრეზიდენტი ვარ! – გაჯიქდა ტაშფანდურა და ახლა კი მართლა სიცილით კინაღამ დახოცა სამანდატო კომისიის სხდომის მონაწილენი – ყველაზე გაუცინარი ხალხი ზის, ამოწმებენ დელეგატთა რწმუნებებს. ყველა რიტუალი ყრილობისა პაროდიულია, როგორც ტაკიმასხარებს შეშვენით; დელეგატებად არჩევის რწმუნებას დაუდასტურებდნენ იმ მასხარებს, რომლებიც შეძლებდნენ, გაეცინებინათ სამანდატო კომისიის ათივე წევრი.

– მობრძანდი, ბატონო, ჩვენ სწორედ შენისთანა მარტაბაზ ხალხს მივესალმებით! როგორ კაშკაშა ძოწისფერ შარვალ-პიჯაკში გამოწყობილი მობრძანდი, შენს კლოუნობაში მხოლოდ ეს დაგვარწმუნებდა! თავზეც რა გადასარევი წითელი ბიბილო გამშვენებს!.. შენ რომელ კატეგორიაში გამოდიხარ? – ჰკითხეს ტაშფანდურას, როცა, როგორც იქნა, სიცილისგან სული მოითქვეს. – ვინ ბრძანდები: კლოუნი-ბუფა, მიმი, ექსცენტრიკოსი, მუსიკალური კლოუნი თუ გამოდიხარ გაწვრთნილ ცხოველებთან ერთად? გაქვს შენი ქვეყნიდან დელეგატად არჩევის მოწმობა?

– არა, მაგრამ მე საჩაღეთის პრეზიდენტი გახლავართ! ბოდიში, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთისა!

– ოჰ, ბოდიში, როგორ დაგვავიწყდა, დიდი ბოდიში! თქვენ საგანგებო შიკრიკით ადრევე გამოგიგზავნეთ პერსონალური მოწვევა და ყრილობის დელეგატის მანდატი! მობრძანდით საგანგებო ღოყაში – როგორც განსაკუთრებული მოვლენა!

ტაშფანდურას ტყუილად არ დასდეს ამგვარი პატივი, მართლაც, დიდი ხნით ადრე, ყოველგვარი კონკურსის გარეშე, მიიწვიეს – მისი შადრევანთ შადრევნის იდვით მთელი მსოფლიო გაამხიარულა! უფრო მეტიც – ყრილობის მმართველ საბჭოშიც შეიყვანეს – დაუფასეს, რომ მეტად მასხარულად მიჰყავდა სახელმწიფო საქმეები! მართლაც, დიდი ხუმარა ვინმე ბრძანდება – გარშემო ერთგული თანამებრძოლები შემოიკრიბა: კარტოფილის მოყვანის მცოდნე საჩაღეთის სამხედრო მინისტრად დანიშნა, კანალიზაციის სპეციალისტი – განათლების მინისტრად, მხატვრული სტვენის ოსტატი კი – საგარეო საქმეთა მინისტრად! თვითონ ბატონი პრეზიდენტიც მშვენივრად უშტვენს, მეტი რაღა გინდა!

იქვე მისთვის გვერდი უნდა დაემშვენებინათ (სამწუხაროდ, მხოლოდ დაუსწრებლად, წარმოდგენით) საპატრიო დელეგატებად ერთხმად არჩეულ ერთ გენერალს (რომელმაც სანაქებო უნიჭობით წააგო არაერთი ბრძოლა), ერთ “მწერალს” (რომელიც ყველას ხელში აჩრიდა წიგნებს, რომლებსაც არავინ კითხულობდა და გემრიელად აცინებდა ხალხს), ერთი პარტიის ლიდერს (რომელიც ამტკიცებდა, ჩვენ ხალხის ინტერესების გამომხატველი პარტია ვართო, სულ პარტიაში კი ოციოდე წევრი ჰყავდა – მისი ნათესავები და მეგობრები) და კიდევ რამდენიმე სხვა, ასევე თავისი მოღვაწეობით სიცილის მომგვრელ სასახელო პირს, მაგრამ რატომღაც მათგან მხოლოდ ტაშფანდურამ არ ითაკილა, დაემშვენებინა თავისი პიროვნებით კლოუნთა მსოფლიო ყრილობის მმართველი საბჭო თუ პრეზიდენტი.

ტაშფანდურა გაოცებულია – ეს რა კლოუნთა ყრილობაა, ერთ ხუმრობას ვერ გიგონებ წამლად! მოდი და ამ სახეამყავებულ, ცხვირჩამოშვებულ ტაკიმასხარებში ამოირჩიე შენთვის გამოსადეგი კარის მასხარა, თანაც პირადი მდივნობის შესრულებაც რომ შეძლოს...

თურმე, შემდგომ ანეკდოტების მოყოლაში, სასაცილო ამბების თხრობაში შეჯიბრი უნდა გაიმართოს და გიჟები არიან, კონკურენტებს ხელი შეუწყონ – საგანგებოდ ინახავენ, მხოლოდ თავისთვის ემეტებათ!

ჯერ ყრილობის ხელმძღვანელობისათვის უნდა აირჩიონ კლოუნთა საერთაშორისო გაერთიანების ყრილობის თავმჯდომარე!

ვინ, ვინ?

ტაშფანდურა იქაჩება – აქაც პირველი უნდა იყოს! აბა რავა!..

არჩევნების გაყალბებაში ჭიპი აქვს მოჭრილი და აქაც ჩვეულ ხერხებს მიმართავს: მოსყიდვა, დაშინება, გაყალბება, ყალბი ბიულეტენები, სინათლის მოულოდნელი ჩაქრობა ბიულეტენების დათვლის დროს და მათი შეცვლა – მთელი ყრილობა გაოცებულია, როგორი ჟინი და მარიფათი გამოიჩინა ტაშფანდურამ მიზნის მისაღწევად!

ტაშფანდურასთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა მეტი აღმოჩნდა, ვიდრე საერთოდ ყრილობას დელეგატი ესწრებოდა!

მეტისმეტი გულმოდგინების შედეგი კარგ ხუმრობად ჩაუთვალეს ტაშფანდურას და ტაში-თაც დააჯილდოვეს: “ყოჩაღ! მართლაც მაგარი ყოფილხარ, ხუმრობა-ტაკიმასხარობაში ყველა დაჩრდილე, ბრავო!..”

აქაც ცდილობს გახლიჩოს საზოგადოება, ერთმანეთს დაუპირისპიროს სხვადასხვა ჯგუფები – უყურებენ და გულისანად იცინიან: “ვაჰ, რა მაგარი ტაკიმასხარა ყოფილა!”. სულ სიცილ-ხარ-ხარში აირჩიეს, მაგრამ გააფრთხილეს, რომ მაგან, მისდამი “ოპოზიციურად” განწყობილ ყრილობის დელეგატთა ცემა თუ გატაცება, რათა მათ ვერ შეძლონ ხმის მიცემა, მთლად ლამაზი არ იყო, თუნდაც ეს პაროდიალად იყოს გათამაშებული. მაგრამ როგორ არ აირჩევ კლოუნთა ყრილობის თავკაცად! ეგ ნაღდად ივარგებდა კლოუნთა საერთაშორისო გაერთიანების პრეზიდენტადაც! როგორ კარგად ბაძავს ტაშფანდურას, ან რა მშვენიერი გრიმი აქვს – პირწავარდნილი არისტოტელე ბუქნაძეა, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელგანთქმული ტაშფანდურა პრეზიდენტი!

მაგრამ შემდეგ კი... გაფრთხილების მიუხედავად, ცოტა უცნაური ამბები დაიწყო – ტაშფანდურამ ძვალ-რბილში გამჯდარი მიდრეკილებები ვერაფრით მოიშალა – ვინც კი ოდნავ მაინც შეეწინააღმდეგა, წიკპურტით გაუმასპინძლდა! მაგანთ კი განსაკუთრებული პატივისცემა პანდურის ამორტყმით დაუდასტურა! ერთი-ორმა საპასუხო ხუმრობით უპასუხა – რამდენჯერმე კვანტიც კი დაუდეს და, ვითარცა ტაკიმასხარას ეკადრებოდა, გადააკოტრიალეს კიდევც... მისი აღშფოთება და რისხვა მეტად მძაფრი გახლდათ და “დამჩაგვრელებს” გემრიელად ყბაში გაულა-წუნა კიდევც! ეს არ იყო “ნისია” ალიყური, რაც ასე ხშირია ხოლმე ცირკის მანქაზე მასხარათა “ჩხუბის” დროს და გაოცებულმა ყრილობის მონაწილეებმა იხილეს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტისა და, იმავდროულად, კლოუნთა ყრილობის თავმჯდომარის მოწინააღმდეგეთა საპასუხო “ხუმრობაც”, რის შედეგადაც ბატონ ტაშფანდურას თავის დამამშვენიებელი კლოუნთა “სამეფო გვირგვინი” (წინდაწინ შეუკვეთა – ესეც ხუმრობად ჩაუთვალეს!) იატაკზე გაგორდა, ხოლო მის მაგივრად თავზე ტაკიმასხარას ჭრელი ჩაჩი ჩამოაფხატეს – თვალეზამდე და მის ქვევითაც, ასე რომ, ტაშფანდურა ვეღარაფერს ხედავდა და შემდგომ ვისი პანდურები მოხვდა (არა ერთი და ორი!), ვერც ის გაარკვია და არც დათვლის თავი ჰქონდა.

ცნობილია: ამქვეყნად ცხოვრებაში კლოუნები ყველაზე უმეური, ცხვირჩამოშვებული პიროვნებები არიან, თანაც ყრილობის მსვლელობისას იმდენი სასაცილოზე სასაცილო რეპრიზები, ანეკდოტები და სამხიარულო შემთხვევები მოისმინეს, რომ მოყირჭდათ და აღარაფერზე ეცინებოდათ, მაგრამ ამჯერად მათთვისაც უჩვეულო საცირკო სანახაობა იხილეს და ტაშს როგორ დაიშურებდნენ!..

ღიახ, სასიამოვნო გამოცოცხლებაა დარბაზში: როგორც ჩანს, ტაშფანდურას მრავალმხრივმა მცდელობამ და, სხვათა შორის, განსაკუთრებით – სასეირო შეჯახებამ, სასურველი ნაყოფი გამოიღო და მისი უდიდებულესობა თითქმის ერთხმად აირჩიეს მსოფლიოს კლოუნთა საზოგადოების თავმჯდომარედ – მხოლოდ ერთი შავი კენჭი ჩაუგდეს!

რასაკვირველია, კლოუნთა საერთაშორისო გაერთიანების ყრილობის ახალგამომცხვარმა თავმჯდომარემ არისტოტელე ბუქნაძემ ინება სამადლობელი სიტყვის წარმოთქმა!

მადლობის გადახდის შემდგომ ტაშფანდურამ კლოუნთა ყრილობის გახსნის აღსანიშნავად მოინდომა საზეიმო პომპეზური სანახაობის მოწყობა – “პიონერების” შემოსვლა, მისასალმებელი სიტყვები, დროშების ფრიალი და ტაშის გრიალი საზეიმო მუსიკის ჰანგების თანხლებით!

კლოუნებს ძალიან მოეწონათ – ძალიან სასაცილოა! მშვენიერი პაროდიალური სანახაობის ოსტატის მიერ მოწყობილი დადგმა ვიხილეთ, დიდებულია, დიდებული!

ამაზე ტაშფანდურა მოულოდნელად განრისხდა, ყრილობის პრეზიდენტიდან რისხვა გადმოაფრქვია დარბაზს:

– რა ხდება, გამაგებინეთ, სასაცილოდ მიგდებთ? გასაყვეჩქებელია!

ამ გულწრფელ გულის მოსვლას ხომ მქუხარე ტაშით შეხვდნენ, რაც კლოუნთა ყრილობაზე იშვიათად ისმიდა:

– ვაჰ, რა კარგად თამაშობ, ბრავო! მაგარი კლოუნი ხარ!..

ღიახ, ღირსეული თავმჯდომარე გაუძღვება კლოუნთა ყრილობას: ნამდვილისგან ვერ გამოარჩევ, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი წარსდგა მსმენელთა წინაშე – ნაღდი ტაშფანდურაა! ან რა სეფესიტყვა წარმოთქვა! ან როგორ იქცევა! როგორი უშუალოა, ყველა მოხიბლა – ტრიბუნაზე გაბღენძილი რიხით ლაპარაკობს, თან – ცხვირში გემრიელად იჩიჩქება!

გარდა ყოველთვის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუოკებელი წყურვილისა, ტაშფანდურას ბანალური, ჩვეულებრივი წყურვილიც აწუხებდა: რამდენიმე ბოთლი მინე-

რალური წყალი, “კოკა-კოლა” და სხვა სასმელი გამოსცალდა – დამხმარე პერსონალი სასმელე-ბის მიტანას ვერ აუდიოდა; მადლიერების ნიშნად ტაშვანდურა მათ კინკრიხოში წკიპურტით აჯილდოვებდა, გამოცლილ ბოთლებს კი დარბაზში ისროდა! ესეც მაგარ ხუმრობად ჩაუთვალეს – ყოჩაღ, ნამდვილი კლოუნი ბრძანდები და მათი ღირსეული პრეზიდენტი, არისტოტელე ბუქნა-ძე! ბრავო!

რასაკვირველია, ციკნის მწვადებსა თუ ყველაზე ძვირფას პიცასაც – რომში იყო! – გემრიე-ლად გეახლებოდათ და ეს ისტორიული მოვლენა შემდგომი დროისთვის აღარ გადადო: აქ, ტრი-ბუნაზე მდგომმა, სურვილის დაუყონებლივ განხორციელება ინება – მორიგი ბოთლის მომტანს კინკრიხოში მორიგი წკიპურტი უთავაზა და ყურში ჩასძახა:

– სინიორ, ამდენ წყალს რომ მასმევ, რომელი რომის შადრევანი მე ვარ! გასაყვეყნებელია! ჯობს, ერთი გემრიელი პიცაც მომართვა და მთლად უკეთესი იქნება, თუ დროსა და ენერგიას დაზოგავ და ორ-სამს ერთად მომიტან, მომწონს და მიყვარს, ხომ იცი!..

ტაშვანდურას ეს გამოსხრობა კიდევ ერთ არაჩვეულებრივ ხუმრობად ჩაუთვალეს და მორიგი მქუხარე ტაშითაც დააჯილდოვეს! კარგი იდეა იყო, ბრწყინვალე – იქნებ ამ ოინბაზობით I პრი-ზისთვისაც გამოეკრა ხელი!

– სინიორებო, ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს მინდა, მივაპყრო თქვენი ძვირფასი პირფე-ნებების ყურადღება და ერთსულოვანი მხარდაჭერის სრული იმედი მაქვს! – განაგრძო შემდეგ ტაშვანდურამ და ახალი, ბევრად მნიშვნელოვანი იდეა წამოაყენა: – მეგობრებო, კოლეგებო, ყვე-ლა ზომა უნდა ვიხმართ, რათა სიცილში შეჯიბრი გახდეს ოლიმპიური სახეობა და იგი ჩარ-თულ იქნას მომავალი მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში!

მქუხარე ტაშის შემდგომ გამხნეებულმა ტაშვანდურამ განაგრძო:

– კენჭს გუყერი წინადადებას: დაუყონებლივ შეიქმნას საინციატივო ჯგუფი, დაიწეროს დასა-ბუთება და დღესვე გაეგზავნოს ჩვენი ეს წინადადება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გან-სახილველად!.. ასევე, დიდად მოხარული ვიქნები და ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ საკითხშიც ერ-თსულოვნად დამიჭერთ მხარს – შემდეგი კლოუნთა მსოფლიო ყრილობა ჩატარდეს შადრევან-თქალაქში, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მშვენიერ დედაქალაქში! ასევე – საერთაშო-რისო ჩემპიონატიც სიცილში!

ერთსულოვანი ოვაციების შემდგომ ტაშვანდურა სხვა საკითხზე გადავიდა (მოგეხსენებათ, ყურადღების კონცენტრირება რაიმე საქმეზე ან იდეაზე დიდხანს არ შეუძლია!) და კინაღამ დახო-ცა სიცილით ბევრის მნახველი მსმენელი! საკუთარ კარგად გახედნილ ბედაურს ჩვეულებისა-მებრ მოახტა და გააჭენა, გააჭენა კი არა, გააფრინა! თურმე მისი ხელმძღვანელობით მიღწეუ-ლია აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ენით აუწერელი, ზღაპრული წარმატებები – მთელი მსოფლიო პირდაღებული, განცვიფრებით და აღტაცებით შეჰყურებს! აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში თითოთ საჩვენებელი, სამაგალითო დემოკრატია ჰყვავის, ბედკეთილი საჩაღელნი სამაგალითო კეთილდღეობის ტალღებში ნებივრობენ, გიგანტური აღმშენებლობითი ბუშია, რა-შიც უკლებლივ ყველანი თვალნათლივ დარწმუნდებით და განცვიფრდებით, როცა საკუთარი თვალებით იხილათ მსოფლიოს მერვე საოცრებას – შადრევანთ მეფეს!..

დეღეგატები გადაფიჩინდნენ სიცილით, თვალთაგან დენილ ცრემლებს იწმენდნენ და ვერც კი შეამჩნიეს, რომ გაბრაზებული ტაშვანდურა გაიქცა დარბაზიდან:

– რა ვთქვი ისეთი, რა გაცინებთ? მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თქვე ტაკიმასხარებო! – გაჰ-ყვიროდა ტაშვანდურა. – მე თქვენ გასწავლით, სიცილი როგორ უნდა!

ტაშვანდურამ იქვე ბუფეტში უფასოდ მიირთვა რამდენიმე სხვადასხვაგვარი პიცა, დააყოლა რამდენიმე ბოთლი ხილის წვენი და მინერალური წყალი და ინება დარბაზში დაბრუნება: ვერ ელგვა კლოუნთა მსოფლიო ყრილობას – ისევ ღრღნის საყოველთაო ყურადღების მიქცევის სურვილი... ბოლოს და ბოლოს, ის ხომ კლოუნთა მეფედ უნდა აირჩიონ! აბა რავა!

ტაშვანდურას გამოჩენას სიცილით შეხვდნენ და ტაშითაც დააჯილდოვეს – ამგვარი მასხა-რა ჯერ არ უნახავთ!

იძულებითი შესვენება დამთავრდა და კლოუნთა მსოფლიო ყრილობის დეღეგატებმა და მრავალრიცხოვანმა მიწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს პაროდიული საანგარიშო მოხსენება ერთი ტა-კიმასხარისა, რომელიც არავის აურჩევია და არც იციან, ვინ არის და სადაური, ძალიან შინაარ-სიანი და ღრმა – რაც უფრო უაზროა და საკითხს არ შეეხება, მით უკეთეს ხუმრობად ჩაეთ-ვლება! შემდეგ, როგორც წესი და რიგია, დაკავდნენ მეტად აქტუალური თემის განხილვით: “ხუთმა თაგვმა ოთხი კაკალი როგორ უნდა გაიყოს?”, შემდეგ გადავიდნენ მორიგი თემის ყო-ველმხრივი პაროდიული გაშუქებით: “მარსზე მცხოვრებ საზოგადოებაში ადამიანთა შორის ჰუმბ-ნური დამოკიდებულების ეგზისტენციალური ასპექტები”.

განსაკუთრებული აქტიურობით ტაშვანდურა ჩაება მესამე დისკუსიაში, რომლის თემაც მის-თვის ფრიად მიმზიდველი გახლდათ: “დემოკრატიულ საზოგადოებაში დისკუსიის გამართვის წე-სების შესახებ ანუ წყლის დანაყვის პრობლემა”. რამდენადაც საუბარი წყალს ეხებოდა, ტაშვან-დურას ვინ აჯობებდა! საზოგადოებას სახეიმოდ აუწყა, რომ უახლეს დროს გადაწყვეტილია აყ-ვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქში გიგანტური შადრევანთ შადრევნის მშენებლო-ბის დაწყება!

ტაშფანდურამ ფერადოვნად აღწერა, თუ როგორი იქნება შადრევანდიდი და ყველა დამსწრე მიიწვია საჩაღეთში (ბოდიში – აყვავებულ და ბედნიერ საჩაღეთში):

– ყველას უმორჩილესად გთხოვთ, თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ამ საუკუნის პროექტის დასრულების შემდგომ შადრევანთ შადრევანის საზეიმო გახსნის ცერემონიაში! იქ ვნახოთ, ვინ უკეთ დანაყავს წყალს!

ეს წინადადება მორიგ მაგარ ხუმრობაში ჩაუთვალეს: სწორუპოვარი კლოუნი-პაროდისტია – მსოფლიო დონის ექსცენტრიკოსი!

ტაშფანდურა კონკურენციის გარეშეა და ყრილობის ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და ფასდაუდებელი დამსახურებისთვის არისტოტელე ბუქნაძეს მიენიჭა მსოფლიოს №1 კლოუნის, კლოუნთა მეფის წოდება და გადაეცა კლოუნთა მსოფლიო ასოციაციის დიდი ოქროს მედალი, აგრეთვე – სახელგანთქმული იტალიელი მოქანდაკის მარინო მარინის მიერ იშვიათი სინატიფით შესრულებული ოქროს კლოუნის მინიატურული ქანდაკება!

ტაშფანდურა რატომღაც მთლად კმაყოფილი არ გახლდათ:

– ჯილდოს შესახებ წინდაწინ ჩემთან უნდა შეთანხმებულიყვნენ – ხომ დიდად აჯობებდა, პრიზი შადრევანის ფორმისა ყოფილიყო! ბაიყუშები! ქანდაკების სახეც სულ არ ჰგავს ჩემსას, გასაყვეყჩებელია! ეგ ვიღაც მარინო მარინია, წინდაწინ ჩემთვის არ უნდა ეკითხა რჩევა? ოქროს კლოუნს მაინც სჭეროდა ხელში შადრევანის პატარა ქანდაკება...

ტაშფანდურამ მაშინვე ყველაზე სახელგანთქმული პიცერიას მიაშურა, იქიდან კი გასწია ქისის შესამსუბუქებლად – ლამაზი ქალების საზოგადოების მოსანახულებლად...

განაწყევებული ტაშფანდურა შემდგომ სხდომებს აღარ დასწრებია, ამიტომ აღარ მიუღია მონაწილეობა ყრილობის გადაწყვეტილებებისა და შემაჯამებელი რეზოლუციის მიღებაში, რომლის ძირითადი დებულებები ამგვარი იყო:

“ქვეყნიერება მოეწყოს უკეთ!

ყველაფერი, რაც ადამიანს გუნებას უფუჭებს – აიკრძალოს!

რაც სიცილს ხელს უშლის – დაიგმოს!”

ტაშფანდურას რომაულ დროებით რეზიდენციაში, რასაკვირველია, საზეიმო მიღებებისთვის განკუთვნილი, გამორჩენილი მხატვრების მიერ ჭერთან-კედლებიანად ერთიანად მოხატული, საკმაოდ დიდი დარბაზიც იყო და იქ გამართულ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის პრეს-კონფერენციას უამრავი ჟურნალ-გაზეთისა და ტელე-რადიო ჟურნალისტი დაესწრო. არც იყო გასაკვირი – ბატონმა ტაშფანდურამ უკვე საკმაოდ გაითქვა სახელი ფრიად ექსტრაგანტური ქმედებებითაც და გამომწვევი, საკმაოდ უცნაური სიტყვა-პასუხითაც...

– დიახ, მე უნდა საქვეყნოდ განვაცხადო და კიდევ ერთხელ დავადასტურო, – ასე დაიწყო ტაშფანდურან თავისი შესავალი სიტყვა, თან მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ელვანტურად საქმიანობდა საკუთარი ცხვირის ნესტოში, – რომ აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში ნამდვილად ჰყვავის დემოკრატია და ხალხიც დიხსაც ბედნიერია, სასამართლო – სამაგალითო გახლავთ, თითოთ საჩვენებელი! ჩვენი გამორჩეული ქვეყანა საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვის ტემპებით და ეკონომიკის განვითარების არნახული დონით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს ბევრად უსწრებს წინ: მხოლოდ უამრავი ახალი შადრევანის მშენებლობა ესოდენ რეკორდულ დროში – არის თუ არა ამის ნათელი დადასტურება? ამასაც არ დაგჯერდებით და წელს ვიწყებთ თანამედროვე ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით ჯერ არნახული შადრევანის, მეფე შადრევანის მშენებლობას, რომელიც თქვენს სახელგანთქმულ შადრევანებს არა-თუ ტოლს არ დაუდებს, არამედ ბევრად უკეთესიც იქნება! თუ არ გჯერათ, სულ მოკლე ხანში შეძლოთ დარწმუნდეთ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში – ყველა დამსწრეს სულითა და გულით პირადად ვეპატიუები შადრევანთქალაქში შადრევანთ შადრევანის საზეიმო გახსნის დიდებულ ცერემონიაზე!..

ჟურნალ-გაზეთებმა, კლოუნთა მსოფლიო ყრილობის დარად, ბატონი ტაშფანდურა აღიარეს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ჰუმორისტად! გამოქვეყნდა მრავალრიცხოვანი ფერადი ფოტოები, რომლებზედაც გაბადრულსახიანი ტაშფანდურა მშვენივრად ახერხებდა ლაპარაკსაც და ცხვირის ნესტოში ფრიად მიმზიდველი მანიპულაციების ჩატარებასაც...

ბატონ ტაშფანდურას კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი ელოდა – ფრიად მოულოდნელი... ამის შესახებ მომდევნო კარში შეიტყობთ.

კარი XV. ვაშა!.. ბატონი პრეზიდენტი კინოში გადასაღებად მიიწვიეს, აბა რავა!

ბატონი ტაშფანდურა უკვე აპირებდა, საჩქაროდ დაეტოვებინა რომი და სამშობლოში გამგზავრებულიყო, როცა შეატყობინეს, რომ მასთან ფრიად სერიოზულ საქმეზე სურდათ შეხვედრა ფრიად სერიოზულ ადამიანებს, რითაც ბატონი ტაშფანდურა ფრიად და ფრიად ნასიამოვნები დარჩებოდა.

რომის ერთ-ერთი სახელგანთქმულ სასახლეში, რომელიც ბატონ ტაშფანდურას ჰქონდა ნაქირავეები (აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს რეზიდენცია სწორედაც შესაფერისი უნდა ჰქონდეს, აბა რავა!), სახელგანთქმული კინოქალაქიდან “ჩინჩიტა” წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია.

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტს, მის უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნაძეს მომხიბლავ ღიმილითა და ბროლივით კბილების ელვარებით უპირველესად მღაბლად თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა ლამაზად გაჭაღარავებულმა, კოხტად უღვაშებაპრეზილიმა, წარმოსადგემა სინიორმა და მაშინვე წამოიძახა:

– არ შეგმცდარვართ: რასაც ვეძებდით – ეს არის, ჭეშმარიტად! სინიორ პრეზიდენტო, ძლივს გიცანით! ბედნიერი გახლავარ, რომ თქვენი უმაღლესობის პირადად გაცნობის პატივი აღრევე მერგო! ხომ გითხარით, ჩვენ ისევ შეგხვდებით მეთქი!

თურმე მსოფლიოში სახელგანთქმული ექსცენტრიკული კინოკომედიების შემქმნელი კინორეჟისორი ჯანკარლო დელ კასტელმაჯორე მორიგი, ფრიად საინტერესო, შეიძლება დარწმუნებით ითქვას – ფრიად უჩვეულო კომედიური ფილმის გადაღებას აპირებს...

სინიორმა ჯანკარლო დელ კასტელმაჯორემ მსოფლიოში სახელმძღვანელო მომხიბლავი ღიმილით გააგრძელა:

– სინიორ, მე დიდი ხანია, ვაკვირდები თქვენს უჩვეულოდ მომხიბვლელ ცხოვრებისეულ გზას და დიდად ნაყოფიერ სახელმწიფო მოღვაწეობას... ამან მე და ჩემთან ერთად მომავალი ფილმის სცენარისტები შთაგვაგონა კომედიური ფილმის შექმნის იდეა... მე ბედნიერი ვიქნებოდა, თუკი სინიორი არისტოტელე ბუქნაძე ინებებს ჩემს მომავალ ფილმში ერთ-ერთი ფრიად კოლორიტული სახასიათო როლის შესრულებას!.. მსოფლიოს პირველი კლოუნის მონაწილეობა უდიდესი პატივი იქნებოდა პირადად ჩემთვის და, თუკი თქვენი უმაღლესობა თანხმობას განაცხადებთ ჩვენი სანუკვარი სურვილის ასრულებაზე, დარწმუნებით შემიძლია, მოგახსენოთ: მომავალ ფილმს მსოფლიოში არნახული წარმატება ექნება! გიგანტურ შემოსავალსაც მოვიმკით ამ მეტად სერიოზული კინოჰიტის პროექტის მონაწილენი!.. თქვენთვის, სინიორ პრეზიდენტო, ეს პროექტი განსაკუთრებით იმით იქნება მიმზიდველი, რომ ეს ფილმი ერთგვარად ბიოგრაფიული მომენტებითაც იქნება ყურადსაღები – განუმეორებელი პიროვნების, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის ცხოვრებისეულ ცალკეულ მომენტებს შეიცავს... იმედი გვაქვს თქვენს უმაღლესობასთან წარმატებული შემოქმედებითი თანამშრომლობისა!

ბატონი ტაშფანდურა სიხარულით ცას ეწია:

– როგორ არ მინდა, ძალიან მსურს, კინოში გადამიღონ და ამ ბედნიერ შესაძლებლობას დიდი ხანია, ველი – მე ხომ ბუნებით გენიოსი მსახიობი გახლავართ! ეჭვი წმის მემილიონედი ნაწილითაც არ შეგეპაროთ! როგორ შეიძლება, ჩემი თვითნაბადი, უნიკალური ნიჭი არ გამოიყენოთ, ეს ხომ დანაშაულის ტოლფასი იქნება მთელი მსოფლიო კულტურის წინაშე! ისიც დიდად მისასალმებელია და დიდად სასიამოვნოც, რომ ჩემი – არისტოტელე ბუქნაძის, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის სახელგანთქმული პრეზიდენტის, – საამაყო, ჭეშმარიტად სამაგალითო სახელმწიფო მოღვაწეობა გაგიხდიათ მომავალი ფილმის სიუჟეტის ხერხემლად! გასაყვეყნებელია!..

მაშ, ტაშფანდურას საკუთარი თავის თამაში მოუწევს!

ახდება მისი მრავალი წლის ნალოლიაგები ოცნება – მთელი მსოფლიო გაიცნობს!

რასაკვირველია, ბატონი პრეზიდენტი იოლად დაითანხმეს მისი უმაღლესობის მონაწილეობაზე მისი უმაღლესობის შესახებ მომავალი კინოშედეგის შექმნაში, რათა მისი უმაღლესობის დიდი კომიკოსის ნიჭი, რომელიც ესოდენ ბრწყინვალედ წარმოჩნდა არა მხოლოდ კლოუნთა მსოფლიო ყრილობაზე ფრიად შთამბეჭდავი კომიკოსის ნიჭის ზღვარგადასული უშუალოდ წარმოჩენით, არამედ უფრო ადრეც ფრიად ფართოდ და მრავალმხრივად აისახა მრავალი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე არნახული შადრევანთ შადრევანის წამოჭიმვის საოცარი საღადლობო პროექტის გაშუქებით!

ტაშფანდურა გაეცნო მომავალი კომედიური ფილმის, სათაურით – “დიდი შადრევანის”, სცენარს და აღფრთოვანება ვერ დამალა:

– როგორ წვრილად შეუსწავლია მთავარ სცენარისტს – ვინმე პეპინო გუერას – და მის დამხმარეთ მისი ცხოვრების უმცირესი დეტალები და რა მარჯვედ გამოუყენებია ისინი სასაცილო ფილმის სცენარის შესაქმნელად! ნამდვილად გასაყვეყნებელია!..

ტაშფანდურას გული საოცარი სიამით აუვსო მომავალი ფილმის ბოლომ: სახელგაბრწყინებული პრეზიდენტი ხსნის გიგანტურ შადრევანს!.. ვაშა!.. აღფრთოვანებული ხალხი ტაშისცემით აყრუებს იქაურობას, მთელი მსოფლიო აღტაცებული აღვენებს თვალს არნახულ სანახაობას!.. გასაყვეყნებელია!..

ტაშფანდურა განსაკუთრებით იმანაც გაახარა, რომ ფილმში მისი პარტნერი იქნებოდა მსოფლიო რეჟისორის, ჯანკარლო დელ კასტელმაჯორეს მორიგი საყვარელი, 25 წლის კინოგარსკვლავი სილვია პამპანონე – მომხიბლავი ქერათმიანი მზეთუნახავი. ფილმის ფინალში ის და სილვია რომ ერთად ინებებებენ შადრევანის ფერადოვან ჭავლებში და შემდეგ ლაბირინთში გაუჩინარდებიან – ერთ რამედ მარტო ეს ღირს!..

– კარგია, ნამდვილად კარგი, გასაყვეყნებელია!.. – წამდაუწუმ იმეორებდა ბატონი ტაშფანდურა. – რომელი არქიტექტორებისა და მხატვრების მიერ აშენებული შედევრები დიანაც დიდებულია და მე დარწმუნებული გახლავარ, არც ამჯერად შეირცხვენენ თავს; მით უმეტეს, თვით ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდება შედევრანთ შედევრების დაპროექტებაც და მშენებლობაც, დიანს! დიდი და დიდებული შედევრების საოცარი გახსნა კინოფილმისთვის ბოლო კადრების გადაღებაც იქნება და, იმავედროულად, საოცარი სახალხო ზემოცმა!.. ამის გარანტიას ახლავე გაძლევთ!..

ტაშფანდურას სიხარული სრულიად გამართლებული იყო: გარდა იმისა, რომ მოზრდილ ჰონორარს მიიღებს, სხვა მხრივაც ნახავს ხეირს – მისი ცისფერი ოცნების ხორცშესხმისას უფრო იაფადაც გამოვა! შეჭველად მოითხოვს, რომ ფილმი შეჭველოდ გადაიღონ აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის დედაქალაქში, ბოლოს კი აშენებული შედევრანდიდი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ხალხს დარჩება!

როცა ტაშფანდურასთან მოლაპარაკების დროს პროდიუსერები მის სურვილებს გაეცნენ, თმები ყაღვზე დაუდგათ – სად გაგონილა ნატურალური შედევრების აგების მოთხოვნა, თანაც – გიგანტურის, თანაც – საჩაღეთში! უზარმაზარი ხარჯის გაღება იქნება საჭირო, გაკოტრება არ ასცდებოთ! მათ ყველა გიჟად გამოაცხადებს!..

– პირადად ჩემი აბუჩად აგდება ჩემი ღრმად პატივცემული კომპანიონების განზრახვა – აბგონ არა ნამდვილი, არამედ ბუტაფორული შედევრანი, თანაც – სტუდიაში!.. გასაყვეყნებელია!..

და კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი გართულება წარმოიშვა მომავალი კინოშედევრის პროექტის თანამონაწილეთა შორის: ერთ-ერთმა მთავარმა მხარემ, სახელდობრ – ბატონმა პრეზიდენტმა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთისა, გადაჭრით მოითხოვა გიგანტური ჰონორარი. როცა კინოპროდიუსერებმა მოწიწებით მოახსენეს, რომ ამ შემთხვევაში მომავალ პროექტში მისი უმაღლესობის ფასდაუდებელი მონაწილეობის მიუხედავად, გაჭირდებოდა გადაღებული ფილმიდან არა მხოლოდ მოგების, არამედ ჩადებული ინვესტიციების ამოღებაც კი, ტაშფანდურამ დაუყონებლივ პირადად სინიორ რეჟისორთან შეხვედრა ისურვა და, ფრიად გამმეინვარებულმა, განუცხადა:

– როგორ თუ საკმარისი რაოდენობის მაყურებელს ვერ შემოიკრებს ჩემი ფილმი? როგორ ბედავთ, ეჭვი შეიტანოთ ჩემი შეუდარებელი ნიჭის ძლიერებაში! ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მე გახლავარ მფლობელი მსოფლიოს I კლოუნის წოდებისა, კლოუნთა მსოფლიო ასოციაციის დიდი ოქროს მედლისა და ოქროს კლოუნის მინიატურული ქანდაკებისა!.. რეგვენები!.. ტუტუცები!.. თქვენ მე ვინ გგონივართ?! თუ თავი გაგიყადრეთ, პატივი დაგდეთ და თქვენს ნაჯახირეგში მონაწილეობას დავთანხმდი, ასე უნდა დამამციროთ? ასე უნდა დააფასოთ ჩემი უბრალოება, სანაქებო დემოკრატიობა? ეს არა მხოლოდ პირადად ჩემი საქვეყნოდ აღიარებული ნიჭის დაუფასებლობაა, არამედ მთელი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის შეურაცხყოფა!.. გასაყვეყნებელია!..

ტაშფანდურას მოუზომავი ქცევით სინიორი ჯანკარლო დელ კასტელმაჯორე ფრიად გაკვირვებული დარჩა: მიჩვეული იყო – ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით კი – გადასადებ მოედანზე, მხოლოდ ის ყვიროდა!..

ესეც არ იკმარა ტაშფანდურამ და რათა კიდევ უფრო გაეზუქა ყველაფერი და აგორებული სკანდალი მომავალი ფილმის რეკლამისთვის გამოეყენებინა, პრესისა და რადიო-ტელევიზიისთვის საგანგებო პრეს-კონფერენცია მოიწვია, რათა საკადრისი პასუხი გაეცა მისი მისამართით გამოთქმული ყველა ბინძური და ბორცტი ჭორისთვის!..

ტაშფანდურამ ფეხმოუცვლელად მოითხოვა, ადრინდელთან ერთად, მისი კიდევ ერთი ახალი მოთხოვნის დაკმაყოფილებაც: ის ყოველთვის გამოირჩეოდა სიმართლისა და სინამდვილის მოთხოვნით უკვირს: როგორ თუ მისი უმაღლესობის სახელი და სამსახიობო ნიჭი არაა საკმარისი ფილმის წარმატებისთვის? ამ სიცრუისა და სიყაღბის ნაზავს არავის შეარჩენს! ამას არ უნდა ბევრი მოკვლევა-გამოძიება – მისი უმაღლესობის წინაშე არნახული ტყუილის შემთხვევლნი და რეპუტაციის შემბლაღველნი უნდა ახლავე დაპატიმრებულ იქნან და ჩაისვან ციხეში! მკაცრი რეჟიმისა! მათ მხარდამჭერებსა და ხელის შემწყობთ – სახრეთი გაგუმასპინძლდეთ! ისე ავუჭრელოთ ზურგი, რომ სამუდამოდ დაეკარგოთ სურვილი გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის სახელის უსამართლოდ და უსაბუთოდ, ბორცტი წინასწარ განზრახვით ლაფში ამოსვრისა! გასაყვეყნებელია!..

ტაშფანდურა ჩვეულ რეპერტუარშია და ვერ გაუგია, რატომ იცინიან მის მოთხოვნებზე – გულწრფელად უკვირს და აღშფოთებას ვერ მაღავეს:

– შეჭველად მკაცრი პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ ვაი-ჟურნალისტებსაც, რომლებიც ქილიკობენ ჩემი გამონათქვამების გამო! აბა რავა!..

პრეს-კონფერენციაც მორიგ ხუმრობად ჩაუთვალეს!

ხანგრძლივი და ძნელი მოლაპარაკების შედეგად, როგორც იქნა, ტაშფანდურა დაითანხმეს ერთობლივი სამუშაოს გაგრძელებას, თან დაჰპირდნენ, რომ წინასწარ სცენარსაც მთლიანად შეუთანხმებდნენ მის უმაღლესობას – ბატონ პრეზიდენტის სურვილებისა და მოთხოვნების სრული გათვალისწინებით... არ ინანებს: ფილმი მსოფლიო სენსაციას გამოიწვევს – მთავარ როლს

ასრულებს აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი! მრავალმხრივი ნიჭიერებით და-
ჯილდოებული გამოჩენილი პიროვნება! უბადლო კომიკოსი – მსოფლიოს პირველი კლოუნის წო-
ლების ოფიციალურად მფლობელი!

მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ტაშფანდურას მიერ წველილის შეტანა მსოფლიო კინოხელოვნე-
ბაში გაურკვეველი ვადით მომავლისთვის გადაიდო – საბოლოოდ ამ პროექტს განხორციელება
არ ეწერა: ერთის მხრივ, ფულადი სახსრების მოზიდვა ვერ შეძლეს ქვეყანაში განვითარებული
მოულოდნელი ფინანსური კრიზისის გამო; მეორე მხრივ კი – ტაშფანდურა ყოველმცოდნე პაპა-
რაცებმა გამოიჭირეს, როცა სიღვია პამპანონესთან ერთად ლოგინში ნებივრობდა და ფრიად პი-
კანტურმა ფოტოსურათებმა მთელი მსოფლიოს პრესის ფურცლები მოიარა... ატეხილი ხმაურიანი
სკანდალის გამო, მიუხედავად იმისა, რომ იგი მომავალი ფილმის წარმატებულ საეკრანო ცხოვ-
რებას დიდად წაადგებოდა, მხცოვან კინორეჟისორს ჯანკარლო დელ კასტელმაჯორეს გულის
მწვავე შეტევა განუვითარდა და მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოზით საჩქაროდ საავადმყოფო-
ში მოათავსეს...

სხვათა შორის, ტაშფანდურას წინადადებით მიმართეს ადგილობრივი ცირკის მესვეურებმაც
– უბადლო ტაკიმასხარა იქნებოდა! სამწუხაროდ, ფასზე ვერ შეთანხმდნენ...

ყველაფერს კიდევ ერთი ხმაურიანი ამბავიც დაემატა. ამ დროს აყვავებული და ბედნიერი სა-
ჩაღეთის პრეზიდენტს, მის უმაღლესობას, ბატონ არისტოტელე ბუქნადეს ოფიციალურად აცნო-
ბეს, რომ სინიორ არისტოტელე ბუქნადეზე შესული საჩივრის განხილვის შედეგად ეჭვიმუტან-
ლად დადასტურდა შემდეგი: ზემოაღნიშნული პიროვნების მიერ მოსყიდულმა პირებმა, კლოუნთა
მსოფლიო ყრილობის მუშაობის დროს, არჩევნების ჩატარების წინადა და მისი მსვლელობისას,
რამდენიმე ადამიანს განზრახ მიაყენეს სხეულის საშუალო ხარისხის დაზიანება; ეს დამნაშავე
პირები გასამართლდებიან და მიესჯებათ კანონით გათვალისწინებული სასჯელი, ხოლო, რამდენ-
ადაც საჩაღეთის პრეზიდენტს იცავს დიპლომატიური იმუნიტეტი, მას წინადადება ეძლევა, 48
საათში დატოვოს იტალიის რესპუბლიკის ტერიტორია...

ასე დამთავრდა ტაშფანდურას კინოში მოღვაწეობის სამწუხარო ამბავი... არადა, შესაძლოა,
ორმაგი დიდი ცოდვა იქნა ჩადენილი: სინიორ ჯანკარლო დელ კასტელმაჯორეს რომ ტაშფანდურ-
რას მონაწილეობით გადაეღო ფილმი, გარდა კიდევ ერთი შედეგის შექმნისა, სხვა მხრივაც გა-
აბედნიერებდა რამდენიმე მილიონ კაცს, დიდად უზრუნველი და ფრიად ბედნიერი საჩაღეთის
მოსახლეობას – იქნებ წარმატებით ფრთაშესმული ტაშფანდურა კინოვარსკვლავის მომხიბლავი
კარიერის შემდგომ წარმატებულ გაგრძელებას დახარბებოდა, დროებით მაინც თავს დაანებებდა
ვაი-პრეზიდენტობას და საწყალ საჩაღეთს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა!

ასე იყო თუ ისე, რომში ტაშფანდურასთვის დამთავრდა, იტალიურად რომ ვთქვათ, **dolce vi-
vere** – ტკბილი, სასიამოვნო, უზრუნველი ცხოვრების ნირი თუ ყაიდა: უზრუნველი ძილი, გემრი-
ელად ჭამა-სმა, მშვენიერ ქაღალბატონებთან დროსტარება... და თუმცა კიდევ მრავალი მშვენიერი
შადრევანი დარჩა უნახავი, ბატონმა პრეზიდენტმა საჩქაროდ ჩაალაგა უზომო რაოდენობის დიდ-
დიდი ჩემოდნები – უფრო სწორედ, რაღა თქმა უნდა, მსახურებს ჩაალაგებინა, – და სასწრაფოდ
დატოვა სტუმართმოყვარე მშვენიერი იტალია...

ბატონი პრეზიდენტი იძულებული გახდა, აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში დაბრუნებუ-
ლიყო. ტაშფანდურამ წინდაწინ მოისურვა, გაცნობოდა, თუ რა მდგომარეობა სუფევდა ქვეყანაში
და მის შეკითხვას სასწრაფოდ უპასუხეს კიდევ – მოუვიდა საიდუმლო პატაკი: “თქვენი უმაღ-
ლესობის დაბრუნება სავსებით შესაძლებელია, ქვეყანაში რაიმე უსიამოვნების ან გამწვავების
საფრთხე მინიმუმამდეა დაყვანილი”!

მეც ცოტას დავისვენებ ტაშფანდურას საზღვარგარეთული მაღაყებისგან – ავად თუ კარგად
ნახევარი ვეროპა მოვატარე და მეტი რაღა მექნა! აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში ფრიად
სასახელო დიდი საქმე ელის, ძალიან დი-ი-დი! აქაც უნდა ივაჟკაცოს, აბა რავა!..

კარი XVI. Sadr evanT nef i s nSenebl o ba –
“sayo vel To -saxal xo dResaswaul i !”, j an!

ამასობაში შემოდგომაც მობრძანდა – ჭრელაჭრულა კაბით შემოსილი, მეკრდსავსე, პირმშვე-
ნიერი ქაღალბატონი – ჰოდა, როგორც უკვე ვიცით, მდიდარი და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებე-
ბით ფრიად დახუნძლული და დაბრძენებული ტაშფანდურა დაბრუნდა აყვავებულ და ბედნიერ
საჩაღეთს. დაბრუნდა კიდევ უფრო განათლებული და გაკეთილშობილებული, ოდნავ დაღლილი,
თუმცა წონაში საგრძნობლად მომატებული, მაგრამ ისევ ისე ადვილი ენთუზიაზმით – განევრძო
აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის შემდგომ წინსვლაზე დაუცხრომელი ზრუნვა. და ამის
დასტური გახლდათ ის ცხოველი გარდაქმნები, რომლებიც ჩამოსვლის პირველივე დღეებიდან
დაიწყო ბატონმა პრეზიდენტმა და რომლებზედაც ცოტა ქვევით მოვახსენებ მკითხველს.

ბატონ პრეზიდენტის აქ არყოფნისას საშიშროების მინისტრის ბარბაცა ბარნაბაძისა და
ხალხის დაწიოკების მინისტრის ალიკო ალიყურაშვილის უანგარო და კეთილისმყოფელი ძა-
ლისხმევით აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთში შედარებითი სიმშვიდე დამყარდა: მოსახლეო-

ბის დარბევა-დაწიოკების, რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ქონების მასობრივი წართმევის, ციხეების პოლიტპატიმრებით გავსების გარდა, ხალხის დაშოშმინებას ხელი შეუწყო იმ ხმების ბეჯითად გავრცელებამაც, რომ, სარწმუნო წყაროების მონაცემებით, ბატონი პრეზიდენტი თითქოს აღარ აპირებდა ქვეყანაში დაბრუნებას და საზღვარგარეთის ბანკებში ადრევე გადარიცხული საკმაოდ დიდი თანხების ხარჯზე განაგრძობდა უზრუნველ ცხოვრებას რომელიღაც ეგზოტიკულ ტროპიკულ კუნძულზე, საიდანაც დროდადრო სხვადასხვა საინტერესო ქვეყნებს ეწვეოდა გასართობად თუ მშვენიერი შადრევნების მოსანახულებლად...

ტაშვანდურას დამქაშებმა წარმატებით შეასრულეს მის მიერ კიდევ ერთი დანაბარები – ქვეყანაში 100 ახალი შადრევანი აშენდა!.. აბა რავა!.. მათ შორის 20 დედაქალაქში წამოჭიმეს, მაგრამ ისინი არ აუმოქმედებიათ... ადვილი მისახვედრია, რატომაც – მეუფის ჩამობრძანებას ელოდნენ!..

და აჰა, ჩამობრძანდა ტაშვანდურა და მოგეცა ლხენა! – კვირაში თითო შადრევანს დიდი ზარ-ზეიმით ხსნიდა – გამოიზოგა, ხომ იცი! ასე რომ, შადრევნების გახსნა დეკემბერში და იანვარშიც მოუწია, როცა თითქოს შადრევნის ჭავლებით გაგრილებული ჰაერით ტკობის დრო და მსურველიც აღარაფერ იყო, მაგრამ ტაშვანდურას მიერ წარმოთქმულმა მგზნებარე სიტყვებმა ამ მოვლენის დამსწრე საჩაღეთის, ბოღიში, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის, მოსახლეობას (ასევე – ტელევიზორებთან მოკალათებულთ) გულები ისე გაუთბო, რომ თბილი პალტოებისა და ბეწვის ქურთუკების ჩაცმა სრულებით ზედმეტი იყო. განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა დიდებულნი სანახაობა-წარმოდგენის უშუალოდ ხილვით გაბედნიერებულ საზოგადოებას – გამამხნევებელი და მომწონებელი შეძახილებისა და მქუსარე ტაშის თანხლებით! – საზეიმო ცერემონიალის ბოლო ეტაპზე შადრევნის გამშვებ ღილაკზე საჩაღეთის პრეზიდენტის მარცხენა ხელის ცერის დაჭერა და მისივე ხმამაღალი წამოძახილი: “ავოე!”, რადგან შემდგომ ამას მოჰყვებოდა ხოლმე პრეზიდენტის მიერ მორიგი პირადი მდივნისა და, შეთავსებით, ტაკიმასხრისთვის მარჯვენა ხელის კერა და იძულებითი განბანვა ახალ შადრევანში. ასე რომ, ბატონ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის კოტიკო კატაბარდაძის მუდმივი თავის სატკივარი გახლდათ ტაშვანდურასთვის ახალი მდივნის შოვნა – ძველი თუ ფილტვების ანთებას გადაურჩებოდა, პრეზიდენტის სასახლეს სათოფედ აღარ ეკარებოდა! და ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ, თუ დროულად ვერ შეძლებდა მორიგი პირადი მდივნისა და, იმავედროულად, პირადი მასხარის მოძიებას, თვით უხლებოდა მოხალისე მობანავის როლის შესრულებას...

ძალიან ცდებოდა, ვინც იფიქრებს, რომ აყვავებული დ ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე მხოლოდ ტაშვანდურით იყო დაკავებული; ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე კარდინალურად გადაახალისა მთავრობა! ყოჩაღ! ეტყობა, საზღვარგარეთ ყოფნისას დრო მხოლოდ გართობა-დროსტარებაზე არ დაუხარჯავს, საქმესაც ეწია. ეს საქმე კი ასე განახორციელა: ბარბაცა ბარნაბაძის ნაცვლად საშიშროების მინისტრად დანიშნა ალიკო ალიყურაშვილი, გაათავისუფლა რა იგი ხალხის დაწიოკების მინისტრის მოვალეობისგან, ეს უკანასკნელი თანამდებობა კი ერგო ასლან ალიყურაძეს; ბარბაცა ბარნაბაძე გადაიყვანა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად... პირმშვენიერი ხათუნა ხელთოფაძე, ქონების წართმევის მინისტრი, გადმოიყვანა პრეზიდენტის მათარათმტვირთველის თანამდებობაზე, ხოლო ყოფილი მათარათმტვირთელი, ტურფა ჟუჟუნა ჟუნურუაშვილი დანიშნა ქონების წართმევის მინისტრად ანუ საჭადრაკო პარტიაში ამგვარ სვლას ეწოდება როქის გაკეთება; კიდევ ერთი “როქი”: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა კოტიკო კატაბარდაძემ და პრემიერ-მინისტრმა ლოქო ლაქაშიშვილმა თანამდებობები გაცვალეს! ჭიჭიკო ჭუკიჭუაშვილი, ლიდერი ოპოზიციური პარტიისა “კონსტიტუციის დაცვის კავშირი”, ყველასთვის მოულოდნელად გახდა შადრევანთმშენებლობის მინისტრი, ხოლო მანამდე ამ პოსტის მფლობელი პლატონ ბუქნაძე კი, ასევე სრულიად მოულოდნელად, ბატონმა პრეზიდენტმა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გაუშვა ახალ ზელანდიასა და, შეთავსებით, – ნაურუში, ფიჯისა და ტონგაში...

ჰო, კინაღამ დამავიწყდა: ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი დანიშვნაც მოხდა: ალისფერთმიანი, მომხიბლავი ხატია ხუთგულაძე, ყოფილი სტიუარდი ქალი, შემდგომ კი – სახელმწიფო ქონების ჩალის ფასად გაყიდვის, ქვეყნის ეკონომიკური დაქცევისა და ხალხის საზღვარგარეთ მასობრივად გაქცევის წარმატებული მინისტრი, ბატონმა პრეზიდენტმა დააწინაურა – მეორე მათარათმტვირთველად გადაიყვანა! ამჯერად ახალ თანამდებობაზე სულ პრეზიდენტთან ახლოს ყოფნა მოუწევს – ცალ მხარეს თუ პირველი მატარათმტვირთველი ხათუნა ხელთოფაძე დაუმშვენებს, მეორე მხარეს – ხატია ხუთგულაძე; ამიერიდან ტაშვანდურას ბევრად ადვილად შეეძლება მიწოდებული მათარებიდან ერთ-ერთი სწრაფად აიღოს – გაჩნია, იმ დროს რომელი ხელი ექნება თავისუფალი... რამდენადაც ცხვირის ნესტოში წარმოებულ ოპერაციებს, წესისამებრ, მარცხენა ხელი უძღვებოდა, მათარას უფრო ხშირად მარჯვენა ხელით იღებდა და ამიტომ პირველი მათარათმტვირთველი ხათუნა ხელთოფაძე სწორედ მარჯვენა მხარეს უდგა მეუფეს. ცოტა ხანში ბატონმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, მათარათმტვირთველები უფლებებში გაეთანაბრებინა, რათა მათ შორის პირველობისთვის ბრძოლის გამო ჩამოვარდნილი შუდლი მოესპო: ამისთვის ბრძენმა ტაშვანდურამ დაადგინა, რომ ტურფა მატარათმტვირთველები მისგან მარჯვენა პოზიციას მორი-

გეობით დაიკავებდნენ: ერთი – კენტ რიცხვებში, მეორე – ლუწში... რაც შეეხება ხატია ხუთგულაძის მინისტრობიდან წასვლის შემდეგ გამოთავისუფლებულ თანამდებობას, იგი ერგო ბატონ მუჟუჟა ბუჟბუჟაძეს – ტაშვანდურა უკმაყოფილი იყო პირადი მრჩევლისა და პირადი ასტროლოგისა და ამ გზით იგი თავიდან მოიცილა. სასინარულო ამბავია: ბატონ ბუჟბუჟა... ბოდიში, მუჟუჟა ბუჟბუჟაძის ყოფილი თანამდებობა ამჟამად ვაკანტურია და აბა ჰე, ვისაც ბატონ პრეზიდენტთან ახლო ყოფნა ძალიან სურს და ასტროლოგიაში ორიოდ ბროშურა მაინც აქვს წაკითხული, შეუძლია, ბედი სცადოს! ფიქრი ნუ ექნება, ბატონ ბუჟბუჟას წინასწარმეტყველებაში მაინც აჯობებს!

შემდგომ ტაშვანდურამ, როგორც იქნა, მოიცალა და ვითომ გამართა კარგა ხნის წინათ დაპირებული შადრევანთ მეფის პროექტების საერთაშორისო კონკურსი...

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს უმუშევრობა სულს ხდის, საქმე მაინც არ აქვთ და აი, გამორჩა ორიოდ გროშის შოვნის საშუალება – წამოვიდა ნიაღვარი წინადადებების! ვინ იფიქრებდა, რომ ქვეყანაში ამდენი განათლებული და გემოვნებიანი შემოქმედი იქნებოდა!

ტაშვანდურამ მორიგ გამოსვლაში მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის გაერთიანებული სხდომის წინაშე, რომელიც ღია ეთერში პირდაპირ გადაიცემოდა, დიდი მადლობა გადაუხადა აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთისა და უცხოეთის ყველა მოქალაქეს, ვინც კი მომავალი შადრევანთ მეფის პროექტის შესახებ გამართულ სჯა-ბაასში და კონკურსში აქტიური მონაწილეობა მიიღო – ამ დიდებული აქციით თვალნათლივ გამორჩა და კიდევ ერთხელ დადასტურდა საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის მეგობრების უპრეცედენტო თანადგომა და ქვეყნის შიგნით საყვარელი პრეზიდენტის, მშობლიური მთავრობისა და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ხალხის ურღვევი ერთიანობა!..

შადრევანთ მეფის ასაშენებლად საუკეთესო პროექტების კონკურსში გამარჯვებულს გადაეცა გრან პრი და მოზრდილი თანხაც და, როგორ ფიქრობთ, ვინ გახდა სანუკვარი დიდი ჯილდოს მფლობელი? ადვილი მისახვედრია – მსოფლიოში შადრევანთმცოდნეობის ყველაზე გამოჩენილი სპეციალისტი! ღიახ, ფორმალურად ჩატარებული დისკუსიისა და კონკურსის შემდგომ, ტაშვანდურამ გულდაგულ დაიწყო საკუთარი პროექტის განხორციელება!.. აბა რავა, სხვას როგორ ანდობს ამ სანუკვარი, საშვილიშვილო საქმის შესრულებას, როგორ გეკადრებათ!

ტაშვანდურა დიდად ამაყობდა საკუთარი შედეგით – შადრევანთ მეფის სწორუბოვარი პროექტით, რომელმაც არა მხოლოდ ქვეყანაში მოიპოვა საერთო-სახალხო მოწონება, არამედ საზღვარგარეთაც ხვდა საყოველთაო აღიარება, აბა რავა!.. მთავარი შადრევანის გარდა, იქნებოდა უამრავი სხვაც, მის გარშემო განლაგებული “ძობილები” და “დობილები”, მათ შორის გათვალისწინებული იყო სიურპრიზებიც – მხიარული ანუ სახალისო შადრევანებიც: განსაზღვრულ ადგილზე დამდგარს დიდად გასიამოვნებდა მოულოდნელად ქვევიდან, ზოგ ადგილას – ზევიდან, და მთლად უკეთესი – ორივე მხრიდან, ზევიდანაც და ქვევიდანაც, უცებ გამომტყვრალი წყლის ცელქი ჭავლი! ამას თან პეტარდის გამაყრუებელი ხმაც დაერთებოდა, რაც კიდევ უფრო გაამძაფრებდა სიამოვნებას! ტაშვანდურას განსაკუთრებით მოსწონდა, რომ გიგანტური შადრევანის ცენტრალური ფიგურა იქნებოდა ღმერთაც პოსეიდონის, იგივე – ნეპტუნოსის, დიდებული ქანდაკება – თვით არისტოტელე ბუქნაძის უზარმაზარი შიშველი ფიგურა! რავა, რამდენი პოსეიდონი, იგივე – ნეპტუნოსი, ნახა სხვადასხვა ქვეყნების შადრევანებში და ვისზე ნაკლებია საჩაღეთი? ბოდიში, სულ მეშლება – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთი!.. აი, ამ დიდებული ქანდაკება-შადრევანის შექმნაც ბატონ პრეზიდენტის მრავალმხრივი ბრწყინვალე ნიჭის კიდევ ერთი დადასტურებაა: ფეხებგაჩაჩხულ, ამაყად გაჯგიმულ ტაშვანდურას მადლა აწეულ მძლავრ ხელებში უჭირავს უზარმაზარი მბრწყინავი თასი, საიდანაც გამჭვირვალე ფარდად იღვრება წყლის გამჭვირვალე ნაკადი!.. ღიახ, ტყუილად კი არ მოინახულა მსგავსი ნამუშევრები მსოფლიოს მრავალ ქალაქში! დიდად დაეხმარა მათი ფოტოებიც, რომლებიც სხვადასხვა რაკურსში საგანგებოდ გადააღებინა: ერთიდან ტორსო “ისესხა”, მეორიდან – ხელ-ფეხი, მესამიდან – თავი, მეოთხიდან – თასი, ოდონდ პროცესს შემოქმედებითად მიუღვა: ყველა მათგანი სიდიდით გააორმაგა და შთამბეჭდავი შედეგიც ყველასთვის თვალსაჩინო გახდა! ტაშვანდურა-ნეპტუნოსის თასი ცაში ღრუბლებს გაეთამაშება, თავი კი იტრიალებს და თვალებიდან ღამლამობით ორი მძლავრი პროექტორი-შუქურა გამოანათებს, აბა რავა!

მშენებლობის დაწყებისას ბატონმა პრეზიდენტმა – მთავარმა ხუროთმოძღვარმა და მთავარმა მოქანდაკემ – მოულოდნელად ძირფესვიანად შეცვალა შადრევანთ მეფის ძირითადი კომპოზიცია: მეორე დიდი ფიგურის დამატებაც გადაწყვიტა, რასაკვირველია, ისიც ტაშვანდურასი – სრულიად განსხვავებული გადაწყვეტა მოიხსნა! ვერაფრით შეეღია ერთ-ერთ ადრეულ ვარიანტს და ისიც ჩართო კომპოზიციაში: ტიტლიკანა ტაშვანდურა ექვსი ფრთოსანი რაშით შემბულ ეტლს თავდავიწყებით მიაქროლებს და მას მიაცილებენ ზღვის სხვადასხვა ბინადარნი... მართლაც რომ უღვევი ენერგია და უშრეტო ფანტაზია აქვს ბატონ პრეზიდენტს!

შადრევანთ მეფეში იქნებოდა რამდენიმე ლიფტი, აგრეთვე მოძრავი ლენტური ტრანსპორტერი ზევით ასასვლელად.

ასევე, განსაცვიფრებელი, გასაყეყეჩებელი, მსოფლიოში №1 შადრევანთ მეფის გარშემო აიგებოდა თორმეტი გამაოგნებელი კარუსელი, რომელიც იმუშავებდა შადრევანდიდის მიერ გამოიმუშავებული როგორც მექანიკური, ასევე ელექტროენერჯით!.. მსოფლიოში ჯერ მსგავსი რამ არსად ყოფილა და არც გაგონილა, აქაც პირველები ვართ, აბა რაგა!

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის რადიო-ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები აღტაცების გამომხატველ ეპითეთებს არ იშურებდნენ ტაშფანდურას პროექტის დასახასიათებლად:

“მომავლის შადრევანი!”

“წარმტაცი, გაბედული საინჟინრო ფანტაზია – ტექნიკისა და ხელოვნების ჯადოსნური სინთეზი!”

“ახალი სიტყვა შადრევანთმშენებლობაში, სრულიად განსხვავებული გზის გაკვალვა – ნამდვილი რევოლუციური ნახტომი!”

“ახალი ფორმები ახალი შინაარსის წარმოსაჩენად, გაბედული თავდახსნა ტრადიციების ბორკილებისგან, სრული უარყოფა დამყავებული მიდგომებისა, ინერტული სახეობრივი აზროვნებისა, მოძველებული დოგმებისა – არნახული შემოქმედებითი გაბედულება და თავისუფლება!”

“თანამედროვეობის მოთხოვნებთან და უახლეს კრიტერიუმებთან სრულიად და სავსებით შესატყვისი შადრევანთ მეფე – დინამო-კონსტრუქცია – მოძრაობისა და განვითარების ემოციური და დრამატული შედეგრი!”

“მოწინავე ფუნქციონალური და თანამედროვე მხატვრული მხარეების იდეალური შეხამება!”

“მასების ექსცენტრიული განლაგების განუმეორებელი სითამამე და ფორმების პლასტიკური სინატიფე – რომანტიკული ოცნებების აქტუალური გაცხადება, თანამედროვე ადამიანის სულისა და გონების ერთიანი ძალისხმევის შესაშური ნაყოფი – ფანტაზიის ბრწყინვალე ფოიერვერკი!”

“კაცთმოყვარეობისა და სიკეთის აპოთეოზი!”

“შადრევანთ მეფე ახალ ბრწყინვალეობას შემატებს აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთს!”

რასაკვირველია, ტაშფანდურამ ამ მსოფლიოში ჯერ არნახული მშენებლობისთვის შესაფერისი ადგილიც გენიოსურად შეარჩია – დედაქალაქ შადრევანთქალაქის მთავარი მოედანი, აბა რაგა! და მას სახელიც მაშინვე გამოუცვალა – დიდი შადრევანის მოედანი უწოდა! მართალია, მოედნის გასაფართოებლად უამრავი შენობის დანგრევა გახდება საჭირო, მაგრამ – ჩიტი ბდღვნად ღირს, ნამდვილად! მთელი მსოფლიო ამ უდიდეს მოვლენაზე ლაპარაკობს – მსოფლიოს მერვე საოცრება ჩვენს თვალწინ დაიბადება! აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ბედნიერო მოქალაქენო, დიდად ბედნიერ და ფრიად საამაყო დროს მოგვიხდა ცხოვრება, მომავალი თაობები უფროით აღივსებიან, აბა რაგა!

შადრევანთ შადრევანის მშენებლობა – “საყოველთაო-სახალხო დღესასწაული!” – დაიწყო!

აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტმა, მისმა უმაღლესობამ, ბატონმა არისტოტელე ბუქნაძემ ურიცხვი ადამიანის თანდასწრებით სიმბოლურად სახეიმოდ ჩადო მომავალი საოცრების საძირკველში პირველი ქვა და წარმოთქვა მქუხარე სიტყვა, რომელიც ქვას გახეთქავდა! აბა რაგა!

მშენებლობის ადგილას მეხანძრეთა და პოლიციელთა ორი სასულე ორკესტრი მორიგეობით დღედაღამ სახეიმო მარშებს უკრავს – შეუსვენებელივ! და შეუსვენებელივ აღაფრთოვანებს და წარმატებული შრომითი ენთუზიაზმისკენ წარმართავს ასევე დღედაღამ მოფუსფუსე მშენებლებს! მთელი აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთიდან მოჰყავთ მოსწავლეები – პატრიოტულ-შრომითი აღზრდის საუკეთესო საშუალება! თან – მუქთი მუშახელი! ამასთანავე – გაჩნდა უამრავი ახალი სამუშაო ადგილი, ახალ, ფრიად საჭირო სპეციალობებს დაეუფლა და დასაქმდა დიდძალი მოსახლეობა!

შადრევანის მშენებლობას ხელმძღვანელობს საგანგებოდ შექმნილი სამინისტრო, რომლის თავკაციცაა თვით ხონთქარის ღვიძლი ძმა, პლატონ ბუქნაძე – ეს უნდა დააფასო! (პლატონ ბუქნაძის დახასიათება)

ასეთ პრესტიჟულ მშენებლობაში მონაწილეობის მიღება ყოველი საჩაღელის მამულიშვილური მოვალეობაა! მომავალი თაობები არ დაივიწყებენ თქვენს ღვაწლს!

ჩემი შემდგომი ქვემოთ მსჯელობა სულსწრაფმა მკითხველმა, შესაძლოა, მიიჩნიოს არა მხოლოდ ბელეტრისტიკის კანონების კიდევ ერთ დარღვევად, არამედ, აგრეთვე, ავტორის ესთეტიკური თვალთახედვის სივიწროვესა და დროის მოთხოვნებისგან ჩამორჩენილობაში დასადანაშაულებლადაც გამოდგეს, მაგრამ ჩემი სათქმელი მაინც უნდა გაგიზიარო. ჰოდა, ვისაც ჩემი შემდგომი ბებრული ლაქლაქის მოსმენა არ სურს, მოსაწყენად ჩათვალოს ან გამადიზიანებლად მიიჩნიოს, გურჩევ: ამ კარის კითხვა აღარ გააგრძელოს და შემდეგ, დამაგვირგინებელ კარს მიმართოს.

ამრიგად, კიდევ ერთ ცოდვას ჩავიდენ და თავს უფლებას მივცემ, წინასწარ შევაფასო ტაშფანდურას მომავალი ქმნილება.

ადრე დამავიწყდა მეთქვა, რომ ტაშფანდურამ პარიზში სახელგანთქმული მუზეუმებისა და მრავალი შესანიშნავი არქიტექტურული შედეგების მოსახსენებლად ვერ მოიცალა, ასევე – დიდებული შადრევანებისაც (ტროკადეროს და ბევრ სხვა ბაღში, შატლეს მოედანზე – თავისუფლების შადრევანი, თანხმობის მოედანზე – ორი შადრევანი, შადრევანი სენ-სიულპისის ტაძრის წინ

და სხვა მრავალი), მაგრამ უპირველესად გაეცნო ჟორჟ პომპიდუს ხელოვნებისა და მეცნიერების ეროვნულ ცენტრს ბობურის ქუჩაზე, უფრო სწორედ, მხოლოდ გარედან შეაგლო თვალი და აღფრთოვანებულიც დარჩა! “მაღალი ტექნოლოგიების სტილი” მეფე შადრევნის პროექტის შედგენისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს – “მომავლის ხელოვნების” რეგოლუციურ შეხედულებებს ფეხი უნდა აუწყოს!

ჩემი მოკლე ჭკუით, ამ ულტრათანამედროვე, ავანგარდისტული არქიტექტურული შედეგით აღტაცება იგივეა, ნაწლავებგადმოყრილი ადამიანის პორტრეტით მოიხიბლო. XX საუკუნეში მრავალი ტექნიკური თუ მეცნიერული საოცრების მოწმენი გავხდით ადამიანის გენიის წყალობით, მაგრამ ცივილიზაციის განვითარებამ უამრავი უარყოფითი გარემოებაც წარმოშვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს... მე მხოლოდ ხელოვნებას შევეხები: განნდა მახინჯი, ამაზრზენი ფერწერა, საშინელებათა, კატასტროფების, უკიდვანო ძალადობის ამსახველი ანტიესთეტიკური კინოფილმები, მუსიკის ზოგიერთი ხმაურიანი მიმდინარეობა თუ სახეობა, რომელიც თავის ტკივილის მეტს სხვას არაფერს გვჩუქნის... და ეს ყველაფერი “თანამედროვე ხელოვნების” ნიღბით იმოსება. მავანი რეტროგრადად ჩამთვლის, მაგრამ მიმანია: სიმახინჯის ესთეტიზაცია შეუძლებელია, როგორც შეუთავსებელია დიქტატურა და დემოკრატია. არც ის მიმანია ხელოვნებად, როცა ინტელექტუალიზმის დროშით ცარიელი ფორმათქმნადობით იფარგლებიან, რადგან რაოდენ გონებასახეილი და ფანტაზიით გაჯერებულიც უნდა იყოს ამგვარი ნაწარმოები, მას ფასი არ აქვს: რაც არ იწვევს ადამიანში განცდას, ემოციურ გამოძახილს, რაც სიკეთისა და თანაგრძნობის სითბოთი არ არის გამსჭვალული, ის ხელოვნების ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება.

ვიცი, მავანი შემომედავება: როცა ეიფელის კოშკის აშენება დააპირეს, მრავალმა გამოჩენილმა ფრანგმა ხელოვანმა მისი “ამაზრზენი სიმახინჯის” წინააღმდეგ გაილაშქრა, შეიქმნა კოშკის აგების საწინააღმდეგო კომიტეტიც კი... ახლა კი პარიზი წარმოდგენილია ეიფელის კოშკის გარეშე! დიახ, მართალია, ესთეტიკური აღქმა დროთა განმავლობაში იცვლება, მაგრამ არა – ხელოვნების კანონები, აგრესიული ანტიესთეტიკურობა ხელოვნების ადგილს ვერასოდეს დაიჭერს!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პომპიდუს ცენტრის შემქმნელთათვის სხვაგან არსად მიუბაძავთ, თუ არ ჩავთვლით აყვავებულსა და ბედნიერ საჩაღეთს – შადრევანთ მეფეც განუმეორებელი იქნება! აბა რავა!..

კარი XVII. “ტაშფანდურას შადრევნის” მშენებლობა წარმატებით დასრულდა! გრანდიოზული დღესასწაული, ავოე! ტაშფანდურას უკანასკნელი გმირობა...

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დასასრულისკენ მიდის ეს ჩემი ნაჯახირვეი... თუმცა, რა გვაქვს სანაღვლო – შადრევანთ შადრევნის მშენებლობა წარმატებით დასრულდა – ვაშა!

ასეთი დიდებული შადრევანი ჯერ არასდროს და არსად აშენებულა! არასდროს და არსად, აბა რავა!

ჰო-ჰო, რა ჯერ არნახული სადღესასწაულო ღონისძიებები მიუძღვის წინ ეს-ეს არის დასრულებული “მსოფლიოს მერვე საოცრების” – “ტაშფანდურას შადრევნის” – საზეიმო გახსნას!!!

გამოცხადდა შადრევანდიდისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლექსის კონკურსის შედეგები – 25 ბედნიერს მიენიჭა სხვადასხვა ხარისხის პრემიები და, გარდა ამისა, I პრემიის მფლობელი დაჯილდოვდა I ხარისხის “შადრევანთ მეფის ორდენით”; ორი მეორე ჯილდოს მფლობელს მიეცა II ხარისხის იგივე ორდენები, ხოლო III ადგილზე გასულ სამ გამარჯვებულს – III ხარისხისა, ჯან! გარდა ამისა, ყოველ მათგანს გადაეცა ძვირფასი საჩუქარი, მდიდრულად ილუსტრირებული წიგნი-ალბომი: “აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტის, მისი უმაღლესობის, ბატონ არისტოტელე ბუქნაძის პირადი შთაბეჭდილებები ევროპის მრავალ ქვეყანაში შესანიშნავი შადრევნების მონახულების მიზნით განხორციელებული ფრიად ნაყოფიერი მოგზაურობის დროს”, აბა რავა!..

ასევე დაჯილდოვდნენ პრემიებითა და ორდენებით შადრევანდიდისადმი მიძღვნილი სიმღერის შექმნაში გამარჯვებულნი, რასაკვირველია, გადაეცათ წიგნი-ალბომიც, შემდგომ კი გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი, სადაც შესრულდა შადრევანთ მეფისადმი მიძღვნილი ოცდახუთი საუკეთესო სიმღერა, ჯან!

როგორც მკითხველი ხედავს, ტაშფანდურას ყველა ოცნება აუსრულდა: გამოიცა წიგნი-ალბომი მისი მოგზაურობის შესახებ, მალე საზეიმოდ გაიხსნება მისი შემოქმედებითი ნიჭისა და უღვევი ენერჯის კიდევ ერთი ნაყოფი – განსაცვიფრებელი შადრევანთ მეფე, დაიწერა მისი პიროვნებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნიც, რომელსაც ახლა კითხულობთ!.. თუმცა, ისიც საკითხავია, რამდენად მოეწონებოდა მას ჩემი ნაჯახირვეი... იგი ჩემთვის არ დაუკვეთავთ და, ცხადია, ერთი გროშიც არავის გადაუხდია, რაიც ჩემთვის საწყენად სულ არ გამხდარა; აი, პირიქით რომ მომხდარიყო, მაშინ ვიქნებოდი უკმაყოფილო!

ვაგრძელებ თხრობას.

შადრევანთ შადრევნის გაშვების დღეს მთელ ქალაქში დიდიდანვე წყლის მიწოდება შეწყდა – ეს შადრევანდიდი რა ყოფილა, კაცო, – გეშაპივით ხარბია, ვერაფრით მოუკლავენ წყურვილს და! მოსახლენი მაინც წინასწარ გაეფრთხილებინათ, რომ ერთი დღის სახმარი წყალი მაინც მოემარაგებინათ... რამდენიმე წინა დღესაც აკლდათ წყალი – შადრევანდიდს ცდიდნენ! სამაგიეროდ, ვაჰ, რა გრანდიოზული დღესასწაული გაიმართა!

მთელი საჩაღეთიდან მორეკეს ხალხი ზეიმში მონაწილეობის მისაღებად – საკმაო გასამრჯელოც გადაუხადეს, ბევრს საყვარელი პრეზიდენტის ევროპაში მოგზაურობის ამსახველი ბრწყინვალე ალბომიც აჩუქეს – მეტი რაღა გინდა!.. აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთი მართლაც დიდად ბედნიერია: უკეთესი პრეზიდენტი მსოფლიოში არავის ჰყავს და არც უკეთესი შადრევნით, – ჭეშმარიტად შადრევანთ მეფით! – იამაყებს ვინმე, ჯან!

ქვეყნის ტელევიზიის ყველა არხის წარმომადგენლები დიდ ფაციფუცში არიან – გრანდიოზული სანახაობის პირდაპირი რეპორტაჟი! გარდა ამისა, წინასწარ მოწვეულია და საგანგებოდ ჩამობრძანებული საზღვარგარეთის ტელეკომპანიებიც – ას ოცი არხით მთელს მსოფლიოში დიდებული დღესასწაულის გასაშუქებლად! ციფრული კინოგადაღება – გამოვა არნახული სანახაობის სრული ჩანაწერი, სამარადჟამოდ დარჩება შთამომავლობას და ხშირ-ხშირად შეძლებენ მისი ხილვით ტკბობას!

ფუსფუსებენ, ტრიალებენ აურაცხელი ჟურნალ-გაზეთის წარმომადგენელი, ფოტოხელოვანი, სენსაციების მოყვარული – ტურისტებისთვის ნამდვილი მექაა! გაიხარე – გამახარე, ჯან!

თუმცა, უკმაყოფილოსა და დაბოღმის რა გამოლევს ამქვეყნად და მაგანნი იმასაც ამბობდნენ მორიდებული ჩურჩულით, რომ შადრევანთ მეფის მშენებლობისთვის დახარჯული ფულის ნახევარზე მეტი ბატონ პრეზიდენტისა და მისი ხელქვეითების ჯიბეებში “დაილექათ”... აბა, რატომ არ აცხადებენ, რა დაჯდა “ტაშფანდურას შადრევანი”? მისი მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა გასაიდუმლოებულია, ვითარცა სახელმწიფო საიდუმლოება და არც შემოწირულობების რაოდენობას ასახელებენ...

სხვაც მრავალი გამოჩნდა უკმაყოფილო და დიდი შადრევნის მოედნისკენ დიდიდანვე დაიბრუნე ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან დაბღვერილსახიანი მოქალაქეების აზვირთებული ნაკადები; ვედროებისა და ტაშტების ძირებზე ქვების რახუნით გაჰყვიროდნენ: “წყალი, წყალი!”, მათ გაშლილ ტრანსპარანტებზე კი ეწერა: “წყალი გვინდა!”.

საშიშროების მინისტრის ბარბაცა ბარნაბაძისა და ხალხის დაწიკების მინისტრის ალიკო ალიყურაშვილის ყოჩაღი ბიჭების რაზმებმა მსწრაფლ გადააკეტეს ავტობუსებით დიდი შადრევნის მოედნისკენ დაპრული ხალხის ამღვრეული ნაკადები; ხელკეტიანი ნიღბოსნები განსაკუთრებით ურჩებს ჭკუის სასწავლ თვალსაჩინო გაკვეთილსაც უტარებდნენ, შემდეგ დახურულპარიან მანქანებში ჰყრიდნენ და ქალაქგარეთ ოცდაათი კილომეტრის დაშორებით ტოვებდნენ, რათა მათ საპროტესტო ყვირილს დიდი შადრევნის მოედნამდე ვერ მიეღწია, აბა რაა!

და აი, სადამოსპირს, როგორც იქნა, ველირსეთ ნანატრ წუთს – დასცხო საზეიმო გამოსასვლელი მარში დედაქალაქის პოლიციისა და სახანძრო სამსახურის გაერთიანებულმა სამაგალითო-საჩვენებელმა სასულე ორკესტრმა და ჩვენმა დიდებულმა ტაშფანდურამ მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის მარცხენა ნესტოში ნატიფი ტრიალით და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის წამდაუწუმ წინ გაშვერით, თითქოს სურს, ვიდაცეებს (აღბათ შადრევანდიდის მშენებლობის მოწინააღმდეგეთ) თვალი გამოსთხაროსო, დორბლების ყრით წარმოთქვა ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილი მგზნებარე საზეიმო სიტყვა და, ექსტზში შესული, კინაღამ გადმოვარდა საგანგებოდ გამართული ტრიბუნიდან...

რა თქმა უნდა, მოეწყო სამხედრო პარადიც, შემდგომ კი – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის ხალხის ერთიანობისა და მეუფისადმი ერთგულებისა და მადლიერების გამომხატველი ხალხმრავალი დემონსტრაცია!

მხიარული კარნავალისა და გალა-კონცერტის შემდგომ, ყველანი გულის ფანცქალით მოელოდნენ მეფე შადრევნის გახსნას და აი, გაერთიანებული სამაგალითო-საჩვენებელი სასულე ორკესტრი ისევ მქუხარე მარშს აგუგუნებს, სინათლე ქრება, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტმა, მისმა უმაღლესობამ, ბატონმა არისტოტელე ბუქნაძემ მარჯვენა ხელში დაიჭირა მაკრატელი, მარცხენა ხელით დაიჭირა წითელი ბაფთა (სამწუხაროდ, ამის გამო დროებით მოუხდა საჩვენებელი თითით ნესტოში ინტენსიური საქმიანობის შეწყვეტა) და ინება მისი გადაჭრა; უმაღლ ქვევით ჩამოცურდნენ დიდებული შადრევანდიდის აქამდე უცხო თვალთაგან დამფარავი ტილოები! შემდგომ კი ხელი მიაჭირა ელექტროპულტს და – უეცრად იფეთქა სინათლის ნიღვარმა, ზე აიჭრა უამრავი დიდ-პატარა ჭავლი, ფერად-ფერად გაჩირაღდა აცეკვებულ-ათამაშებული დიდი ნიჭის, შრომისა და ძალისხმევის ბრწყინვალე, მომაჯადოებელი ნაყოფი – შადრევანთ მეფე, ვაშა-ა-ა!!!

დიდი სიამოვნებით გავიმეორებ: ასეთი დიდებული შადრევანი ჯერ არასდროს და არსად აშენებულა!

ძირითადი პრინციპი შადრევნის მხატვრული სახისა – კონტრასტი და მრავალფეროვნება! აქვს პრეტენზია – რომანტიულობისა, თუმცა ამას ხელს უშლის “კონსტრუქტივიზმის” ელემენ-

ტები და ამგვარ “სიმშრალეს” შადრევანი ნამდვილად ვერ იგუებს! ალაგ – სიმეტრიულობა, ალაგ – ასიმეტრიულობა, შუქჩრდილი, ფერადი დინამიკური განათება!

ალაგ – სხვადასხვა დონეზე აუზებით დამშვენებული, ალაგ – გროტებით, ალაგ – აკვარიუმებით, რომლებშიც სხვადასხვა დეკორაციული თევზები დასრიალებენ, ცენტრალურ უზარმაზარ აკვარიუმში კი დიდი თევზებიც გაუშვიათ!.. სელაპებიც!.. დელფინებიც!.. ჯან!..

არის დელფინების ჯგუფური ქანდაკებები, სხვადასხვა ქანდაკებებია მრავალ ადგილას – ნაიადები, სიბილა, ნეპტუნი და სხვანი; ცენტრში კი მოთავსებულია ორი მთავარი, ყველაზე დიდი და მშვენიერი ქანდაკება შიშველი ტაშფანდურასი – არ დაიმსახურა თუ?

შადრევანში – ალაგ-ალაგ – დიდ-პატარა ნაირგვარი სარკეები! ზოგი – ამოხნეკილი, ზოგი – ჩაზნეკილი, ზოგი – მბრუნავიც!..

შადრევანი ხომ მოძრაობის, სიცოცხლის სიმბოლოა, ამიტომ, ცხადია, შადრევნის ჭავლები “ცეკვავენ”, ხოლო სადაც ცეკვაა, იქ აუცილებლად მუსიკაც უნდა იყოს!

შადრევანი ცეკვავს და მღერის! თან ფერად-ფერადად ირთვება და იკაზმება მასთან შეხმატკბილებულად – ერთიანი პარტიტურა მუსიკისა, ფერადი განათებისა და მოძრაობისა!

აქა-იქ დინამიკური ფიგურები ტრიალებენ, მაღლა ასროლილ ჭავლებში ბურთები თამაშობენ, დინამიკური ფერადი განათება ფეერიულ სურათს ქმნის!

ალაგ-ალაგ პატარ-პატარა შადრევნებიც არის, მხიარული და სახალისო შადრევანუკები: თუ ახლოს მიხვალ, უცებ ქვევიდან ამოიფრქვევა წყლის ჭავლი! განსაკუთრებით ქალებს მოსწონთ ამგვარად გაგრილება! ამ დროს პეტარდაც ფეთქდება და ხომ სულ მთლად კმაყოფილი გახლავან ქალბატონები (განსაკუთრებით კი – მათი ნაცნობი ქალები, როცა შეცბუნებულ-შეშინებულთა წივილ-კივილს სიამით ადევნებენ თვალს...).

რამდენიმე კარუსელის გამართვა მოესწრო, თუმცა ყველასი არა, რაღაც წვრილმანები დარჩა მოსაგვარებელი; მაგრამ ტაშფანდურა ვერ ითმენს – უნდა, მსოფლიო გააკვირვოს მის მიერ აშენებული შადრევნის ბრწყინვალეობით! შადრევანდიდი ხომ მხოლოდ შადრევანთ შადრევანი, მეფე შადრევანი არაა, უფრო – დიდი შადრევან-კარუსელი ან უზარმაზარი კარუსელ-შადრევანი ეთქმის! კარუსელების ტრიალისას მათი მრგვალი სახურავის კიდებიდან წყლის ნაკადულები გამჭვირვალე ფარდად ჩამოეშვებიან, ხოლო ცხოველ-ფრინველები პირიდან ცვექ ჭავლებს გასტყორცნიან, წინ მსხდომთ “გააგრილებენ”, ასე რომ, კარუსელზე მოგზაურობის მსურველნი, სასურველია, რომ შიშველნი, საბანაოდ გამზადებულნი იყვნენ!..

როგორც ადრეც მოგახსენეთ, ბატონ ტაშფანდურას საერთოდ უყვარს კარუსელი – საკუთარი მინისტრთა კაბინეტის წევრების კარუსელის პრინციპით წამდაუწუმ ცვლა ხომ არა და არ მოწყინდება, კარგად ერთობა, ხომ იცი! მინისტრები მუდმივად დაძაბულნი არიან, არაგინ იცის, მაგალითად, გარემოს დაცვის მინისტრი უცებ კულტურისა და სპორტის მინისტრის სკამზე გადასკუპდება თუ – ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა... ან თავდაცვის მინისტრი უცებ ფინანსთა მინისტრის სავარძელში გადაბარგდება – ალბათ მხოლოდ რამდენიმე თვით! თვითონ პრეზიდენტიც ძალიან ენერგიულია, მოძრავი, დაუდგარი, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა აქტივობისა, თანამდებობათა “კარუსელის” დატრიალების მიზანი კი მხოლოდ ერთია – მისი მდგომარეობა არასდროს ოდნავადაც არ უნდა შეირყეს, იყოს მარადი პრეზიდენტი, აბა რავა!..

ისიც ვთქვი, რომ ტაშფანდურამ საოცარი სიხარბე გამოამჟღავნა: მოინდომა მეტისმეტად ბევრი და სხვადასხვაგვარი წინადადების გათვალისწინება შადრევანდიდის საბოლოო პროექტში და ამის შედეგად საბოლოოდ მეფე შადრევანი ერთი უზარმაზარი რაღაც ურჩხულის მსგავსი გამოვიდა... დინამოსკულპტურები: ელექტრობის საშუალებით თუ წყლის ჭავლებით მექანიკურად მოძრავი; ამ დროს მოცულობებისა და ზედაპირების ცვლილება, ორად, სამად და მეტად გაყოფა და ისევ სხვაგვარად შეერთება, როგორც კალეიდოსკოპში ანუ ქანდაკების განვითარება არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც...

ასევე მოგახსენეთ: ამ ელექტურ უზარმაზარ მასას შუაში ამშვენებდა ორი (დიახ, ორი! ვერცერთს ვერ შეეღია...) შიშველი ფიგურა ტაშფანდურასი:

მარცხნივ – დიდი აუზის კიდიდან ამოვარდნილი შიშველი ტაშფანდურა ექვსი ფრთოსანი რაშით შემბრულ ეტლს მიაქროლებს და მას მიაცილებენ წყლის ზედაპირზე მოსრიალე დელფინები, ტრიტონები და ნერეიდები; დელფინები და ტრიტონები პირებიდან ამოტყორცნიან ვიწრო, გრძელ ჭავლებს, ნერეიდების კოხტა ქილებიდან კი წყალი გადმოიდგრება (ჯერ სურდა, ექვსი შიშველი ქალთევზას გამოსახულება ჰყოლოდა თანმხლებად, მაგრამ შემდეგ – ჰოი, საოცრებაჟ! – დათანხმდა მორიდებულ რჩევას – “თქვენო უმაღლესობაჟ, ასეა ვერსაღში...” – ისინი ფრთოსანი რაშებით შეეცვალა).

მარჯვნივ – ასევე ტაშფანდურას შიშველ ქანდაკებას მაღლა ამართულ ხელებში უზარმაზარი თასი უჭირავს, რომლიდანაც გამჭვირვალე ფარდად გადმოედინება ფერად-ფერადად განათებული წყლის ნაკადი.

ორივე ამ ქანდაკებაში შიგნით შეიძლებოდა გვირავით შედწევა და ხვეული კიბეებით ან საგანგებო ლიფტებით სულ მაღლა აძრომა და მთელი კომპლექსის ზემოდან ხილვით ტკობა; განსაკუთრებით გამბედავებს კი შეიძლოთ, მაღლიდან გადმომხტარიყვნენ ქვევით აუზში...

ჩემი საერთო დასკვნა ასეთია:

ტაშვანდურას უნაპირო ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი ძალუმად ამეტყველდა მის ნახელავე შედეგში: დიდებული ძეგლი დაიდგა შადრევანთ მეფით – სწორედ მისი პიროვნებისა და მისი მმართველობის შესაფერი! როგორი ქვეყანაც “შექმნა” ბატონმა პრეზიდენტმა – დაქსაქსული, დათითოკაცებული, დაშინებული და დაგლახაკებული, 192 პოლიტიკურ პარტიად დახლეშილი საზოგადოება – ასეთივე პრინციპით ააგო შადრევანთ მეფე მისმა შემოქმედმა: დაქსაქსული, ურთიერთ დაპირისპირებული ჯგუფებით! შადრევანთ მეფე – გაუცხოებული საუცხოო ნიმუში: ყოველი ნაწილი თავისთვისაა, ცალკე, მათი ერთობლიობა ჰარმონიულ ანსამბლს არ ჰქმნის! მიზანი, რაც უნდა დაკისრებოდა შადრევანთ მეფეს – საზოგადოებრივი ცხოვრების გაცხოველები-სა, განეწყო ადამიანები სიხალისისკენ, ურთიერთ სიახლოვისკენ, სიკეთისა და სიბოძისკენ – მიუღწეველი დარჩა და სხვაგვარი შედეგი არც იყო მოსალოდნელი: სივრცის ორგანიზაციის ამორფულობა, პლასტიკურობის სინედლე, რიტმული მაჯისცემის დამბლა ანუ სრული დისჰარმონიულობა კომპლექსისა განაპირობებდა მიღწეულ შედეგს. შადრევანთ მეფეში აირეკლა ბუტაფორული კეთილდღეობა და მოჩვენებითი წინსვლა-განვითარება, პომპეზურობა სიტყვებსა და საქმეებში... პეკლექტიზმი, დაპირისპირება, დისჰარმონია, ცრუ, არაფრის მომტანი “დინამიზმი”, სინამდვილეში – დამყაყებული ჭაობი – აი, რას გამოხატავს შადრევანთ მეფე. ბატონი პრეზიდენტი თითქოს თავისი შედეგით (გარკვეული თვალსაზრისით ტაშვანდურამ მართლაც მიაღწია ფანტასტიკურ შედეგს!) დასცინოდა და აბუნად იგდებდა ყველა აქ მომსვლელს – ხატოვნად რომ ვთქვათ, შადრევანთ მეფე ზოგს წკიპურტს უთავაზობდა კინკრიხოში, სხვებს – პანჩურის ამორტყმასაც არ დაზარდებოდა... აბა რავა!

ჰოდა, გრიალებს საზეიმო მუსიკის ჰანგები; მხიარულად ტრიალებს 12 კარუსელი; მოთამაშე თუ ერთმანეთში გადახლართულ, თუ ფარდასავით ჩამომდინარე ჭავლებს შორის ალაგ-ალაგ მადლა მიიღტვიან “ცეცხლის” მბორგავ-დაგრეხილი წითელი “ენები”, ვარსკვლავიანი ცისკენ აიჭრა ფოიერვერკის ბათქა-ბუთქით გაშლილი ცეცხლოვანი ნაირფერი ყვავილები!

თამამი და უჩვეულო ჩანაფიქრის განხორციელებამ სრულად გაამართლა – ტაშვანდურამ ერთ დღეში დაიპყრო მთელი მსოფლიო!

ბოლოს, ყველაზე დიდი მოულოდნელობა და საჩუქარიც შეკრებილთათვის: ტაშვანდურა, მსოფლიოში სახელგანთქმული ვარსკვლავებისა და აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პოპულარული მომღერლების კონცერტით და პარალელურად მიმდინარე წყალზე ფიგურული ტანგარჯიშის ქალთა ოსტატობით მოხიბლული თუ კიდევ სხვა რამითაც შეხურებული, უცებ თავით გადაეშვა შადრევანის ყველაზე დიდ აუზში!

ძალიან უშუალოა! მართალაც – დიდი ბავშვია!

მეუფე ნებიერობს შადრევანის ჭავლებში, ჯან!

იფ-იფ! იფ-იფ!

მისმა ბრწყინვალეობამ მშვენიერ ქალბატონებთან ერთად ცურვა ინება! ისინი შადრევანის გახსნის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად უცხოეთიდან საგანგებოდ ჩამოაყვანინა ტაშვანდურამ და ხომ უნდა გამოეხატა მათდამი მადლიერება! ქალიშვილებს რომ უფრო კარგად გერმნოთ თავი, ტაშვანდურას განკარგულებით შადრევანში თბილი წყალი გაუშვეს! ასევე – პარიზიდან საგანგებოდ გამოწერილი ბლომად სხვადასხვა სუნამოებიც დაამატეს, კეთილშობილი სურნელით რომ დამტკბარიყვნენ მობანაგ-მოვარჯიშენი!

ტაშვანდურა გადადის მაღაყებს – იცინის, ლაღობს, ლამაზმანებს ეღლაბუცება 16 წლის ყმაწვილივით! და ფრიად კმაყოფილია იმითაც, რომ უამრავი ხალხი, რჩეული საზოგადოება მოაწყდა შადრევანთ შადრევანის ჭავლებში მეუფის გართობა-ცეკვობის საკუთარი თვალთ სახილველად!

ნამდვილი ედემია!

გაიხარე-გამახარე!

ტაშვანდურა სიამით მოელის იმ წამს, როცა ერთ-ერთ ფერიასთან ერთად ტაშვანდურას ორ ქანდაკებათა შორის მოთავსებულ ღრმა გროტში შეცურდება და მასთან ცოტა ხნით განმარტოვდება...

მანამდე კი ეშხში შესული ტაშვანდურა ბატონი ყველაზე დიდი შადრევანის მძლავრად მადლა ატყორცნილ ჭავლში შევარდა და, ურიცხვი მაყურებლების გასახარად, თვითონაც ზევით აიჭრა – შადრევანის წვერზე გემრიელად აბურთავდა! გვერდით სხვადასხვა სიდიდის ფერად-ფერადი ბურთებიც ტრიალებენ შადრევანების მადლა ატყორცნილ ჭავლების წვეროკინებზე, მაგრამ ტაშვანდურა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველას სჯობნის, ყველაზე მადლაა!..

ცეკვავს, მღერის, ხარობს უზარმაზარი შადრევანი, გემრიელად, დაუღლელად ათამაშებს მის თავზე მოქცეულ ბატონ ტაშვანდურას – ბურთივით ატრიალებს, ჯამბაზივით მაღაყებს აკეთებინებს! ყველაზე მადლა აზვირთებული ტაშვანდურა – ტაშვანდურას შიშველ ქანდაკებებზე მადლაც კი ატყორცნილი! – ფეხებს აფართხალებს, მოფარფატე პეპელასავით ხელებს შლის; პირს ადებს, და გაფართოებული თვალებით ცდილობს, გარემოს ადლო აუდოს, მაგრამ მხოლოდ თავგზა ებნევა; დროდადრო დაყვირებასაც აპირებს, თუმცა მხოლოდ პირიდან დაგროვილი წყლის პატარა შადრევანს უშვებს...

– ყოჩაღ, ყოჩაღ, შადრევანა, მიდი, კიდევ ივაჟკაცე, გაგვამხიარულე! – ბრბოს შეძახილები და ტაში-ტუში მას არ ესმის.

უცებ სინათლე ჩაქრა, შადრევნები გამოირთო და მუსიკაც შეწყდა, მხოლოდ ბატონ ტაშვანდურას აუზში ჩადგაფუნების ხმა გაისმა...

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა და უპირველესად – აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე: ის, სამწუხაროდ, ზემის დამაგვირგვინებელ საზეიმო საღუტსა და ბრწყინვალე ფოიერვერკს და შემდეგ – საპრეზიდენტო სასახლეში დიდებულ სადღესასწაულო მეჯლისსაც ვეღარ დაესწრო... ეს ღონისძიებები აღარ გამართულა, რადგან, ბატონი ტაშვანდურა, ეტყობა, გაუთვალისწინებელი გარემოების გამო უხერხულად ჩამოხტა, რაღაცას თავი დაარტყა, ბლომად წყალი ყლაპა, სიბნელესა და საყოველთაო ორომბრიალში ვერავინ შეამჩნია, მუხლამდე წყალში როგორ დაიხრჩო...

როგორც ჩანს, საკმაოდ შეზარსოშებული ბრძანდებოდა და შადვენის ჭავლებში გახურებული შუბლის გაგრილება და მშვენიერ მანდილოსნებთან დღაბუცი ძვირად დაუჯდა...

ღიახ, შეწყდა მუსიკა, გამოირთო საზეიმო განათება, გაჩერდა შადრევანდიდი და გაქრა ცი-სარტყელაც...

სამაგიეროდ – ანთო სინათლე ქალაქის ბინებში, განათდა ქუჩები...

ბევრნი ამობდნენ, რომ დენი საგანგებოდ გამორთეს ტაშვანდურას წინასწარი დავალების შესაბამისად, რათა მერე საბოტაჟი და საყოველთაო არეულობის მცდელობა დაებრალეებინათ ნათ ოპოზიციისთვის! მაგრამ, როგორც ჩანს, დენის გამორთვა უდროოდ დროს მოუვიდათ...

ორ თვეში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, სადაც აღნიშნული იყო, რომ, მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის მიზეზების შემსწავლელი საგანგებო კომისიის დასკვნის შესაბამისად, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტმა ბატონმა არისტოტელე ბუქნაძემ აუზში ჩამოხტომის შემდგომ შადრევანდიდის ლაბირინთში შეცურა და, სამწუხაროდ, უცვრად დამდგარი სიბნელის გამო (რაც, წინასწარი მონაცემებით, გიგლა ყვავიფრჩხილადის დანაშაულებრივ ქმედებას მოჰყვა), იქიდან გასასვლელი გზა ვეღარ გაიკვლია...

იქნებ მართლაც ასე მოხდა?

ვინ იცის...

მეტი რაღა დამრჩა სათქმელი?

რასაკვირველია, აყვავებული და ბედნიერი საჩაღეთის პრეზიდენტი, მისი უმაღლესობა, ბატონი არისტოტელე ბუქნაძე დიდის პატივით დაიკრძალა დიდი შადრევნის მოედანზე – მისი ძალისხმევით აშენებული შადრევანთ მეფის წინ... ბატონ პრეზიდენტის ხსოვნისადმი უდრმესი პატივისცემის ნიშნად და საჩაღელი ხალხისა და განსვენებულის ოჯახისთვის ღრმა და გულწრფელი თანაგრძნობის გამოსახატავად ჩამობრძანდა უამრავი სახელმწიფოს პირველი პირი. პირადად არ გამოჩენილა და მხოლოდ დეპეშით გამოხატა თავისი მწუხარება ტაშვანდურას ბიძამ ემპედოკლე ბუქნაძემ, რომელიც, როგორც ჩანს, ინტერპოლის მაძებრებს საგულდაგულოდ ემალებოდა.

პრეზიდენტის დაღუპვის გარემოებათა შემსწავლელი საგამომძიებლო კომისია მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა და სულ მალე ყველას დაავიწყდა კომისიის არსებობაც და ტაშვანდურაც. ცხადია, არც მთავრობის ის დადგენილება შესრულებულა, რომელიც ითვალისწინებდა ტაშვანდურას სახელის უკვდავყოფას: ძეგლის დადგმას ყოფილი პრეზიდენტის საფლავზე (წინდაწინ ჰქონდა დაბარებული: მსურს, შადრევანთ მეფის მოედანზე იყოს ჩემი სამუდამო განსასვენებელი), მემორიალური მუზეუმის შექმნას, რომელიმე ცენტრალური ქუჩისთვის ან მოედნისთვის მისი სახელის მიკუთვნებას, სტუდენტებისთვის განკუთვნილი მისი სახელობითი სტიპენდიების დაწესებას, მისი სიტყვების კრებულის გამოცემას და სხვა. მხოლოდ მრავალრიცხოვანი “ტაშვანდურას შადრევნების” ჭავლები ჩურჩულებდნენ რაღაცას ღროღადრო და ისინიც ერთიმეორის მიყოლებით უქმდებოდნენ...

რაც შეეხება ტაშვანდურას მმართველ პარტიას “მხოლოდ ხალხის ინტერესებისთვის!”, ისიც მალევე უხმაუროდ დაიშალა, წყნარად მიიცვალა და მისმა მაღალი ღონის მოღვაწეებმა საჩქაროდ მიაშურეს სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებს...

ტაშვანდურას გარდაცვალებიდან სულ მოკლე ხანში გამოჩნდნენ პირები, – მთელი ჯგუფი! – რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შადრევანთ მეფის პროექტის შედგენაში განსაზღვრული როლი მათაც ეკუთვნოდათ და ბატონ პრეზიდენტის ფაქტობრივი თანაავტორები იყვნენ; სასამართლოში განხილვის შედეგად გაირკვა მათი პრეტენზიების საფუძვლიანობა, ნაწილობრივ აღიარეს კიდევ მათი საავტორო უფლებები, მაგრამ საერთოდ ამ თემამ უკვე სრულიად დაჰკარგა აქტუალობა. საჩაღეთი კარგა ხნით ძალაუფლებისთვის ბრძოლის ასპარეზად იქცა და, ცხადია, შადრევანდიდისთვის არავის ეცალა; რამდენიმე წელიწადში დიდებული კომპლექსი მოუფლგლობით გაპარტახდა, მისი ამშენებლის პარტიასავით დაიშალა და იძულებული იყვნენ, აეღოთ. მაშინ უკვალოდ დაიკარგა არისტოტელე ბუქნაძის საფლავიც და არც არის გასაკვირი – ცოლი, მადონა მდოგვაძე, მას არ აკითხავდა (სხვა კაცზე იყო გათხოვილი) და არც ტაშვანდურაზე ფრიად განაწყენებული უმცროსი ძმა, პლატონ ბუქნაძე (ადრე სადღაც დასაკარგავში ელჩად გამწვესებული და ამჟამად საჩაღეთს დაბრუნებული), ჰოდა, სხვებზე რაღა უნდა ვთქვათ...

საბედნიეროდ, გადარჩა და საჩაღეთის ერთ-ერთ მუზეუმში ახლაც შეიძლება, იხილოს დაინტერესებულმა პირმა ტაშფანბადურას მიერ საკუთარი ხელით რუდუნებით შესრულებული შადრევანთ შადრევნის შესანიშნავი დიდი მაკეტი – მისი საკუთარი ვარიანტი, შემდგომ ძირითადად ის დაედო საფუძვლად საბოლოო სახეს შადრევანთ მეფისა; ეს ისტორიული რელიკვიაა და რჩა იმ უზარმაზარი წამოწყებიდან... მართლაც დიდებული ნამუშევარია! რასაკვირველია, მეც გულმოდგინედ დავათვალიერე და, შეიძლება ითქვას, საფუძვლიანად შევისწავლე აღნიშნული მაკეტი, რამაც ამ წიგნის დასაწერად დიდი დახმარება გამიწია. ეს ერთი რამ მაინც გააკეთა ტაშფანდურამ ისეთი, რამაც კეთილ საქმეს ხელი შეუწყო, თუმცა... რამდენად საჭირო იყო ამ წიგნის დაწერა და როგორი გამოვიდა, მოწყალე მკითხველმა განსაჯოს.

2007 წლის 6 დეკემბერი –
2008 წლის 30 ივნისი,
თბილისი.